

644/3
1959



644/3

Օրապատկեր

24

9

4944

შინაიარსი

მ. ელიოზიშვილი — მოთხრობები	33
ბ. გვამუჯორი — ლექსები	17
ბ. ბელიაშვილი — ვეფხია ხალიბაური (რომანი, გაგრძელება)	28
ნ. გურუშიძე — ლექსები	65
ბ. სპირაძიანი — ჩემი პირველი სიუვარული (თარგმნა ა. დავითიანი)	69
ნ. ბაბუა — ლექსები	86
ბ. გუგულიძე — მთის ნაკადი (ლექსი, აფხაზურიდან თარგმნა ხ. გავუამ)	88
უ. სარციანი — ხუთი მწიფე მსხალი (ინგლისურიდან თარგმნა ნ. დამბაშვიძე)	93
ბ. მიცკაძე — სამიჯნურო სონეტები (პოლონურიდან თარგმნა თ. ჩხეკელიძე)	94
ბ. ბორჯაძე — ლექსები (გერმანულიდან თარგმნა ბ. ადგიშვილი)	98

მეშურები

შ. დადიანი — რაც გამახსენდა (დასასრული)	101
---	-----

მოგზაურის დღიური

ბ. ბერიძე — სამი კვირა რუმინეთში	109
----------------------------------	-----

კრიტიკა და კულტურისტიკა

ბ. ბანბახვა — ერის პოეტური ენერჯია	117
ბ. გვამუჯორი — შემოქმედებითი ტიპის გზაზე	121

9

1959

საქართველო

სახელმწიფო
გამომცემლობა

„საბჭოთა
საქართველო“



6. მახათაძე — მნიშვნელოვანი ნაშრომი რუს- თელლოლოგიაში	131
რ. ქორძია — ხაინტრესო წიგნი	134
აღ. გამბრელაძე — ახლადმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა	135
დ. გოგოლაძე — ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიიდან	141
ი. ხარაძე — ბუნების შესწავლის ახალი მძლავ- რი საშუალება	146

ქრონიკა

ქოველი მხრიდან	154
--------------------------	-----



154

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IX-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 580.
ში 03670. ქალაქის ზომა 70x108. ტრაჟი 7.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზობლივად გამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ნახატები ზურაბ ნიჟარაძისა



პაპა
სიმონი

პირველი მამლისყვილის შემდეგ შამფურივითა ბრუნავს პაპა სიმონი ლოგინში. თვალეზდაყუცილი შეჰყურებს ჩაშავებულ ჭერსა. მერე შავი ჭერიდან ფიქრები ჩამოიძენება ხოლმე. ერთი ხანობა ჩაძინებას დააპირებს, ფიქრებისაგან გაქცევას დააპირებს, მაგრამ მერე და მერე ხელს ჩაიქნევს და ფიქრების ძენძში გაეხვევა. აღარც ძველი კედლის საათის კაკაუჯი ესმის ხოლმე პაპა სიმონს ამ დროს, აღარც ჭრელი ხატაურის, ვეფხვას მოგუდული კრუტუნი და აღარც არა თავისი დარუას სუნთქვა. ფიქრების აბლაბულა უღიტინებს პაპა სიმონს ცხვირზე, სიფრიფანა ყურებზე, ნაღეჭი კეცივით გამოფიტულსა და დამჟკნარ ლოყებზე. ამ ფიქრებში შავი ჭერი ჯერ რუხ ფერს აილანდავს, მერე პირველი სხივით განათებულ ჭერზე წვიმის წყლისაგან ყავისფრად მოჩუქურთმებული სხეულები გამოიხატება. ზოგი ცხვრის თავს წააგავს, ზოგიც ძაღლისას. ზოგი გამართულ ბაღჩა-ბოსტანსა და ზოგიც ძეძვის ორლობებს, აქეთ-იქიდან ჩარიგებული კაკლის ხეებით. ფიქრობს პაპა სიმონი, ფიქრობს. ფიქრებშივე დაათენდება. დაათენდება და ლოგინიდან ორ ვაწროკებულ ფეხს ვადმოჰ-

კიდებს. გადმოკიდებული ფეხები ორ-სამჯერ თავისთავად გაქან-გამოქანდებიან. თითოჯერ მაინც გაიტკაცუნებს, მერე კი უღონოდ დაეკიდება ურწყავი კომ-შებივით გაღეულსა და ფუყე მუხლებს. ნელ-ნელა გაცრეცილ საშინაო შარვალს ამოიცვამს, ყაირათიანად ნახმარი საპონივით გაღეულ ფლოსტებში წაპყოფს ფეხებს, გალიბულ შინდის ჯოხს დაეყუდება და კაკაუჭითა და ფლასტაფლუსტით ეზოში გალასლანდება.

სანამ მზეს მიწა გაუხურებია, ხახვისა და წიწმბატის კვლების მორწყვასაც მოასწრებს. ატმის, ალუბლის, ბლისა და მსხლის ხეებს გამაგრებულ ნიადაგს შეაჩქენის, აქა-იქ ჭიისაგან დაკრუნჩხულ ფოთოლს შეასრისავს. ამასობაში მზეც დააცხუნებს და პაპა სიმონი ალუბლის ჩეროში დადგმულ მაგიდას მიუჯდება...

მთელ დღეს ბაღში აღამებს პაპა სიმონი. დაღამებისას ისევ ლოგინს მიაშურებს, ვაშლის ჭიასავით გაეხვევა საბანში, ძილს დაელოდება, დაელოდება და ვაივაგლახით ჩაიძინებს. პირველი მამლისყვილის შემდეგ კი ისევ აწრიალდება, ისევ აბრუნდება...

ნეტა რათა ბრუნავს პაპა სიმონი? ნეტა რა ბოღმა უღრღნის გულსა?! ეგებ ავადაა პაპა სიმონი, პა?! ავადა ხარ ვანა, პაპა-სიმონი?! ავადა ხარ, ავადა!.. რაც შენს ჭიამაიასავით კრიალა ეზოს აქეთ-იქიდან ექვსსართულიანი სახლები წამოაყუდეს, მას შემდეგ არის, ძილი რომ დაგეკარგა. შიში ჩაგებულა გულში, შენი ბალის ბედის შიში. შენს დარუას რაღას ერჩი, პაპა სიმონ, რატომ აღარა სცემ ხმასა!.. შენმა უღლის ცალმა რაღა დაგიშავა!

რა დაუშავა და... რა დაუშავა და ახალი სახლების ტრფიალომა ააყრევინა დროზე გული პაპა სიმონსა. ყველაფერი იცის პაპა სიმონმა, ყველაფერი. ყველაფერი შეიტყო პაპა სიმონმა. როცა პაპა სიმონი ბაღში ფათურობს, მისი მეორე ნახევარი, დარო ფეხაკრფით გაიძურწება ხოლმე შინიდან. ეზოს კართან შედგება, ერთხელ კიდევ გამოხედავს საქმეში გართულ მეუღლეს და გარეთ გავამეზობლად წამოჭიმული ახალი სახლის წინ შეჩერდება, ჯერ გარედან ათვალიერებს, მერე ახლოს მივა, მეტეხის კრიალა აგურს ჯაფისაგან გახევებულ ხელისგულს გაუსვ-გამოუსვამს, ღია კარში შეიხედავს და სახლში შევა...

მერე ისევ დაღამდება, ისევ გათენდება, კიდევ დაღამდება. კიდევ გათენდება...

გუშინაც დაღამდა, გუშინ უფრო აღრე დაღამდა, ვიდრე გუშინწინ და იმის წინ. გუშინ შუადღისას დაღამდა. იმ დროს დაღამდა, როცა პაპა სიმონის ჩუმად გარეთ გასულ დაროს უკანმობრუნებისას რამდენიმე კაცი შემოპყვა ეზოში. უცხოების დანახვაზე პაპა სიმონმა ჯერ მიგებება დააპირა. მაგრამ მხოლოდ დააპირა. მერე კი... მერე კიდევ გადადგა იმათკენ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ გაჩერდა. ბებერი ატმის გვერდით გაჩერდა. ერთ წამს შეტორტმანდა და ბებერ ატამს ხელი წაავლო. ჭობოსანივით ხორკლიანი ქერქი ჰქონდა ბებერ ატამს. კუბრწამულივით გაშავებოდა ტოტები. ერთხანს ასე იდგა. მერე ხელისგული დაეწვა პაპა სიმონს. ხელისგულზე დაიხედა. გადაყვლეფოდა. თვალთან ახლოს მიიტანა, ხელისგული ყვითელი იყო, ძალიან ყვითელი. ზედ რამდენიმე წითელი ზოლი მიიკლაკნებოდა. ხელისგულის იქით კი აღარაფერი ჩანდა. აღარც მისის ბლები, აღარც ღიად დაგდებული ჭიშკარი, აღარც ის უცხოები გრძელი თოკით ხელში. ნეტა რამდენ ხანს იდგა ასე პაპა სიმონი!? მერე შეტრიალდა, შინისაკენ წაკონკილდა. შინდის ლიბი ჯოხი ახლა მარცხენა ხელში ეჭირა. მარჯვენა თვა-

ლებთანა ჰქონდა მიტანილი და გაშტერებული დაჰყურებდა. ჯოხი მიაყუდა. მარცხენა ხელიც მიიტანა თვალთან. მარცხენაც ისეთივე ყვითელი იყო, მაგრამ წითელი ზოლები კი არა ჰქონდა...

მერე ორივე ხელი მიიფარა თვალებზე...

საბანში გაეხვია პაპა სიმონი და დაღამდა...

ისევ აყვილდნენ მამლები...

ინეინრებმა დიდხანს ზომეს ბალი. მერე ხეები დათვალეს: ერთი, ორი, სამი... ოცი, ოცდაათი... აქტი შეაყენეს და დარომ დიდი ჯვარი დასვა ბოლოში.

ახალ სახლში ორი ოთახი მისცეს, მაგრამ ორჯერაც არ შეუხედავს მეორე ოთახში პაპა სიმონს. ნარგავების საფასური, შვიდასი თუმანი, კარგა ხანს ეწყო მაგიდაზე. ეწყო, ეწყო და მერე დარომ რალაცაში გამოჰკრა და სადღაც ამოსლო...

მზე რომ კარგად მიადგება პაპა სიმონის ლომისთავებიან საწოლს, მაშინ იღვიძებს. ერთი ხანობა გაუძნრევლადა წევს. მერე საწოლზე წამოჯდება, ფეხებს გადმოჰკიდებს. გადმოკიდებული ფეხები ისევ ქანაობს, ტკაცუნითაც — ტკაცუნობს, მაგრამ პაპა სიმონს ამ ამბების შემდეგ ყურთ ისე დააქლდა, რომ ტკაცატკუცი აღარ ესმის. თვალი ისევ ძველებური შერჩა. ძველი კედლის საათის ენა ისევ მიდი-მოდის, მაგრამ კაკუნი კი აღარ ეყურება. აღარც მამლის ყვილი გაუგონია კარგა ხანია. „აღმათ უბანში მამლები აღარ არიანო“... პირსა-ბანთან მიფრატუნდება და ერთ-ორ მუჭა წყალს შეისხამს. მერე ჩაის მიუჯდება. დარო აღრეა ამდგარი, მაგრამ ჩაის ისიც ამ დროსა სვამს. „სვამს და დალიოს რა!“ პაპა სიმონი ფინჯანში იყურება, დარო კი პაპა სიმონს შესცქერის. მერე პაპა სიმონი ისევ საწოლთან მივა. საწოლსა და ფანჯარას შუა რომ პატარა თავისუფალი ადგილია, იქ ჩაჰკიდებს ხოლმე ფეხებს და საღამომდე ფანჯარაზე ახუხული. დარო ფეხაკრეფით დადის ოთახიდან ოთახში, სამზარეულოში. მერე აბაზანას გაინელებს და საათნახევარს აღარ ამოდის წყლიდან, იხვივითა ლაღობს ნანატრ აბაზანაში...

ეზო აგურის ნამტკრევეებითა და გამხმარი ვაჯითაა მოფენილი. ხეების დიდი ნაწილი ახალი სახლის საძირკველმა შეიწირა, ნაწილიც ექსკავატორმა და ოცდახუთტონიანმა მანქანებმა მიბრუნ-მობრუნების დროს.

მარტო ერთი ძირი გულაბიდა დგას ეზოს კუთხეში. იმ გულაბსაც აგურის ნამტკრევეები იმოდენაზე აქვს შეყრილ-შეკოკოლაგებული, რომ ძლივსა ფეხ-ქავს. დაროს უხარია, ლოგინიდან წამომდგარსა და ფანჯარაზე აკრულ მეუღლეს რომ ხედავს: კაცი მომიბრუნდაო, დარღზე ხელი აიღო, ექიმების რჩევას მისდეგსო...

მზის ჩასვლის შემდეგ, სანამ ფეხებს აპკრეფდეს ლოგინში ჩასაწყობად, პაპა სიმონი ერთ ჭედს ამოჭრის ხოლმე თავის შინდის ჯოხზე კინწმოცვეთილი ჯიბის დანით. დაროსა ჰგონია, ჩხირკედლაობს, ერთობაო... „ეგონოს რა!“

ერთი ჭდე ერთ დღეს უდრის. მარტში ოცდათერთმეტი ჭდე გაუკეთა და აბრილიც დაიწყო... ერთი ჭდე, ორი ჭდე, სამი ჭდე, ოთხი ჭდე... „ნუშების ყვავილობა დაიწყებოდა“... ხუთი ჭდე, ექვსი, შვიდი... „ნუშები დაიყვავილებოდა“... ჰერამი და ვარგარი ვიშლებოდა“... რვა, ცხრა, ათი... „ჰერამი და ვარგარი დაიყვავილებოდა, ალუბლები უკვე ყვავის... თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი... „მაისის ბლებსაც უვლიან ფუტკრები“... „ნეტა ერთი იმ

აგურებს შემოაცილიდეს ვინმე გულაბსა... მზეზე გაფიცებული აგური საშინაო
 ბივით იწოვს ნესტსა და წვიმასა...“

„შარშან ნიშანიც ება“... „ჯერ კი აღრეა გულაბების ყვავილობა“... ოცი, ერთი, ორი, სამი... „ატმებიც დაიყვავილებდა“... „გულაბები გვიანა ჰყვავის... უფრო აპრილის ბოლოსა და მაისის დამდეგს იცის გულაბმა ყვავილის გამოტანა“... წყნეთელებისაგან იყიდა ექვსიოდე წლის წინათ... რამდენიმე ადგილზე კანი გადადღეცია გულაბს... „დაზიანებული ადგილები ჩერთით რო შეიხვეს და ფისი წაესვას!“ ეპ, მაგისთანები შეუხვევია პაპა სიმონსა!.. შუაზე გახლეჩილი ხე შეუდღელებია. ზემოთ მანეთს შემოახვევდა და პირს შეაკვრევი-ნებდა, მერე ნაპერს დაახვევდა დაზიანებულ ადგილზე და ფისს წაუსვამდა. აღარაფრის შიში აღარ იყო, უეჭველად შედღელებოდა... „გულაბი აპრილის ბოლოსა ჰყვავის... შეიძლება მაისის პირველებამდეც შეიგვიანოს... შემოდგომამხვევ უნდა გასხლულიყო, თორემ გაქერქილსა და აგურის ნამტვრევებით მიმარხულს რაღა ძალა უნდა შერჩეს, რომ ყვავილი გაახაროს“...

გაზაფხულზედაც შეიძლებოდა გასხვლა. ერთი-ორჯერ დაროს ჩუმადაც გახსნა მაკრატელი პაპა სიმონმა, მაგრამ ძალა კი ვეღარ დაატანა, პირი ვეღარ შეაკვრევიანა სასხლავ მაკრატელს... ესეც რომ არა, ჩასვლით მიინც აღარ ჩავა პაპა სიმონი, ფანჯრიდან უყურებს, დაელოდება და მერე ალბათ ჭდეებიც შეავსებს ჯოხსა... საბოლოო ჭდეს ყველაზე დიდს ამოჭრის პაპა სიმონი. სულ რაღაც ოთხიოდე თითის დადებდა დარჩა ჯოხის ბოლომდე... მერე... მერე ერთ დიდ ჭდეს დასვამს ბოლოში, სამოცდათხუთმეტი წლის კაცია და დიდი ჭდეც ხომ უნდა დასვას, საბოლოო ჭდე...

ოცდაოთხი, ოცდახუთი, ოცდაექვსი... თვლების ტყვიელსაცა გრძნობს, ერთი სამად ეჩვენება. მზის ჩასვლისას უკვე გულაბების ტყესა ხედავს პაპა სიმონი. ოცდაშვიდი, ოცდარვა, ოცდაცხრა... „გულაბის ყვავილმა დაიგვიანა...“ ოცდაათში გამოღვიძებისთანავე იგრძნო თვლების ტყვიელი. ცრემლისდენისაგან ქუთუთოები ერთმანეთს მიჰკროდა. გაჭირებით გაახილა თვლები და დაავიწყდა შარვლის ჩაცმაცა და ფლოსტებში ფეხის წაყოფაც... თეთრად აფეთქებულიყო გულაბი... პაპა სიმონმა ფანჯარა გამოაღო და იღლივამდე გადაპყო მოცახცახე ხელები ფანჯარაში... გზაბნეული, რაღაცით გარეტიანებული ფუტკარი ამოდ ცდილობდა მოცახცახე ხელზე დაჯდომას. მერე როგორც იქნა დააჯდა ხელზე და ძირამდე ჩაუყარა ნაზამთრალი, დასვენებული ნესტარი, მაგრამ პაპა სიმონს იმისი კბენა არ უგრძნვია...

ჩაის სმის დროსაც ფანჯარაში იყურებოდა... ჩაის შემდეგ ისევ აეხუხა ფანჯარას... ისევ დაუწყო ტეხვა თვლებმა, ცრემლის დენამაც უმატა და სადამოდე ეზო თეთრი გულაბებით მოიფინა...

მერე ეზოში მკლავებაკაბიწებული, თეთრი ქალი დაინახა პაპა სიმონმა. „ნეტა რომელიაო“ — გაიფიქრა. თეთრმა ქალმა თეთრი სარეცხით სავსე ტასტი იქვე დაიდვა, კისერზე ჩამოკიდებული სარეცხის თეთრი თოკი მოიხსნა, გაშალა, ერთი ბოლო გვერდითა ეზოს მარჯილს გამოაბა, მერე მიიხედ-მოიხედა და მოპირდაპირე ღობისაკენ წავიდა. ღობემდე რამდენიმე ნაბიჯით აღრე შეჩერდა. თოკი გაიჭიმა, მარჯილამდე ვერ გასწვდა. კიდევ მიიხედ-მოიხედა ქალმა. პაპა სიმონს სუნთქვა შეეკრა, ჰაერის შესუნთქვა გაუჭირდა... ქალს ფეხებიც ისეთივე თეთრი და ჩათქვირებული ჰქონდა, როგორც ხელები. ახლა უკვე კარგად ხედავდა პაპა სიმონი ორ ღონიერ, ჯანით გატენილ ფეხს. ორივე ფეხი გულაბის გარშემო შეკოკოლავებულ აგურის ნამტვრევებზე შეჩერდა. მერე მარჯვენა ფეხის წვერზე წამოიწია ქალმა, მარცხენა ფეხი მაღლა ასწია და ტოტსა და ტოტს



შუა ჩადგა. მერე ორივე ხელი ზევით აიშვირა და თოკმა ნელ-ნელა გაჭიმვნიყო... პაპი აღარ ეყო პაპა სიმონს. შეისუნთქა. გახევებულმა ბრონქებმა სტვენითა და ზრიწინით შეიწოვეს პაპი, უხმაუროდ ამუშავდა ჩაქუჩები საფეთქლებში. რამდენჯერმე კიდევ ღონივრად დაქაჩა ქალმა თოკი და თეთრად აპენტილმა გულბმა დასაჭედად წამოქცეული მოზვერით გადააგდო კისერი გვერდზე... პაპა სიმონმა კისერი ველარ გამართა. კისრის ლურჯი ძარღვები რამდენიმე ადვილას ამოებურთა. „ფანჯარა ღია მქონდა და ქარმა თუ დამკრა“. მერე მუხლებმა ფამფალი დაუწყო პაპა სიმონს და ლოგინზე ჩამოჯდა. თავისი საგარეო, მაღალყელიანი ფესხაცმელები დაინახა, ხელი გაიშვირა და ფესხაცმელები ახლოს მიიჩოჩა...

დარო მეზობელთან იყო გასული...

პირველი ნაბიჯი მშვიდობით ჩადგა კიბეზე პაპა სიმონმა, მეორე კარგად ვერ მოზომა, მაღალყელიანი ფესხაცმლის ყაითანზე დაიდგა და... კიდევ კარგი, ჭდეებიანი შინდის ჯოხი გამოიყოლა... კიბეზე ჩამოჯდა, ყაითანი გაიყოლომაჯა, წამოდგა და ისევ გადადგა მომდევნო ნაბიჯი. მერე კიდევ მომდევნო, კიდევ ერთი მომდევნოს მომდევნო... თანდათან მუხლი გახურდა და სავებურები ერთმანეთს მოჰყვა...

მზე ჯერ არ ჩასულიყო. მზისაგან გაფიცებულ ასფალტზე ბლაგვად აკაუნდა პაპა სიმონის ჯოხის დაქევილი ბოლო. პაპა სიმონი მიდიოდა იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის. ჩამავალი მზე უკანიდან მოექცა და ლიტინი დაუწყო კისერზე. სხივებმა გაიხედეს პაპა სიმონის ხახვის ფურცლებით ყურებში და ყვითელი — ვარდისფერს დაამსგავსეს...

ცისფერი ავტობუსები, დიდი და პატარა ავტომანქანები კარგა მოზრდილ რკალს აკეთებდნენ პაპა სიმონის გარშემო და მერე ისევ სწორად მიდიოდნენ პაპა სიმონი კი მხოლოდ ნაცრისფერ ასფალტსა ხედავდა, იმასაც საშიშოდ ბებრული ნაბიჯით წინ...

გოლიათების ლაშქარით ჩამწყრივებულიყვენ ახალი სახლები ქუჩის ორსავე მხარეს. ჩამავალ მზეს ცეცხლები დაენთო გაკრიალებულ ფანჯრებში. მერე მზე უცბად ჩავარდა მთების იქით და ფანჯრები ახლა შიგნიდან დაენთო...

შუაგულ ქუჩაში კი, გოლიათების ლაშქრის ფერხით, პატარა, გამხდარი ბერიკაცი მიაკაუნებდა. გაოცებისაგან თვალებდაჰყეტილი ცისფერი ავტობუსები გვერდს უვლიდნენ რისხვისაგან ანთებულსა თუ ჩამქრალ მოხუცებულს და გზას განაგრძობდნენ....

ოცდაათი აპრილი ღამდებოდა, პირველი მაისი უნდა გათენებულიყო. თბილისი დიდი ჩირაღდანით ენთო. ქუჩაში მიმავალ ადამიანებს თავისი ჩრდილები დაჰკარგოდათ. ჩრდილი არ ჩნდებოდა არც წინ, არც უკან, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ...

შუა ქუჩაში მანქანებმა იძალეს, პაპა სიმონმაც მარჯვნივ უქცია. დიღანს უსიარულო ფეხებმა თავისი თქვეს და ოფლდასხმული პაპა სიმონი ტროტუარის წიბოზე ჩამოჯდა, ჯოხი გვერდით მოიღო, ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლის წმენდას მოჰყვა, და...

უცბად დაინახა ქუჩაც, თვალებდაჰყეტილი ცისფერი ავტობუსებიც, დიდი და პატარა ავტომანქანებიც. დაინახა ადამიანები ავტობუსებისა და მანქანების იქით. მერე უკან მიიხედა პაპა სიმონმა და უკანაც ადამიანები დაინახა. საიდანაც იასამნის სუნი მოდიოდა...

„სად ეტევა ამოდენა ხალხი“, — გაიფიქრა. „მიწაზე“...

„კიდევაც დიდი ადგილი ვადარჩა იმოდენა სახლსა“...

მერე ივარაუდა: „ოცდაათი ნაბიჯი სიგრძეზე, ათიოდეც სიგანეზედაო“...
ვოველ მეექვსე ან მეშვიდე ნაბიჯზე თითო მსხალსა ან ვაშლსა რგავდა. ვაშლსა და მსხალს შუა თითო-თითო ატამს ურიგებდა: „სანამ ვაშლი და მსხალი დავაყ-
ვადებდა, ატამი დაბერებასაც მოასწრებსო...“

მერე ნელ-ნელა წამოდგა, ხალხში შეერია და შინისაკენა ჰქნა პირი...
ლამის შუალამისას მიატანა სახლს. შორიდანვე შენიშნა განათებულ კარ-
თან მდგომი დედაბერი.

„რო მკითხოს, რა ვუთხრაო“ — გაიფიქრა... დედაბერი პაპა სიმონისაკენ
წამოვიდა.

კითხვაც არ გაუგონია პაპა სიმონს, ისე უპასუხა: „სერგოსთან ვიყა ნერგის
მალაზიაში, რამდენი ხანია ვაპირებდიო“...

მერე კბეებზე აღიოდნენ.

„კარგი ნამყენები შევიგულე საშემოდგომოდაო“...

მერე დაგვიანებულ ჩაისა სვამდნენ. ორივენი ერთმანეთს შესცქეროდნენ...



ყველასათვის იოლი მისახვედრი როდია, თუ რა სიღრმეს შეიცავს ეს
ერთის შეხედვით ჩვეულებრივი ოთხმარცვლოვანი სიტყვა. „მართლაც და რა
არის აქ მისახვედრიო“ — იტყვის ზოგიერთი. ზოგს შესაძლოა ამ სიტყვის გაგო-
ნებაზე თვალწინ წარმოუდგეს გაწიწმბებული კონდუქტორი, ერთი და იგივე
მოთხოვნებით თავმობეზრებულს იერიში რომ მიაქვს ტრამვაის ბაქანზე მდგო-
მი ახალგაზრდების ჯგუფზე. ისინი კი თვალთმაქცური სერიოზულობით ესაუბ-
რებიან ერთიმეორეს, თითქოს არც კი ესმოდეტ კონდუქტორის შეძახილები:
„შეიძინე, ბაქანო, ბილეთები, შეიძინე, თორემ ახლავე ვაგონს გავაჩერებ!“



არა, მე ტრამვაის ბილეთებზე არ მოგახსენებთ. თუ ყოველდღე არაფერს ვუბილეთო მგზავრების წინააღმდეგ ვაპირებდე ვალაშქრებას...

ქალაქი აფიშებითაა აჭრელებული; აფიშებს შეხვდებით ბევრ მოზრდილ საზიარო ეზოშიაც და თუ შემთხვევით ავარდნილი ლანჩის დასაკერებლად შეხვალთ რომელიმე პაწაწინა არტელში, იქაც კი თვალში გეცემათ უზარმაზარი აფიშა:

„დასკვნითი კონცერტი N ... ოლიმპიადისა. მონაწილეობენ: სხვანი და სხვანი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი“.

აი ახლა კი ბევრ თქვენთაგანს წარმოუდგება თვალწინ ის ორომტრიალი, რომელიც იდგა 195... წლის ნოემბერში ოპერის სალაროსთან. ცას ჯერ კიდევ რიგინანდ არ გავდო თვალს და სალაროსთან მისადგომ კედლებზე რამდენიმე წყებდა გამწკრივებულიყო ქუდმოხდილი და ქუდიანი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის თავები. ხდება 9 საათი და თავების მწკრივები ბობოქარი ტალღებით იწყებს წინ და უკან რწყევას. ყოველ ორ თავს შუა მესამე თავი კი არა, თითოც აღარ ჩაიყოფა. გახურებული თავებიდან ღვარებად მოდის ოფლი, ერთხანს პერანგის საყელო აკავებს, ბოლოს ისიც იყვინთება და გზამიცემული სისველე ზედ ხერხემალზე მიიპარება.

„იყიდება მხოლოდ დარჩენილი 200 ბილეთი მესამე იარუსზე“ — გაკრულია შავი თავების ვასწვრივ კედელზე პატარა თეთრი ქალაღი. ჯანდაბას, ვილა დაეძებს, ოღონდ კი ბილეთი შეგვხვდეს! ინსტიტუტშიც, პროფკომის ოთახის კარებზე, შიგნიდან ნახევარი ავეჯია მოყრილი. გაფიცებული თავმჯდომარე ძლივს-და ახერხებს ხელის გამოყოფას პატარა ღია ფანჯრიდან, რომელშიაც სხვადასხვა ფაკულტეტების წარმომადგენელთა მუშტების მთელი კონაა გახილული.

ზოგიერთმა შეიძლება მნახეთ კიდევაც ორივეგან. სახეგახვითქული, დილუბადლუდილი პალტოთი. ვინც ახლოს იდგა ჩემთან, ალბათ გააოცა კიდევაც იმ ვააფთრებამა და ძალამ, რომელსაც მე ვიჩენდი. მაგრამ განა გასამტყუნარი ვიყავი? მე ხომ ქალიშვილს ვუღებდი ბილეთებს. მე ხომ იმ ქალიშვილთან თუნდაც ხუთწუთიანი საუბრისათვის ვაცდენდი უმადლესი მათემატიკის, მხაზველობითი გეომეტრიისა და ვინ მოსთვლის კიდევ რომელ ძვირფას ლექციებსაც კი. და ბოლოს მე ხომ სასტიკი საყვედური გამომიცხადეს კომკავშირის კრებაზე და ინსტიტუტიდან გარიცხვისაგან ჩემმა საყვირმაც ძლივსაღა მისხნა. მართალია, იგი მე თურმე მხოლოდ მეთამაშებოდა და სერიოზულად არა უფიქრია რა, მაგრამ განა რომელიმე თქვენთაგანი ჩემს ადგილზე შეძლებდით ამის გამოცნობას? — არა მგონია.

ახლაც თვალწინ მიდგას ის თორმეტი წყვილი თვალი, ერთმანეთთან მიკარებული თორმეტი წყვილი წყლის წვეთივით რომ შეერთდა, გაიზარდა და რამდენიმე დღის შემდეგ მხოლოდ ერთ წყვილ დიდრონსა და ცისფერ თვალებსდა გხედავდი...

ყველა კარგ გუნებაზე იყო, ყველა იღიმებოდა, მაგრამ მეხუთე თუ მეექვსე დღეს მე ყველას ღიმილს ვეღარ ვხედავდი. ვამჩნევდი მხოლოდ ერთს — ალუბლისფერ ტუჩებს შუა თეთრად რომ გაიკრიალებდა.

თორმეტივე ფაგონას გათენებიდან ბინდამდე შეეძლო ლაპარაკი, მაგრამ ყურებში მხოლოდ ერთი ხავერდით ნაზი ტემბრის ლულუნიღა მესმოდა.

არქეოლოგები იყვნენ, ჩვენს სოფელში პრაქტიკაზე ჩამოსულები. მე ზაფხულის არდადეგებზე დიდდარჩემთან ვისვენებდი. ჩამოსვლის დღესვე გა-

ვიცანი. მხიარულები იყვნენ, ივლისის პაპანაქებით დასიცხული სოფელში მოწყენილი იყო. აქა-იქა თუ გადასერავდა ორღობეს რომელიმე ხატური, ისიც მაშინვე სხვენში აიჭრებოდა, რომ გაგანია სიცხისაგან თავი გადაერჩინა... სოფლის ყველაზე ავი ძაღლებიც კი ერიდებოდნენ ეზოში შემოსული ან გვერდით ჩავლილი მგზავრის დანახვას, წითელ ენებგადმოყრილი თვალების ხამხამით გვერდზე გაიხედავდნენ ხოლმე. მხოლოდ მგზავრის ჩავლის შემდეგ შეხედავდნენ აივანს და მაშინ თუ დაიყუდდნენ, როცა აივანზე გამოსულ დიასახლისს მოჰკრავდნენ თვალს. ისიც უფრო თავიანთი ერთგულების დასამტკიცებლად და არა ჩავლილი მგზავრის დასაფრთხობად.

ასეთ მოწყენილობაში უკეთეს საზოგადოებას დროის გასატარებლად ვერც კი ვინატრებდი. იმათი ხელმძღვანელის თხოვნით გათხრების საწარმოებლად ათიოდე მაგარი, ჩვენი სოფელი ბიჭი მივიყვანე.

ის ყველაზე ლამაზი იყო, თუ მე მეჩვენებოდა ასე, ამას ახლაც ვერ ვიტყვი, მაგრამ სხვა ქალიშვილებზე თამამი კი ჩანდა. დიდრონი ცისფერი თვალების თამამ შემოხედვას ვერ ვუძლებდი და გვერდზე ვიხედებოდი. კოხტად შეკერილ თხელ სპორტულ შარვალსა და თხელ, ნაქსოვ ბლუზას ატარებდა. თავზე გაქათქათებული განიერ ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ერთთავად კისკისებდა და ბროლივით თეთრსა და კოხტად ჩაიწყვიწყებულ კბილებს აკრიალებდა. თავის ამხანაგებში მხოლოდ მან იცოდა კარგი ცურვა.

გათხრების შემდეგ საბანაოდ დავდიოდით ხოლმე მე და ის. ტირიფებწამოხურულ ყველაზე ღრმა მორევში შევიდოდა და ბინდამდე ნაპირზე აღარ გამოდიოდა. პირველად რომ ვაჩვენე საბანაო ადგილი, მაშინათვე ჩაყვინთა შიგ შუაგულ მორევში. მე გაბარდლულ ტირიფზე ვიჯექე. დიდხანს რომ აღარ ამოყვინთა, ვიფიქრე წყალი ყლაპა და იხრჩობა-მეთქი. ვიშვირე ფეხი და ტანისამოსიანდვე გადავხტი ხიდიდან მორევში. ვადახტომისას ტოტს გამოვდე ფეხი, ამოვტრიალდი და მთელი სიგრძით ტყლაშანი მოვადინე მორევზე. ისე უხეიროდ დავეზღერთე წყალს, რომ გულშუცელი შემენჯღრა და კინაღამ გონებაც არ დავკარგე. ამასობაში იმას უკვე ამოეყვინთა და სიცილით იგულდებოდა...

ერთ საღამოს შუაზე გავიყავით და გადაძლეობანაში შევეჯიბრეთ. მოწინააღმდეგე მხარეზე ორი მამაკაცი იყო — მათი ხელმძღვანელი და ექსპედიციის შოფერი. ჩვენ ერთით ნაკლები ვიყავით, მაგრამ ათჯერ მეტიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც ცოცხალი თავით ხაზს იქით ვერ ვადამითრევდნენ. წელზე მოჭიდებული მისი მკლავები ძაღლონეს მიათკეცებდა, ზურგზე მის ვახტურებულ სუნთქვასა ვგრძნობდი. აღარ მახსოვს რამდენჯერ ვადმოვითრით მოწინააღმდეგე ხაზს აქეთ. თინა ალტაცებული შემომყურებდა. სიბნელეში მისი თვალების ფერს ველარ ვარჩევდი, მაგრამ თეთრ კბილებს ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ მიღიმოდა...

ერთ საღამოს გადაძლეობანა, ზურგზე თინას ვახტურებული სუნთქვა, წელზე მისი მკლავები. მეორე საღამოს ტირიფების ძირას მორევში ბანაობა. მესამე საღამოს ჩვენი სოფლის ეკლესიაში შესვლა „ფრესკების დასათვალიერებლად“, კიდევ ბანაობა, კიდევ გადაძლეობანა. ექსკურსიაზე წასვლა მანქანით და თინას ვეგრდით ჩემთვის გოგონების მიერ განგებ შენახული თავისუფალი ადგილი. მანქანის ხტუნვა და რწვევა კოლობხებზე, შემთხვევით მოკარებული მისი გაშლილი, წაბლისფერი თმები. თეთრი კბილების კრიალი, ცისფერი თვალების თამამი შემოხედვა და მეტი არც იყო საჭირო...

ყველაფერი გასაოცრად კეთილი, კარგი და ლამაზი მეჩვენებოდა. ამ სამი

კვირის განმავლობაში მიწას ვეღარ ვგრძნობდი ფეხქვეშ და მეგონა, გაპრეტულად ბამბაზე ვარ-მეთქი...

დადგა ექსპედიციის გამგზავრების დღე. ყველა თავთავის ბარგს ალაგებდა და ლოგინებს ჰკრავდა. მე ხან ერთს ვეშველებოდი, ხანაც მეორეს. უფრო კი თინასთან ვტრიალებდი. ისიც მიცინოდა და მიცინოდა. მაგრამ მე უკვე აღარ მეცინებოდა, თუ შევეცდებოდი გაღიმებას, რაღაც უცნაურად ვიღმიჭებოდი.

ბარგის შეკვრის შემდეგ ტურბაზის ეზოში გამოვედი. ხელმძღვანელი საბჭოს თავმჯდომარესთან წავიდა თავის საქმეზე. დანარჩენები აკაციების ხეივანებში მიმოიფანტნენ. მე და თინა ეზოს ერთ კუთხეში აკაციის ძირას დადგმულ სკამზე ჩამოვსხედით. მე ხელში აკაციის ყლორტები მეჭირა, ფოთლებს ვაწყვეტდი სათითაოდ და თან ოდნავგასაგონი ხმით ვჩურჩულებდი: „ვუყვარვარ, თუ არ ვუყვარვარ, მაკოცებს თუ მომაფურთხებს...“ ბოლო ფოთოლი დაქინებით „უყვარხარს“ მეუბნებოდა. მაშინ ვერ მივმხვდარიყავი, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ აკაციის ფოთლების სიმეტრიული განლაგების შედეგი იყო.

შემდეგ ფოთლების წყვეტასა და მარჩიელობას თავი დავანებე და ნელ-ნელა თინასკენ გავაპარე თვალი. ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მე შემომყურებდა და ისევ ისე მიღიმოდა.

— პრაქტიკის შემდეგ სად იქნები, თბილისში თუ?.. — შევეკითხე მე და თან აკაციის ღეროს ღეშვა ვიწყე.

— ბორჯომში, დედასთან ერთად, დასასვენებლად.

— წერილი რომ მოგწერო, მიპასუხებ?

— რა ვიცი, ვნახოთ, თუ მეცლება...

— გეცლება, როგორ არა, აბა დასვენებისას ისეთი რა საქმე უნდა გქონდეს, რომ ორიოდე ხაზი ვერ მომწერო?..

კიდევ უნდა მეთქვა რაღაც, მაგრამ მანქანის საყვირმა ისე შემაკრთო, თითქოს ყურში ვიღაცამ დიდი ხმით ჩამყვირაო. ფეხათრევით მივუახლოვდი მანქანას. ყველანი ჩამსხდარიყვნენ და მხოლოდ თინასღა ელოდებოდნენ. სათითაოდ გამოვემშვიდობე ყველას. მანქანა დაიძრა...

სახლში გვიანობამდე არ მივსულვარ. პირდაპირ ფრონეზე ჩავედი, ნაცნობი ტირიფის ძირას ჩამოვჯექი და ფიქრებს მივეცი თავი.

კარგად აღარ მახსოვს ბორჯომში გასაგზავნი წერილი იმ ღამესვე დავწერე, თუ მეორე დღეს, ის კი მახსოვს, რომ პასუხმა სამ კვირაზე მეტ ხანს დაიგვიანა. ბოლოს, როგორც იქნა, ბედმა გამიღიმა, თუკი ამას გაღიმება ერქვა, კონვერტში ღებების ბლანკზე რამდენიმე სტრიქონი ეწერა ფანქრით.

მე მაინც გული არ გავიტეხე. იქვე ფოსტაშივე ერთი უშველებელი წერილი დავწერე და ვავგზავნე, მაგრამ ისე დავამთავრე არღადეგები, პასუხი აღარ მიმიღია. ერთადერთ იმედად თბილისიღა მრჩებოდა. მაგრამ...

ეპ, ვინ მოსთვლის, რამდენი ლექცია არ გავაცდინე მასთან მხოლოდ ერთი შეხვედრის გულისთვის. მხოლოდ ჩვენი ორკესტრის რეპეტიციებზე-ღა დავდიოდი, ისიც იმიტომ, რომ პირველ საყვირზე დამკვრელი ჩემს მეტი არავინ იყო, თორემ ვინმე რომ გამომჩენოდა შემცვლელი, ალბათ ორკესტრში სიარულსაც თავს გავანებებდი...

ის კი, თუ შემხვდებოდა, ისევ ისე გამიღიმებდა ხოლმე თავისი კრიალა კბილებით, დიდრონი ცისფერი თვალებით ისევ ისე თამამად შემომხედავდა, ორიოდ წუთს დამელაპარაკებოდა და მერე კი რაღაც საბაბით გამეცლებოდა. ვგრძნობდი, რომ გამიბრბოდა.

ჩემი ერთადერთი მანუგეშებელი მხოლოდ ტელეფონი იყო. იქ მე იმის თვა-

ლებს აღარ ვუყურებდი და ამიტომ მეტ სითამამესაც ვიჩენდი. ბევრჯერ ჩურჩულეობა ტელეფონის ყურმილზე ტუჩებშიდებულს „მიყვარხარ-მეტი“, მაგრამ პასუხის ნაცვლად მხიარული კისკისი გამიგონია. ეჰ, ვანა ძნელი იყო მისთვის უარი ეთქვა და ერთხელ და სამუდამოდ მომესვენა? რამდენჯერ მიმიტანია რის ვაივაგლახით ნაშოვნი ბილეთები, თანაც ერთი ხომ არა (ერთს ინსტიტუტში ულაპარაკოდ მაძლევდნენ) — ორი, სამი. მიფიქრია, შეიძლება უფრო წამოვიდეს-მეტი. მივიდოდი თეატრში, შევხედავდი დაკავებულ სკამებს და სიბრაზისაგან ვიღრჩობოდი. ვინ აღარ მინახავს იმ ადგილებზე — მათი მეზოვიდან დაწყებული სოფლიდან შემთხვევით ჩამოსული მათი რომელიმე შორეული ნათესავით გათავებული.

ერთხელ, რომელიღაც ცნობილი ბალერინას გასტროლებისას, ერთ-ერთ სპექტაკლზე ჩემს გვერდით სკამებზე მოხუცებული კაცი და ქალი მოვიდნენ.

— რაღა დროს თქვენი ბალეტზე სიარულია, პაპაჩემო-მეტი, — ავღებულად შევეკითხე მოხუცს.

— რა ვიცი, ქვე შენი ჭირიმე, ეშმაკმა რომ წაიღოს ჩემი შეილისშვილის თავი. ორ საათს უკან გვახელით ონიდან, შენ ხარ ჩემი ბატონი. ქვე გვიხაროდა შინ ყოფნა, მაგრამ არ მოგვეშვა. ბილეთები მოგვაჩეჩა. აქამდე მოგვიყვანა და თითონ ქვე წავიდა.

ეს იყო და ეს. ამ დღის შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტე იმის მხარეს აღარ გამეხედა და ჩემს შერყეულ ავტორიტეტზე მეზრუნა.

თანდათან ნებისყოფის მოკრეფა ვიწყე, ლექციებზე სიარულსაც მოვუხშირე და ზამთრის სესიებზეც, როგორც იქნა, შეურცხვენლად გავედი.

არდადეგებზე ჩვენი საესტრადო ორკესტრი მოსკოვში მიემგზავრებოდა. მზად გვქონდა ახალი პროგრამა. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი დედაქალაქის ახალგაზრდობისათვის კონცერტი უნდა გავგეშართა. კონცერტის წინა დღეს რეპეტიციიდან რომ დაებრუნდი, დედაჩემმა წერილი მომცა. დავხედე მისამართს და გულმა ბავბებუგი დამიწყო. წერილი თინას გამოეგზავნა. ძალიანა მთხოვდა, რომ ორი ბილეთი მეშოვნა კონცერტისათვის. ერთხანს ისევე ძველებურად ამიფორიაქდა გული, ცოტაც და სიხარულისაგან დავიყვირებდი, მაგრამ ნელ-ნელა დავმშვიდდი, პალტო ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. ათსგვარი აზრი დამიტრიალდა თავში. ხან ინსტიტუტში მისვლა დავაპირე, ხანაც ჩვენი ინსტიტუტის პროფკომის თავმჯდომარესთან შინ მისვლა, ხან კიდევ რა, და მე თვითონაც ვამიკვირდა, როცა თოჯინების თეატრის სალაროსთან მოვხვდი. ჩემს წინ ვილაც ბავშვიანმა ქალმა აიღო ბილეთები. „რამდენი ვნებავთ“ — შემეკითხა მოლარე ქალი, მე ჯერ ენა დამება, მაგრამ მაინც მოვახერხე და ვუთხარი:

— ორი ბილეთი, ქალბატონო, ხვალის სპექტაკლზე. თუ შეიძლება ბოლო რიგი მომეცით, თორემ ბავშვები ძალიან დიდები არიან და წინ რომ დავსვა, სხვებს ხელს შეუშლიან.

გამოვართვი ორი ბილეთი, ვიყიდე კონვერტი, ჩავაწყე შიგ და ნაცნობი სახლის ნაცნობ კარზე მიკრულ შავ საფოსტო ყუთში ჩავუშვი. თუ ვინ მივიდა დაკავებულ ადგილებზე, ამის შესამოწმებლად აღარც მეცალა და არც სურვილი მქონდა. ზუსტად საღამოს 8 საათზე ხალხით გაჭედილ დარბაზში ჩვენი კონცერტი დაიწყო.

ყოველივე ამის შემდეგ ორმა წელმა განვლო. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი იმას. ვილაც მელოტ, სათვალეებიან ახალგაზრდა კაცს მიპყვებოდა. მამაკაცი რაღაცას უხსნიდა ხელების ქნევით. ის კი შეპყურებდა მას და, დახე

— მე თოფი.

ერთხანს უყურეს ერთმანეთს, მერე გაიცინეს; კბილები ორივესა ჰქონდა.

მერე კბიებზე იწყეს ფრთხილად ჩასვლა; საფეხურიდან საფეხურამდე თავისუფლად ვერ უწვდენდნენ ფეხს და ორივენი იმ მხარეს იხრებოდნენ, რომელ ნაბიჯსაც აღვამდნენ.

ეზოში ვასვლა მხოლოდ სარდაფის დერეფნიდან შეიძლებოდა. დერეფნის წინ შეჩერდნენ. ბნელოდა, ძალიან ბნელოდა, სინათლე გამორთული იყო. ქვანახშირის ნაწივის გროვები იდგა დერეფნის ორივე მხარეს. ქვანახშირი კარგად არ იყო დამწვარი და ანტრაციტის დაუწვავი ნატეხები კატის თვალებივით ელავდა სუსტ სინათლეზე. ერთმანეთს შეხედეს.

— მგელს ლომი ერევა, — თქვა ერთმა გვიმი.

— ჯულბარსიც ერევა მგელს, — თქვა მეორემ. ორივენი გაჩუმდნენ.

მერე რაღაც მოუნდათ, აქეთ-იქით მიბრუნდნენ და მიწის იატაკი დაასველეს.

— ჯულბარსს ლეკვები ჰყავს.

— მეც ვიცი, სამი ჰყავს.

— სამი კი არა შეიძი.

მაგრამ არც ერთმა იცოდა, არც მეორემ, რომ ჯულბარსს, ამ ეზოში შემოხიზნულ მაწანწალა ძუქნას, მხოლოდ ორი ლეკვი ჰყავდა.

შიშმა იმატა. ორივე გვიმი ერთმანეთს ჩაჰკიდა ხელი და ფეხაკრეფით გასწია წინ. მაგრამ უჭერდნენ ხელებს ერთმანეთს.

— მე შენ თოფს გაჩუქებ.

— მეც გაჩუქებ.

— რევოლვერსაც გაჩუქებ.

— მე შენ თვითმფრინავს გაჩუქებ.

ჩუბჩუბით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, თან ხელებს უფრო მაგრად უჭერდნენ. გულებს დავა-დუვი გაჰქონდა. ქვანახშირის ნაწივი შრილობდა ფეხქვეშ. მხარდამხარ აკრულები მიდიოდნენ. ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. ჩაკიდული ხელები ოფლმა დაასველა.

შიში მატულობდა.

— მე შენ თოფს გაჩუქებ.

— მე რევოლვერს გაჩუქებ.

— მე ტანკსაც გაჩუქებ.

ბევრ რამეს აჩუქებდნენ ერთმანეთს, ოღონდაც... და, აი სარდაფში სინათლე ჩამოიდგარა. სარდაფი განათდა, სახეები გაუნათდათ. ერთმანეთს ხელი გაუშვეს, ოფლიანი ხელისგულები მოკლე შარვლებზე გაიწმინდეს და ეზოში აბობლდნენ.

მეოთხე სართულის ფანჯრებში გადმოკიდულ პაპებს გულზე მოეშვათ, თითო შესაფუცხუნებელი სიტყვა ჩაიჩიფჩიფეს და ისევ დასხდნენ თავთავიანთ სკამებზე.

ეზოში ივნისი დაბორიალებდა. თბილოდა. მიწას ჯერ კიდევ შერჩენოდა ღამის სიგრილე. კუს ტბის მხრიდან მწყერი „ქვით-კირო, ქვით-კიროს“ იძახდა. ღიად დაგდებულ ალაყაფის კართან მაწანწალა ძუქნა იწვა. სამი-ოთხი თვის უკვე მოზრდილი ლეკვები ამოდ ცდილობდნენ ზღმარტლისფერ, რძეგამშრალ ძუძუებთან ახლოს მისვლას. ძუქნას აღარ სიამოვნებდა მათი თავი; ხან ერთ ლეკვს ვაჰკრავდა კბილებდაკრეჭილ ყბას ღრენით, ხანაც მეორეს. ლეკვები მაინც არ ეშვებოდნენ. ეზოში გამოსული ბიჭები რომ შენისშენს, დედას თავი ანე-



ბეს, ბიჭებს შეახტნენ და ნიკაპები აულოკეს. მერე ერთმა გვიმ პურის ამოათრია ჯიბიდან. მეორემაც მოიჭეკა ჯიბეები, შაქრის ნატეხი ამოიღო. ლეკვებმა შაქარი და პური მიირთვეს, მერე ხელისგულეები აულოკეს ბიჭებს. ლეკვების ხაოიანი ენები პატარა ხელისგულეებს უღიტივნებდა, ბავშვები ხითხითებდნენ.

მერე ქვიშაში ჩხირები ჩაარტეს.

— მე წითელი ვარ, შენ მტრები, — უთხრა ერთმა გვიმ მეორეს.

— არა, მე ვარ წითელი, შენ მტრები.

— შენ კვასხაძე ხარ, — ისევ გაიმეორა ორი დღის ყურმოკრული გვარი ერთმა გვიმ.

— შენა ხარ კვასხაძე, — უთხრა მეორე გვიმ.

კარგახანს უყურეს ერთმანეთს. ლეკვები ეცნენ ჩაცუქულებს და ქვიშაში გადააკოტრიალეს. მერე ორივენი შეთანხმდნენ, ჩხირების ღობის იქით თეთრი კენჭები ჩაამწკრივეს: „ესენი არიან თეთრებიო“...

და გახურდა ომობანასა თუ მესაზღვრობანას თამაში. ლეკვები ხშირად არღვევდნენ საზღვარს და აფუჭებდნენ ჩხირების ღობეს...

ჩამოცხა...

გვერდით ეზოებში ძაღლებმა წკავწკავი და ყეფა ატეხეს. ძუქნამ სადღაც მოუსვა...

ბავშვები ისევ თამაშობდნენ. ლეკვებს დასცხათ, თამაში მოსწყინდათ. ქვიშა გაქექეს, ვარდისფერი მუცლები დააწყეს სველ ქვიშაზე, პატარა ფილტვებით ენები გადმოკიდეს და ქაქანი იწყეს. ბიჭებმაც გათხარეს ქვიშა და ლეკვებს გვერდით მოუწვნენ.

— მანდ ჩამოვალ, მანდა! — იმუქრებოდა ერთი გვიმს პაპა.

— მანდ ჩამოვალ, მანდა! — იმუქრებოდა მეორეც. ბიჭებმა იცოდნენ თავიანთი პაპების მუხლების ამბავი და არხეინად განაგრძობდნენ წოლას.

ეზოსთან საბარგო მანქანა გაჩერდა. მანქანის ძარაზე დიდი გალია იდგა. გალიიდან ძაღლების სველი ცხვირები მოჩანდა...

ეზოში დიდი პეპლების საჭერი გამოჩნდა.

— კიდე გამეცა განა ის ძუქნა, ისა! — დაიძახა პეპლების საჭერიანმა კაცმა და მოჭუტული თვალებით ეზო მოათვალიერა. ბავშვები ერთმანეთს აპკროდნენ.

ტანისამოსზე აკრული სველი ქვიშა რღვევა-რღვევით ჩამოდიოდა. მეოთხე სართულიდან ორივე გვიმს პაპანი ჯოხებს უღერებდნენ ეზოში შემოსულს და რაღაცას ჩიფიფებდნენ, მაგრამ გალიაში ჩაყრილი ძაღლების წკავწკავსა და პატარა გულეების ბავი-ბუფში არაფერი ისმოდა.

პეპლების საჭერიანმა კაცმა ერთხელ კიდე გადააქნ-გადმოაქნია თავი, მერე უგუხებოდ მოუსვა დიდი პეპლების საჭერი, ორივე ლეკვი კაკლებივით შეაგორა ბაღეში, მხარზე გადაიღო და თავის ნაწყენი ქნევით მანქანისაკენ გასწია...

უფრო მაგრად დაცხა...

გადამდნარი მზე წვეთ-წვეთად იღვენთებოდა დედამიწაზე...

„ქვით-კირო, ქვით-კირო“, — იძახდა მწყერი კუს ტბის მხრიდან...

წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდათ ოფლი ბიჭებს...

ისევ ბრწყინავდა დაუწვავი ნახშირები სარდაფის დერეფნის ორივე მხარეს. მაგრამ ისინი კატის თვალეებს აღარა ჰგავდნენ...

კიბეებზე ერთმა გვიმ ლულულულით უთხრა მეორეს:

— ნუ გეშინია, კიდე გამოჩიკავს ჯულბასი.

— გამოჩიკავს რა, მამალი ხო არ არის, — ლულულღითვე უთხრა მეტი გვიმ.


მეტი აღარაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. აღარც თოფი უხსენებიათ, აღარც რევოლვერი, აღარც ტანკი...

ზარს ვერა წვდებოდნენ და ბრავუნით აგებიანდნენ ხოლმე თავიანთ მოსვლას ორივენი...

ერთი გვიმ ერთ კარს მიადგა, მეორე — მეორეს. ჯერ თითო მუშტით ურახუნებდნენ, მერე მეორეც მიამველეს, მერე ფეხიც... მერე ორივენი ერთბაშად აღრიალდნენ.

ოფლიც მოსდიოდათ, ცრემლებიც მოსდიოდათ. დიდი კარები ზანზარებდა პატარა მუშტებისაგან, პატარა ფეხებისაგან, პატარა გულებისაგან...

კარებს იქით კი აცახცახებული პაპები აცახცახებული ხელებით კარის გაღებასა ცდილობდნენ...



გივი გვგეჭკორი

ჩვეულებრივ დღეთა მელოდიაში

შელამებისას

7767

დიდი ქალაქის პატარა ბავშვებს,
რომლებიც შემდეგ იზრდებიან
და იცინიან
და ბავშვები აღარ არიან...
მზე უხარიათ,
როცა იგე ნელა ჩამოდის
ჩამომტვრეულ ქვის კიბეებზე
და მდინარეში იძირება შელამებისას...
უყვართ ქუჩები,
სადაც უწინ ცარციით დახაზულ
ქვაფენილებზე ქვებს აცურებდნენ
და ახლა ვნებებს ეძლევიან ადამიანურს...
ცა უხარიათ,
სიზმრებიდან რომ იყურება,
ქუჩების მტვერი,
შადრევენები,
ქვების სიმღერა
და ეკლესიის დაღლილი ძვლები...
მზე უხარიათ ჩამავალი და აცილებენ,
ქვის მოაჯირებს ეყრდნობიან შელამებისას,
იმზირებიან მდინარეში...
და უხარიათ...
დიდი ქალაქის პატარა ბავშვებს,
რომლებიც შემდეგ იზრდებიან
და იცინიან
და ბავშვები აღარ არიან...

1958



არაფერია... არაფერია...
ეს გაზაფხულის ქუჩილი იყო!..
პატარას ძუძუ მოაწოვე, დედაო, ისევ
და შენს კალთაში დიდხანს, დიდხანს არწიე მერე,

სანამ თითები და მუხლები დაგიბუყდება!
 ისევ იძინე მშვიდად, პატარავ...
 გრძელი ზღაპრების და სიზმრების ნისლიან ბილიკს
 თამამად გაჰყევ, სანამ ზღაპრებში
 კაცთა ცხოვრების ყრიაშული შემოიჭრება!..
 და შენც, ძვირფასო,
 დაიშალე თმა წაბლისფერი,
 კვლავ უღარდელად, უღარდელად გადიკისკისე
 და დასველე მამაკაცის ძლიერი მკერდი
 წეტარების ჩუმი ცრემლებით...
 ნიავე ისევ გააღვიძებს მთვლემარე ხეებს
 და დაირწვევა ტოტი, ჩერო, აკვანი, ნავი...
 მსურვალე ქვიშას დააჩნდება პატარა ტერფი...
 იყიყინებენ ბაყაყები შეღამებისას
 და დაიძინებს ნაპირებთან დაღლილი ზვირთი...
 არაფერია... არაფერია...
 ეს გაზაფხულის ქუხილი იყო!

1958

*
* *

ისე ახლოა დღის დასასრული
 და სულ მაღალი,
 სულ მაღალი ხეების თრთოლვა...
 ისე ახლოა დღის დასასრული
 და სულ მაღალი,
 სულ მაღალი ტაძრის გუმბათი...
 ისე ახლოა დღის დასასრული
 და სულ მაღალი,
 სულ მაღალი ცის კიბეები...
 ისე ახლოა დღის დასასრული,
 მზეზე გამთბარი ლოდების სითბო...
 ისე ახლოა თეთრი თითები,
 რომ ჩემს ხელეებში ცახცახებენ თეთრი თითები,
 ისე ახლოა თეთრი თითები,
 რომ ბაგეებთან აკანკალებულ
 ხელებით მიმაქვს თეთრი თითები...
 და ჩემში უფრო ძლიერ გადმოდის
 მზეზე გამთბარი ლოდების სითბო...

1958

*
* *

დიდი ქალაქის გარეუბანში,
 საავადმყოფოს ფანჯრებიდან მზიანი დილით

მე შევეყურებდი დაქანცულ მოხუცს,
 რომელიც დიდხანს ისვენებდა ქვის კიბეებზე...
 მზიანი დილით
 იგი ფშენიდა პურის ნამტვრევებს
 და აპურებდა ნაცრისფერ ჩიტებს,
 და მერე დიდხანს ისვენებდა ქვის კიბეებზე...
 მზიანი დილით
 იცინოდა პატარა ბავშვი
 და მოხუცებულს ეძახდა დედას,
 მისდევდა ჩიტებს
 და ჩარბოდა ქვის კიბეებზე...
 დიდი ქალაქის გარეუბანში,
 საავადმყოფოს ფანჯრებიდან მზიანი დილით
 მე შევეყურებდი დაქანცულ მოხუცს,
 რომელიც ჩუმად იწმენდდა ცრემლებს
 და მერე ფრთხილად ჩადიოდა ქვის კიბეებზე...
 1958



ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ჩემი,
 მაგრამ ხელს მიქნევს მატარებლიდან
 და მიდის სადღაც...
 ის მიდის სადღაც და თან მიჰყვება
 სხვა უფრო ნაზი მელოდია შორეულ გზების,
 გზების ირიბის და პირდაპირის,
 სადაც ერთმანეთს უერთდებიან
 და შორდებიან ლიანდაგები...
 ის მიდის სადღაც და მიქნევს ხელებს,
 და თან მიჰყვება სიბრალოლი წაქცეულ ზაქის
 და რომანტიკა კრამიტთან სახურავების...
 ნაკადულების არპეჯიო...
 თეთრი ტყემალი...
 მოხუცი მწყემსი,
 დიდი ძალი და ერკემალი...
 მებისის ზურგი...
 ჭილის ქუდის ფართო ფარფლები
 და სულ პატარა სასაფლაო ალვების მიღმა...
 ის მიდის სადღაც და მიქნევს ხელებს,
 მე მიხარია, რომ მიქნევს ხელებს,
 და მენანება, რომ მიქნევს ხელებს,
 ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ჩემი...

მოხუცი მშვიდი და უცნაური

მოხუცი მშვიდი და უცნაური
თავის სიმორცხვით
და უბიწო ბავშვის თვალებით
თითქოს ეძებდა თანაგრძობას და მხარდაჭერას
და იყო ბავშვი, მოხუცი ბავშვი...
მოხუცი მშვიდი და უცნაური
გადატრეცილი იდაყვებით და უმწეობით,
გახსნილი წარბით,
უწესრიგოდ შეკრულ ღილებით
თითქოს ყოველდღე ადასტურებდა,
რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ერთი ნაბიჯი,
ღიაღიდან სასაცილომდე...
მოხუცი მშვიდი და უცნაური
ჩვენ თითქოს ერთხელ დაგვავიწყდა
რომ ბავშვი იყო,
და უნებურად ხელი გავუშვიტ
იგი დაიბნა და დაიკარგა,
გაუჩინარდა ქუჩის ხმაურში...
და ახლა, როცა საღამოვდებამ,
ღიდი ქალაქი უთვალავი ჩირაღდნით ეძებს...

1959

საუკუნეთა ზღუდეებს ვანგრევ,
გავკაფე ტყე და განვვლე ეწერი,
ვეძახი მგზავრი მიმავალ მგზავრებს,
მაგრამ ამაოდ, ვერ დავეწევი...
ხმა გაბზარვით ძველ სამრეკლოებს
და ნახანძრალებს თვალებ ეწვით,
ხელებს მიკაწრავს ფშატის ეკალი
და ნაცრისფერი ბორცვების ძემვი.
მუხლზე ვიჩოქებ და ცეცხლს ვუბერავ
და კოკონს ვანთებ, საღაც ვანთებდი,
და იძენძება მხრებზე ღრუბელი,
როგორც წინაპრის შარავანდედი.
წვიმის ცრემლებით ჩარეცხილ ფრესკებს
უბეს უშრობენ მზის ბადეები,
და როცა ხელებს იწვდიან ჩემსკენ,
ათასჯერ ვკვდები და ვიბადები!..
მზე ტოტზე ჯდება, როგორც გუგული
და ეფარება კუზიან ბექობს
და მხოლოდ საღაც სულში გუგუნებს
კამაროვანი თაღების ეხო...

1959

ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის

ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის
შულამისას დგებიან მხოლოდ
ჩვენი მამების წმინდა ლანდები...
შულამისას დგებიან მხოლოდ,
ხელის ცეცებით მოდიან ჩვენსკენ
და ბნელში კედლებს ეჯახებიან...
ძირს ეცემიან, ფეხზე დგებიან
და უთვალავჯერ კვდებიან მერე
ჩამოქენძილი დროშების ჩრდილში...
რომ შემდეგ ისევ შულამისას
წამოდგნენ მათი წმინდა ლანდები
ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის...

1959





„მეფხია ხალიბაური“

ნახატი ზურაბ წერეთლისა

პაპაი ბელიაშვილი

ვეზნი ხეივანი

რომანი

თალიკო უკან ბრუნდებოდა. სადგურ პოვორინოზე იგი უნდა გადამ-
ჯდარიყო მოსკოვიდან თბილისისაკენ მომავალ მატარებელში და სტალინგრად-
ზე გავლით ჩასულიყო ტიხორეცკაიაში, ხოლო იქიდან ბაქოზე მოვლით თბი-
ლისში. სვერდლოვსკამდე საერთო ვაგონით მოუხდა მგზავრობა და დახუთულ
ვაგონში სულს ძლივს ითქვამდა. აქ, ამ ქალაქში კი შემთხვევით იშოვნა პლაც-
კარტი და როგორც იქნა წესიერად მოეწყო. ასეთ შორ გზაზე, მარტოღმარტო,
პირველად მოგზაურობდა. სოფელში გადასახლების შემდეგ, იშვიათად მოშორე-
ბია თავის პატარა დაბას, და, დედა რომ გახდა, ისე გადაეჩვია გარეთ გამოსვ-
ლას, თბილისშიაც კი ვედარ ბედავდა გამგზავრებას, მაგრამ ახლა, თვენახევარს
მატარებლით მგზავრობამ ისე გამოაწრთო და გაათამამა, არც კი უგრძენია,
რომ მარტო იყო.

ოცი საათი ელოდა პოვორინოსკენ მიმავალ მატარებელს. ქალაქშიაც კი არ
გასულა და ამ ხნის განმავლობაში წეკოს სუნით აქოთებულ დარბაზში მერხზე
ჩამომჯდარი იცდიდა. მატარებელი რომ ჩამოდგა, სინარულით მიაშურა თავის
ვაგონს, ეგონა აქ მაინც მოვითქვამ სულს და თავისუფლად ვიმგზავრებო, მაგ-
რამ მოტყუვდა. ვაგონში შესვლისთანავე სახეში ისეთი ბული ეცა, სუნთქვა შეეკ-
რა. თაროებზე და სკამლოგინებზე უმთავრესად სამხედროები მოჩანდნენ. ზოგი
იწვა, ფეხსაცმელი გაეხადა და გადმოეშვირა არც თუ მაინცდამაინც სუფთა ფე-
ხები. აქა-იქ ეწეოდნენ საოცრად მყრალ წეკოს, სველ პაერს არა თუ ფანჯრები,
კედლები და თაროებიც კი დაეორთქლა, დაენესტიანებია.

ერთ კუბეში სამი სამხედრო და ერთი ხანში შესული წვერიანი მამაკაცი
მუხლებზე დადგმულ ჩემოდანზე თამაშობდნენ ოცდაერთს და გარშემო ბლუჯად
დაეყარათ დაქმუნული ფულები.

თალიკომ როგორც იქნა მოძებნა თავისი ადგილი, იგი იღბლად ქვედა თა-
როზე აღმოჩნდა. ზევით სამხედროები იწვნენ. ბარგის შესაწყობი თაროებიც
მგზავრებს ეჭირათ. გრძელწვერა მოხუც კოლმეურნეს და მის ხანში შესულ მე-
უღლესს, თავქვეშ კომბოსტოთი დატენილი, წარმოუდგენლად დიდი ტომრები ეწ-
ყოთ. თალიკომ მიმოიხედა, შემდეგ გაშალა თავისი სამგზავრო შალის საბანო,
თავქვეშ დაიდო ტილოს ხალთა და მოემზადა დასაძინებლად. მის პირდაპირ ვი-



ლაც თმაშევერცხლილი გამხდარი ქალი იჯდა და მადიანად აბოლებდა ხელფურცელს.
გახვეულ პაპიროსს.

— თქვენ რა, დასაძინებლად ემზადებით? — ჰკითხა ქალმა თალიკოს.

— დიახ.

• — იცით, მოდით, რიგრიგობით დავიძინოთ, თორემ...

— ნუ თუ? — მიხვდა თალიკო, რასაც გულისხმობდა ქალი, როდესაც მან თვალით ბარგზე ანიშნა.

— რასაკვირველია, თქვენ შორს მიემგზავრებით?

— შორს. თბილისში...

— თბილისში... — რაღაც გაჭიანურებით თქვა ქალმა, უკანასკნელი ნათაზი ფუსფუსით დაარტყა და მოულოდნელად ქართულად ჰკითხა: — ქართველი ხართ?

— ქართველი ვარ. — აღტაცებით აუფოფინდა თვალეზი თალიკოს და უცნობს დააკვირდა — თქვენ? თქვენც...

— დიახ, მეც. — ღიმილით უთხრა ქალმა და ჩოტებივით კბილები გამოჩინა. — აქცენტით გიცანით.

— საიდან მოდიხართ, აქ რა გინდოდათ?

— ოპ. ეს გრძელი ამბავია. გზაში ბევრი დრო გვექნება და ვიამბობთ. თქვენ როგორ მოხვდით ამ მხარეს?

— მივლინებაში ვიყავი, ეშელონს ვახლდი... არა, თქვენ გგონიათ დაპირილ ჯარისკაცებს? არა, შეგირდები წამოვიყვანეთ. საქართველოში მეტალურგიული ქარხანა შენდება...

— რას მეუბნებით, სად? — ისე იკითხა უცნობმა ქალმა, ხმაზე ეტყობოდა, სულაც არ აინტერესებდა ეს ამბავი.

— თბილისთან ახლოს, რუსთავეში. უკაცრავად, თქვენ რა გქვიათ?

— ირინე, გვარად ერისთავი...

— ქმრის გვარია?

— არა, საკუთარი.

— გურიიდან ხართ?

— არა.

— რაჭიდან?

— არა. ჩვენი გვარი არაგვის ერისთავების მოდგმას ეკუთვნის.

— ოპ, რა კარგია, რომ შეგხვდით, — ორივე ხელში მოიგდო თალიკომ მოსაუბრის ძვალტყავა ხელები და სიხარულის ნიშნად შეანჯღრია. — ასე მგონია ჩემიანი, ვინმე შინაური შემხვედროდეს.

ირინემ გაუღიმა.

სწრაფად დამეგობრდნენ. თითქო რაღაც საერთო იყო ამ ორ ქალს შორის. თალიკო გულდასმით ათვალევრებდა ირინეს და გუნებაში დაასკვნა, რომ იგი, ალბათ, თავის დროზე ულამაზესი არსება უნდა ყოფილიყო. ახლა კი დროსა და ალბათ გაჭირვებას ღრმა კვალი დაეჩნია. სახის კანი თითქო გაჭუჭყიანებოდა და საფეთქლებზე ნაოჭებს გადაერბინათ.

— რა ლამაზი ხართ! — უთხრა თალიკომ. კინაღამ წამოცდა ყოფილხართო.

— ეეჰ, — ნაღვლიანად გაიღიმა ირინემ. — ლამაზი მართლა ვიყავი ერთ დროს და... ამან დამლუბა. ახლა რაღა ვარ, პაროდია ჩემი საკუთარი თავისა; გამხმარი, მონადირული ძეხვი, მეტი არაფერი.

— რად დაგლუბათ? — ქალური ცნობისმოყვარეობით ჰკითხა თალიკომ. იფიქრა, იქნებ ეს ქალიც სწორედ ჩემსავით სულელურად გათხოვდო.



— რად და, პირველი კურსიდან მივატოვე უმაღლესი სასწავლებელი...
 ოლოგიურზე ვსწავლობდი, გავყევი ცოლად ნარკომს, რომელიც ისე ეჭვნიშნა
 იყო, რომ არათუ სწავლის უფლება, გარეთაც კი არ მიშვებდა. მერე... — აქ
 ირინეს ეტყობა მეტად მძიმე მოგონებებმა გაუღლევს და სახეზე ჩრდილმა გა-
 დაურბინა. ერთხანს დადუმდა, თითქო მიჰყვა ამ მწარე ფიქრებს, სათუთუნე
 ამოიღო და წეკოს ხვევას შეუდგა. — მერე...

— ხომ არ გეჩხუბებოდათ ქმარი?

— არა, რასა ბრძანებთ. ის ძალიან ვანათლებული და სათნო ადამიანი იყო, მაგრამ ეს სისუსტე ჰქონდა, თუმცა ამ ეჭვიანობაში თვითონ არც კი იყო დამნაშავე. სხვამ გახადა იძულებული...

ირინემ წეკო გაახვია, ქალაღს ენა გაუსვა და ბენზინის ასანთს ძებნა დაუწყო. თალიკომ უნებურად მოაქცია ყურადღება ქალის ხელების ნერვიულ ფათურს.

— თქვენ გათხოვილი ხართ? — ჰკითხა ირინემ თალიკოს. მადიანად გააბოლა და თუთუნის ქისა გაუწოდა. — ხომ არ ეწვეით.

ამ დროს ზემო თაროდან მოისმა ხნიერი ქალის ბუზღუნა:

— რას ეწვეიან ამდენს ამ საზიზღრობას. მამაკაცი რომ იყო, კიდევ ხო, რა ქალის საქმეა წეკოს ფშუკუნი.

— უკაცრავად დიდება, უკაცრავად. — ფუსფუსით თქვა ირინემ, წამოიწია, თალიკოს ხელი მოჰკიდა და უთხრა: — წამო, თამბურში გავიდეთ. თქვენ კი, დეიდა, ჩვენს ნივთებს მიხედეთ.

— იდი, როდენეკაია, იდი, ნე ბოისია. — უთხრა მოხუცმა ქალმა, უკვე მომზალმა იმით, რომ მის უკმაყოფილებას ანგარიში გაუწიეს.

თამბურში არავინ იყო. ორივენი ფანჯარასთან დადგნენ და წეკო გააბოლეს.

— თქვენ გათხოვილი ხართ? — ჰკითხა მეორედ ირინემ.

— გაცილებული.

— შვილები გყავთ?

— ორი. იმათი დარდით ჰკუთხე არა ვარ. მარტო დაეტოვე თბილისში, უცხო ოჯახში და არაფერი არ ვიცი, როგორ არიან. რამდენი გამახსენდება, გულზე სულ ცხლად გადამივლის ხოლმე...

— არა უშავთ რა. თქვენ ოჯახში მაინც დატოვეთ შვილები, მე კი... ცხოვრებამ ისე ამრია, მისმა ბობოქარმა ტალღებმა ისე მამბურთავა...

— ქმარს გასცილდით?

— დაექვრივდი... — მოკლმა ტუჩები ირინემ და დაორთქლილ მინაზე თითო ხატვა დაიწყო. მერე ყველაფერი ნებით წაშალა, თალიკოს შეხედა და თუმცა ახალგაზრდა ქალს არაფერი უკითხავს, მიუხედა ფიქრს და უთხრა, — მეორედ გავთხოვდი, მაგრამ იქაც უბედური გამოვდექი. მეორე ქმარი სამხედრო იყო და იგი ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ, ხან ჩრდილოეთის ქალაქებში ეცხოვრობდით, ხან შუა აზიაში, ხან შორეულ აღმოსავლეთში. უკანასკნელად ირკუტსკში ვიყავით. ეს იყო ომის წინ. ომი დაიწყო და ჩემი ქმარი ფრონტზე გაიწვიეს. იქ სწრაფად დაწინაურდა. ჯერ პოლკოვნიკი გახდა. მერე გენერალი. ვილაც ახალგაზრდა გოგონა შეურთავს, მიმატოვა ირკუტსკში. აბა, იქ მარტო რა გამამლებინებდა. გადავწყვიტე სამშობლოში დავბრუნებულიყავ. და აი, მოვდივარ.

მატარებელი რომელიღაც სადგურში შევიდა. დაორთქლილ მინაში გამოჩნდა მბუქრები ლამპიონები და შემდეგ ერთმანეთს გადაება ტანკებით, ზარბაზნებით და ჯავშნიანი ავტომანქანებით დატვირთული ვაგონები. მათ შორის იყო ჩვეულებრივი „ტებლუშები“, რომელთა შუაგულში იდგა თუნუქის ღუმელი და



ეკილა უქრობი ლამპები, რომელთაც „ფრონავ ლამურას“ უწოდებენ. ერთი მათგანი დაიწვია და მოიხრჩო. — ფრონტზე მიდიან და უხარიათ. — თქვა ამოოხვრით ირინემ და ორთავენი კუბეში დაბრუნდნენ.

როდესაც თალიკო დასაძინებლად მოეწყო და თვალები მილულა, დიდხანს ვერ შეძლო დაძინება. თვალწინ უდგა ამ ახალი ნაცნობი ქალის თავგადასავალი და ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. მას შიშის ზარს გვირგვინი ცხოვრების ეს გიგანტური წისქვილი, რომელიც ასე შეუწელებლად ბრუნავდა, ტრიალებდა და ასე უღმობლად კიდევაც აშენებდა და კიდევაც ლეწდა იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელნიც თავისი საკუთარი ხელით აბრუნებდნენ ამ წისქვილის ქვას.

მატარებლის ბორბლებიც კი გამუდმებით რასრახებდნენ და გაიძახოდნენ: წისქვილი, წისქვილი...

ყოველ სადგურზე ხედავდა თალიკო ამ გიგანტური წისქვილის ბრუნვას. მის თვალწინ ელავდნენ ფრონტზე მიმავალ ეშვლონთა სილუეტები, მალა აშვერილი ზარბაზნის ლულები, გიგანტური ბაყაყებივით თუ ლოკოკინებივით თვალებგამოკუსული ტანკები, ჯავშნიანი ავტომანქანები, ვეშაპივით ამფიბიები. ორთქლმავლებიც კი საოცრად დიდები იყვნენ და თავისი წინ წამოჩხირული, ლიანდაგზე დაბჯენილი რკინის კბილებით, გადმობრიალებული ცეცხლიანი თვალებით, ცხრაფეხსავით ერთმანეთზე მიჯრილი ბორბლებით ზღაპრულ ურჩხულებს ჰგავდნენ. ისინი ერთის ღრიალით, გუგუნით და ორთქლის ბრაზიანი ქშულით დაარბენებდნენ გაუთავებლად გრძელ მატარებლებს, გადაჰკიდებდნენ ერთმანეთს და მიწას ახანზარებდნენ.

მაგრამ ამ სურათზე უფრო შემზარავი იყო ნაომაი ველების დანახვა. სადგურ ბოგორინოდან, რაც უფრო უახლოვდებოდნენ სტალინგრადს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოჩანდა ამ გამანადგურებელი ომის ჩუმი, მაგრამ მრავლის მეტყველი სურათები. დაღწეული და გადაყირავებული ტანკები, დამწვარი ვაგონების ჩონჩხები, ბრონეტანსპორტიორთა გროვები, ბომბებით დახეულ-დაფატრული ცისტერნები, ალაგ-ალაგ პატარა გორაკებად დახეხილი გერმანელ ჯარისკაცთა მუშარადები, მინდვრებში ცხვირით ჩარკობილი მესერშიტიები, აფეთქებული ხიდები, დაქცეული სადგურები და ბოლოს გამოჩნდა დამწვარი და ძირფესვიანად განადგურებული სტალინგრადი.

ზამთრის მზიანი დღე იდგა, როდესაც მატარებელი სტალინგრადს მიუახლოვდა. მგზავრები ფანჯრებს მიაწყდნენ და მღუშარედ შესცქეროდნენ ნანგრევთა ჩონჩხებად ქცეულ ქალაქს, მატარებელიც ნელა მიდიოდა, თითქო ეშიწონოდა მყუდროება დაერღვია. გადამწვარი ქალაქის ნანგრევები, შენობათა თვალდათხრილი კედლები რატომღაც თეთრად ქათქათებდნენ, თითქო ეს ნანგრევები მართლდა ძვლებადქცეული ჩონჩხი ყოფილიყოს ამ ქალაქისა; არცერთი სულიერი ნანგრევთა შორის, არცერთი გადარჩენილი შენობა, არცერთი სახურავი არსად, საითაც უნდა გაგეხედა! მარტო შენობათა თეთრი ძვლების გროვა მოჩანდა, დაცხაეებული კედლები, მლოცველთა მკლავებივით მალა აშვერილი დუმელის მილები, დიდ შენობათა დორიული სვეტები, და ამ ნანგრევთა სიცარიელეში იგრძნობოდა შემზარავი დუმილი, სასაფლაოს დუმილი, თუმცა ყოველივე ეს გაქათქათებული იყო ზამთრის მზის ცივი სხივებით და თვალისმოშორებულად ბზინავდა.

თალიკოს მესხიერებაში უნებურად წამოიჭრა საკუთარი თვალთ ნახული ის გიგანტური ქარხანა, სადაც მან შევირდები მიაცილა, ცოცხალი ქარხანა, მსუნ-

თქავი, მქმინავი უამრავ მილთა ჩიბუხების ბოლით. გონებაში გაიღვწეა უწვედნმა კორპუსებმა მარტენის ღუმელებისა, ბლუმინგისა, საგლინავ-სატყე-
ცისა, სამჭედლოებისა. კვლავ ჩაესმა ყურში ცოცხალი ადამიანებით მომუშა-
ვე გიგანტური ფოლადის დაზგების გრიალი და ჭახჭახი, ღუმელებში დატრია-
ლებული ცეცხლის ღმუილ-ღრიალი, სასიგნალო ზარების რეკვა, ძინ-ძინ-ძინ,
სელექტორების ომახიანი განკარგულებანი, და, როდესაც ეს ყოველივე ნათლად
წარმოიდგინა, როდესაც კვლავ შეხედა ნანგრევებად და ფერფლად ქცეულ სტა-
ლინგრადს, ცხოვრების ქაოტურმა სურათებმა, ამ ჯოჯოხეთურმა ხმაურმა და
მერე ასეთმა სამარისებურმა მღუმარებამ სტალინგრადში, გააოგნა, თავბრუ და-
ახვია და მუხლებში მოსხლიტა.

მოაგონდა თავისი პატარები და გაგიჟებამდე მოუნდა მოხვეოდა ორთავეს,
გადაფარებოდა და ყველაფერი დაევიწყებინა, რაც კი ნახა. მას არასოდეს არ
ენახა ადამიანთა ზომოქარი ცხოვრების ასეთი გიგანტური ტილოები, მას აქამდე
წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არც ასეთ დიდ ცხოვრებაზე, არც ომის ამ ფანტას-
ტიურ მასშტაბებზე.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, — აღმოხდა მას. — ამის შემდეგ რაღა
უნდა გაგვიკვირდეს ადამიანს ცხოვრებაში. აქ თურმე ქვეყნები იქცევა და ჩვენ
კი წიწილებით წია-წიას გავიძახით.

— საერთოდ, რისთვის ცხოვრობენ ადამიანები ქვეყანაზე, — ფილოსოფი-
ურად შენიშნა ირინემ და თამბაქო გააბოლა. — ნუთუ იმისთვის, რომ ასე ყლი-
ტონ და ანადგურონ ერთმანეთი?!

— წისქვილის ქვასავით ტრიალებს ეს ცხოვრება. გინახავთ ჩვენებური
წისქვილი? — მიუბრუნდა თალიკო ირინეს. — ბრუნავს დოლაბი და ფქვავს
ხორბალს, მოდის და მოდის ფქვილად ქცეული ხორბალი. ასეა ეს ჩვენი ცხოვ-
რება.

— ასეა, მაგრამ, ცხოვრება მაინც გინდა ადამიანს! ჩვენ პატარა ადამიანები
ვართ და პატარა ინტერესებით ვართ შემოფარგლული. ბავშვებით ტიკინებს
და სათამაშოებს ვეპოტინებით. არიან ადამიანები, რომელნიც სხვა სიხარულით
ცხოვრობენ, ერთნი იმით, რომ აშენებენ, მეორენი იმით, რომ აქცევენ. ისინი
ფანატიკოსები არიან და თავიანთი იდეებით შეპყრობილებს დაიწყებული აქვთ
ყველაფერი...

თალიკოს ამ სიტყვებმა არჩილი მოაგონა. მას მართლა დაიწყებული ჰქონ-
და ყველაფერი და დილიდან შუადამემდეგ ფეხზე ტრიალებდა. ხან სადგურზე
იყო და სურსათის გადმოტვირთვას თავზე ადგა, ხან ტრანსპორტის საშოვნად
დარბოდა, ხან ფოსტაში გაიქცეოდა და დეპეშებს გზავნიდა თბილისში — სას-
წრაფოდ რამდენიმე ტონა ლობიო მიშოვნეთ ბიჭებისთვის, თორემ აქაური
წყალწყალა ბორში თავზე გადამასხესო, — ხან ქარხნის საამქროებში დაჰქრო-
და, რომ თავისი შეგირდებისთვის სათითაოდ დაეხედა, აბა როგორ შეეგუენ ბი-
ჭები ახალ გარემოს და ხომ არაფერი უჭირთო. ხოლო როდესაც ბინაში დაბრუნ-
დებოდა, დანარჩენ დროს, თუ არ ეძინა, სულ თავის ქარხანაზე ლაპარაკობდა:
„როგორც იქნა ხორციელდება ჩემი ოცნება და საქართველოს საკუთარი მეტა-
ლურგიული ქარხანა ექნება“, გაიძახოდა იგი. ამას ამბობდა ის ადამიანი, რო-
მელიც ფრონტზე მილად დახეულ-დაფლეთილი იყო ტყვიებით და ყუმბარის
ნამსხვრევებით, ადამიანი, რომელმაც რამდენჯერმე გადააბიჯა სიკვდილს, ადა-
მიანი, რომელსაც ასე უსინდისოდ უღალატა სატრფომ, აი ეს ადამიანი მოვიდა
და სადღაც უძირო ორმოში ჩაგარდნილ თალიკოს ხელი გამოუწოდა, ორმო-
დან ამოიყვანა და ფეხზე დააყენა. ეს ადამიანი მოვიდა და ერთ წუთსაც არ ჩა-



ფიქრებულა არც ცხოვრების ამოებაზე, არც უახლოეს ადამიანთა ვერაგობაზე, არც მთავრად და, ჭიანჭველას გულმოდგინეობით და ღონით, ფუსფუსით შეუდგა მენებას. თალიკოს რომ ეთხოვებოდა სადგურში, ვაფაციცებით აბარებდა თავის ჯერ კიდევ არარსებულ ქარხნის დირექტორთან, სიკო გოგებაშვილთან. ასე უთხარი, შიკსერზე და მათულის საწელ საიმქროში რომ დამეყენებინა შეგიარდები, ხალხი აღარ მეყო. დანარჩენ ჯგუფებს რომ გაგზავნით სხვა ქარხნებში, ეს მდგომარეობა გაითვალისწინეთო.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თალიკოს და ისე ვიარეს სტალინგრადის შემდეგ რამდენიმე სადგური, არც ხმა ამოუღია, არც ყურადღება მიუქცევია ვაგონის მგზავრთათვის, ამ შემზარავი სურათის ნახვის შემდეგ კვლავ რომ დაუბრუნდნენ თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას, თამაშობდნენ კარტს ან დომინოს, უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს არყით, იცინოდნენ და ყვებოდნენ უწმაწურ ანეგდოტებს.

ცხოვრება თავისი ჩვეული გზით მიდიოდა.

თალიკო კი ვასცქეროდა სალსკის თვალუწვდენელ ტრამალებს და უკვირდა. თუ აღმანიები იძულებული გახდნენ იომონ, რატომ არ იომობდნენ ამ ტიალ. შიშველ მინდორზე, სადაც არც ხალხი იყო, არც ხე...

რისთვის ღვრიან ადამიანები ამდენ ოფლს; ფუსფუსით აგებენ დიდ სახლებს, თეატრებს, მუზეუმებს, ქარხნებს, რისთვის, თუკი მერე მიადგებიან და ასე დაღეწიან მთელ ქალაქს, ძირფესვიანად მოწმენდენ და გადაბუგავენ.

რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო, ამბობს ცნობილი ქართული სიმღერა. მართლაც, მტრობა სულ მუდამ აქცევდა, ხოლო სიყვარული აშენებდა ამ ქვეყანას, დიდი სიყვარული

ეს დიდი სიყვარული, თავისი ქვეყნისადმი დიდი სიყვარულია ალბათ, რომ ავიწყებს არჩილს ყველაფერს ამქვეყნიურს და ასე აკეთილშობილებს მის სულს, მის ადამიანობას, მის ვაჟკაცობას, მის მოქალაქეობას, ამიტომაც, ალბათ, ის ასეთი წმინდანივით სპეტაკი, გულმართალი, მაღალი, უხვი, მდაბალი...

ასე ფიქრობდა და ფიქრობდა თალიკო. მატარებელი კი ნელი ღრქიალღრქიალით მიზოზინებდა ზღვასავით თვალუწვდენელ ტრამალებზე.

— თქვენ ძალიან ბევრს ფიქრობთ რაღაცაზე. — უთხრა ღიმილით ირინემ. — გეტყობათ ის, ფიქრების გამოწვევის მიზეზი, შორს უნდა იყოს. ფრონტზეა?

— არა. იყო უკვე. იცით, მე ჩამაფიქრა ერთმა გარემოებამ, რა უსამართლონი ვართ ხანდახან, ჩვენ, ქალები, მამაკაცების მიმართ.

— ჩემო ძვირფასო, ჩვენ ყოველთვის უსამართლონი ვართ მამაკაცების მიმართ. — ირინე მაშინვე შეუდგა პაპიროსის ხვევას. მას არ შეეძლო, როდესაც მამაკაცებზე ლაპარაკობდა, თამბაქო არ გაებოლოებინა, ამ შემთხვევაში კი წეკო, — უბედურება კიდევ იმაშია, უსამართლონი ვართ სწორედ კარგი მამაკაცების მიმართ, ხოლო ცუდებთან, ხშირად არამზადებთან, ვიჩნით დიდ სამართლიანობას და მათი მონამორჩილი ვხდებით.

— რატომ, რატომ ხდება ეს ასე? — რაღაც მიაბიტური გულწრფელი სინანულით აღმოხდა თალიკოს.

— ნუ გეშინია, ეს მარტო ჩვენი სისულელის ბრალი არაა. ცხოვრება ასეთია.

— აჰ, ნეტავ ისე იყოს ცხოვრება მოწყობილი, რომ არასოდეს არ შეგეძლოს შეცდომა დაუშვა.

ირინემ გულთბილად გაუღიმა თალიკოს.



— რა ბედნიერი ხარ, ჩემო კარგო, — უთხრა ირინემ. — შენ ჯერ არ დაჯარგვია სინანულის გრძნობები შეცდომათა გამო. მე კი ეგ კარგა დაღვიწყებული მაქვს. არც კი ვიცი, რას ნიშნავს ქალის შეცდომა. ნუ ფიქრობ ამისთანებზე. მოდი ჩვენ, ამ ჩვენი სარეისო წიგნაკებით, პური ავიღოთ, უშაქრო ჩაი დავლიოთ და აგერ გუშინდელი ხაყიდი ჩაბუტბუტებული ვაშლი მივაცოლოთ. სიცოცხლე არც ისე ცუდია, როგორც ზოგიერთს ჰგონია. თურმე შესაქლებელი ყოფილა ცხოვრებაში, ჭამდე ტალახივით შავ პურს და აღტაცებით კითხულობდე ერედიას სონეტებს.

ორივენი გავიდნენ პერონზე. აიღეს შავი პური და თვალი მოჰკრეს სურსათით მოვაჭრე დედაკაცებს. ისინი ჰყიდდნენ მოხარულ კვერცხებს, მყავე კიტრს, თევზს, ბოთლებით რძეს, კარტოფილის ცომით გაჩურჩულ პირობებს. მართალია ყოველივე ამას დედაკაცები მამასისხლად აფასებდნენ, ორთავემ მაინც იყიდა ზოგისაგან კვერცხი, ზოგისაგან თევზი, ზოგისაგან მყავე კიტრი და ვავონში დაბრუნდნენ.

— მორჩა, თბილისამდე უზრუნველყოფილი ვართ. — მხიარულად თქვა ირინემ. — მე საერთოდ ძალიან ცოტას ვჭამ და ჩემთვის დღეში ერთი კვერცხი სრულიად საკმარისია. ალბათ ამან შემაძლებინა ადვილად გადამეტანა შიმშილობის ეს მძიმე წლები.

— მეც ასეთი ვარ. ამიტომაც, ორთავე, ბეჭედში რომ გავძვრებით. მაგრამ თქვენ უნდა გენახათ ჩვენში, თბილისში იყვნენ ისეთი ოჯახები, რომელთაც რაც კი რამ გააჩნდათ, ჩასაცემელიც და დასახურავიც, ყველაფერი ბაზარზე გაჰქონდათ, რომ სურსათი ემოვნათ და ბავშვები მშვიერი არ დარჩენოდით.

— ახლა როგორია მდგომარეობა?

— ახლა ნორმირებული მომარაგებაა და ხალხმა მოითქვა სული. ბაზარზედაც ფასებმა კლება იწყო, თორემ იყო დრო, რომ კილო კომბოსტო თუშანი ღირდა. ომი, როგორც ვატყობ, დასასრულს უახლოვდება, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენში ახალი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა იწყება.

— სულ ქარხნები, ქარხნები. შენ მითხარი, სახლები თუ შენდება?

— სახლებიც. იმ ქარხანასთან მთელი ქალაქი უნდა აშენდეს. იცით, წიდან რისთვის ვითხარით. ქალები უსამართლონი ვართ-მეთქი მამაკაცების მიმართ? ისინი, რომლებიც მართლა კაცები არიან, მხოლოდ ისინი, თავდადებულნი და პირდაპირ შემოიღებენ არიან ამ მშენებლობით. იღვით შეპყრობილებს, მეტი არაფერი ახსოვთ...

— ფანტიკოსები არიან. — ღიმილით შეაწყვეტინა თალიკოს ირინემ. — ჩემი ქმარიც ასეთივე ფანტიკოსი იყო. იცი რა, — მეუბნებოდა ის, — რა იქნება ეს ჩვენი ქვეყანა, როდესაც კომუნიზმს ავაშენებთ! ჯერჯერობით მე მხოლოდ გაჰირვებას ვხედავ, ვეუბნებოდი, მომავალში, მომავალში რა იქნება, არ ვიცი-მეთქი. ოჰ, შენ არ იცი, როდესაც მძიმე ინდუსტრიას მთელი სიმძლავრით ავამუშავებთ. თუჯს და ფოლადს დიდი რაოდენობით მივიღებთ, მერე მანქანებს დავამზადებთ და ამის შემდეგ მსუბუქ მრეწველობას ავაცუავებთ. ოჰ, შენ არ იცი, როგორ გარდაექმნით ქვეყანასო. თურმე, თუ ადამიანი ცოცხალია, ყველაფერს ძლევს. არც გაჰირვება და შიმშილი ყოფილა ისე საშიში, რადგან ადამიანს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს, ყოველ მდგომარეობაში მას შეუძლია სიხარულად აქციოს ის, რაც გუშინ შეიძლება მისთვის ტრაგიკული მოვლენა იყო. ჩემს სუფრაზე რომ წინათ ასეთი შავი პური დამენახა, გული შემეწუხებოდა და ვინ იცის, იქნება თავიც კი მომეკლა, ახლა სიხარულით თვებზე აღარა ვდგავარ. რომ აგერ ორასი გრამი მომცეს სარეისო წიგნაკით.



წინათ მკბენარი უბრალოდ რომ ესხენებინა ვინმეს ჩემთვის, ნერვიულობისაგან შეიძლება ისტერია დამმართნოდა. მახსოვს, რემარკის რომანი „დასავლეთის ფრონტზე“ ცვლილებები არ არის“ ძვრს დავანარცხე იმის გამო, რომ იქ ამოვიკითხე... თქვენ არ წაგიკითხავთ ეს წიგნი?

— არა, — უპასუხა თალიკომ, ცოტა არ იყოს შერცხვა. მას ძალიან ცოტა წიგნი ჰქონდა წაკითხული თავის ცხოვრებაში და ისიც მხოლოდ ქართველი მწერლებისა.

— აუცილებლად წაიკითხეთ. საოცრად კარგადა აქვს აღწერილი ომის საშინელებანი. ნატურალისტია, მაგრამ კარგი მწერალია. იმას აქვს მეორე წიგნი, ასეთი სახელწოდებით „დაბრუნება“. სამწუხაროდ ის არ წამიკითხავს. ვერ ვიშოვე. თქვენ არ გიყვართ კითხვა?

— ისე. არც ძალიან.

— მე კი ძალიან. ეს არის ჩემი ერთადერთი სიამოვნება. თუ წააწყდი სადმე წიგნს, მორჩა, ყველაფერი მივეწყდება. ესეც შეიძლება ერთგვარი ავადმყოფობაა, მაგრამ ვისაც განუცდია უდიდესი სიტკბოება წიგნების სტრიქონების ტრიალით, მისთვის არ არსებობს ამ ქვეყნიური ფუსფუსი. ისინი ნარკოზივით მოქმედებენ ადამიანზე. მხოლოდ მათი დახმარებით გავდივარ ყოველდღიური რეალური სამყაროდან მეორე საოცნებო სამყაროში და იქ ანგელოსივით დავფრინავ, თავს ვეველები ცხოვრებისაგან დაჩაგრულ, განაწამებ ადამიანებს, ვსჯი ბოროტებს და კაცთმოძულე ტირანებს... ხანდახან მთელი კვირაობით არ მშობრდება ეს სიყვარულის ან სიძულვილის განწყობილება. აჰ, რა ჯობია კარგად დაწერილ წიგნებს.

ბორბლები გაუთავებლად რახრახებდნენ, ორთქმაველი ხანდახან ზუზუნით დასძახებდა თვალწვდენელ ველებს, გვერდით კუბეში არაყით გამხიარულებული ქალები ახალგაზრდა ოფიცრებთან ბლარატუნობდნენ და ხშირხშირად გარბოდნენ ტალანში „თამბაქოს მოსაწევად“, ხოლო თალიკო და ირინე ისხდნენ და ამ ხმაურში ნაღვლიანად საუბრობდნენ.

თბილი, მზიანი ზამთრის დღე იდგა, როგორც ხშირად იცის ხოლმე თბილისში. მართამ აღრიანად გამოაწყო პატარები, ჩააცვა თბილი პალტოები, დახურა მოქსოვილი შალის ქუდები და ნიკოს ჩააბარა — გაასეირნო. ნიკოც სიხარულით დათანხმდა. მას ხშირად დაჰყავდა ბავშვები სასეირნოდ. ცოლქმარს ამ ორიოდღე თვის განმავლობაში ისეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ ეს პატარა ბავშვები, ერთი წუთი არ შეეძლოთ უმათოდ გაძლება. ნიკო დაამთავრებდა თუ არა სამსახურს, მაშინვე გარბოდა შინისაკენ. გზაში აუცილებლად გაივლიდა ბაზარში და თუ ჯიბეში ფული ეგულებოდა, მამასისხლის ფასად იყიდა და ან წყვილ ვაშლს ან მანდარინს, ან საერთოდ რაიმე საწუწქარს და ბავშვებს მიუტანდა. მერე მთელი საღამოები მათთან იყო. ხშირად ცოლქმარს პატარა ჩხუბიც კი მოსდიოდა და ბუტიაობდნენ ბავშვების გულისთვის, სულ შენ რომ ეფერები, ერთი მეც მიმაკარეო.

განსაკუთრებით უხაროდა ნიკოს ბავშვების ქუჩაში გასეირნება. ვინც უნდა ყოფილიყო, ნაცნობი, უცნობი, არ შეიძლება არ შეჩერებულიყო ამ ლოყებატყეცილი, დაპუნტულეებული ცუგრუმელების დანახვაზე და შორიდან მაინც არ მოსიყვარულებოდა ორთავეს.

— შენი შვილიშვილებია? — ეკითხებოდნენ ნიკოს.

— სხვისას ვზრდი, სხვისას. — ამბობდა ნიკო, — მაგრამ საკუთარი შვილი არ მყვარებია ისე, როგორც ესენი, ამათ კი ენაცვალოს ჩემი თავი.

ამ დღესაც გამოაწყო თუ არა მართამ პატარები, ნიკომ ჩაჰვიდა ორთავეს

ხელი და ქუჩაში გაიყვანა. ჯერ თავის სახლის წინ ისეირნეს, კეკელიძის მუშაობის ითამაშეს. გაიქცეოდა პატარა ია, ამოფარებოდა ხეს, ვითომ დაიმალა და იქიდან უძახოდა:

— ბაბუ, ჭიტა! — და ბავშვურ გულუბრყვილობით თვითონ ხუჭავდა თვალებს. მერე, როდესაც ბაბუა ნიკო ფეხბაკრეფით მიეპარებოდა, ხელს დასტაცებდა და „ჰამ, ჰამ“-ის ძახილით გულში ჩაიხუტებდა, იაც გულიანად ხითხითებდა და ახლა ეს მალულობა ნოდართან უნდა გაემეორებინა. ბოლოს ესეც მოსწყინდათ და ცოტა უფრო შორს გასეირნება მოიწადინეს. ნიკომ ჩაიყვანა ბავშვები ლენინის ქუჩაზე, მერე რუსთაველის მოედანზე, აჩვენა მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარი დიდი ძიას ქანდაკება და აუხსნა, რომ ეს არის შოთა რუსთაველი. ბოლოს მოზარდ მაცურებელთა თეატრშიაც დააპირეს შესვლა, მაგრამ ამ დროს ნიკო მოულოდნელად წააწყდა დიმიტრი ქორქაშვილს.

— დიმიტრი, ბატონო, ასე უნდა დავიწყება? — გაუწოდა ხელი ნიკომ თავის მეგობარს.

— ოჰ, ნიკო, შენსა მოედოდი ახლა სწორედ! ეს შენი შვილიშვილებია?

— ჩემი რო იყოს, რა მიშავს, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. — ჩასჩურჩულა ყურში ნიკომ, რომ ბავშვებს არ გაეგონათ.

— დედა, რა სავისტავკე ბავშვებია, ვისია კაცო, ეს ანგელოზები?

— მერე გეტყვი ვისიცაა. წამო ახლა, თუ ჩემთან მოდიოდი, წავიდეთ.

— არა, თქვენ მგონია სხვაგან მიდიოდით სალაცანე, — მოუქცია ქვემო-იმერულად დიმიტრიმ.

— აჰ, არა კაცო, ისე დავესეირნობდით, ტყვილა. — მერე ვაიცინა და დიმიტრის ღიმილით უთხრა: — როგორ შეგრჩენია ძქვლებური ხონური კილო.

ორთავენი ნელა გაუყვნენ ქუჩას. ბავშვები წინ მიტუნტულვდნენ. გაიქცეოდნენ ათიოდე ნაბიჯს და მოიხედავდნენ, აბა ჩვენი პაპა ნიკო მოდის თუ არაო.

— რა ჭკვიანი ბავშვებია. ვისია, მართლა, მითხარი? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— ეჰ, ეს გრძელი ამბავია, მერე გიამბობ. შენ ეს მითხარი, როგორაა ქარხნის მშენებლობის საქმე. ის ჩემი ბიჭი რომ გადაამიკარგე ციმბირში, ტყუილუბრალოდ ხომ არ დაჭირდა ამ გაჭირვების ზურგზე მოდებ?

— როგორ გეკადრება, ტყვილა კი არა და... ტრესტი უკვე ჩამოყალიბდა.

— რა ტრესტი?

— საამშენებლო. მაკარ გურგენიძე დანიშნეს დირექტორად.

— რომელი, ნარკომი?

— ჰო, ის. ვერ წარმოიდგენ რა კაცია, ოქროა პირდაპირ. ისე დაატრიალა საქმე, რომ მგონია თავი მოგვეჭრას და გვაჯობოს.

— ვის გვაჯობოს, გამაგებდე ერთი თუ ძმა ხარ, არაფერი არ მესმის შენი.

— ჩვენ ქარხნის დირექციას!

— თქვენ ვინ ხართ და ისინი ვინ არიან? არაფერი არ მესმის?

— ჩვენ ვართ ქარხნის ექსპლოატატორები, უნდა ვამუშაოთ ქარხანა; ვაკეთოთ რკინა და ფოლადი. ჩვენი ქარხნის დირექტორია გოგებაშვილი.

— ეგ ვიცი. მაკარ გურგენიძე ვინლა, გამაგებინე?

— ეგ აშენებს ქარხანას. ტრესტი ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის“ სახელწოდებით. — „ზაკმეტალურგსტროი“. მაკარი იმ ტრესტის დირექტორია.

— მერე ეგ ტრესტი ახლა ჩამოყალიბდა? დიდება შენდა, ღმერთო. ყველაფერი უკუღმა რომ უნდა ვაკეთოთ. მე მეგონა ქარხანა სალაცანე მითავ-

დებამეთქი და თქვენ არც კი დაგიწყიათ მისი შენება. ტრესტს ახლა აყალიბებთ?

— ახლა ვაყალიბებთ, მაგრამ საქმე მალე დატრიალდება, შენ ნუ გეშინია. ქარხანას ერთი ორგანიზაცია კი არ აშენებს, არამედ ერთი სამოციოდენ ნარკომატი და მათში შემავალი ტრესტი, თუ მეტი არა. „გლავსტალკონსტრუქცია“ ლითონის ნაწილებს ამონტაჟებს, „გლავლეს“ ხეტყის მასალებს, „გლავცემენტობეტონი“ რასაც გააკეთებს, თვითონ მიხვდება, „გლაველექტროობორუდოვანიე“, „გლავენიმპრომი“ და რა ვიცი კიდევ, ყველას სადამომდე ვერ ჩამოვთვლი. ჰოდა ყველა ამას ხელმძღვანელობა, თავისმოყრა და რეგულირება უნდა. ამას ხელმძღვანელობს სწორედ ტრესტი „ზაკმეტალურგსტროი“, რომლის დირექტორია ჩვენი მაკარ სილოვანიჩი.

— მე მგონია ქარხანასაც თქვენ აშენებდით და კიდევაც მართავდით-მეთქი. აბა, თუ აგრე არის, ჯერ ბავშვი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდნენო, რა გეჩქარებოდათ ეს ბავშვები რომ გაყარეთ ამ რუსეთში, ჯერ ქარხანა უნდა აგეშენებიათ და დასასრულს რომ მიუახლოვდებოდა მშენებლობა, მერე გაგეგზავნათ...

— აჰ, რას ამბობ, — შეაწყვეტინა დიმიტრიმ, — მერე გაგვეგზავნა კი ა.ა. იმისი მეშინია, ვაი თუ. საამქროები რო მოთავდება, მზად არ მეყოლოს ხალხითქო. შენ არ გცოდნია ჩვენი ამბავი. ჯერ მარტო ამ ომის ქარცეცხლში, მოსკოვთან რომ ბრძოლები იყო და მტერმა სტალინგრადადამდე მიადწია, რამდენი ქარხანა აშენდა ციმბირსა, ურალსა და თუნდაც საქართველოში, რომ იცოდე, ეკუას დაკარგავ.

— კაი დაგემართოს, შენს პირს შეაქარი, თუ ასეა.

ასე ნელ-ნელა მუსაიფით მივიდნენ შინ. მართამ ქმარს კარი გაუღო, ბავშვებს სიხარულით შეეგება და მაშინვე ახარა:

— ვინ მოვიდა, ვინ მოვიდა, რომ იცოდეთ!

დერეფანში თალიკომ გამოიხედა.

— დედა! — იყვარეს ბავშვებმა, გავარდნენ და კისერზე შემოესკვნენ.

მოხუცებს ცრემლებიც კი მოერიათ. ნიკო საკუთარ შვილივით მოეხვია თალიკოს, გადაკოცნა. მერე დიმიტრის წარუდგინა და უთხრა:

— ეს თქვენი წარმოების ექიმი. თქვენი დავალებით გააცილა შეგირდები.

— აა, გამახსენდა, გამახსენდა. — თქვა დიმიტრიმ, თუმცა სულაც არ ახსოვდა, არც თვითონ თალიკო, და არც ის, ექიმი გააყოლა თუ არა შეგირდების ეშელონს. — თქვენ რომელი ჯგუფი გააცილეთ, კრამატორსკის თუ მაგნიტოგორსკის?

— ჩვენ ურალში...

— აა, ვიცი. ჩვენი ნიკოს ვაყი რომ მეთაურობს. სასიამოვნოა. რა კარვ დროს მოვედი. ახლა ყველაფერს დაწვრილებით მიაბობთ, როგორ ჩახვედით, როგორ მოეწყეთ. გუშინ არჩილის დეპეშა მივიღეთ, სასწრაფოდ ორი ტონა ლობიო მომამშველეთ, თორემ ბიჭები აქაურ საქმელს პირს არ აკარებენო.

თალიკომ ბავშვები ძირს დასხა, იმ მიზნით, რომ მეორე ოთახში გაეშვა, მაგრამ დიმიტრიმ შეაჩერა:

— როგორ გეკადრებათ. ჯერ ბავშვებს მიხედეთ, ერთმანეთის სიყვარული მოიკალით და მერე ვისაუბროთ. მანამდე აქ მე და ნიკო...

— კარგი, ბატონო. — დიმილით უთხრა შვილებთან შეხვედრით აფოფინებულმა თალიკომ, დასტავა ხელი თავის პატარებს და მედრე ოთახში გავიდა დი-

სახლისთან ერთად. იქიდან კი მოისმოდა გამალებული კოცნის ხმა, ბავშვების
 ელურტული და მართას ცრემლნარევი სიცილით ნათქვამი: „კარგია ახლა, ნუ
 შექამეთ ერთმანეთი“.

ნიკომ თავი გადააქნია, ცხვირსახოცით ცალი თვალის უპე მოიწმინდა და
 თქვა:

— რაა კაცო, დედა. ეს ბავშვები სულ გულში მეხუტებიან ისე შემეჩვიენ
 და ლოვინში ჩემთან ძინავთ ხოლმე, მაგრამ ახლა დედის დანახვაზე როგორ გა-
 დაირიენ, მეც დავავიწყდით და ჩემი ცოლიც. ახლა, ზოგიერთ მამაკაცს არ უნდა
 წააცალო თავი! ასეთ ბავშვებს რომ მიატოვებს...

— როგორ მიატოვებს? — გაოცდა დიმიტრი.

— ამ ქალს თურმე ადრე ჩემი არჩილი ეტრფოდა. — საიდუმლო ჩურჩუ-
 ლით უთხრა ნიკომ დიმიტრის, — მერე არჩილი ფრონტზე რომ წაიყვანეს, ამას
 აუღია და ქე გაყოლია ვიღაცა ცოლგანაშვებ კაცს. იმას კიდევ, ვითომ გულა
 მოსვლია, ტყუბი ბავშვი რავა გამიჩინო და მიუტოვებია. ცივანი, ლაწირაკი!

— მოდი ახლა და ქალს მართლა მოკითხე ჰკუა. — გადაიქნია თავი დიმიტ-
 რიმ.

— ჩავარდნილა ეს გოგო, მარა რაფერ გასაჭირში. მერე ვაიგო ჩემმა არჩილ-
 მა, წავიდა, ჩამოიყვანა...

— შეირთო, კაცო?

— არა, არ შეურთავს, მაგრამ თუ შეირთავს, თუ მეწყინოს პირქალი ვი-
 ყო. ისე, ამხანაგურად მიეშველა.

— კაი ხალხი ყოფილხართ, ძმაო, და შვილიც სანაქებო გყოლია. — გულ-
 წრფელი აღტაცებით უთხრა დიმიტრიმ. — ქალს რომ მაგ ექნა ჩემთვის, სახლში
 შემოვფუშვებდი კი არა, რო დაეფრენდი... ისე, რომ თქვას კაცმა, თვალტანდი
 ქალი კი ყოფილა. რა ეჩქარებოდა მაგ უბედურს, მოეცადა პატარა... მარა რა
 გითხრა იცი, ამ ომმა ნამეტანი გადაარია ეს ქალები. ვაი თუ მთლად ვაწყდეს
 კაცები და ქუჩაში აღარავის ატარებდნენ.

— ეს ომი თავდება, გონია, რავა იტყვი? — ჰკითხა ნიკომ ომის ხსენებაზე
 დიმიტრის.

— ნამეტანი დაიფრინეს ჩვენებმა და აშკარაა, სულ რამდენიმე თვეში მოუ-
 ლებენ ბოლოს ჰიტლერს.

— ისე ვატყობ, ჩვენები ნამეტან დიდ შეტევას აპირებენ.

— თეირანის კონფერენციაზე გადაწყდა გერმანიის ბედი, ჩემო ნიკო.

— მოკავშირეებმა აჭიანურეს, აჭიანურეს მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ
 მერე მიხვდნენ, ვათუ საბჭოთა კავშირმა მარტო მოუგრიბოს კისერი გერმანია-
 სო და ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც დაფაცურდნენ.

— ცოტა მოგვიანებით, მაგრამ შენც უნდა დაფაცურდე. — უთხრა ან
 დროს ოთახში შემოსულმა მართამ ქმარს, — წადი, ღვინო მოიტანე.

— აჰ, აჰ, თქვენ არ მომიკვდეთ. — იუარა დიმიტრიმ და ნიკოს მკლავში ხე-
 ლი სტაცა, — თუ გიყვარდე, არსა წახვიდე ახლა. უბრალო წყალი ნატახტარი —
 აი რა არის ჩემი საამო სასმელი.

— შენი რა მოგახსენო და მე ძმაო, თუ ღვინო არ დავლიე, ისე ლუკმა
 ყელში არ გადავა. — უთხრა დიმილით ნიკომ, მკლავი გაინთავისუფლა და ცოლს
 სამზარეულოში გაჰყვა.

სტუმართან ახლა ისევ თალიკო გამოვიდა. ბავშვები მას „დედა, დედას“
 თახილით მოჰყვნიენ და დედის მიერ მოტანილ საჩუქრებს აჩხარუნებდნენ. ნო-
 დარს რუსული სარახუნა „ტრემოტკა“ ეჭირა ხელში, იას შინაური ხელოსნის



ნოსტატარი პეპელა, თოკზე დაკიდული, თუ თოკს შეარხევი, პეპელა ფრთხილად იქნევი.

— მაშ თქვენ ჩვენი თანამშრომელი ხართ? — უთხრა დიმიტრიმ თალიკოს. — სასიამოვნოა, სასიამოვნო! ხომ იცით, რუსთავში უკვე შევუდგე მშენებლობას და თქვენ როგორ მოიქცევით, აქედან ივლით, თუ იქ დაბინავდებით?

— არაფერი არ ვიცი. ალბათ იქ უნდა დავბინავდე.

— აქედან სიარული ცოტა გაგიჭირდებათ ჩემის აზრით. მართალია, დილაობით რამდენიმე მატარებელი ივლის რუსთავისკენ, მაგრამ აქედან სადგურამდე ერთი საათია, მატარებლით კიდევ ერთი საათი, იქედან კიდევ სამუშაოს ადგილამდე... თუმცა ამბულატორია იქვე ბაქანთან დადგმულ ბარაკებშია... მაგრამ... ერთის სიტყვით, როგორც მოგიხერხდება.

— მე არა მიშავს რა, მაგრამ ბავშვები... — შეწუხებული ხმით თქვა თალიკომ.

— მაგაზე ნუ დარდობთ. იქ პირველ რიგში საბავშვო ბაგა გავხსენით. მხოლოდ ეს არის, რომ ცოტა ხანს ტილოს კარავში მოგიხდებათ ცხოვრება, სანამ რამდენიმე შენობა მინც მოთავდებოდეს.

— კარავში? — გაოცდა თალიკო — ბავშვებით?

— ჰო, დიდი კარვებია, თითოში ორმოცდაათი კაცი დაეტევა, სახლებს ჰგავს, იმხელაა. თქვენ იქ ცალკე ოთახი გექნებათ.

— ღმერთო ჩემო... — უმწეოდ ჩამოჰყარა ხელები თალიკომ და თვალები დანისლა.

— ნუ გეშინიათ. მეც ისეთ კარავში ვცხოვრობ, როცა იქ ვარ ხოლმე. შიგლუმელი დაიდგით და შორჩა. ეგ სულ ერთი ან ორი თვე. მერე ნამდვილ სახლში გადაგიყვანთ. ოცდაათი სახლის შენება უკვე დაწყებულია.

როდესაც ნიკო უკან მობრუნდა, მართა უკვე მაგიდას აწყობდა თალიკოსთან ერთად. დიმიტრი გაზეთს ათვალეირებდა ნიკომ შეატყო, რომ თალიკოს რაღაც საწყყინი უნდა გაეგო, სახე შეცვლილი ჰქონდა და ჰკითხა:

— თალიკო, შეილო, რა მოხდა?

— არაფერი, ძია, ნიკო. — ვითომ უღარდელად უპასუხა თალიკომ და სცადა გაეღიმა.

დიმიტრიმ გაზეთი განზე გადასდო და ნიკოს უთხრა:

— **ეგ** ჩემი ბრალია, მე ვახარე, ტილოს კარავში მოგიხდება ცხოვრება-მეთქი და...

— ტილოს კარავში? — ნიკომ თალიკოს გადახედა.

— მე ჩემზე არ ვწუხვარ, ბავშვებით ტილოს კარავში... ვაითუ... — მხრები აიწურა თალიკომ.

— ბავშვებს რა უნდათ ტილოს კარავში? — სერიოზული და თანაც გაჯაგურებული ხმით იკითხა ნიკომ.

— მეც ეგ ვუთხარი. — ჩაერია ლაპარაკში მართა. — ბავშვებს ტილოს კარავში კი არა, სასახლეც რომ აგიშენონ, მინც ვერ გაგატანთ-მეთქი. იყონ აქ. შენც აქედან იარე, შეილო. ჩაჯექი მატარებელში, საღამოს ქე მოხვალ სახლში. არაფერი ტილოს კარავში..

— აჰ, აჰ, ეგ არ გამაგონოთ. — იტყვიცა ნიკომ, — რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ეს ორი ანგლოსი ტილოს კარავში შევყაროთ. შენ გენაცვალე, შეილივით მიმიღიხარ სახლში და თავი არ მომაკვლევი. კარგებში ლტოლვილები არ გაგიშვია, საკუთარ სახლებში გვყავდა შეკედლებული, ვინ იცის რანაირი

ზალხი, და ჩემს ჭერქვეშ, ჩემი არჩილის მიერ მოყვანილ სამ სულ ადამიანს, რავეში საცხოვრებლად გავუშვებ? — კაი ერთი, შენ გენაცვალე, რაფრად მოგივიდათ მაგ ჭკუაში? — თქვა ნიკომ და საფერავს ხმაურით მოხადა თავი.

*
*
*

ზამთარი ურალში ძალიან მკაცრი დაიჭირა. ერთხანს ყინვა ორმოცდახუთ ვრადუსამდე დაეცა და რამდენიმე დღის განმავლობაში ახალგაზრდები გარეთაც ვეღარ გამოდიოდნენ. სუნთქვა ეკვროდათ და ერთი ორს ცხვირიც კი მოაყინა. მარტო ვეფხია გრძნობდა თავს კარგად და არავითარი ყინვა მასზე არ მოქმედებდა.

არჩილი რამდენჯერმე შეეკითხა თბილისში ღირეკციას დეპეშით. ახალგაზრდებმა ყინვები ვერ აიტანეს, სამუშაოზე ვეღარ გამყავს და როგორ მოვიქცეო. თბილისიდან უბასუხეს, სანამ სამხრეთის რომელიმე სხვა ქარხანაში მაგათ გადაყვანას მოვაგვარებდეთ, მანამდე როგორმე ეცადეთ იმუშაოთ და დროს ტყუილად ნუ დაკარგავთო.

არჩილი იძულებული იყო ბედს დამორჩილებოდა. ხუთასი ახალგაზრდიდან მარტოდონდნენ თხუთმეტიოდე თუ გადიოდა სამუშაოდ. განსაკუთრებით უჭირდათ შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებს, აფხაზებს, გურულებს და აჭარლებს.

გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, როდესაც აზუზუნდებოდა ქარხნის საყვირი და ბიჭები უსიამოდ იმმუნებოდნენ. ბისმარკა ბალიშს იღებდა ზემოდან ყურზე და უქმყოფილოდ ბუზღუნებდა:

— აი დასაღუპავი, ვერც თლა გამიხვრიტა ყური, რო არ შემაწუხოს მაინც, არა და გამაგვიებს საცაა...

თუ ყინვა ოცდახუთ ვრადუსს აღემატებოდა, მაშინ ბიჭები თავისუფალნი იყვნენ და შეეძლოთ არ გასულიყვნენ სამუშაოდ. ამიტომ მორიგეს დავალებული ჰქონდა, ყოველ დილას შემოწმებინა თერმომეტრი.

მარტო ვეფხია დგებოდა. იცვამდა თავის დაბამბულ ქურთუქს. ჩამოიფხატებდა ბეწვის უშანკას და გარბოდა ქარხანაში. მალე მას ჰაიკა აყვა, მერე გიგამ და თეღომ მიბაძეს და როგორი ყინვაც არ უნდა ყოფილიყო, ოთხივე ერთად მიდიოდნენ სამუშაოდ. ჯერ უკვე როდესაც ქვემო სართულში ჩადიოდნენ და ორმაგ კარებს, რუსულად რომ „ხენი“ ეწოდება, უახლოვდებოდნენ, უკვე იქ იგრძნობოდა წარმოუდგენლად გამოთვავი სიცივე, მაგრამ გარეთ რომ გადიოდნენ, მშრალი ყინვა ბრაზიანი ძალიებით ეძგერებოდათ ხოლმე სახეზე. ყოველ მათგანს ცხვირიდან ისე ძლიერად გამოურბოდა ორთქლი, თითქო ორთქლმავალი მოქმედოდა ლიანდაგზე. საულვაშე ღინღლი მაშინვე ეფარებოდათ ყინვის უღვავებით. შეუძლებელი იყო გაჩერებულ ადამიანს ტრამვაისათვის ეცადა. ამიტომ ბიჭები, მის მოსვლამდე, ბუქნას უფლიდნენ. ტრამვაის ვაგონიც ისე იყო გარედან და შიგნიდან შემოყინულ-დართვილული, გვეგონებოდათ პატარა ბავშვივით ამასაც თოვლში უკოტრიალეზია და ამოვანჯერულაო. ფანჯრები, ლითონის ნაწილები, ხეში ჩახრახნილი მანქვალის თავებიც კი ყინვით იყო დაფარული.

ტრამვაის ბოლო გაჩერებებიდან მარტენის საამქრომდე კარგა მანძილი იყო და ბიჭები მგლური ძუნძულით გარბოდნენ, რომ რაც შეიძლება დროზე შეგარდნილიყვნენ საამქროში, სადაც გუგუნებდნენ გახურებული ღუმელები.

არც იქ იყო მაინცდამაინც საამო დგომა, გარედან სიცივე ურტყამდა, ღუ-



მელებიდან კი თავარება სიცხე აქერდა, მაგრამ, იქ თავისუფლად სუნთქვა შეიძლებოდა და შედარებით საგრძნობლად თბილოდა.

ვასილ ივანიჩი ყოველთვის ადრე მოდიოდა და მუდამ მხიარულად ეგებებოდა ახალგაზრდებს. ამაყობდა იმით, რომ მხოლოდ მისმა შეგირდებმა გაუძლეს ამ საარაკო ყინვას და ერთი დღეც არ გაუცდენიათ.

— მოხვედით, ვეფხვებო, — ეუბნებოდა ის ბიჭებს, — დღეს საჯავნო ფოლადს ვაღუღებ, მოდიოთ, ისწავლეთ, როგორ უნდა მოღუღდეს ამ მარკის ფოლადი!

ვეფხია გაფაციცებით ადევნებდა თვალს ვასილ ივანიჩის ყოველ მოძრაობას, ხარბად ისმენდა ყოველ მის სიტყვას. პირველად მას არაფერი ესმოდა და არაფერი არ გეგებოდა მარტენის ღუმელისა. მის აზროვნებაში მარტო გაუთავებელი გუგუნი, გეოგრაფიკული ფოლადის ხაფხაფი, ჯოჯოხეთური აღის ტრიალი თუ ისახებოდა, ხოლო როგორ კეთდებოდა ფოლადი, როგორ მუშაობდა მთელი ეს ურთულესი ღუმელი, როგორ უნდა ემართა ის მეფოლადე ოსტატს, ამაზე იოტის ოდენი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და პირველ ხანებში შიშისზარმა შეიპყრო, მე ამას ალბათ ვერასოდეს ვერც ვისწავლი და ვერც გავუგებ რამესო. მაგრამ შემდეგში, თანდათანობით, ისე როგორც მეთოლოპიდროქინონში ჩადებულ თეთრ ფოტოქაღალდზე, თანდათანობით მკვეთრად გამოისახება ხოლმე გადაღებული ფოტოსურათი, ჯერ მკრთალად გამოჩნდება ცალკეული დეტალები, მერე დაიწყებს გამუქებას, ამოიზრდება კონტურები და მთელი სურათი ერთბაშად აღიბეჭდება ყოველი წვრილმანით. ასე თანდათანობით აღიბეჭდა ვეფხიას გონებაში მარტენის ღუმელის მთელი საიდუპლოება. ორიოდ თვეში უკვე იცოდა, მიღების ხლართებში რომელი აწვდიდა წყალს, რომელი საწვავ აირს ანუ გაზს, როგორ უნდა გაწყობილიყო ღუმელი, როდის უნდა ჩაესხათ თუჯი, ან რად იყო საჭირო აუცილებლად ჯართის ჩაყრა დამდნარ თუჯში.

მინდობილი კრავივით ვეფხია სულ ბულატოვს დასდევდა, თვალბში უცქეროდა, მის ყოველ ნაბიჯს სწავლობდა, თუმცა მალე დანარჩენებსაც ნელ-ნელა შეეჩვია, განსაკუთრებით გენია ბურაკს დაუახლოვდა. ბიჭები როგორც იქნა მიხვდნენ, რომ მას ვასილ ივანიჩი „დურაკს“ კი არ უწოდებდა, არამედ გვართ მიმართავდა, ხოლო ეს გვარი ბურაკი, თურმე ქართულად ჭარხალს ნიშნავდა. ამიტომ გენიაც ჭარხალაძედ მონათლეს და ამის შემდეგ მას მარტო ასე იხსენიებდნენ.

— რაა ეს, ბიჭებო, კავკასიიდან ჩამოდით და ერთი ორიოდ ბოთლი არაყი არ ჩამოიტანეთ? — უსაყვედურა ერთხელ ბიჭებს გენიამ, — ასეთ ყინვაში ასი გრამი არაყი პირდაპირ წამალია.

— ვიყიდოთ. — უთხრა მას ვეფხიამ. — აქ განა არ იშოვება?

— სად იშოვება, რას ამბობ. ბაზარზე ყიდიან რახს, ბოთლი ექვსასი მანეთი ღირს.

— აუ! — ერთად წამოიძახეს ბიჭებმა.

— იცი, რას ვეუბნები ამ ბიჭებს, — მიუბრუნდა გენია ვასილ ივანიჩს, — არაყი რად არ ჩამოიტანეს. იქ თურმე თავზე სასხმელადა აჭეთ.

— მდაა. — ნერწყვის ყლაპვით წამოიძახა ვასილ ივანიჩმა, — არ გვაწყენდა ასეთ ყინვაში. დღეს ორმოცდაექვსი დაარტყა. არა უშავს რა. მალე დათბება და ოცდახუთამდე დავა. მაშინ სახალისოც კია გარეთ სიარული და თოვლში კოტრიალი. არაყი კი, მართლა მენატრება. ჩვენს ძმას აქ უიმისოდ არ გამეძლებინება.



სამუშაოდან რომ ბრუნდებოდნენ, ვიგამ ბიჭებს უთხრა, მოდი, წერ მამაჩემს, ერთი ჩვენებური ჭაქის არაყი გამომიგზავნოსო. მოიღვა და გადაწყვიტეს, ყოველ მათგანს საითაოდ მიეწერა შინ, გამოეგზავნათ მათთვის ყოველივე, რის გამოგზავნაც შეიძლებოდა, ხმელი ხილი, ჩურჩხელები, კერცვი, ლობიო, ერბო და განსაკუთრებით ღვინო და არაყი.

გულდაწყვეტილი ვეფხია თავის გაჩენის დღეს წყევლიდა. შინ არავინ ეგულებოდა ისეთი, ვინც მისთვის თავს შეიწუხებდა. მამიდა სანდუას სად ექნებოდა იმის თავი, რომ ამ დასაკარგავში მისთვის ამანათი გამოეგზავნა. კიდევაც რომ მოესურვებინა, ვერც მოახერხებდა, შუაგულ ზამთარში მათი სოფლიდან ბარისახომდე ფრინველიც კი ვერ ჩააღწევდა.

მაინც გადაწყვიტა წერილი მიეწერა. ამიტომ მივიდა თუ არა შინ, მაშინვე აიღო საწერკალამი და წერას შეუდგა. მართალია პირადად არასოდეს არავისთვის არ მიუწერია წერილი, მაგრამ სხვების დავალებით და კარნახით ბევრი უსტარი დაუწერია და ამიტომ თვითონაც იმავე სტილით და იმავე ხასიათით შეადგინა ეს ბარათი, როგორც ეს ხევესურეთში იყო მიღებული: „პირველად მრავალ მაკითხვას მოგახსენებ, მზის უწინ სანახველო, საცხად სანატრელო, ჩემო იმედო, მამიდა სანდუავ. ხო კარგად ხარ, ხო არა გიჭირს, ან აოდ ხო არცა იყავ. ან სხო ხო არა გიჭირს. ახლა მოგვიკითხი აპარეკა თავის ცოლშვილითა, ახლა მოგვიკითხი მეგლიკა და დათვია თავის ცოლშვილითა, ახლა მოგვიკითხი ბეწიკა თავის ცოლშვილითა, ახლა მოგვიკითხი გოგოთური თავის შვილებითა, ახლა მოგვიკითხი ბეწინტური თავის დედმამითა, ახლა მოგვიკითხი უთურგი თავის ცოლშვილითა, მერე ვიცი შენი გულის ამბავი, ჩემს ამბავს იკითხავთ, ვარ შორე რუსეთსა, ურალის ქვეყანას, დიდსა და დიდ ქალაქსა, არა გვიჭირს რა თქვენი უნახველობის მეტი. აქ ვინც სულ საქართველოდან წამოვედით, ყველანი კარგად ვართ, მართო ერთი ვაჟი მოგვიკვდა, იჭიდავა და წელ მასწყდა. ახლა გამახსენდა, კიდევ მამიკითხი კიბალაური თავის ცოლშვილითა, კიდევ მამიკითხი ალექსამა, კიდევ მამიკითხი ბერდია, კიდევ მამიკითხი გრანჯა, კიდევ მამიკითხი ზვიადა თავის ცოლშვილითა. მერე ჩვენს ამბავს მოგახსენებ, პურის ძალიან ცუდს გვაჭმევენ, არცაი ღვინო, არცაი ლუდი, არცაი არაყი, არცაი საკლავი, მართო პატარაი ლობიოს შეჭამანდი ჩვენზე მოგვდის საქართველოდან სხვა რაოდ მოგწერო. აქ იგრეთ დიდი ქარხანა არის, თვალს ვერ აუწვდენ, შიგ ქარხანანი მატარებელი დადის, ზემოთ სხვენზე რკინის ხიდებია გადებული, ის ხიდებიც დადიან, სულ ელექტრონითა, შიგ ქარხანანი ღუმელებია, იქ ფოლადი იგრე ხაფხაფებს, როგორც ლობიოს შეჭამანდი. ქარხანანი დიაციც ბევრი მუშაობს, მაგრამ სულ მსუბუქ სამუშაოზე დგანან, ორთქმავლებს და მოძრავ ხიდებს ატარებენ, ვაჟები ღუმელთან დგანან და ფოლადს აღულებენ. ეგრეთი სიცხე მოდის, მიკვირს, როგორ არ ვიწვით მწვადივითა, გარეთ კი ეგრეთი ყინვაა, გააფურთხებ, ძირს ვერცხლის აბაზივით ვარდება. ჩასაცმელი ტალავარი, ბამბიანი ქურთუკი და ბამბიანი შარვალი გვაცვია. ჯერ გზათ რომ ვიყავით, იგრეთი ტილები დაგვესია, ძლიერ შევწუხდით, მერე აბანოში წაგვიყვანეს, წამალი რამე მოგვაყარეს და ახლა აღარ გვაწუხებს. აქ სუ რუსებია და თათრები, ყველა რუსულად უბნობს. მე ცოტა ვისწავლე. აქ სამ წელიწადს ვიქნებით. ოსტატობას რომ ვისწავლი, თბილისში დავბრუნდები. ქალაქის ახლო ქარხანა შენდება. იქ ვიმუშავებ.“

წერილი რომ დაამთავრა, ფრთხილად მიმოიხედა, უნდოდა დაენახა, აბა როგორ გავგზავნიან წერილს და მისამართს როგორ დაწერნო. თვითონ ჯერ არასდროს არ გავგზავნა სადმე წერილი და რა იყო ამისთვის საჭირო ან სად უნ-



და წელი და ჩაებარებინა, არ იცოდა. გაგონილი ჰქონდა, რომ წერილს უნდა დააკრან და ხევესურეთიდან თუ ვინმე აგზავნიდა ბარათს, ყოველთვის ფოსტალიონს ატანდა. აქ კი სად უნდა ეძებნა ეს ფოსტალიონი, ხოლო ფოსტის ყუთები თუ არსებობდნენ, ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. კითხვა ერცხვინებოდა. ყოველ ადამიანს შეხვედბა ცხოვრებაში ასეთი რამ და ხშირია როდესაც არა თუ მთებში გაზრდილ ვეფხიასმაგვარ ახალგაზრდას, არამედ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანს შემთხვევით რაიმე ელემენტარული საყოფაცხოვრებო დეტალის ცოდნა გამორჩება და მერე კითხვაც უჭირს, რცხვინია, ასეთი რამის უცოდინარობა არავინ შემამჩნიოსო. ასევე იყო ჩვენი ახალგაზრდა მთიელი, რომელიც თავის ცხოვრებაში პირველად აგზავნიდა წერილს და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა იყო ამისთვის საჭირო, ამიტომ მან გადაწყვიტა, ჩემჩუნიად ეთვალთვალებინა და როგორც სხვები მოიქცეოდნენ, მასაც ზუსტად იგივე გაემეორებინა.

*
* *

მარტო ფოლადის სადნობ მარტენის ღუმელით არ იფარგლებოდა ვეფხიას ცნობისმოყვარეობა. ის როგორც ნამდვილი მთიელი, რომელიც არ არის შეზღუდული არავითარი სავალდებულო წესებით და არც კი ესმის, რა არის, ან რა არ არის აკრძალული, ყოველ თავისუფალ დროს თამამად იწყობებოდა ყველგან, უკირკიტებდა ყველაფერს, ხან მიუბუღებდა ქალიშვილს უტრიალებდა და ფარების ავტომატურ აწვევ-დაწვევას სწავლობდა, ხან სათბობის ხარჯვის, ტემპერატურის და სხვა ამგვარ ჩამწერ აპარატურას ათვალეობდა, ხან ექსპრეს ლაბორატორიაში შეძვრებოდა და ლაბორანტ ქალიშვილების მუშაობას ადევნებდა თვალს, ხან სად იყო და ხან სად. ერთხელ ხიდური ამწეს კოშკურაში აძრომა მოინდომა. ქვემოდან ის არც თუ ისე მაღალი ეჩვენებოდა და თამამად დაიწყო ასვლა ვერტიკალურ კიბეზე, რომლის ყოველი საფეხური რკალით იყო დაცული.

— სად მოძვრები, — უყვირა მას კოშკურიდან ლოყაწითელა ჩასკვნილმა ქალიშვილმა, რომელსაც დაბამბული შარვალი და ასეთივე ქურთუკი ეცვა, ხოლო თმა თავშალით ჰქონდა წაყრული.

— მაჩვენე რა. — შეევედრა ვეფხია.

ქალიშვილმა მას ენა გამოუყო, გადიკისკისა და ხიდური ამწე მეორე მხარეს წააგრილა.

ვის არ უნახავს სანადიმო სუფრაზე ზოგიერთი კარგა შეხარბოშებული ადამიანი, რომ აბორიალდება, ხან ერთ ჯგუფთან მივა, ორ მონადიმეს შორის თავს ამოპოყფს, ხელებს მოჰხვევს და სიმღერას მოუკიკინებს, ხან მოცეკვავეებში გაერევა და ერთიორჯერ ჩაბუქნავს, ხან სუფრის თავში გაჩნდება, ყანწს ხელს წამოუღვამს და საერთო ღრიანცელში თამადის ნებართვის გარეშე სადღეგრძელოს წამოიწყებს. ასე იყო დამთვრალი და გაბრუებული ვეფხია ქარხნის ამ ყოველდღიური გუგუნის, ხმაურის, ვაგონების, ხიდური ამწეების, ჩამტვირთი მანქანების მოძრაობის, ღუმელების ღმეილ-გრიალის ხილვითა და მოსმენით. ამიტომ დაბორიალობდა წაღმა-უკუღმა და ცდილობდა ყველგან დაეხივებინა ფეხი და ხელით ყველაფერს შეხებოდა.

— ეგ ბიჭი გაგიყდება ღმერთმანი! — უთხრა გიგამ ამხანაგებს და ზემოთ ასძახა, — სად ასულხარ. შე შტერო, ჩამო ძირს!

— რას შევბი, ბიჭო, შენე! — შეუძახა შუბითიძემ, — ნუ მოგვჭერი თავი.

• ვასილ ივანიჩმა უღვაშებში ჩაიციინა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — შეხედე ამ ფოცხვერს, სად მისდევს გოგოს. გაიგო ალბათ, რომ ჩვენი

გრუშა, რაც ქმარმა მიატოვა, გახელებული დასდევს ბიჭებს, — მერე ხელი დაუქნია. — არსად გაგექცევა, თვითონ მოგნახავს, ჩამოდი.

გიგამ კარგად გაიგონა, რაც თქვა ვასილ ივანიჩმა და ისეთი გავაციცებით გახედა ხიდურ ამწეზე ჩამოკიდებულ კაბინას, თითქოს იქიდან ზღაპრული ფრინველი უნდა გამოფრენილიყო.

— რაო, რა თქვა, რა? — მივარდა გიგასთან შუბითიძე.

— არაფერი. — მოკლედ ესროლა გიგამ და მერე ვეფხიას ხელით ანიშნა ძირს ჩამოსულიყო და ასევე ხელით ვასილ ივანიჩზე მიუთითა, ვითომ გიჯავრდებო.

ვეფხია ნელა ჩამობობდა და დამნაშავესავით აიფხორა. ვასილ ივანიჩმა ხელი მოჰკიდა და ლიანდაგებს იქით გაიყვანა, აქ შედარებით ნაკლები გუფუნო ისმოდა.

— რა გინდოდა ზევით, — მკაცრად ჰკითხა მან, — გოგოს გამოეკიდე?

ვეფხიამ კითხვა ვერ გაიგო, რადგან რუსული ჯერ კიდევ იმდენი არ ესმოდა, რომ ზოგჯერ კუთხურ გამოთქმებში სწრაფად გარკვეულიყო. მაშინ ვასილ ივანიჩმა მეორედ უფრო მარტივი სიტყვებით ჰკითხა და ამ დროს მოახლოებულმა გიგამ კი უთარგმნა.

— გოგოსთვის ადიო? — უთხრა გიგამ.

— არა.

— მაშ რისთვის?

— მინდოდა მენახა, ის როგორ მოძრაობს, ამოდენა ხიდი. ან როგორ უნდა მართონ.

— იცი რა, შვილო, — სერიოზული სახით უთხრა ვასილ ივანიჩმა, — ფრთხილად იყავი. შენ აქ სოფელი ხომ არ გგონია. იქ ზემოთ ელექტრონის ღია კონტაქტებია, შენ რა იცი სად უნდა დააბიჯო, სად ხელი მოჰკიდო. ერთს დე-გარტყამს ხუთას ვოლტიანი დენი და ბელურასავით დაგანარცხებს ძირს. ნახვა და ცოდნა რომ გდომია, ეგ სანაქებოა, მაგრამ მოდი ჯერ ეს ისწავლე, რაზედაც დგხარ, მეფოლადეობა, მერე გინდა ხიდური კრანის მართვა ისწავლე, გინდა ბლუმინგისა. ზედმეტი ცოდნა კაცს არ აწყენს, მაგრამ აქ დისციპლინას უნდა დაემორჩილო და უფროსის ბრძანების გარეშე ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი არა გაქვს.

— მერე და ვინ არის ჩემი უფროსი? — იკითხა ვეფხიამ.

— აქ ღუმელთან მე, გენია ბურაკი, დანილა სტარიკოვი, ვანკა ვლუხიხი და სხვა დანარჩენ ადგილას ყველა, ვინც თავის საქმეზე დგას, აი, ის მებულტე ქალიშვილიც, ის ლაბორანტიც, ის მემანქანეც, ორთქლმავალზე რომ ზის. ყველა თავის უბანზე პასუხისმგებელია და მათ საქმეებში არავის არა აქვს უფლება ჩაეროს ან ხელი შეუშალოს. იქ რომ ადიოდი კოშკურში, იქ, ის ქალი მუშაობს! შენ კი ხელი უნდა შეუშალოს. აი, დაამთავრებს ცვლის შემდეგ თავის საქმეს, მერე გინდა ელაპარაკე და გინდა...

აქ ერთი რაღაც დასძინა, რამაც საყოველთაო სიცილი გამოიწვია, ვეფხიას კისერში ხუმრობით წაუთაქა და ყველანი სამუშაოს დაუბრუნდნენ.

ამის შემდეგ ვეფხია უფრო თავდაპირილად იყო და თავაშვებული აღარ დაეხეტებოდა ხოლმე ყოველ თავისუფალ დროს. მართალია ხანდახან ავიწყდებოდა თავდაქერა და ხან სად უკირკიტებდა ცნობისმოყვარე მელაჩავით და ხან სად მაგრამ ერთმა შემთხვევამ, რომლის უნებური მოწმე გახდა, არა თუ გადააჩვიდა ამ კირკიტს, არამედ კინაღამ სულ მიატოვებინა ეს ქარხანა.

მათი ღუმელის ლავგარდანზე წყალსადენის მილები დაზიანდა. რემონტის



ოსტატი ავიდა და ცდილობდა მიღები შეეკეთებინა, აიტანა ხელსაწყოები, იმუხლა და აუტანელი სიცხის მიუხედავად შეუდგა გახეთქილი მილის გამოცვლას. მას როგორც ეტყობა მეპულტე ქალიშვილი არ გაუფრთხილებია. ამ დროს კი ღუმელში აირის გადართვა ხდებოდა. მეპულტე ქალს ანიშნეს ფარი აეწია, მოულოდნელად ღუმელიდან ღრიალით გამოვარდა ჯოჯოხეთური ალის მთელი ღრუბლები, გაისმა გულშემშარავი ყვირილი და ნახევრად დამწვარი ადამიანი ზედ ლიანდაგებზე დაეცა.

აკივლა სირენა. მოცივდნენ მუშები.

ვეფხიას თვითონ, ცხადია, არ უგრძენია, როგორ გაქვავებულივით იდგა ერთადგილზე, ფერი სულ დაკარგოდა. მან თვალნათლივ დაინახა ცოცხალი ადამიანი რომ იწვოდა. მთელ ტანზე ისე მოდებოდა ალი, თითქო მისი ტანსაცმელი ქაღალდის ყოფილიყო ან ზედ ნავით გადაესხათ.

ვასილ ივანიჩმა მოისაზრა, ნიჩაბს ხელი დაავლო და აღმოდებულ ოსტატს კვარცის სილა მიიყარა. მას სხვებიც წაეშველენ.

სირენა კი გამუდმებით კიოდა.

მოვარდა თეთრხალათიანი ექიმი, სანიტრებმა საკაცე მოარბენინეს და ცოცხალმკვდარი ზეინკალი წაიღეს.

— გათავდა უბედური. — თქვა ვასილ ივანიჩმა და ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა. — საავადმყოფომდე ვერც კი მიიტანენ ცოცხალს.

მერე თავის შეგირდებს გადახედა და მზერა ეფეხიაზე შეაჩერა:

— რაო, ტიგრა, საშინელება ხომ? ასეა, შვილო ჩემო, ჩვენი შრომა ფრონტზე ნაკლები როდია.

მაღე საამქროში გაჩნდა ქარხნის დირექტორი, საამქროს უფროსი მთავარი ინჟინერი, პარტორგანიზაციის მდივანი და გამოძიებელი და დაიწყო საქმის ადგილზევე გამოძიება.

ბიჭები კარგა მოგვიანებით დაბრუნდნენ შინ. მართალია ცვლა ადრე დამთავრდა, მაგრამ ისინი ვაუცაცობით აღევნებდნენ თვალს გამოძიების წარმოებას, თვითონაც აძლევდნენ ჩვენებებს, რაც საკუთარი თვლით ნახეს და როდესაც საამქროდან გამოვიდნენ, უკვე ღამის სამი საათი იქნებოდა (ისინი ახლა მერე ცვლაში მუშაობდნენ), ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა და შინამდე ფეხით მოუხდათ სიარული. უკვე ისე ძალუმაღ აღარ ყინავდა, მაგრამ ოც გრადუსს მაინც აღწევდა.

— ამისთანა ყინვაში რო კაცი ცეცხლში დაიწვები, მართლა ცოდვა ხარ. — თქვა ჭიჭიკო შუბითიძემ.

— კაცო, რა მიეკირს იცი: ეს ყინვაც რო ცეცხლივით გწვავს, ეს ბემურახი. — შენიშნა ჰაიკამ. — გუშინ სველი ხელი მოვიკიდე კარის ვასალებს. აჰა, ნახე, როგორ დამწვა, ზედ მიეკრა ხელი. არა ძმაო, ფრონტზე წასვლა მირჩევენია. იქ ტყვია თუ მოგხვდა. უცბათ მაინც მოკვდები, აქ ან ცეცხლი დაგხრაკავს ან ყინვა.

— კარგია ერთი, რა მოგივიდათ, — შეუტია მათ გიგამ, — უბედური შემთხვევა იქ კი არა, აი ასეთ სწორ გზაზეც შეიძლება შეგემთხვას ადამიანს. მაშ როგორ გგონათ, ისეთ სამუშაოს მოგართმევენ, სადაც ყველაფერი თავისით კეთდება და შენ მარტო დო უნდა ყლაპო?

ჰაიკამ არ უპასუხა. დანარჩენებიც ჩუმად მიაბიჯებდნენ.

— განა ცეცხლი ეცა, თუ ყინვა იმ ჩვენ ვანიკოს, აქ რომ კისერი მოიტეხა და ახლა ამ გაყინულ მიწაში წევს. — განაგრძო მცირე ღუმილის შემდეგ გიგამ. — სიკვდილი ვის სად დაგეწევა ადამიანს, რა იცი?! ვანიკოსაც უბედური



შემთხვევით მოელო ბოლო და ამასაც. აქ თუ წარმოებას დააბრალებ, იქ ვინაა ბრალის მქონე? უნდა დააბრალდეს? სიმონას?

— მისი რა ბრალი იყო, თითონ აღარ მოეშვა. — უთხრა ჰაიკამ.

თედო გაგლოშვილმა ქურთუქის აშლილ საყელოში ჩამალული ცხვირი გარეთ გამოჰყო და იკითხა:

— ერთი ეს მითხარით, კაცო, ამ ამბავს ვის დააბრალებენ, ვასილ ივანიჩს?

ამ შეკითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა, ეს მეპულტე ქალიშვილის ბრალიაო, ზოგი გენია ბურაკისო, რომელმაც ანიშნა ფარი გახსენიო, ზოგი ვანკა გლუხიხს აბრალებდა, ის იღვა აირის ონკანებთან და აირი იმან გადაროო, ზოგი კი ვასილ ივანიჩზე მიუთითებდა, ლუმელის ხაზეინი, ცვლის განმავლობაში, ის არის და პასუხს ალბათ მას მოსთხოვენო.

ბოლოს როგორც იქნა დაღლილ-დაქანცულები მივიდნენ ბინაში, მაშინვე გაიხანდა და ლოვინებში შეგორდნენ.

ყველას დაეძინა. ვეფხიას კი გათენებამდე თვალი არ მოუხუტავს. სულ ელანდებოდა ლიანდაგზე დავარდნილი მთლიანად აღმოდებული ძამაკაცი, დუმელიდან გამოვარდნილი აღრიალებული ცეცხლის წითელი ღრუბლები და სიჩინის გულშემზარავი კვიცილი.



არჩილი აფორიაქდა. აქამდე თითქო დალაგებული ჰქონდა საქმე. ჩრდილოეთის სიცივეების ეშინოდა, მაგრამ ეს დაბრკოლება გადალახული იქნა. ახალგაზრდებიც შეეგუენ მაგარ ყინვებს, თანაც სითბოთაც იმატა. ახლა ყველანი დადიოდნენ სამუშაოდ. თვით გოგონებიც ხომ სანიმუშო შეგირდები აღმოჩნდნენ, სამართავ პულტებზე უკვე დამოუკიდებლად შეეძლოთ მუშაობა. ასე რომ ყველაფერი წესიერად მიმდინარეობდა, ამ უბედურ შემთხვევას რომ არ აერია ბიჭები.

ჯერ ბისმარკა სამსონიშვილს გაევერცელებინა ხმა: სულ ტყუილია, ვითომც საქართველოში მეტალურგიულ ქარხანას აშენებდნენ, ამხელა ქარხანა რომ ააშენონ, ოცდაათი წელიწადი დაჭირდებათ, ეს იმისთვის გვითხრეს, რომ გავრეკტყულებით და სამუშაოდ აქ გვეტოვებენო.

ამ მძიმე განწყობილებაზე, ასეთმა ჭორმა, თოფისწამალივით იფეთქა ბიჭებში და ყველას ცეცხლი შეუკიდა.

ამას ზედ დაერთო ისიც, რომ თბილისიდან წამოდებული სურსათი გამოეღიათ, აღვილობრივ საქმელებს, წყალწყალა უხორცო შავ სუპს და კომბოსტოს კატლეტებს ქართულ საქმელებს შეჩვეული ახალგაზრდობა ვერ შეეგუა. სასაღილოში დაავლებდნენ საინებს ხელს და სუპს, დაურიდებლად, ერთის მოქნევით ღვრიდნენ ხოლმე იატაკზე. არჩილი დეპეშებს დეპეშებზე გზავნიდა თბილისში, სურსათი მომავლელთო, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭებმა არჩილს მოციქულები მიუგზავნეს: ყველანი სამშობლოში დაგვაბრუნეთო.

მოციქულებად აჰმედ მოწყობილი, ძიკი დანელია და სიმონა აღფაიძე არჩიეს.

— არჩილ, გენაცვალე, — დაიწყო ძიკი დანელიამ, ის ასო ლასს რბილად გამოთქვამდა და მისი „გენაცვალე“ მოისმოდა როგორც „გენაცვალიე“. — გვიშველე, დაგვაბრუნე ყველა სახლში. რას გვერჩით ამ ხალხს?! არაა ეს ჩვენი



საქმე. გარეთ ყინვამ გავგათავა ხალხი, შიგნით ცეცხლმა დაგვხრავა. საკმარისი არაა და სასმელი, ჩვენ აქ გვეგონა სასწავლებლად მოვიდით და თურმე აქ გვტოვებენ ყველას. რათ უნდა დაიღოთ ჩვენი დედამისი ცოდვა...

— არა გრცხვენიათ, თქვე გლახებო, თქვენა! — უთხრა მათ არჩილმა და მრისხანედ შეიკრა წარბები, — თქვენ თუ იციოთ თქვენისთანა დეზერტირებს ფრონტზე როგორ ვეპყრობოდით! ამოვიღებდი ჩემს ტეტეს და... წკამ! იქვე დავაგდედდი ძირს. გასწით ახლავე აქედან და მეორედ აღარ გავიგონო ასეთი ლაპარაკი, თორემ სანაწებლად გავუხზდი ყოველ თქვენგანს.

ძიკიმ ველარ გაბედა სიტყვის შებრუნება და თავდახრილი ამირებდა უკან გაბრუნებას, მაგრამ ახლა აჰმედი ჩაერია ლაპარაკში:

— ჩვენ რას გვერჩით, არჩილ ბატონო. იმგენმა აგვირჩიეს და მოციქულად გამოგვგზავნეს. — უთხრა აჰმედმა არჩილს და ქვეშევეშ გახედა, აბა ერთი რა შთაბეჭდილებას მოახდენს სიტყვის შებრუნებამ.

— ვინ იმგენმა, ბიჭო, რას ლაპარაკობ? — შეუტია არჩილმა.

— ჩვენმა ამხანაგებმა. ყველამ თქვა, ატანა აღარ შეგვიძლია, ჩვენს ცოდვას ნუ იღებთ კისერზე, აქედან გავვიშვით და სადაც გინდათ იქ გვაშუშავეთო.

— ნუ ცრუობ.

— სიცრუე რა საკადრისია, წამობრძანდით თუ ტყუილს ვამბობ, თითონ ნახავ შენი თვალებით და შენი ყურებით მოისმენ!

არჩილი ერთხანს გაოგნებული შესცქეროდა ხან ერთს და ხან მეორეს, მერე დაავლო ქუდს ხელი, ჩაიკვა თავისი ცხვრის ტყავის ქურჭი და საერთო საცხოვრებლისაკენ გაეშურა.

შეგირდების უმრავლესობას ერთ დარბაზში მოეყარა თავი და ყველანი თავაშვებულად ყაყანებდნენ. ყველაზე მეტს ენაგადმოგდებული ბისმარკა ტლიკინებდა. რაკი დაინახა — ბიჭები ამყვენო, მოჰყვა, მაგრამ რას მოჰყვა.

— ვაი ჩვენს თავს, რავე თხებივით წამოგვრეკეს ყველა. მე რაი მენადვლება, კი შევეჩვიე ამ დასალუბავს, თქვენ მეცოდებით ყველაკაცი. რავე ჩვენისნებით გავგაციმბირეს, აი მკლავს, თვარა, ისე რას ვჩივი. ერთი ორი ლუკმა კი გვექნება, აი ნარეციბი, ბორში დოურქმევიენ, და მეტს მაინც არ გვაღირსებენ, გინდა აქინე იყავი, გინდა იქინე. აი ყინვამ თუ არ დაგვეუყა, აი ქარხანა მოგვითავებს ხელს. გუშინ ი კაცი რო დეიწვა, გუშინესწინ საგლინავში ხელი მოტაცა ერთ კაცს და კი მოსხიპა მკლავი შიგ ძირში. აი არ იცოდით? აღფაიძებმა იციან, იგენს უყურებიათ. აქ თურმე დღეში ხუთი-ათი კაცი რო არ მოკვდეს, ან არ დეიწვას, ან მანქანამ არ გასრისოს, ისე არ შეიძლება თურმე. კითხეთ ვისაც ვინდებიენ. იი, გოგო რაა, ჩვენთან მორიგე, შურა, იმან მითხრა, თქვე უბედურებო, აქ რაი მოგარბენიებდნო, მე იმაზე ვოცნებობ, თქვენს დალოცვილ ქვეყანაში ჩამოვიდე და რამ გაგააბდლათ თქვე უბედურებო? ამოვიღოთ ხმა. არჩილი ვინაა, დედამისის შვილია, ნუ გავვიშვებს, თუ ყველა..

სწორედ ამ დროს შემოვიდა არჩილი ოთახში და ბისმარკას სიტყვა პირში შერჩა.

ჩამოვარდა საოცარი სიჩუმე. ეტყობოდა ყველანი აქ მოგროვილიყვენ, რადგან საერთო საცხოვრებლის ეს დიდი ოთახი მთლად გაჰყვდილი იყო. თითო ლოგინზე ოთხი-ხუთი ბიჭი იჯდა. არჩილის შემოსვლაზე ყველანი ფეხზე წამოიშალნენ.

— დასხედით. — უთხრა მათ მოკლედ არჩილმა და დარბაზს თვალი მიმოავლო. მერე ხმამალა იკითხა: — ვის უნდა შინ დაბრუნება?

ვერავინ ვერ ბედავდა ხმის ამოღებას.



სათითაოდ ყველამ ბისმარკას შეხედა. არჩილმა უნებურად გააყოლა ხელი, საითაც ახალგაზრდები იქცირებოდნენ და ბისმარკას წააწყდა.

ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— რაშია საქმე? — მკაცრად ჰკითხა არჩილმა.

ბისმარკა დაიბნა. უმწეოდ მიმოიხედა. უნდოდა ამხანაგების თვალებში თანაგრძნობა და შეელა დეინახა. ამის ნაცვლად მათ დამცინავ გამოთქმეყველებას წააწყდა. მიხვდა, რომ ყველამ მიატოვა. არცეი ესმოდა რისთვის აღმოჩნდა ის მარტოდმარტო, პირისპირ არჩილთან, მაშინ როდესაც ბიჭები, მანამდე, თითქმის მთლიანად თანაუგრძნობდნენ, ხოლო ისინი, რომელნიც აშკარად არ გამოთქვამდნენ თავის განწყობილებას, ან წინააღმდეგნი იყვნენ, როგორც მაგალითად გიგა ბეჟანიშვილი, ასტამურ ტანტიბა, ჭიჭიკო შუბითიძე და ზოგიერთი სხვა, ისინი უბრალოდ სდუმდნენ და კამათში მონაწილეობას არ იღებდნენ. მაგრამ დარბაზის ეს თანაგრძნობა შეიძლებოდა კიდევაც აფეთქებულიყო, რომ ბისმარკას ზედმეტი არ მოსვლოდა და ასე თამამად არ ესროლა გამოწვევა არჩილსათვის. ამ საბედისწერო ფრაზამ, — არჩილი ვინაა, დედამისის შვილია ნუ ვაგვიშვებსო — და სწორედ იმ წუთში არჩილის შემოსვლამ წააგებინა ბრძოლა ბისმარკას. ყველა ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, აბა რას იხამს ეს ჩვენი ენატარტალა ორატორიო. ვინ იცის, იქნებ ბისმარკა რომ არ დაბნეულიყო და თამამად შეეტია არჩილსათვის, ერთხანს მართლაც შეიძლება გამოეწვია ერთგვარი არეკლარევა, მაგრამ ახლა, როდესაც იძულებული გახდა მოულოდნელად ხმა ჩაეკმინდა, მორჩა, ბრძოლა წაგებული ჰქონდა.

ცოტა ხანს ისეთი მძიმე, ლოდევით სიჩუმე ჩამოვარდა. აშკარად მოისმაცენტრალური გათბობის ბატარეის ოღნავი სისინი. მიღში ერთ ადგილას, ცოტაოდენი ორთქლი გამორდიოდა და წვეთავდა.

— აი, ახლა... — ბისმარკამ კიდევ მოავლო თვალი ყველას და როდესაც შეატყო გლახადაა საქმეო, ელვის სისწრაფით მოისაზრა: როგორ ესხნა თავი. — აი ახლა მე წამაქეხეთ და ყველაფერი გინდათ მე დამაბრალოთ? მე თუ მკითხავთ, ძალიანაც მომწონს აქაურობა და აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

მერე არჩილს მიუბრუნდა და განაგრძო:

— არჩილ, აგენმა აჩემეს, თვარა მე რაი, მე აქ კი დავსახლდე მგონია, აგენმა წეიგდენ ენა, მოგვატყუეს, საქართველოში არაფერი ქარხანა არ შენდება, ჩვენ გამოგვიტყუეს და აქ გვიპირებენ დასახლებასო...

ამის თქმა და მთელ დარბაზში ხარხარი ატყდა, იცინოდნენ, იმიტომ კი არა, რომ ამ ამბავში რაიმე სასაცილო იყო, არამედ იმიტომ, რომ ბისმარკამ ასე უტბად შეიცვალა პოზიცია და საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყო.

— ეგ, ბიჭო, შენ თითორა თქვი და ახლა ჩვენ გვაბრალე? — უთხრა გიგამ, ლოგინებს შორის გაიარა და თავზე დამუქრებული დაადგა.

— რა ვთქვი მე?.. — აირია ბისმარკა.

— შენ მოიგონე, საქართველოში არავითარი ქარხანა არ შენდება და მოგვატყუესო. ხომ ასე იყო, ბიჭებო? — მიუბრუნდა ამხანაგებს გიგა.

— აგრე იყო, აგრე. — იყვირეს ყოველი მხრიდან.

— მაი მე არ მიტყვამს.

— აბა ვინ თქვა?

— რა ვიცი მე. ყველა ლაპარაკობდა, და მეც ვთქვი.

— დაიკარგე აქედან, გიცანით რაც კაცი ყოფილხარ. — უთხრა გიგამ და მერე არჩილს მიუბრუნდა: — ვისი ბრალიც უნდა იყოს, ეს ცხადია, რომ ჩვენი ბიჭები ცოტა არ იყოს ურევენ. რაც მართალია, მართალია. ამის მიზეზი ეს



დიდი ყინვები იყო, მაგრამ ამას როგორც იქნა გავუძელით, შევეჩვიეთ. ამ ყველაფერში მა საჭმელმა მოგვითავა ხელი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მარტო თქვენ მოვითავათ ხელი და მე არა? ან, იქნებ გგონიათ, მე, სადმე, ბლამანყეს მივირთმევ და თქვენ მშვიდს გამყოფებთ, განა მეც თქვენთან ერთად არ ვსადილობ? — ისეთი საყვედურით თქვა არჩილმა, რომ ბიჭებმა უნებურად ჩაჰკიდეს თავი. — თქვენ ახალგაზრდები მაინც ხართ და გაძლება შეგიძლიათ, ჯანმრთელი ორგანიზმი გაქვთ, მე კი ფილტვებში ყუმბარის ნაშხვრევეები მიზის და რაც სისხლი დავკარგე, კრილობების შემდეგ, ნახევარიც არ არის ჯერ აღდგენილი. ექიმებმა მითხრეს, ყოველ დღე ასი გრამი კარაქი მაინც უნდა ჭამო. კარაქი კი არა, ერთ ამოწება ლობიოში სულს მივცემდი, ღებუშა ერთი კვირაა რაც მივიღე, პროდუქტები გამოვავაზენეთო, ყოველ დღე ზიარებდასავით ველი, დაავიანდა, რა ვქნა! რომ შემეძლოს რაიმე დავაჩქარო, თქვენ არ გეითხავდით და გადმოვავტენდით აქ, მაგრამ რომ არ შეიძლება! რაც შეეხება, თითქო აქ გამოგეტყუეთ და საქართველოში ვითომ ასეთი ქარხანა არ შენდებოდეს, ამისთანა სისულელეებს თავი დაანებეთ. თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს მე ჩემი სახლკარი, ჩემი საკუთარი ოჯახი და ჩემი სამშობლო კუთხე. ჩემი სამშობლო კი, ვატყობ, თქვენზე უფრო მყვარებია, იმით, რომ სწორედ იმ ჩემი საქართველოს გულისთვის, რომ იქაც აშენდეს და ამუშავდეს მეტალურგიული ქარხანა, წამოგყვით აქ, თქვენთან ერთად ვიტან ამ გაქირვებას და ერთხელაც არ ვამბობ საყვედურს, თორემ სახლში დედაჩემი ძალიან კარგად მომივლიდა. ახლა ამით დავამთავროთ ეს საუბარი, მაგრამ კიდევ რომ გავიფიქრო თქვენგან ასეთი რამ, მაშინ ბოდიში და ცოტა სხვაგვარად მოგემუხაიფებთო.

ესა თქვა და მაშინვე გავიდა ოთახიდან. ბიჭები ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე ერთბაშად ატყდა წარმოუდგენელი ყაყანი. ყველანი ბისმარკას შემოეხვიენ და ხელების ცეცებით, თითქოს ერთმანეთისათვის თითები უნდოდათ სახეში ეტაკებინათ, ყვიროდნენ და ჩხაოდნენ: „შენ არ თქვი!“ „მე როდის ვთქვი?“ „შენ არ იყავი?“ „მე კი არა, შენ!“ „თვითონ გვაქვებდი და ახლა მეღიასავით გაუწევი“. „წადი, დაიკარგე“. „შენ თითონ დაიკარგე!“ „დაიცა და დაგამუშავებთ კომკავშირის კრებაზე!“ „ფეხებსაც ვერ მომჭამ“. „ვენახოთ!“ „შენ ვინც შეგიშინებია, ის შეაშინე!“ „თორემ დიდი ვაჟკაცი მყავხარ!“ „თუ არა ვარ, გიჩვენებ“. „მუხტი ახლა ქანდარაზე“. „გაშა გურული“. „კარგი ახლა, გეყოფათ, სირცხვილია“. „ე ბიჭო, გაჩუმდით, ნუ მოგვეჭირით თავი“.

მარტო ვეფხია არ მონაწილეობდა ამ ყაყანში. ის ჩუმად იჯდა თავის ლოჯინზე. მერე ადგა, გავიდა დერეფანში და მორიგე ქალიშვილს ჰკითხა:

— სად წავიდა არჩილი?

— თქვენს გოგოებთან შევიდა ოთახში. — უთხრა შურამ და მერე ღიმილით ჰკითხა: — რა მოხდა თქვენთან? რაზე ჩხუბობთ?

— არაფერზე. — უხასიათოდ უბასუხა ვეფხიამ და ქალიშვილების ოთახისაკენ წავიდა. მას გუნებაში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მისულიყო არჩილთან და ამ ცხელ გულზე, სხვებისაგან დაფარულად განეცხადებინა, რომ მას უკვე საბოლოოდ და გადაჭრით გადაწყვეტილი ჰქონდა, თავის ნისლიან მთებში დაბრუნებულიყო.

აღმოდებული, ცოცხლად დამწვარი ადამიანის ლანდი მოსვენებას არ აძლევდა. როდესაც არ ეძინა, კიდევ არაფერი, არ ელანდებოდა, მაგრამ დახუჭავდა თუ არა თვალს, მაშინვე წარმოუდგებოდა ეს საშინელი სურათი.

შეალო კარები და შეჩერდა. ქალიშვილები გარს შემოხვეოდნენ ლოჯინზე



ჩამომჯდარ არჩილს. ლოგინის თავთან ზიზო ჩამოსკუპებულყო და სხვა-სხვა პით უამბობდა, რაც საკუთარი თვალით ენახა. თურმე ზიზო მამინ მარტენის მეორე თუ მესამე ღუმელის სამართავ პულტზე მუშაობდა, როდესაც სირენის-ღრიალი მოესმა.

— გამოვცვივდით და რას ვხედავთ, კაცი აგდია და ცეცხლი უკიდია. — იტაცა ხელები ზიზომ, — ამის მსგავსი არაფერი მინახავს.

— არ შეგეშინდა? — ჰკითხა არჩილმა.

— არ ვიცი, შეშინებით როგორ არ შემეშინდა, მაგრამ ყურებით ვუყურებ. მერე მივარდნენ და სილა მიაყარეს ნუშებმა. დააქვრეს და წაიყვანეს. ნეტავ გადარჩა? — ჰკითხა არჩილს ზიზომ.

— არა. ორი საათი იცოცხლა, მხოლოდ, იღბლად, გონს რომ მოიყვანეს და მორფით ტკივილები გაუყურეს, მოასწრო გამომძიებლისათვის ეთქვა, არავინ დამნაშავე არ არი, დამავიწყდა მეპულტე ქალიშვილი და ოსტატი გამეფრთხი-ლებინა, ისე ავედი მილის შესაკეთებლად. უბედურმა იფიქრა, მაინც დამინახავენ და გაფრთხილება რა საჭიროაო, ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ როდესაც ჩაიჩოქა, მას ლავგარდანი ფარავდა და ქვემოდან არ მოჩანდა. ერთი სიტყვით, კიდევ კარგი, რომ თქმა მოასწრო, თორემ მეპულტე ქალსაც და ოსტატსაც სულ უჯანასკნელი ათ-ათი წლით მაინც ჩასვამდნენ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ლამარამ მძიმედ ამოიოხრა და თითქო თავისთვის წაიდუღუნა:

— ოჰ, რა ძნელი ყოფილა წარმოებაში მუშაობა. ასე რომ მცოდნოდა, აქ როგორ წამოვიდოდი.

— თორემ სოფელში ადვილია, — შეედავა ზიზო. — უბედური შემთხვევა იქ არ მოუვა კაცს თუ რა? შარშან ბრ იყო, ისიდორეს ბიჭი, როგორი ვაჟკაცი, ხემ რომ გასრისა! ეზოში მუხას ჰტირდნენ, არ ელოდნენ, უცბათ წაიქცა ხე და მოიყოლა ქვეშ ამისთანა ვაჟკაცი. საღ რა შეგემთხვევა აღამიანს, რა იცი!

ვეფხია ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა. ის ისე შევიდა ოთახში, ვერც კი შეამჩნიეს, შედგა და როდესაც მოისმინა, რასაც გოგოები ამბობდნენ, საღლატ-გულის სიღრმეში, სინდისი ქენჯნამ თუ თავმოყვარეობის გრძნობამ გაიღვიძა. მას დიაცები უფრო გულადები ყოფილან, ვიდრე ვეფხია. ხედავთ, როგორ ლაპარაკობენ. არც გაქცევას აპირებენ, არც ტირიან, თუმცა კიდევაც უნდა ტიროდნენ და კიდევაც ბარგს აწყობდნენ გასაქცევად.

— დიაცმა მაჯობოს? — ისე მწვავედ გაჰკრა გულში, რომ არავინ შემამჩნიოს რამეო, მაშინვე მობრუნდა და ფეხაკრეფით გაიპარა ოთახიდან.

ეს იყო ვეფხიას უჯანასკნელი შებრძოლება საკუთარ თავთან. ამის შემდეგ მას გაქცევაზე აღარ უფიქრია.

*
* *

მოთლოდნელად მალა აფრენილ შუშხუნასავით გაიხმაურა და გაანათა თბილისელი ბიჭის ესტატე მელბიშვილის სახელმა. ყოველ კუთხეში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყველანი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობდნენ.

— გაიგე!

— ჩახმახას რა უქნია, ხედავ?

— ჩახმახა რომელია?

— აი, ესტატე, ჩვენი, მელბიშვილი.

— ჩახმახა როგორ არ ვიცი. მირონის ბიჭია.



- ამბობენ, შეიძლება ორდენზე წარადგინონო.
- არა, ბიჭო, ორდენზე კი არა, ფლაგზე.
- შენ ნახე, თუ არა...

ვეფხიამ არც კი იცოდა, ვის შესახებ ლაპარაკობდნენ. ხოლო როდესაც დაანახვეს, მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ეს ბიჭი იმავე ლუმელზე მუშაობდა, რომელზედაც თითონ, მხოლოდ არა ვასილ ივანიჩთან, არამედ მეორე ცვლის, ოსტატთან, ტიმურ კასიმბაევიან.

წინა დღით ლუმელის თალი რამდენიმე ადგილას დაზიანდა და საჭირო შეიქნა მისი შეკეთება. ამიტომ როდესაც ლუმელი დაცალეს, მთელი დღე აცივებდნენ, შემდეგ ქვედა ასევე ცივი ჯართით და ფლიუსით ამოავსეს და როდესაც ჩათვალეს, რომ შესაძლებელი იყო შიგნით შესვლა, შეუდგნენ ლუმელის თალის შეკეთებას. ამისთვის საჭირო იყო შიგნიდან დაზიანებულ ადგილებზე რკინის ფურცლები აეკრათ, რომ ზემოდან ეს ხვრელები აგურით ამოეშენებინათ.

მართალია ლუმელი გაცივებულად ითვლებოდა, მაგრამ რემონტზე მომუშავეს მხოლოდ ორ წუთს შეეძლო შიგ დგომა და მუშაობა, ისიც სველი ტანსაცმლით, და მალე იგი მეორეს უნდა შეეცვალა. ასე რიგრიგობით ძებროდნენ ბიჭები და ცდილობდნენ, ჯერ გამოენგრიათ თალის დახეთქილი ადგილები და შემდეგ ქვემოდან აეკრათ რკინის ფურცლები.

ამ სამუშაოებს საერთოდ ქარხანაში საგანგებო სარემონტო ბრიგადები ასრულებდნენ, მაგრამ ამ ომიანობის დროს, ვინაიდან ქარხანაში მომუშავე მამაკაცები თითებზე ჩამოსათვლელები იყვნენ, ეს საქმე ისევ ცვლაში მომუშავე მეფოლადეებს და მათს ხელქვეითებს დაავალეს.

— მდაა... ძნელი საქმეა. — წაიდუღუნა ვასილ ივანიჩმა, როდესაც გაიგო, რომ ლუმელის რემონტს უნდა შედგამოდნენ, — ახლა კი მართლა შევიწყვებით. ხახვი მაინც იშოვებოდეს, ჯიბეში ჩაიწყობდი. შემწვარს ხახვი უხდება. აბა, ბიჭებო, მაგრად იყავით. აი ეს კი ყველაზე სერიოზული გამოცდაა ჩვენთვის. ჩვენი იღბალი, რომ ლუმელში პირველად შესვლა ჩვენ ცვლას არ უწევს. ტიმურს მოუხდება მთავარი სითბოს შესრუტვა. ვნახთ რას იზამენ ბიჭები.

და, აი, როდესაც ტიმურ კასიმბაევის ბრიგადას წილად ხვდა პირველად შედგამოდა ამ ეგრეთწოდებულ „ცხელ“ რემონტს, სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩახმახას ბიჭობაც. მართალია, ის აქამდეც კარგად მუშაობდა და ოსტატის განსაკუთრებული ყურადღებაც კი მიიპყრო, მაგრამ ახლა ყველა განაცვიფრა. თითქმის ნახევარ საათს იმუშავა ლუმელში ისე, რომ გარეთ არ გამოსულა. ყველაზე გამოცდილი და ბევრის მნახველი მეფოლადეებიც კი გააოცა ამ ამბავმა და ისინი საგანგებოდ მოდიოდნენ, რომ თავის თვალთ ენახათ ამ ბიჭის ამტანობა. სანაძლეოებსაც კი დებდნენ, მართლა ამდენხანს გაძლებს თუ არაო. ის კი, თითქო არაფერიო, შევიდოდა ლუმელში და სანამ ცნობისმოყვარეები საათს დასტკეროდნენ და რემონტზე მომუშავე სხვა მუშები ყოველ ორ-სამ წუთში ხვითქვადადენილი და დამუდურული გამორბოდნენ ლუმელიდან, ჩახმახას არხინად განაგრძობდა ლუმელის თალის ჩხუკურს, ანგრევდა დაზიანებულ აგურებს, ასწორებდა ხვრელებს, ეხმარებოდა კალატოზებს. მერე პასკასავით აფუებული და ლოყებადაყდაყებული გამოდიოდა ლუმელიდან, უკვე მთლად გამშრალ და აბოლებულ ქუთრთუქს ანიაგებდა და როგორც კი ტანზე სიცივეს იგრძნობდა, ისევ შედიოდა ლუმელში.

როდესაც სამუშაოზე ვასილ ივანიჩის ჯგუფი გამოცხადდა, ვეფხიამ გუნებაში გათქვრა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩახმახას უნდა ვაჯობოო. მაგრამ

ლუმელში შევიდა თუ არა, ისეთი გავარვარებული ჰაერი დაეტაკა, მაშინვე ლუმელში გაიწურა, თავბრუ დაეხვა და რომ არ მიშველებოდნენ, გარეთაც ვერ ახერხებდა გამოსვლას, ორ წუთსაც ვერ გაუძლო ლუმელის სიციხეს.

— რაო, ტიგრა, გავიჭირდა? — ჰკითხა ვეფხიას ვასილ ივანიჩმა, — ნუ გეშინია, პირველად მეც აგერ დამემართა, მაგრამ მერე შეეჩვიე. დაჯექი, დაისვენე და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სცადე.

მალე თედოც გამოვარდა ლუმელიდან და ვეფხიას გვერდით მიუჯდა.

— უფ! — ქშუოდა თედო და ქურთუკის კალთებს აწინავებდა მთელ ტანზე ბული ასდიოდა. — ეს რა ყოფილა, კაცო.

— შეიწვი ფეხის კიტრით? — ღიმილით ჰკითხა ჰაიკამ.

— დაიცა, შედი და მერე ნახავ, — უთხრა თედომ.

— განა ვერა გხედავ, აგერ ვეფხიას რა მოუვიდა. შუბითიძეს პირველად გულიც შესწუხებია, ხელით გაშიტანეს. ეს ჩახმახა რასა შვრება, კაცო, ყველა გააგოჯა. ათი წუთი ასეთ ლუმელში გასძლონო, ისტორიას არ ახსოვსო. ამბობენ, ქარხნის დირექტორს უთქვამს, ეგ ვინ არის, გამაცანიოთო. აგერ ჩვენი გიგაც, შეხე რასა ჰგავს.

გიგა მდულრიდან ახლახან ამოღებულს ჰგავდა. ბული ასდიოდა მთელ ტანზე. მან ჰაიკას ანიშნა, შენი ჯერიაო. ჰაიკა გაიქცა, შხაპის ქვეშ დატრიალდა და როდესაც კარგად დასველდა, ლუმელში შევიდა.

გიგა კი ვეფხიას და თედოს მიუახლოვდა.

— ძნელია? — ჰკითხა ვეფხიამ.

— ვინც ეს გამოიგონა, მე იმისი... — მაგრად შეუკურთხა გიგამ. — მეთონეების მუშაობა მინახავს, თავდაყირა რომ ჩაეკიდებიან გავარვარებულ თონეში და პურს რომ ჩააკრავენ. რამდენჯერ მითქვამს, ასეთი ხელობა ბედს რომ ჩემთვის ერგუნებინა, ხომ თავს მოვიკლავდი-თქო. რის თონე, თონე ამასთან მაცივარია. ეს რა ყოფილა, კაცო. დედაჩემმა რომ იცოდეს, სად შევდივარ, დარღისაგან გული გაუსკდებოდა.

ვეფხიამ ისევ დაისველა ტანსაცმელი, თმები, ქუდი, და ლუმელში მეორედ შევიდა. ახლა უფრო შეეგოჯა სიციხეს, ერთ კუთხეში თვალი მოჰკრა რამდენიმე მუშას, ისინი ჩაქუჩებით ქერში დაზიანებულ აგურებს ანგრევდნენ და იქით მიამურა. სცადა ცოტა ხანს ემუშავა, მაგრამ თავბრუ დაესხა და ისევ უკან გამობრუნდა. ძლივს მიაღწია სარკემელამდე. ეგონა, მთელ ტანზე ცეცხლე წამეკიდო. გაბრუებული გამოვიდა ლუმელიდან და გატეხილ ციციხეზე ჩამოჯდა.

— დაისვენე, ტიგრა. — უთხრა მას ვასილ ივანიჩმა, — მესამედ კიდევ უფრო გაუძლებ, მეოთხედ ხუთ წუთს შესძლებ მუშაობას და მერე ვინ იცის, შეიძლება ჩვენც გვაჯობო.

— მაგას ყველაზე მეტად გაუჭირდება შეგუება. — უთხრა ვასილ ივანიჩს საიდანლაც მოულოდნელად გამოჩენილმა არჩილმა, მერე ვეფხიას მხარზე ხელი მოუთათუნა და ჰკითხა, — ძნელია?

— ძალიან. — ქოჩინით უთხრა ვეფხიამ. — ხევსურებს ვაჟაკობა მართო ხმლის ტრიალი გვეგონა. ბიჭობა მართლა აქ შესვლა ყოფილა.

— ეს მთიელია. — მიუბრუნდა ისევ ვასილ ივანიჩს არჩილი. — მთიელეები შეგუებულნი არიან მალაღმთიან ჰავას და ყველაზე მეტად უჭირთ ცუდი ჰაერის გადატანა. მაგათი უძლიერესი ვაჟაკი ციხის ჰაერს ორ თვეზე მეტს ვერ უძლებს. ამიტომ ყველაზე მეტად ამას ვუფრთხილდები.

— არა უშავს რა, ტიგრა ჩემი ფალავანია, — თქვა ღიმილით ვასილ ივანიჩმა. — საბოლოოდ, მაგან, ყველას უნდა აჯობოს. ახლა მაგ ჰედვის პროცეს-



შია, ამიტომ გასაქედ რკინასავით ხანდახან ცეცხლშიაც უნდა შევყოფნა. თავი ასეა ჩემო ტიგრა, შენ გგონია ამ ღუმელში მარტო ფოლადი მზადდება? არა, აქ ალამიანებიც იჭედებიან და იწრთობიან.

— თითქო ცხელი ურო დამტაკებოდეს პირში, ისე დამეჯახა ცხელი ჰაერი. — შესჩვილა ვეფხიამ არჩილს, — მეგონა გულმუცელი დამეწვა-მეთქი. სული შევიფუბე, უარესი მომივიდა.

ასე რიგრიგობით შერბოდნენ ბიჭები ღუმელში და იქიდან დამღურღურებოვით გამოდიოდნენ. თანდათანობით შეეჩვივნენ და ბოლოს გიგამ და თედომ ხუთ წუთზე მეტიც კი მოახერხეს ღუმელში დარჩენა. მარტო ვეფხია ვერ შეეგუა იმდენად, რომ თუნდაც ხუთი წუთი გაეძლო, მაგრამ მაინც მიღწევად მიაჩნდა, რომ გარეთ გამოსვლისას თავბრუ აღარ ეხვეოდა, ხოლო როდესაც მუშაობის დამთავრების შემდეგ შხაბით ტანი დაიბანა და ტანსაცმელი გამოიცვალა, საოცარი სიმსუბუქე იგრძნო. ათვრადუსიანი ყინვა არათუ არ აწუხებდა, პირიქით საამო სიგრილედ მოეჩვენა. გაღწევიტეს სახლამდე ფეხით წასულიყვნენ. მათთან ერთად მოაბიჯებდნენ ვასილ ივანიჩი და გენია ბურაკი.

ვასილ ივანიჩი თავის სახლთან შედგა და ბიჭებს უთხრა:

— აი რა, ყმაწვილებო, სახლში არაფერი არა მაქვს, მარტო ჩაით შემიძლია. გაგიმასპინძლდეთ. წამოდით ჩემთან, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ და უშაქრო ჩაით თავი შევიჭკითოთ.

— გამადლობთ, ვასილ ივანიჩ. — უხერხულად აიწურა გიგა.

— ჩვენ როგორმე შემდეგ. — წაიღუღუნა თედომ.

— ნუ გრცხვენიათ, ბიჭებო. — უთხრა გენია ბურაკმა ახალგაზრდებს, — ვასილ ივანიჩმა ასე იცის. ერთი ლუკმა რომ ჰქონდეს, შუაზე გაჰყოფს და იმაზე დაგბატყებს. წამოდით.

ეზოში შევიდნენ, გაიარეს თოვლზე გატყეპნილი ბილიკი და მიადგნენ კარიბჭეს. დაწალიკებით აიარეს კიბეები და ყრუდ დაკეტილ კარებთან შეჩერდნენ. ვასილ ივანიჩმა ზარის ფრთა შეატრიალა და გაისმა უღრიალი.

— მამა, შენ? აა? გენია! ესენი ვინ არიან?

— გააღე, შვილო, კარი. სტუმრები მოგიყვანე. ვეფხი მომყავს, ვეფხი.

— აა, შემოდით, შემოდით, — ანისკამ მიატოვა ღია კარი, უკან გაბრუნდა, ჯახუნით შეაღო მეორე კარი და ოთახებიდან მოისმა მისი ხმამაღალი ძახილი: — დედა, მამამ ვეფხები მოიყვანა.

სამზარეულოდან ევბრაქსია ივანოვანამ გამოჰყო თავი და მერე სტუმრებს ღიმილით შეეგება:

— მოდით, გაიძრეთ თქვენი ქურთუკები.

ვინაიდან ახალგაზრდები უხერხულად იწურებოდნენ და კედლებს ეკვროდნენ, ევბრაქსია ივანოვანამ ყოველ მათგანს სათითაოდ გააძრო ქურთუკი, ჩამოართვა ქუდი და საკიდზე დაკიდა. მერე ყველანი სასადილო ოთახში შეიყვანა. სადაც სასადილო მაგიდის გარდა ერთი გაწყობილი საწოლიც იდგა ყრუ კედელთან.

— დაბრძანდით ყმაწვილებო. ესენი არიან შენი შეგირდები? — ჰკითხა მან ქმარს.

— ესენი არიან, ესენი. — უთხრა მხიარულად ვასილ ივანიჩმა, — დღეს მაგათ მძიმე გამოცდა ჩამაბარეს, ცხელი რემონტი გექონდა და სასახელოდ იმუშავეს.

— ჩემო საბრალო შვილებო, როგორ მებრალეხით. იმ გავარვარებულ ღუ-

მელში როგორ შესძელით შესვლა? მე მიმუშავებ, რემონტების დროს კარის ხსნარი შეგვქონდა და აგურები. საშინელება.

— ლაპარაკს თავი დაანებე. ბულბულს იგავით ვერ გააძღობ, — შეუტია ცოლს ვასილ ივანიჩმა, — შენ, ერთი კარგი ჩაი დაგვაღვინე.

— ჩაი შეიძლება. სწორედ დღეს მომცეს დახურულ განმანწილებელში თქვენებური ნამდვილი ქართული ჩაი, ისეთი სურნელოვანი, პირდაპირ გაგბრუებს. ძველებური ვისოცკის ჩაი გამახსენდა.

— აბა მამო ჩქარა!

ევბრაქსია ივანოვანა სამზარეულოში წავიდა, ხოლო ვასილ ივანიჩმა ბიჭებს სკამებზე მიუთითა.

მეორე ოთახის კარების ღრიჭოდან ქერათმიანი ბავშვები იპყიტებოდნენ, შვიდი წლის გრუშა და თერთმეტი წლის მარია.

მოულოდნელად ამ ორ ბავშვს შორის თავი გამოჰყო ყველაზე უფროსმან ვანამ და ხმამაღლა დაიძახა:

— მამიკო, ანისკამ პომადა წაიცხო ტუჩებზე.

ახალგაზრდებმა ხათრიანად გაიღიმეს, ვასილ ივანიჩმა კი წარბშეკვრით უთხრა შვილს:

— იმიტომაცაა ქალიშვილი, რომ პომადა წაიცხოს, ის უკვე დიდია, შენ კი სხვის საქმეში არ უნდა ჩაერიო.

— მე არც ვერევი. — გაბუტვით უთხრა მამას შვილმა, ოთახში შემოტყაპუნდა და სტუმრებს გაკვირვებით შეაჩერდა. თან მძიმედ ქსინტავდა და ცხვირში თითს იკიტიინებდა.

ევბრაქსია ივანოვანამ მადლდარა შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. მერე პატარა ჩაიდანში ჩაი ჩაყარა, მადლდარას მიღზე დაადგა და ჭიქების გამოლაგებას შეუდგა.

— მე სულ მინდოდა კავკასიელები მენახა. — თქვა ევბრაქსია ივანოვანამ, — ბევრი გამიგონია კავკასიელებზე. მახსოვს ჩემი ბავშვობის დროს ერთი კავკასიელი იყო აქ. ისეთი თავზეხელაღებულო, ისეთი, რომ... მაგრამ თქვენ ისეთებს არ ჰგვებნართ. იქნებ სულაც არა ხართ კავკასიელები!

— აბა რას ლაპარაკობ, ეგენი ყველანი იქიდან არიან... — უპასუხა ვასილ ივანიჩმა. — ქართველები, სომხები, ოსები...

— მერე და, რა განსხვავებაა მათ შორის ან რატომ არიან ისინი კავკასიელები? — ჰკითხა ცოლმა.

ეს არც ვასილ ივანიჩმა იცოდა კარგად და დაიბნა, მაგრამ ანისკამ იხსნა. იგი მოულოდნელად შემოვიდა ოთახში და დედას უსაყვედურა.

— დედა, როგორ არა გრცხვენია, შენ ხომ დადიოდი სკოლაში. ეგ როგორ არ იცი, — მერე ახალგაზრდებს მიმართა: — ზრასტე!

ბიჭები წამოიშალნენ და სათითაოდ ჩამოართვეს ხელი. ანისკას ტუჩები მართლა შეეღება, რაც სულ არ შეეფერებოდა მის მეტისმეტად ბავშვურ გულუბრყვილო სახეს. შუბლზე წინამო დაეყენებინა, რუსულად „ჩოლკა“ რომ ეწოდება და მაგრად დაწული ქერა ნაწნავები თავზე გვირგვინვით შემოეველო. ხელის ჩამორთმევის დროს მარჯვენა მუხლს ოდნავ ჩაიკრავდა ხოლმე, თითქო რვეერანსს აკეთებდა და თავის სახელს იმეორებდა.

— რომელია თქვენს შორის ვეფხი, ა? — იკითხა ანისკამ.

ბიჭებმა ერთად მიუთითეს ვეფხიაზე. ის კი დარცხენილად აიწურა და თავი დახარა.

— ოი, ეგ სულაც არა გავს ვეფხს. — სიცილით და აღტაცებით თქვა ქა-



ლიწვილმა, — მე კი მეგონა მართლა ვეფხს ემგვანება და ვეფხვივით კლავნივთაჲს ექნება-მეთქი.

— იცით, ეგ თქვენ თავის ეროვნულ ტანსაცმელში უნდა ნახოთ ფარით და ხმლით და მაშინ შეიძლება დარწმუნდეთ, რომ ის მართლა ვეფხია. — უთხრა გიგამ. — თან თუ ხმალი დაიკიდა.

— ხმალი? — გაიკვირვა ანისკამ. — თუ ხანჯალი?

— ხმალიც და ხანჯალიც. მაგას მარტო ხმალი აქვს და ისიც გატეხილი.

ვეფხიას ისე შერცხვა, როცა მისი გატეხილი ხმალი ახსენეს, რომ კიბოსავით გაწითლდა. არათუ საზოგადოებაში გამხელა, — როდესაც მას ტყუილებრალოდ მოაგონდებოდა თავის ბოხჩაში გამოკრული გატეხილი ხმალი და ხევსურული ტანსაცმელი, უსიამოვნო გრძნობა იპყრობდა და ბევრჯერ კიდევაც მოისურვა, რომ ყველაფერი ეს სხვების შეუმჩნეველად სადმე გადაეგდო, თუნდაც მარტენის ღუმელში გადაეძახებინა.

— აჰ, ეს რა შესანიშნავია! — აღტაცებით დაჰკრა ტაში ანისკამ, — მაშ თქვენ თქვენებური ტანსაცმელი გაქვთ, ოჰ, როგორ მინდა ვნახო, ხმალი.. რატომ გაწითლდით? ა? ხმალი გაგიტყდათ? იცით, მამას ერთი მეგობარი ჰყავს ძველი ოსტატი. მამა, იცი, ძია ანიკეი ეგორჩის ვუთხრათ.

— ოო, ის გააკეთებს. — თქვა ვასილ ივანიჩმა, — ის ძველი ოსტატია, ცნობილი ოსტატი. იმას შეიძლება გამზადებულიც ჰქონდეს. ჩვენ შევარჩევთ. იმდენი უყრია სახელოსნოში, ვერ დათვლი, მან გოროშილოვს და ბუდიონს გაუქეთა და გაუგზავნა ხმლები.

— თქვენ კი, — მოუბრუნდა ანისკა ვეფხიას, — მერე ჩაიცვით თქვენი ტანსაცმელი და წავიდეთ სადამოზე. აბა მაშინ ნახეთ ჩვენი გოგოების გაგიქება. ცეკვა თუ იცით, თქვენებური, კავკასიური. მე ერთხელ კინოში ვნახე, გაგიქდება ადამიანი, ისეთი კარგია!

— კარგი ერთი, გეყოფა სარაკუნასავით რაკრაკი, ნუ დააფრთხე ეს ბიჭები. — ღიმილით შეუტია ქალიშვილს ევპრაქსია ივანოვნამ და ჩაი ჩამოარია. — ამბობენ, მალე ომი გათავდებაო. ნეტავი მართლა!

— ჩვენები უკვე ბერლინს უტევენ. ჩანს, ახლოვდება დასასრული. — შენიშნა ვასილ ივანიჩმა და ჩაი ხრუბუნხრუბუნით მოსვა, რაზედაც ცოლმა ვითომცდა სხვების შეუმჩნეველად წარბშეკვრით გადახედა.

როდესაც ახალგაზრდები წავიდნენ, ევპრაქსია ივანოვნამ აღტაცებით წამოიძახა:

— რა სასიამოვნო ბიჭები არიან, ზრდილობიანი, ჩუმი, გოგონებივით წითლებიან. არა, ეგენი არავითარი კავკასიელები არ არიან!

*
*
*

უეცრად მოიჭრა სანატრელი გაზაფხული და ასევე უეცრად ამცნეს ქვეყანას ქარხნის საყვირებმა ომის დამთავრება. მაისის ქათქათა მზიანი დღე იდგა, როდესაც ვასილა რადიორეპროდუქტორების ღრიალ-გუგუნი, აფრიადდნენ წითელი დროშები და მთელი ხალხი ქუჩებში გამოეფინა, ყველანი აღტაცებით ეხვეოდნენ ერთმანეთს, ზოგი სიხარულის ცრემლებს იწმენდდა, ზოგი გულთანად ტიროდა და ომში დაღუპულ საყვარელ ადამიანს იგონებდა, მოხუცები ქულს იხდიდნენ და გამალებით პირჯვარს ისახავდნენ. ყოველ კუთხეში ისმოდა:

— მომილოცავს...
— ბოლო მოედო ჩვენს გაქირვებას...

— დამიბრუნდება ჩემი ბიჭი...

— გაიხაროს დედის გულმა...

დიდი და პატარა, ნაცნობი იყო თუ უცნობი აღტაცებით ეხვეოდა ერთმანეთს. გოგოები დაურიდებლად ჰკოცნიდნენ ბიჭებს და ულოცავდნენ გამარჯვებას.

პაერშიაც გაზაფხულის დამატობელი სურნელება ტრიალებდა. სკდებოდნენ კვირტები. ახლად აბიზინებული ბალახის მოყვითალო სიმწვანე სასიხარულო ელფერს აძლევდა მთელ მიდამოს; ქალაქის ბაღებს, ეზოებს, ტყეს, გზისპირებს.

ხეებზე გასული ყვანალების ყრანტალა ხმაც კი სასიამოვნოდ ისმოდა.

საოცრად მოიმატა დღემ. მოიმატა კი არა, თითქმის აღარც კი დამდებოდა მზე მართალია ჩადიოდა, მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში ჩრდილოეთით ცა სულ აღისფრად იყო განათებული და გარეთ გამოსული კაცი გახეთსაც კი წივიტხავდა.

ახალგაზრდებისათვის კი ეს ნამდვილი საკვირველება იყო. მათ არასოდეს არ ენახათ თეთრი ღამეების ეს მომაჯადოებელი მშვენიერება და ხშირად ღამეებს მართლა თეთრად ათენებდნენ.

ახლა უკვე ყველაფერი ახარებდა მათ — გაზაფხულის ტკბილი დღეებიც, ომის დამთავრებაც და სამუშაოზედაც ხალისით დადიოდნენ.

როდესაც დილით არჩილი საერთო საცხოვრებელში მივიდა, ახალგაზრდები ისე შემოეხვივნენ, თითქო საკუთარი მამა მოსვლოდათ. თან ჯიბო ბენდელიანის ჩამოსვლა ახარეს. ჯიბო ნაშუადამევეს ჩამოსულიყო, ღამე ვაგზალში გაეთია და ბევრი ძეხნის შემდეგ ძლივს მიეგნო შეგირდების საერთო საცხოვრებლისათვის. მას ორი ვაგონი სურსათი ჩამოეტანა და ორასზე მეტი პირადი ამანათი ახალგაზრდებისათვის. მშობლებს, ვისაც კი გაეგო, რომ ურალში ვაგონებით სურსათს აგზავნიდნენ, ყველას გაეგოს ძღვენით ხის ყუთები თავიანთი შვილებისათვის. ზოგს პატარა ბოჭკებით ღვინო და არაყიც კი გამოეგზავნა.

— რა კი ფეხი მქონია, არჩილ, რა კი ფეხი. — ხეივნიებდა ჯიბო, — ჩამოვედი ბიძია და ჩამოგიტანეთ მშვიდობა და პურმარილი. თქვენთან წერილი მაქვს, მართლა, — გახსნა თავისი საველე ჩანთა ჯიბომ. ასეთი ჩანთები დიდ მოღაში იყო ერთ ხანს და მას სამეურნეო მუშაკები ატარებდნენ. იგი ტყავისა იყო, მოგრძო, მხარზე გადასაკიდი თასმით, სამ თუ ოთხ განყოფილებიანი, თავზე მას ბლოკნოტის ყდასავით სახურავი ჰქონდა, რომლის ბოლო ამოჭრილი კილოთი რკინის თავზე ეცმოდა და კავში კი ტყავის ენა ეყრებოდა. ამ ჩანთაში ეწყო ჯიბოს მთელი თავისი კანცელარია, ანგარიშები, ხელწერილები, მიმოწერა, ფანქრები, სამგზავრო დანა და ხშირად საუბმეც. მხარზე ამ ჩანთას იშვიათად იკიდებდა, თასმას მაჯაზე დაიხვევდა და ასე ხელით ატარებდა მუდამ. გახსნა ჩანთა, რამდენიმე წერილი ამოიღო და ყველა არჩილს გაუწოდა.

— ეს სულ თქვენი წერილებია. ერთი იმსისქეა, ერთ კვირას მოუნდები ალბათ წაკითხვას. ა, ეს! — მიუთითა მართლაც წარმოუდგენლად სქელ კონვერტზე. — ჩვენთან ექიმი რომ დანიშნეს მშენებლობაზე. აქ რომ გამოგაცილათ მაშინ, იმან გამომატანა. დანარჩენი სხვებმა. ბიჭებო, თქვენი წერილები იქ მაქ. თქვენს ბარგთან ერთად. წავიდე, ბარგს რომ მივიღებ, მაშინ მოგცემთ ყველას.

ახალგაზრდები მხიარული ქრიაშულით გაემართნენ ჯიბოსთან ერთად ბარგის გადმოსაზიდად. გზადაგზა არჩილმა გამოკითხა, როგორაა საქმე, მშენებლობა თუ დაიწყეს.

— დაიწყეს, მაგრამ როგორ! — აღტაცებით თქვა ჯიბომ. — მე მართალია,



არ მეცალა რუსთავში სასიარულოდ, ათი პარტია გავაგზავნეთ ახლგაზრდებსა სხვადასხვა ქალაქებში, თქვენს შემდეგ. ენაგადმოგდებული დავბრდი, მაგრამ აქ წამოსვლის წინ ვიყავი რუსთავში და რა ვნახე ეს. მართალია ხალხი ჯერ კარვებშია, მაგრამ ერთი ხუთასი სახლი იქნება ერთად დაწყებული.

— ქარხანა?

— ქარხანაც. ბრძმელი არ დაუწყიათ ჯერ, თორემ მარტენი, თბოცენტრალი, მექანიკური საამქრო, ესენი დაიწყეს. ლიანდაგები დააგეს. ჭიანჭველასავით ირევა ხალხი.

— გესმით, ბიჭებო, რა ამბები დატრიალებულა ჩვენში?—გადასძახა ახლგაზრდებს არჩილმა, მერე ისევ ჯიბოს მიუბრუნდა. — ერთი ამათ უამბე.

— ვუაბე უკვე. სულ სათითაოდ დამაკანკლიეს ყველაფერი. მაგათ შენ მოასწრებ რამეს გამოკითხვას! მშვიდი წიწილებივით დამესიენ და პირველი რაც მკითხეს, საკმელი თუ მოგვიტანეო. ჯერ აქაურ საკმელს ჩვენებური კაცი ძნელად ეგუება და მერე ახლა, წარმომიდგენია, რაც იქნება. ვიცოდი და ერთი ოცდაათი კილო ჩვენებური წითელი პიპილა წამოვიდე.

— წიწკა.

— ჩვენში პიპილას თუ პილილს ეძახიან, რომელია სწორი არ ვიცი. დედაშენმა ნიგოზი, ხმელი სუნელი, ბროწეულები გამომატანა შენთან. ჩვენი გოგონა საცივს გაუკეთებენო. ყველი გამოგვგზავნა იმისთანა, მკერიანი, სად იშოვა, კინალამ ჭკუა დავკარგე. გამასინჯა, თქვენსა რო ვიყავი. კიდევაც გადავკარით ნამდვილი კარდანახული მე და მამაშენმა. მართლა, ის ორი ბავშვი ვისია, მე შენები მეგონა. დედა, რა ბავშვებია, კინალამ ჭკუა დავკარგე.

არჩილმა არ უპასუხა, ჯიბეზე ხელი მოისვა, გაახსენდა რომ წერილები წასაკითხი ჰქონდა, უნებურად ფეხს აუჩქარა, რომ დროზე მოეთავებინა საქმეები და მერე შინ გულდამშვიდებით წაეკითხა, რას სწერდა შინაური თუ გარეული.

ვაგონები მიიღეს, საბარგო ავტომანქანებიც იშოვნეს და მთელი სურსათი რამდენიმე საათში გადმოტვირთეს. ბიჭები გაფაციცებით მუშაობდნენ. ეზიდებოდნენ ლობიოთი, ყველით, ხახვით და კონსერვებით საცხე ტომრებსა და ყუთებს. პირადი ამანათები არც იმდენი აღმოჩნდა, როგორც ბიჭებს ეგონათ და ბევრი გულდაწყვეტილი გამობრუნდა უკან.

ვეფხია სულაც არ ელოდა ამანათს. იცოდა, რომ მამიდა სანდუას კიდევაც რომ გახსენებოდა, ხევსურეთიდან მარტო ბარში ჩამოსვლა იყო ზამთარში შეუძლებელი, არათუ ამანათის ჩამოტანა და ვაგზავნა. ამიტომ ის მხოლოდ იმიტომ ვაჰყვა ჯიბოს. რომ ბარგის გადმოტვირთვაში მიშველებოდა და არხინად აღევნებდა თვალს ამხანაგებს. ისინი ვაფაციცებით ათვალეერებდნენ ყუთებსა და ბოღჩებს და წამდაუწუმ გასძახოდნენ ერთმანეთს.

— თედო გაგლოშვილი, ამანათი მოგივიდა!

— ზიზო, სად არის ზიზო? ეს ამანათი კი არა, მთელი მზითევია.

— გივა, მოდი, შენი ყუთია და ბაჩონკა!

და უცბათ სრულიად მოულოდნელად დაიძახეს:

— ვეფხია, მოდი, შენც მოგივიდა!

ეგონა მამასხრებენო და გულმოსულმა წაიდუღუნა:

— წადი, დაიკარგე!..

— არა, ბეჭო, მართლა მოგივიდა, — მივარდა მასთან ჭიჭიკო შუბითიძე, — დედას ვეფიცები. ზედ აწერია. მოდი ნახე.

ვეფხიამ მაინც არ დაუჯერა. ჯიბოსთან მივიდა და ჰკითხა:

— მართლა მოგივიდა ამანათი? ვინ გამომიგზავნა?



— შენ რომელი ხარ, — ჰკითხა ვეფხიას ჯიბომ.

— ხალიბაური.

— ხალიბაური? ხევსური? ხმალი რა უყავი ბიჭო? — ისე შეავლო თვალი, ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან, თითქო უნდოდა ხმალი მოეძებნა მის ტანზე, — შენი ამანათი მასხოვს, არის, მართლა არის! თქვენ რომ წამოდით, არა, ვტყუი, ჩემი წამოსვლის წინ მოვიდა ჩემთან ერთი თქვენებური სტუდენტი, რა გვარი იყო, იცი? მგონი ბალიაური...

— გაბრიელი?

— არ ვიცი გაბრიელი ქვია თუ მიქელ გაბრიელი, მაგას ვერ გეტყვი. მოვიდა, შენ გეძებდა. ახლა ჩამოველი ხევსურეთიდან და ეს გამომატანესო. იმათ არ ცოდნიათ, შენ თუ რუსეთში იყავი. წავუღებ-თქო, და ქე წამოგიღე. მიდი, მართლა შენია.

ვეფხნია მივიდა. ამანათი არც ისე დიდი იყო, მაგრამ ვეფხიასათვის ის მართლა ოქროთი გატენილ ტომარაზე მეტს წარმოადგენდა. ისეთი მოწინებით, ისეთი სიხარულით აიტაცა ეს ამანათი, თითქოს მისთვის ამაზე უწმინდესი არაფერი არ იყო ქვეყანაზე. აღელვებისაგან გული ყელთან მოებჯინა, მაშინვე მოუსვა შინისაკენ. საერთო საცხოვრებლის კიბეები რომ აირბინა, წინ შურა ნიატილოვა შეეჩხება.

— როგორი აღტაცებული სახე გაქვს. ამანათი მიიღე? — ჰკითხა მან.

— მივიღე. თუ რამე იქნა ისეთი, აუცილებლად გაგიმასპინძლდები.

— გმადლობთ — ღიმილით უთხრა შურამ.

ვეფხნია შევარდა ოთახში, ფუსფუსით გახსნა თავისი ამანათი. იქიდან წერილი გადმოვარდა. აიღო, განზე დასდო. შეხვეული გაშალა. ამანათში ახალთახალი ხევსურული ხალათი, ქული და პაპიკები ელაგა. ცალკე კი ვახეთის ქალაღში გახვეული ფული, რაღაც ძალიან ბევრი. სულ სამთუმნიანები და ათთუმნიანები. ფული არცკი დაუთვლია ისე ამოსდო ლების ქვეშ, თითონ კი წერილს ეცა. მამიდა სანდუა წერდა, ეს ფული მოგიგროვეთ და გიგზავნით, მერე რასაც შენი ძროხების ერბო-კარაქს დავაგროვებთ, გავყიდით, ერბო ახლა ძალიან ძვირად ფასობს და იმით გავისტუმრებ ყველას. ახლა კი ამას ცოტა ჩვენც დავუმატეთ და გაიხმარე, მად ქალაქია, უფულოდ წყალიც კი არ არისო. ამ ტალავარს კი მზექალა გიგზავნის. შენთვის მთელი ზამთარი ქარგავდა, სანამ აქ იყო, ერთხელაც არ შემომხედა, იქნებ ახლა გავახსენდო და არ დამივიწყოსო.

„ბიჭავ, გულში ჩავარდნიხარ, — წერდა მამიდა სანდუა. — შეძლებული მამის შვილია, დედის ერთა, ჩემთან დაიფიცა, არ გავთხოვდები. სანამ ვეფხნია არ ჩამოვათ. აგეთი კარგი ქალი ახლა დუნიაზე არ არი. მად არავის გადაეყარო“.

ბარათი დაკეცა და უბეში შეინახა, გაახსენდა ბეწიკა ბალიაურის ქალი მზექალა, რომელთანაც ბავშვობა გაატარა და ერთხელაც არ გახსენებია, რომ მისთვის სიყვარულის თვალით შეეხნდა. გაახსენდა და ახლა აუტოკდა გული. მოაგონდა მისი ოქროსფერი თმა, შუბლზედ ლამაზად შეკრებილი წინამო, ყუტუნა ლოყები და მუდამ გაღიმებული სახე. ჩაუვლიდა ვეფხიას მზექალა, ხან ქუდს თვალბზე ჩამოუფხატავდა ხუმრობით, ხან ხელს უბიძგებდა, ხან წყალს შეაპკურებდა. ვეფხიას მოესურვა მოეგონებინა, წამოსვლის ყამს სად ნახა უკანასკნელად. თითქო ყველამ გამოაცილა მამინ, მზექალაც იქ იყო, როგორ არ იქნებოდა, მაგრამ სად იდგა, ვის გვერდით, ველარაფრით ვერ მოიგონა. მგონი, სოფლის ბოლოს, გოგოებში. არა იქ არ იყო. არც თავის სახლთან ყოფილა. მაშსად იყო? აფორიაქებულმა ვეფხიამ წერილი ჯიბეში შეინახა, ახალი ტანსაცმელი ბალიშზე დააწყო და საერთო ღრიანცელში ჩაერია. ბიჭები თავთავიანთ ამანა-



თებს ხსნიდნენ და ერთმანეთს იწვევდნენ, აბა ნახე, მე რა მომივიდა ძღვნად... ზოგი ჩურჩხელებს უწოდებდა ერთმანეთს, ზოგი ვაშლს ახაპუნებდა. გიგამ ვისი ოკლიტრიანი კასრი ფანჯარაზე შემოდგა და ყუთის გახსნას შეუდგა.

ვეფხიამ თითით დააკაკუნა კასრზე და იკითხა:

— ღვინოა თუ არაყი?

— შენ რომელი გირჩევნია? — დიმილით ჰკითხა გიგამ.

— მე არცერთი არ მინდა. ნეტავ ვასილ ივანიჩის მივეუტანდეთ. სულ ნატრობს.

ვიღაცამ ამ დროს ამანათიდან ბოთლი ამოაცოცა, გახედა სინათლეზე და დაიძახა:

— არაყი.

ბიჭები ისე შემოესივნენ, თითქოს არაყს თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდნენ, აჰანჭყარებდნენ, ჯაჰკეს უსინჯავდნენ და ბოლოს დაასვენეს, რომ ამაზე უმაგრესი არაყი ქვეყნად არ უნდა იყოსო.

ვეფხია ხან ერთთან მივარდებოდა ხან მეორესთან, ყველაფრის ნახვა და დათვალიერება სურდა. ბოლოს თავის საწოლთან დაბრუნდა. გიგას უკვე ამოელაგებინა ყუთიდან ყველაფერი და ახლა უკანვე აწყობდა. რა არ მოსვლოდა გიგას: ყველი, ხმელი ხილი, ჩირი, ჩურჩხელები, შაქარი, ბრინჯი. რამდენიმე ბოთლი არაყიც კი ჩაედგათ მისთვის.

— შენ რა მიიღე, ვეფხო! — ჰკითხა გიგამ.

— ტალავარი მივიღე ხევსურული და ფული. — უთხრა ვეფხიამ და ხალათი გაუწოდა.

გიგამ ცალი თვალით დახედა, თავის საქმე მიატოვა და აღტაცებით გაშალა ხალათი.

— აჰ, რა ზორბა რამეა, ამას კი სიამოვნებით ჩავიცვამდი! — თქვა გიგამ და ხალათი გულზე აიფინა — შენ ზომ გაქვს ერთი, ეს მე მომყიდე, რა იქნება.

— ამას ვერ მოგყიდი გიგა, არ გეწყინოს. — უთხრა ვეფხიამ. — ისეთმა ადამიანმა გამომიგზავნა...

— ჰოო, ბოდიში, — გულღია უბრალოებით უთხრა გიგამ და ხალათი დაუბრუნა, — მაშინ ის მეორე მომყიდე.

— რად უნდა მოგყილო, გაჩუქებ. — უთხრა ვეფხიამ და მაშინვე დაიხარა.

— არა ბიჭო, მოიცა, რა გეჩქარება, მერე მომეცი. — იუარა გიგამ და თავის საქმეს დაუბრუნდა, — ფული ბევრი მოგივიდა?

— ფული? ბევრი. — უბასუხა ვეფხიამ, ლეიბის ქვეშ ხელი შეჰყო, სადაც ფული ევსებოდა, მოუფათურა, მერე სწრაფად გადასწია ლეიბი და ვაოცებით წამოიძახა, — რა იქნა ფული, მომპარეს?

გიგა ფეთიანივით წამოიჭრა ზეზე და ვეფხიას მიაცქერდა.

— სად გქონდა შენახული?

— აი, ლეიბ ქვეშ შევინახე. ოთახიდან არ გაეუსულვარ. აქ ვტრიალებდი.

ორთავე გამშრალი შეაცქერდა ერთმანეთს, მერე ოთახში მიმოიხედეს. ახლა შეამჩნიეს, რომ მათ საწოლ ოთახში ახალგაზრდები ფუტკრებივით ირეოდნენ, ზოგი გადიოდა, ზოგი შემოდებოდა. მეზობელ ოთახებშიაც ისეთივე ურიაშული იდგა. იქაც ხსნიდნენ ამანათებს და ერთმანეთს უმასპინძლებოდნენ, შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ და აქეთ-იქით ვარბი-ვამოვარბოდნენ.

— ფული ვინ წაიღო ვეფხიას ლოგინიდან! — მეხვივით დაიჭექა გიგამ, — გიჯობს ახლავე გამოაჩინო, თორემ მერე მწარედ განანებ ვინც ხარ!



ერთ წუთში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი ადგილზე გაქვივდნენ და პირდაღებული შესტკეპროდნენ გივას.

— დაკეტეთ კარები, ქუჩაში არავინ გავიდეს. — გაცეცხლებული გავარდა გარეთ გივა და მორიგე ქალს მიამახა: — დაკეტეთ კარები. გარეთ ხომ არავინ გასულა?

— როგორ არ გასულა? — გაოცდა შურა. — რა მოხდა. აქ მთელი დღე გადიან და შემოდინან.

— ქურდი უნდა დაევიჭირო. ჩვენს შორის ქურდი აღმოჩნდა. აქედან არავინ გაუშვა, თუ ვინმემ დააპიროს გასვლა, დამიძახე! — შემდეგ შებრუნდა ოთახში და გამოაცხადა:

— ყველა უნდა გავჩხრიკო, სათითაოდ. ამიტომ ჩემგან დაიწყეთ. გარდა ამისა, შეამოწმეთ სიით, ვინ არის გარეთ გასული. ვინც ცვლაზეა და დილიდანვე არ იყო აქ, იმათ არ ვგულისხმობ.

მთელი სახლი გაღმოაქითეს, არ დაუტოვებით არცერთის არათუ ლოგინი და ბალიში ან ჩემოდანი და ბოღჩები, სახურავზედაც კი აძვრენ, ღუმელებშიაც ეძებეს, მაგრამ დაკარგული ფულის კვლაც ვერ მიაგნეს...

...ზამთრის განმავლობაში არჩილი თავს შედარებით კარგად გრძნობდა. ხანდახან თუ შეაწუხებდა, სადღაც, ბეჭის ფრთის ქვეშ, ყრუ ტკივილი, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იმედოვნებდა, ზამთარი გათავდება და ტკივილებიც გამოვიღისო, მაგრამ გაზაფხულდა თუ არა, მოულოდნელად ტკივილებმა იმატა და თუ აქამდე ცვლაშიაც ახერხებდა მორიგეობას და ცვლის შემდეგ საამქროების დავლას და თავისი შევირდების მუშაობის შემოწმებას, ახლა ცვლაშიაც უჭირდა ხოლმე წასვლა. მაინც ეძალებოდა თავს, ფიქრობდა გამოვიღისო და ექიმთან წასვლას თავს არიდებდა.

ახლა იგრძნო არჩილმა ისეთი მეგობრის აუცილებლობა, რომელსაც ცხოვრებაში მეუღლე ჰქვია და რომლის სიყვარულით გამთბარი სიტყვები და ყურადღება შეიძლება ამ ქვეყნად არსებულ წამლებზე უფრო კარგად მოქმედებენ ადამიანზე.

იქნებ მართლა სჯობდა, თალიკო რომ დაჩენილიყო მასთან. მერე როგორ უნდოდა საბრალოს დაჩენა!

მაგრამ თალიკო წავიდა და მას შემდეგ ერთხელაც არ გახსენებია, წერილი მოეწერა. სამაგიეროდ არჩილმა მრავალი ბარათი მიიღო მშობლებისაგან და მან დაწვრილებით იცოდა, რაც ამ ხნის განმავლობაში მის ოჯახში მოხდა, იცოდა, რომ თალიკო უკვე რუსთავეში მუშაობდა, რომ ბავშვები ისევ არჩილის მშობლებთან იყვნენ, რადგან რუსთავეში თალიკო ტილოთ კარავში ცხოვრობდა და ნიკო და მართა იქ როგორ გაატანდნენ ბავშვებს.

ეს ყველაფერი იცოდა არჩილმა, მაგრამ ის უკვირდა, რომ ამ ხნის განმავლობაში თალიკოსაგან არც ერთი წერილი არ მოსვლია.

რატომ? რამ აიძულა ეს ქალი, ესარგებლა არჩილის უდიდესი სულგრძელობით და ერთხელაც არ მოეწერა მისთვის თუნდაც უბრალო მოკითხვის ბარათი?

„თავის თავს ებრძვის, უნდა ჩემდამი სიყვარულის ალი გულში ჩაიკლას“ — ინუგეშებდა თავს ახალგაზრდა კაცი. საერთოდ არჩილი, თავისი კეთილი ბუნების გამო, ჩვეული იყო გამართლება მოენახა ყოველი ცუდი საქციელისათვის, რასაც კი მის მიმართ ჩაიდენდნენ. უფრო ხშირად საკუთარ თავს გამოიყვანდა დამნაშავედ და ახლაც ასე ფიქრობდა, ჩემი ბრალია ყველაფერიო. თუნდაც იმიტომ, რომ როგორც კი რაიმე მიზეზის გამო თალიკო მოავიწყდებოდა, მაშინვე წამოიჭრებოდა მის მესხიერებაში ის უცნობი ლამაზი გოგონა, რომელიც თბ-



ლისიდან წამოსვლის უამს დინახა ვაგონიდან სალომე ცაგარეიშვილის გვერდით. მაშინვე ეწყებოდა ბეჭის ფრთის ქვეშ თუ გულთან უცნაური ყრუ ტკივილი და ვერ გაერჩია, ეს ძველი ჭრილობის რეციდივი იყო, თუ სიყვარულის ნესტარით დაჭრილი ადამიანის სანეტარო სალმობა.

ასე უწყალოდ ერეკებოდა ის უცნობი გოგონა არჩილის გულიდან თალიკოს, ბუღმურათვალბიანი, პირმრგვალი, მკერდასვე და ტანწერწეტა გოგონა, ყოველ მოგონებაზე მუდამ თავბრუს რომ ახვევდა და ასე განუზომლად იზიდავდა თავისკენ.

ერთხელ არჩილმა წერილიც კი მისწერა თავის მეგობარ სალომეს, იმ ქალიშვილის ვინაობა გამაგებინე, მაშინ რომ გახლდაო და გულის ფანცქალით დაუწყოლოდინი პასუხს.

წინასწარ, ოცნებით, პასუხის ათასნაირ ვარიანტებს წარმოიდგენდა ხოლმე — ეს გოგო საგანგებოდ მოვიყვანე შენთვის დამენახებინაო, ამ გოგომ შემიკლა ხელში, წამიყვანე, არჩილი გამაცანი, მაგრამ დაგვაგვიანდა და ახლა მოუთმენლად მოველით შენს დაბრუნებას, მიშველე, ერთი თბილი სიტყვა მოიწერე, თორემ ეს უბედური დაჰლექდება და ამის საცოდაობას რად იკიდებ ზურგზეო. — ვინ იცის, რამდენი ასეთი სანატრელი სიტყვები არ დაუფათურობდა სულში არჩილს, მაგრამ სალომესაგან არაერთი პასუხი არ მიუღია.

ასე ჭიდაობდა არჩილის გულში ეს ორი ქალი და გამარჯვება მუდამ უცნობ გოგონას მხარეზე იყო.

ვინ იცის, არჩილს ახლოს რომ ენახა ის უცნობი ქალიშვილი, დალაპარაკებოდა, დაკვირვებოდა, შეიძლება გამარჯვება კვლავ თალიკოს დარჩენოდა. ისიც შესაძლებელია, ეს უცნობი მშვენება სულაც არ დამახსოვრებოდა — რამდენი ლამაზი ქალისთვის მოგვიკრავს თვალი, შეიძლება გულშიაც ჩაგვეარდნია და მაინც დავვიციწყნია — მაგრამ ახლა, ამ უცნობი გოგონას სახემ იმითომ იტოცხლა არჩილის გულში, რომ ამის გამომწვევი მიზეზი თალიკოს დანაშაული იყო. ეს დანაშაული საბრალდებულო დასკვნასავით ჩაეგდო ეშმას ხელში და დამცინავი სიცილ-ხითხითით უტრიალებდა არჩილს ცხვირისწინ.

და ახლაც, მიიღო თუ არა თალიკოს წერილი, ყველაფერი კვლავ ძველებურად აუფორიაქდა სულში. კონვერტი გახსნა და წერილი ნელა გაშალა.

„ალბათ გაგიკვირდება, ამდენხანს არაფერი მოგწერე, მაგრამ ვიცოდი, რომ რაც საჭირო იყო, ყველაფერს მშობლები გაცნობებდნენ. მე კი არ შემეძლო. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. თანაც ვიმედოვნებდი, რომ თითონ გაჩნდებოდი ამ ჩვენს არემარეში, ან წერილს მოიწერდი. აი გავიდა გრძელი გაუთავებელი ზამთარი და შენგან ერთი, თუნდაც ერთი პატარა ბარათი არ მიმიღია. შინ წერილებს იწერებოდი და დედაშენი მუდამ მეუბნებოდა, აი წერილი მივიღე და არჩილი მოკითხვას გითვლისო. გულწრფელად მჯეროდა, მაგრამ... ერთხელ შემთხვევით წავაწყდი შენს წერილს, დედამენთან მიწერილს, მაპატრე, გულმა ვერ მომიტონა, მინდოდა მხოლოდ ის სიტყვები ამოშეკითხა, სადაც შენ მოკითხვას მითვლიდი, მაგრამ... იქ მე ერთი სიტყვიც არ ვიყავი ნახსენები და... შეიძლება გაგიკვირდეს, მხოლოდ მაშინ დავმშვიდიდი. მაშასადამე. შენს გულში ვიღაც სხვამ დაისადგურა და ახლა თავისუფლად ამოვისუნთქე, მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენი დამხსრეული სიყვარულის გამთვლება ყოველად შეუძლებელი იყო, ვიცოდი ეს მაშინაც, როდესაც რუსეთში შენთან ერთად მოვემგზავრებოდი, მაგრამ შენმა თავდაპირველმა მოპყრობამ ჩემდამი დამაბეჭვა და შეცდომიანად შემიყვანა. ამან ჩემს გულში ისევ დანთო ის დაქრობილი სიყვარულის ალი, რომელიც ალბათ სამარემდე ჩამყვება, მაგრამ არ



იფიქრო, რომ სამაგიეროდ შენგან თანაგრძნობას ვითხოვდე. პირიქით, თუ გინდა, რომ ეს სიყვარული მართლა არ დაქრეს, თანაგრძნობით არ მიპასუხო. მე ვიცი, რომ ჩვენს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება კარგი დამოკიდებულება დამყარდეს და მართლა წმინდად გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ შენი ცოლი არ გავხდები. ხომ მართალია.“

— მართალია! — აღმოხდა არჩილს და კითხვა განაგრძო.

„საოცრად მინდა შენი ნახვა. მინდა ვიამბო, რაც თავს გადამხდა, მაგრამ წერილში ვერ გწერ. შენი ნანატრი ქალაქი სწრაფად შენდება. პირველად ტილოს კარავში ვცხოვრობდი და მთელი ზამთარი ამ უბედურებაში გავატარე, რამდენჯერმე ქარმა კინალამ წაგვიღო. აქ ისეთი უბედური ქარები სცოდნია, ქვებს იტაცებს მიწიდან და ბუმბულივით მიაქანებს მაღლა. ახლა, რამდენიმე დროებითი შენობა მოათავეს და იქ ოთახი მომცეს. ბავშვები ჩემთან წაიყვანე და შენმა მშობლებმა სულ ცრემლებით და ვაივივით დამანებეს ჩემი შვილები. ახლა ისინი მოდიან ხოლმე ჩემთან ყოველ კვირას და ბავშვებისათვის საჩუქრები მოაქვთ. რა შესანიშნავი დედამა გყავს, შენ ვერც კი წარმოგიდგენია, ისეთი სიყვარულით და სიხარულით ათვალეებენ მშენებლობას, ისე უხარიათ, რომ ასე სწრაფად შენდება ქალაქი და ქარხანაც, ასე გეგონება, იგი შენი პირადი საკუთრება იყოს.“

ქალაქი კი შენდება, მაგრამ ნამდვილად როდის დაემგვანება ის ნამდვილ ქალაქს, ქუჩებით, ტროტუარებით, კინოთი და სხვა ამგვარი სიკეთით, ამას ვერ გეტყვი, რადგან ახლა ტალახიანი ბილიკების, საამშენებლო მასალების გროვებისა და საბარგო მანქანების ჯაყჯაყის მეტს ჯერჯერობით ვერაფერს ვერც ნახავ და ვერც გაიგონებ.

ხალხი კი ბევრი ტრიალებს და ფუსფუსებს. თბილისიდან თითქმის ყოველ საათში გადის მატარებელი. ამბობენ, მტკვარზე ხიდი აშენდება და ქალაქს გზატკეცილით დაეუკავშირდებათ. ჯერჯერობით იმ ადგილზე მარტო ბორანია. დავთვალეერე ძველი ციხე-სიმაგრის და გალავნის ნანგრევები. იქვე მტკვრის პირას ისეთი გაუვალი ტყეა, ისეთი ლამაზი და ზღაპრული ხეები, ამის მსგავსი მე ჯერ არა მინახავს რა. ამბობენ, ამ ტყეში პარკი გაკეთდება, ხეივნებით, ლამპიონებით და სხვადასხვა ატრაქციონებით, ჩვენი მუშტაილის ბაღის მსგავსადო.

ეჰ, როდის იქნება ეს ყოველივე.

ჩვენს ამბულატორიაში ხუთი ექიმი და ამდენივე ექთანი. სუყველა ქალე-ბი, ამათგან, მარტო მე ვცხოვრობ რუსთავეში, დანარჩენები თბილისიდან დადიან. აქ ცალკე ოთახს მარტო ოჯახის პატრონებს აძლევენ, მარტოხელებს კი საერთო საცხოვრებელში ათავსებენ. ჯერჯერობით ამით უნდა დაკმაყოფილდნენ. ამიტომ ვისაც თბილისში ბინა აქვს, ყველა იქიდან სიარულს ირჩევს, თუმცა იქ წასვლა-წამოსვლას, სულ ცოტა, ოთხი საათი მაინც ჭირდება.

დღე აქ ყოფნას კიდევ არა უშავს რა, მაგრამ რომ დაღამდება, შენს მტერს! ელექტროგანათება ჯერ არ არის გაყვანილი, ლამპებიც არ გვივარგა. ლამპის უშუშები არ იშოვება. ან სანთლები გვინთია, თუ ვიშოვეთ, ან უბრალო ქრაქები.

ერთადერთი, რაც მართლა კარგი გვაქვს, ესაა მომარაგება. ამით ვჯობოვართ თბილისელებს. მართალია იქაც კარგადაა დაყენებული ეს საქმე, მაგრამ რაც კარგი რამეა, პირველად ჩვენთან მოაქვთ და მეტსაც გვაძლევენ. ჩემთვის მთავარია, ბავშვებს არაფერი მოვაკლო და ჩემი თავი ჭირსაც წაუღია.

ნახვამდის, ჩემო შეურაცხყოფილო არწივო. მე ახლა უკვე შენი ღვიძლი



და ვარ, ამიტომ თუ შენზე მშობლიური ზრუნვა გამოვიჩინე ხოლმე, ავტომატურად გიკვირდეს, მე მგონია ამის უფლება თითონ შენ მომპოვებინე. ამიტომ კეთილ ინებებ და წერილი ხშირად მომწერე, მაცნობე, როგორა ხარ, რას აკეთებ, ვისთან დადიხარ და თუ ემშაკობ. ისიც მინდა ვიცოდე. შეგიძლია დასთან გულახდილი იყვე. ვინ აგისნის ქალის საიდუმლოებას დაზე უკეთესად. იცოდე, რომ და ყველაზე კარგი კონსულტანტია ძმისა“.

ამ წერილის შემდეგ არჩილს თითქო დიდი ლოდი მოხსნოდეს, შვებით ამოსუნთქა. თალიკო მართლა წრფელი გულით უყვარდა, მაგრამ თურმე ეს სიყვარული ნათესაურად წმინდა მეგობრული ყოფილა და აქამდე ვერ ერკვეოდა. ვერ ერკვეოდა იმიტომ, რომ ამაში თალიკო იყო დამნაშავე. მის გულში ატეხილმა ქარიშხალმა არჩილიც აფორიაქა, მაგრამ ახლა ყველაფერი დაწყნარდა და ორივეს გულში საამოდ გამოიდარა.

არჩილმა გადაწყვიტა საპასუხო წერილი გაეგზავნა თალიკოსათვის და ვინაიდან იცოდა თავისი დაუდევრობის ამბავი, თუ გადადებდა, მერე სულაც დაავიწყდებოდა, მაშინვე ჩაუჯდა და კალამი მოიმარჯვა.

ჩაფიქრდა.

დაწყება გაუჭირდა. მერე თანდათანობით მიხვდა, რომ საპასუხო წერილის მიწერა არცთუ ავრე ადვილი საქმე ყოფილა. „ჩემო თალიკო, — დაიწყო მან, — მივიღე შენი წერილი, და ძალიან გამეხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გამიხსენე...“

მაშინვე შეჩერდა. ამას რომ წერდა, თითონ სადღა იყო? თითონ რად არ გაახსენდა თალიკო, თუ კარგი ბიჭი იყო! ძალიანაც კარგად ახსოვდა, მაგრამ არ წერდა. რატომ არ წერდა?

დაწყებული ბარათი დახია და ხელახლა დაიწყო: „ჩემი თალიკო! ნუ დამემდურები თუ აქამდე ბარათი ვერ მოგწერე, ერთი წუთი მოცლა არ მქონდა“.

ესეც დახია. როგორ არა ჰქონდა მოცლა. წერილის დაწერას რა დიდი დრო სჭირდება. მშობლებს ხომ უგზავნიდა ბარათებს. არა. ასე არ ვარგა. სხვაგვარად უნდა დაწერა. დიდხანს ატრიალა ხელში და ღეჭა კალმისტარის ბოლო, ხან ასე სცადა დაეწყო წერილი, ხან ისე, მაგრამ დარწმუნდა, რომ სანამ ცოტაოდენი დრო არ გაივლიდა და ის შინაგანი მღელვარება, რომელსაც თავისთავში ახლა თურმე ვერც კი ამჩნევდა, არ დაუცხრებოდა, მანამდე ის თალიკოს ვერავითარ პასუხს ვერ გასცემდა.

ბიჭებმა გადაწყვიტეს ომის დამთავრება, მშვიდობის დამყარება და გამარჯვება კარგი პურმარლით აღენიშნათ და სტუმრად თავიანთი მასწავლებელი ოსტატები მიეწვიათ. ამ იდეამ, ეჩვენებინათ ქართული ხელგამლილობა, ისე აღაფრთოვანა და ააღელვა ყველა, რომ მოსვენება დაჰკარგეს. რაც პირადი ამანათების სახით მიიღეს, ეს სულაც არ იყო საკმარისი ამ განზრახვის შესასრულებლად და ამიტომ ზოგი რამ ბაზარზე შეიძინეს. სანადიმოდ გამოსასვლელი დღე 14 მაისი დანიშნეს და ვინაიდან ზოგიერთების დასვენების დღე არ ემთხვეოდა ამ რიცხვს, ადრინადადვე შეუდგნენ თადარიგს, რომ დანიშნული დროისათვის თავი როგორმე გაენთავსებინათ.

ყველამ მოიწონა გენია ბურაკის აზრი, ქალაქგარეთ, ტყეში წაეღოთ ყველაფერი და იქ მოეღხინათ.

რუს მუშებში ელვის სისწრაფით გავრცელდა ამბავი, ქართველი შეგირდები ბანკეტს აწყობენ და თავიანთ მასწავლებლებს იწვევენო. შეიძლება სხვა შემთხვევაში ამ ამბავს სულაც არ გამოეწვია დიდი ცნობისმოყვარეობა. რა მოხდა მერე, იწვევენ! მიწვეულიც ყოფილან და სხვებიც ბევრჯერ მიუწვევიათ, რა



იყო აქ გასაკვირველი! მაგრამ ამ გიგანტური ომის დამთავრებამ, გამარჯვებულმა ხალხებმა, ისე ააზრილა ყველა, ისე გამოაცოცხლა და გაახალისა, რომ ახალგაზრდების ეს პატარა განზრახვაც დიდ მოვლენად ჩათვალეს.

ვასილ ივანიჩიცი კი აპყვა ამ ამბავს და ოჯახში დიდის ზემით გამოაცხადა: დასვენების დღეს ქართველი ბიჭების ბანკეტზე ვართ მიწვეულიო. ევპრაქსია ივანოვნამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— შენ ხომ არ გაგიყდი. არც შენ გაგიშვებ და არც მე წავალ, იქ დაითვრებიან და ვინ იცის, რა ამბავი ატყდება...

— ხომ არ გაგიყდი, ქალო, ხომ ნახე, როგორი კარგი ბიჭები არიან.

— ღვინო ხომ გექნებათ?

— ცოტაოდენი.

— ვიცი მე თქვენი ცოტაოდენი. შენ ნუ უყურებ, რომ ისინი ასეთი წყნარი ბიჭები არიან. დალევენ ღვინოს და მერე ნახე, რომ დაგერევიან ხანჯლებით. ყველას დაგკოვანენ.

— რით? გატეხილი ხმლით?

— ეგ, იმ შენ ტიგრას ჰქონია გატეხილი, სხვებს ხანჯლები აქვთ ალბათ დამალული უბეში.

— კარგი ერთი, მიედმოედები რაღაცას. ნახევარზე მეტი იქ ჩვენი გოგოები იქნებიან: აი ანისკაც...

— ანისკა არსადაც არ წავა. — გადაჭრით გამოაცხადა ევპრაქსია ივანოვნამ.

— შენ გკითხავს. — გაიღიმა ვასილ ივანიჩმა.

საერთო საცხოვრებელში ბიჭები დილიდანვე შეუდგნენ სამზადისს. შეიქნა ერთი ფხეკა, წმენდა, წვერის, უფრო სწორად ღინღლის პარსვა, ბისმარკამ თავისი კოვერკოტის კოსტუმი გამონახა, სხვებმა ახლად დაუთოვებული ბლუზები ჩაიცვეს. მარტო ვეფხიამ გადაწყვიტა, ჩვეულებრივი ტანსაცმლით წასულიყო და თავისი ხევსურული ხალათი შორს გადაშალა. ერთი გული ეუბნებოდა ჩაიცივი, თუ გინდა ყველა გააკვიროვო, მაგრამ თავის ამ ხევსურულ ტალავართან ერთად მაშინვე თავისი გატეხილი ხმალი ავონდებოდა, ავონდებოდა თუ რისთვისაც გამოსწია ქალაქში, რომ მისი ოცნება კილონახევარ ფოლადის მოდუღების სწავლისა და ხმლის გაჭედვის იქით ვერ წასულიყო, ავონდებოდა ეს და მაშინვე სირცხვილის ალმური ლოყებზე ცეცხლად ედებოდა. ახლა მისი ოცნება იყო, ჩაეცვა ისეთივე კოხტად შეკერილი ტანსაცმელი, როგორიც ბისმარკას ეცვა, ან ისეთი, როგორიც ჰაიკას და ესტატეს ჰქონდათ, სათხილამურო ბლუზა-შარვალი, ჯიბეებზე და გულისპირზე მიკერებული სახრიალოთი რომ იხურებოდა და იხსნებოდა, ან კიდევ ისეთი — როგორიც გიგას ეცვა, ჩვენებური ქართული ბლუზა, ვიწრო ქამრის უკან მისხიპული ნაოჭებით.

დილიდანვე საარაკო აინდი დაუდგათ. ცაზე თითქო სავანგებოდ მიმოფანტათ ფუნჩულა ღრუბლის ქულები. ქარხნის მილების ყომრალი ბოლიც მშვიდად მიიმართებოდა მალა. ახლად აყრილი მწუანე ბალახი ლაქწანმულივით ლაპლაპებდა. ტყე ჯერ არ იყო მთლიანად გამოსული და დახეთქილი კვირტებიდან მხოლოდ ახლა გამოეყოთ თავი ნაზ ფოთლებს. ხმელი ნეშო ისე იყო შეკრული, თითქო იგი სავანგებოდ სადეკორაციო პაპიემამუსხავით გაემზადებინათ და მიწის ზედაპირზე გადაეკრათ. აქა-იქ თავი ამოეყოთ კორჩიოტებს და თეთრ ყვავილებს. მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ამ ჯერ გაუშლელ ტყეში, მაგრამ ისე საამოდ გრილოდა, რომ სულაც არ იყო საჭირო ჩრდილში თავის შეფარება.

მალე ტყეში ისეთი ადგილი მოძებნეს, სადაც არყის ხეების და ფიჭვების



გარდა გარემო არაფერი არ მოჩანდა, აღარც ქალაქი, აღარც ქარხნის მიღებები, მარტო ბამბის ქულებით შემკული ლურჯი ცა დამხოზოდა დედამიწას და ქილკვაეები ზარმაცად მიაქნევდნენ ფრთებს ხეთა თავებზე.

არჩეულ ადგილზე ზედ ნეშოზე დაახვევს თავისი ხორაგი და სუფრას გაშლას შეუდგენენ მიწაზე დაფინეს წინასწარ მომარაგებული გაზეთები (ამ გაზეთების გულისთვის მთელი ომი ჰქონდათ კლუბის გამგესთან). ქალიშვილებმა დიასახლისობა იკისრეს, კოხტად დაალაგეს საჭმელები, ჩამოამწკრივეს ბოთლები, დაჭრეს გზაში უკვე დაფორებულ-დაობებული ხაჭაპურები და ლობიანი პურები. დაამტკრიეს ჩურჩხელები და გვერდით მოუწყვეს დამქანარ ვაშლებს. მართალია, ხორციულიდან მარტო რამდენიმე ნაჭერი შაშხი, სამიოდე ძეხვი და ერთი აპუხტი ჰქონდათ, მაგრამ სამავიეროდ თევზეული, ხამსა, სელიოდკა ანუ ჩვენებურად ქაშაყი და თევზისავე კონსერვები უხვად ეყარა.

სუფრის თავში არჩილი დასვეს და თამადობაც მასვე დაავალეს. მან მიმოიხედა, შემთხვევით იქვე დაინახა ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი, მისწვდა მაჯაში და გვერდით მოისვა.

— მე არ შემიძლია თუ ახლო ქალიშვილი არ მიხის. — უთხრა მან, შემდეგ დააკვირდა და იცნო შურა ნიატილოვა. — ო, ეს თქვენა ხართ. აი, ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ბედი მწყალობს: ქალიშვილი, რომელიც აქ მე ყველაზე მეტად მომეწონა.

შურამ გაუღიმა, მაგრამ დაბნეულობისა და მორიდების გამო ხმა ვერ ამოიღო. მას ძალზე მოწონდა არჩილი, მაგრამ არავისთვის არც გაუხეხლია, არც შეუძინევიანებია. ისე კი სულ ნატრობდა, ნეტავ ერთი თვალში მოვხვდებოდეთ.

— ღვთის გულისათვის, ნუ დამცინით, — ღიმილით უთხრა მან და თავისი კასკასა კბილების შუქი შეანათა. კოხტად მოიკეცა და შეეცადა მოკლე კაბა როგორმე მუხლების ქვემოთ ჩაეჭია.

— კი არ დაგცინით, მართლა გეუბნებით. — არჩილი ჭიქას მიწვდა და ღვინით აავსო.

— ოი, ეგ სულ უნდა დალიოთ? — ჰკითხა შურამ.

— მე თქვენისთანა ლამაზი ქალის ცქერით უფრო ვითვრები, ვიდრე ღვინით.

— როგორი ყოფილხართ, არ ვიცოდი.

სანამ სტუმრები და მასპინძლები რამდენიმე ლუკმის შეჭმას მოასწრებდნენ, არჩილმა ყველანი ფეხზე წამოაყენა და პირველი სადლეგრძელო მტერზე გამარჯვებას მიუძღვნა. დამსწრენი ალტაცებული ყიყინით შეეგებნენ ამ სადლეგრძელოს. ვინაიდან სტუმრებმა სუფრის ქართული წესები არ იცოდნენ, მაშინვე ყოველმ მხრიდან გაისმა სხვადასხვა სადლეგრძელოები, საბჭოთა ამიისა, პარტიის და მთავრობისა, მაგრამ არჩილმა ყველანი შეაჩერა და გამოაცხადა:

— ამხანაგებო, ვინაიდან თქვენ ჩვენი სტუმრები ბრძანდებით, ამიტომ ნება მოიღეთ და ჩვენს წესებს დაემორჩილეთ. თქვენ უფლება არა გაქვთ თამადის ნებართვის გარეშე სხვა სადლეგრძელო მიირთვათ. უნდა გაიმეოროთ მხოლოდ ის, რასაც თამადა იტყვის.

მაგრამ ამ გაფრთხილებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. გადაჭრეს თუ არა პირველი ჭიქა, მაშინვე აირია მონასტერი და ვინ ვის სადლეგრძელოს სვამდა, ალაჰმა უწყის. ერთადერთი რამაც ცოტათი მოაწესრიგა სუფრა, ეს სიმღერები იყო. ერთ კუთხეში ჯემალ ღლონტმა და ბისმარკამ ისეთი კრიმანჭული ჩაუკიანეს, ხოლო მეორე კუთხეში გიგა ბეჟანიშვილმა თავის ჯგუფით ისეთი „მრავალკამერი“, „ბერი კაცი ვარ“ და „ზამთარი“ დააგუჟუნე-

რომ სიმღერის უსმენელი გახადეს ყველანი. ბოლოს დოლსაც შემოპკრეს და საცეკვაოდ გადვიდნენ. აქარლებმა განდაგანა ჩამოუარეს, აფხაზებმა და ოსებმა ქართული იცეკვეს, ამას მთიულური მიაყოლეს, სვანებმა ცერული, თუმცა ტლანჭი ჯარისკაცული ბატინკებით ცერებზე შედგომა არც ისე ადვილი საქმე იყო.

არც რუსები დარჩნენ ვალში. გენია ბურაკმა გარმონი ააკვნესა, ვიტია სტრუნეიკოვმა და მიტია კოსინმა ისკუბეს და წრეს ბუქნით შემოუარეს. უეცრად ყოველი მხრიდან გაისმა:

- შურა!
- შურა, გამოდი!
- შურა, გვასახელე!
- შურა..
- მოიტათ შურა!
- შურა მოგვართვით!

თურმე ეს შეძახილები შურა ნიატილოვასკენ იყო მიმართული. ის კი თავჩალუნული იჯდა და არც კი ფიქრობდა ადგილიდან დაძრულიყო.

— ეს თქვენ გეძახიან? — გაკვირვებით გადახედა არჩილმა შურას.

ამ დროს ფეხზე წამოიჭრა ვასილ ივანიჩი, მივიდა, შურას იღლებში ხელები ამოსდო და ფეხზე წამოაყენა.

— ადე, თორემ ჩემი ანისკა უშენოთ ვერ ბედავს წრეში გასვლას.

შურამ თავისი ჭრელი სამკუთხა თავსაფარი შეიხსნა და შველივით წერწყეტა ტანის რხევით მოცეკვავე ბიჭებში შეიჭრა. შეიჭრა, ერთი კი დაპკრა მიწას ცალი ფეხი, გაშალა ხელები და დატრიალდა. იმ წამსვე ტრციალით და სიცილ-კისკისით წამოიშალნენ გოგოები და ისეთი ფერხული გაიმართა, მართლა რომ სანახავად ღირდა. ქალ-ვაყნი ხან წყვილ-წყვილად დაპკროდნენ წრის გარშემო, ხან რიგრიგობით უვლიდნენ ბუქნას, ხან მწკრივად ეწყობოდნენ, ხან წრეებს კრავდნენ, თავსაფარებს აფრიალებდნენ, ქუსლებს სხვადასხვა სიმღერის რიტმზე აბაკუნებდნენ.

— ე, ბიჭო, გვაჯობეს, გონია, ცეკვაში ამ სახეძალებმა. — დაიძახა აჰმედ მოწყობილმა...

და იმ წამსვე, როგორც კი რუსებმა ცეკვა შეწყვიტეს და აქოშინებულნი ქალ-ვაყნი სულის მოსათქმელად აბიზინებულ მოღზე მიეყარნენ, გაისმა დოლის ისეთი გამალებული ბაგაბუგი, გეგონებოდათ ტყვიამფრქვევით უკრავენ მუსიკასო. ერთი დასწყვილა ძივი დანელიამ, გადახტა წრეში, მას რამდენიმე მარდი ბიჭი მიჰყვა, მერე ქართველმა გოგოებმაც გაშალეს მკლავები და დაიწყო ისეთი თავბრუდამხვევი, გიჟური ცეკვა, თითონ არჩილმაც კი ალტაცებით წამოიძახა: — ეს რა ბიჭები მყოლიათ.

ანისკა ვეფხიას გვერდით იჯდა და ალტაცებული უტკეროდა ამ გიჟურ ცეკვას. მერე სწრაფად მოიხედა და უთხრა:

— შენ რატომ არ ცეკვავ. რას იზრანჭები?

ანისკას თავი მოჰქონდა ვეფხიას ნაცნობობით, თავის ამხანაგებს ყურები გამოუჭედა, ტიგრა ამისთანაა და იმისთანააო. არ იყო ქვეყნად საღებავი, რომელიც ანისკას ვეფხიას შესამკობად არ დაეხარჯოს და ახლა, სწორედ ახლა, როდესაც მის ამ უბადლო გმირს თავი უნდა ესახელებინა და ანისკას მიერ გაცემული თამასუქები გაენადლებინა, იჯდა ჯიკივით, არც ხმას იღებდა, არც მღეროდა და არც ცეკვავდა.



რა იცოდა ანისკამ, რომ ვეფხიამ არც სიმღერა იცოდა, არც ცეკვა, და რუსული იმდენად, რომ ქალიშვილთან წესიერად ესაუბრა:

- რატომ არ ცეკვავ? — არ ეშვებოდა ანისკა.
- არ მინდა. — უპასუხა ჯიუტად ვეფხიამ.
- იცეკვე რა, გემუდარები.
- არ ვიცი ცეკვა.

გულისგასახეთქად ახლა სხვა გოგოებმა გადასძახეს ანისკას:

- რატომ ეგ შენი ტიგრა არ ცეკვავს, ანისკა?
- ხომ არ მოაჯადოვე?
- იქნებ ეგ სულაც არ არის კავკასიელი, ა, ანისკა?

ვასილ ივანიჩმაც კი მიაქცია ყურადღება და ვეფხიას გასძახა:

— რაო, ტიგრა, გრცხვენია? ადუ, რისი გრცხვენია. აქ ყველანი შინაურები ვართ. გინდა, მეც ვიცეკვო თქვენთან ერთად.

ესა თქვა, დაჰკრა ფეხი, გადახტა წრეში, ჩაერია ქართველ ბიჭებში და რუსულად ააბრაახუნა ჩექმები. ამან ერთი მხიარული ყრიაშული გამოიწვია, გენია ბურაკმა ისევ გაწელა გარმონი, რუსი გოგო-ბიჭებიც წამოცვივდნენ და ფერხული თავისთავად გაერთიანდა.

ამ აურზაურსა და მხიარულ ყრიაშულს მარტო ანისკა არ აქცევდა ყურადღებას. იგი კვლავ საყვედურით და ცრემლებით სავსე თვალებით უტყუროდა ვეფხიას და ეკითხებოდა:

- ნუ, ზაჩემ ნე ტანცუეშ?
- ნე ზნაიუ. — დუდუნით იმეორებდა ვეფხია.
- ვრიოშ!

ანისკა ალბათ ქვეითის დაიწყებდა, მაგრამ ამ დროს, მას გიგამ წაატანა მაჯაში ხელი, ფეხზე წამოაყენა და უთხრა:

— მოდი, ანინუშკა, იცეკვე, დაანებე მაგას თავი. მაგ და დათვები ერთნაირად ცეკვავენ.

— მართლა? — ძალით გაიღიმა ანისკამ.

— მაგან თავისი ზღაპრული ხალათიც კი არ ჩაიცვა იმის შიშით, ვაი თუ ამის პატრონმა რომ ვერც ვიცეკვო და ვერც ვიმღერო, თავი არ მომეჭრასო.

— ხალათი? რომელი ხალათი? — იკითხა ანისკამ და ხან გიგას შეხედა ხან ვეფხიას.

— ოო, მაგან საცოლესაგან ისეთი ხალათი მიიღო საჩუქრად...

— საცოლესაგან? — გაკვირვებით შეანათა ცისფერი თვალები გიგას ანისკამ და მერე ვეფხიას შეხედა. გიგას ხელში ჩაბღუჯული მაჯა გაინთავისუფლა. დაჰკრა ფეხი და თავდავიწყებით გადაეშვა მოცეკვავეთა წრეში, მაგრამ მოულოდნელად, სწორედ მისი გულის გასახეთქად ცეკვა მაშინვე შეწყდა.

ანისკა დაბნეული მიტრიალ-მიტრიალდა, თითქო სურდა რაღაც დაემალა და არ იცოდა სად წასულიყო. მივიდა ვეფხიას გვერდით, დაფენილ თავშალს დასწვდა და წარბშეკვრით მიმოიხედა.

— დაჯექი. — უთხრა ვეფხიამ.

— რაო, — ისე ცივად ესროლა ანისკამ, გეგონებოდათ ამ ცივი პასუხით სასიკვდილოდ უნდა განგმიროს ეს ჭაბუკიო, ამაყად ასწია თავი და მონადიმეთა ბოლოში გადაინაცვლა.

ამ დროს რაღაცაზე გადაიკისკისა ლამარამ და ვეფხიას მოეჩვენა, რომ ეს დამცინავი სიცილი მისკენ იყო მიმართული.

გოგოები გაოცებით ეკითხებოდნენ ლამარას, რაზე იცინო. ის კი არ პასუ-



ზობდა, იცინოდა და იცინოდა. ვეფხიას სულაც არ უცქეროდა, მაგრამ გრძობდა და ხევსური, რომ მისთვის სასიკეთოდ არ იცინოდა ლამაზა.

გული უსიამოდ შეეკუმშა და ამ ლიანგ ხალხში წარმოუდგენელი მარტობა იგრძნო.

სიამოვნებით მიატოვებდა ამ სუფრასაც, ამ მხიარულებასაც, წავიდოდა ტყეში მარტოდმარტო სახეტიალოდ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შეუმჩნეველად გაპარვა.

მაინც წამოდგა ფეხზე და მოცეკვავეებისაკენ გაიხედა, ვითომ იქით აბირებდა წასვლას.

თვალი გააპარა ლამარასაკენ.

ის აღარ იცინოდა და რაღაცას ჩასჩურჩულებდა კატო ქაჩაღბეტაშვილს.

აჰ, რას არ გაიმეტებდა ვეფხია, თუნდაც ნახევარ სიცოცხლეს, რომ ისეთი თავბრულამხვევი ცეკვა სცოდნოდა, როგორც ზოგიერთმა ქართველმა ბიჭმა იცოდა, რომ რაც გოგოები იყვნენ აქ, ყველას ყურადღება მიექცია.

მობრუნდა, რომ ანგარიშმიუცემლად ტყისთვის მიეცა თავი, გაცლოდა ამ ღრიანცელს, მაგრამ ამ დროს მას გვერდში ამოუდგა რომელიღაც მკვრივი, ლოყბუტუნა ქალი და ჰკითხა:

— შენ რატომ არ ცეკვავდი? — პასუხს არ დაელოდა და უთხრა: — შენ რაო, ვერ მიცანი?

ვინაიდან ვეფხია კვლავ არ იღებდა ხმას და მდუმარედ უცქეროდა ქალს, ისევ მან დაარღვია ღუმელი

— მართლა ვერ მიცანი? მე თქვენი ხიდური ამწის მემანქანე ვარ. თქვენი ლამაზა ჩემთან მუშაობს. იცი ხომ ლამაზა?

— ვიცი.

— მაღლობა ღმერთს, ხმა ამოიღე. მართალი მითხარი, მაშინ რატომ მოძვრებოდი ჩემთან ზევით?

— რაო? — ვერ გაიგო ვეფხიამ.

— წამოდი, ვავიაროთ, აქ საშინელი ხმაურია. — მკლავში ხელი გამოსდო ქალმა. ვეფხია მიჰყვა.

— რა გქვია? — ჰკითხა ვეფხიამ.

— გრუნია, გრუშა. შენ ტიგრა გქვია. მე ვიცი. რამდენი წლისა ხარ?

— თვრამეტისა.

— ეე, წვინტლავ, მე ოცდაოთხისა ვარ. კოცნა შეგიძლია?

— რაო? — გაუკვირდა ვეფხიას.

— რაო! — გააჯავრა გრუშამ და ენა გამოუყო, — ღურაჯი ხარ.

— რად მლანძღავ.

— მე კი გეუბნები, ღურაჯი ხარ. არ გეწყინოს. ცოლი გყავს?

— რაო?

— რაო, რაო! ცოლი გყავს-მეთქი? ცოლი, ცოლი. იცი რა არის ცოლი?

— ვიცი.

— გყავს?

— არა.

— საცოლგ?

— მყავს.

— აქ თუ იქ, კავკასიაში?

— იქ.

— ოო, ეგ კარგია. მე მეგონა, აქ გყავდა. იცი რა, ტიგრა, წამო ჩემთან სახლ-


ში. საქმე მაქვს. მომეხმარე. ოთახი მინდა გავათეთრო და ავეჯი გამატანინე. შერე დავსხდეთ და ვიმუსაიფოთ. რა გინდა აქ, ამ ღრიანცელში. დაითვრენ და იქნება კიდევაც იჩხუბონ. რას იყურები უკან.

ვეფხიამ მოიხედა. გრუშამაც მოიხედა და ისე მობრუნდა, რომ სავეც გულმკერდი ვეფხიას გულმკერდზე გაჰკრა. ახალგაზრდა კაცს ელვასავით დაურბინა მთელ სხეულში უცნაურმა, თავბრუდამხვევმა ჟრუანტელმა, შეკრთა, ეს რა მომივიდაო და დამნაშავესავით ცოტა უკან დაიხია.

— ოჰო, საკმაოდ შორს წავსულვართ, წამო კიდევ ცოტა და სულაც ველარ დაგვინახავენ, — ჩაავლო მაჯაში ხელი გრუშამ. — იქიდან კი შინისაკენ მოვუსვათ.

ვეფხია ანგარიშმიუცემლად მიჰყვა.

(გაგრძელება იქნება)



ნორა გუგუნიძე

ჩვენი საუკუნე

ამ ჩვენს შფოთიან და საოცარ საუკუნეში,
როდესაც ომის გრიგალები დაძრწიან რისხვით,
როცა ვარდს თელავს ტანკი უხეში
და ბალახებზე იღვრება სისხლი,
როცა მინდვრები იბუგება ცეცხლსა და კვამლში,
როცა დაჭრილი სიცხით ბოდავს ძვირფასის სახელს,
როცა მშვიერი დატანტალებს ობოლი ბავშვი,
როცა თვალეში დიად რჩებათ დაფერფლილ სახლებს,
მთელი არსებით,
მთელი გრძნობით,
სხეულით მთელით.
ვეყვით,
ვღრიალებთ—

გადატეხეთ სიკვდილის ცელი!

როცა იღვიძებს ლამაზი დილა
და სამშვიდობოდ მიმოაფრქვევს მზე თავის სხივებს,
ხმამოჭიკჭიკე ჩიტუნები ფრთებს შლიან ფრთხილად.
როცა ყვავილის სურნელებაც გინერგავს იმედს;
დილის შუქივით რომ გიღიმის სატრფო გულისა,
წინ გეგებება მეგობარი გამოწვდილ ხელით,
როდესაც სულში ხე ყვავილობს სიხარულისა,
გატკბობს კარგი დღე
და ხვალ უფრო უკეთესს ელი;
ბედნიერების, სიყვარულის ბადაგი გვაგებს
და ჩვენ ვსაუბრობთ,
ჩვენ ვჩურჩულებთ ალერსის ხმაზე...
... ამ ჩვენს შფოთიან,
ამ ჩვენს ლამაზ საუკუნეში,
ჩვენი ლექსები ხან ნაზია და ხან უხეში.

მე დავიბადე გემის კაპიტნად

მე დავიბადე გემის კაპიტნად...
 მე ზღვასთან ყოფნა ახლო მერჩინა,
 უნდა ახალი კუნძულები აღმომეჩინა,
 შეგებრძოლებოდი ფიცხელ ომში საშიშ პირატებს,
 დავდევნებოდი უცხო ხომალდს თვით ნაპირამდე.

მშფოთვარე ზღვათა,
 მეჩხერ წყალთა გადამლახველი,
 დიდრონ რუკებზე იქნებოდა ჩემი სახელი.
 მრავალი გული გამყვებოდა ალბათ ოცნებით,
 უცხო ყივილით გამართობდნენ ალბატროსები.
 პოლინეზიის, ჰონოლულუს, ტაიტის ახლოს
 გადავახებდი: გამარჯობა, უცნობო ხალხო!
 გადავსერავდი ოკეანეს აღმა და დაღმა,
 და არც ვიგრძნობდი არაფრით დაღლას.
 უცხო კუნძულზე, რუკაზე რომ ახლა არ მოჩანს,
 დიდის ზემით აღემართავდი სამშობლოს დროვას...

მერე ხალისით და არა დარდით,
 ხელში — ნანატრი ცისფერი ვარდით,
 ვეანლებოდი მონატრებულ გულისწორს ჩემსას,
 გამჯობინებდი მის მწველ თვალებს უცხო ცის მზესა.
 სადმე სოხუმთან დაუშვებდი აფრას გემისას,
 და ჟამსა ჩემის დახანებისას,
 ჩემთა გარდასულ ამბავთ მრავლობას
 მოეუყვებოდი შთამომავლობას...

მე დავიბადე გემის კაპიტნად...
 ოცნებასავით იფანტება ცაზე ღრუბლები...

ერთი გავრანა

ცა გრუხუნებდა მეხდაკვესებით,
 დაჰქროდნენ ღრუბლის შავი აფრები,
 ქარი დიდ ხეებს ჰგლეჯდა ფესვებით
 და აწყდებოდა კლდეს გამძაფრებით.

გამმაგებულნი, გზაარეულნი,
 დიდ ხომალდების ფსკერზე წამლებნი,
 ყალყზე დამდგარნი, გადარეულნი,
 შეუსვენებლივ ჰქუხდნენ ტალღები.

ამ დროს ყივილით, მძლავრი შრიალით,
 რაღაც განგებით თუ თავგანწირვით,

ამაყი და ფრთებნაპერწყლიანი
ცისკენ აიჭრა ერთი არწივი.

ის მიფრინავდა მაღლა,
სულ მაღლა,
არ მოერიდა მესხ და ქარიშხალს,
მერე გაჰკვეთა ღრუბელთა ტალღა
და ფრთებით მასზე გაითარეშა.

მაგრამ არ შერჩა ღრუბლებთან შეხლა,
ცის სტიქიონებს ვერ დაეწყვილა,
ელვის ისარი დაარტყა მენმა
და ჩამოვარდა ფრთებდალეწილი...

ფრთები შავ აფრებს მოჰგავდა მისი,
ბუმბულს აგლეჯდა მკაცრი ქარწვიმა,
და მე აქამდე არ მესმის —
რისთვის,
რისთვის გასწირა თავი არწივი.

არ შეუშინდა ცის დაქუხებას,
სასტიკე ქარიშხალს,
მენის დაცემას,
საით მიჰქროდა, რა აწუხებდა,
რა ჰქონდა,
რა წვა,
რა გატაცება?

მას ქარიშხალთან ჰქონდა დგრიალი,
ფრთების ფრიალი და გამძაფრება...
სიცოცხლე ერთი ყივილი არი,
ერთი ჟრჟოლევა და ერთი გაფრენა.

ჭადრაკი

ჭადრაკის მეც დიდი
მახლავს სიყვარული,
მე ვიცი როგორი დაწყება სჯობია;
ყალბი საჩუქრები,
შეტევა ფარული —
ჩემთვის ცხოვრებიდან კარგად ნაცნობია.

მე ვიცი
მეფეთა ბუნება დიადი,
ვიცი ოფიცერი გზას როგორ გაიკვლევს,

როგორი ზნე აქვთ ან
მოქცევა ზვიადი
შემთხვევით წინ გაჭრილ და გამსვლელ პაიკებს.

აქ დროა მთავარი,
და მთლად ზედმეტია
გულუხვი დათმობა და დარდიმანდობა.
აქ მკაცრი ბრძოლაა,
სასტიკი შეტევა,
სუსტის და ლაჩარის არ არის დანდობა.

აქ უნდა შეგეძლოს წაგების სწავლებაც,
არეულ ნაბიჯებს არვინ გაპატიებს,
აქ უნდა გაუძლო სირცხვილს და წამებას
და უნდა იცოდე — მოიგო პარტია.

ზოგჯერ დამარცხება თუ სევდით დაგენისლავს,
რა ვუყოთ,
ვიცოდეთ ჩვენც დამახსოვრება, —
რომ ერთი უბრალო,
პატარა მცდარი სვლაც
რალაცით წააგავს წაგებულ ცხოვრებას...

ჭადრაკის მეც დიდი
დამყვა სიყვარული,
ხანდახან ამ ბრძოლის სარდალსაც ვედრებო,
აგერ, გამოვიცან ის მახე ფარული,
აგერ, მიიწევენ წინ ჩემი მხედრები.

... და თუ გატაცება არა გვაქვს ნაკლებად,
სიცოცხლის ტრფიალი გულს თუ არ გვეტევა,
უნდა პოზიციის ვიცოდეთ გარკვევა
და რაც მთავარია —
შეტევა,
შეტევა!



გენი სეიანიანი

ნახატები ზურაბ ნიუარაძისა

ჩემი პირველი
სიყვარული



1. შობლიურ მთებში

სწორად მაგონდება ჩემი შობლიური მთები, შობლიური ცა, ხან ლურჯად მოკამკამე, ხან რუხი ღრუბლებით მოქუფრული. ზოგჯერ ეს ღრუბლები ფაფახივით ახურავთ მიუწვდომელ მწვერვალებს, ხოლო დაბურული ტყით დაფარული გორაკების მხრებზე ქარავანივით წვანან.

ახლაც მესმის ბალახ-ბულახით მოფენილ გილჩარის ველებიდან ჯიხვის ყვირილი, ტანძრის ქარაფებზე გაქცეული დაფეთიანებული შვლის ფრუტუნნი; ვხედავ, ღრმა და პირქუშ კირანცის ხეობიდან როგორი ბუხუნით მოძუნძუნებს ჩვენი ტყეების ბანჯგვლიანი „მებაღე“; დარალანჯის მწვანე ფერდობზე როგორ გარბის გორგალივით დახვეული გრძელკუდა მელია; ბორცვიდან ბორცვზე მხიარულად დახტიან კურდღლები; ბავშვების შურდულიდან გასროლილ ბრტყელ ქვასავით სტვენენ ყანიდან აფრენილი მწყერები და გულს სასიამოვნო ტკბილი ენით ებუზუნებიან ჩემი მთაგორაკიანი ქვეყნის მოჩუხჩუხე წყაროები.

ოჰ, წარმტაცო მთებო. შობლიურო მხარეც, ოჰ, ჩემო საუცხოო ქვეყანავ!..



თქვენს მოლურჯო ნისლით დაფარულ გულ-მკერდზე მარმარილოს ქანქარა დაკებასავით ამოზიდულა ქაჩალ-ქარი თავისი საიდუმლოებით მოცული გამოქვაბულებით და ცამდე აწვდილი შიშველი მწვერვალაით. თურმე მრავალი წლის წინათ მისი კალთებიდან მწყემსი გადაჩეხილა. მახლობელ ხევებში დიდხანს უძებნათ მისი გვამი და ბოლოს უპოვნიათ მხოლოდ მარჯვენა ხელი. რომელიც ჭირისუფალს საჩვენებელ თითზე წამოცმული ბეჭდით უცენია...

ასეთი მაღალი და მძვინვარეა ქაჩალ-ქარი...
მეგრამ ამ მთას ერთი სიკეთეც ახლავს: ვინც ერთხელ შედგამს ფეხს მის მკერდზე და გადმოხედავს სამყაროს, მას შეუძლია თქვას, მთელი ქვეყანა გულში ჩამიკრავს, ღრუბლებთან და ელვასთან მითამაშნია, არწივების ენა მომისმენიაო...

ქაჩალ-ქარის მისადგომებთან, დაბურულ გაუვალ ტყეებს შორის, მწვანე ტბასავით გაწოლილა ჯეირანის ხეობა. მაისში, როცა გაჩნდებიან მუქი ყვითელი ყვავილები თავიანთი მზინავეი, ცვილოვანი რთვილით დაფარული ფოთლებით, გეგონებათ, ჯეირანის ხეობის ველზე ოქროსფერი ტალღები ირწყვიათ. ეს უსასრულო სიყვითლე უცხო კაცს შემოდგომის შემოსვლას უფრო აფიქრებინებს, ვიდრე გაზაფხულისას. ამ ყვითლად მოლადანე ყვავილებისგანაა, მაისის ერბოს რომ მუქი საკმეველის ფერი ედება და ველზე მოჯირითე ბაღებს ტიტველი ფეხები ისე უყვითლდებათ, თითქოს შედეგილი წინდები ჩაუცვამთო.

მუდამ გრილი ჰაერია ჩვენს მთაგორიან მხარეში. დილის რთვილი კაშკაშა მზიან ღარშიც კი შუადღემდე ვერა დნება.

ჩემო მკითხველო, იქნება ოდესმე მოხვდეთ ჩვენს მხარეში! თუ ასეთი ბედნიერი შემთხვევა მოგეცათ, გირჩევთ ახვიდეთ ამ მთის ყვავილოვან კალთებზე. მე ბავშვობისას ბევრჯერ მიცდია იქიდან გაქცეული ღრუბლების დაქერა. თქვენც სცადეთ და დატებით ამ წარმტაცი მშვენიერებით; თურმის წყაროზე ჩასვლაც არ დაივიწყოთ. მის ფსკერზე დილისოდენა ბუშტების თამაშით ამობუხუბუყებს ყინულოვით ცივი წყალი — ამ წყაროს მქრქალ სარკეში პირველად დავინახე ჩემი სახე და თავზარდაცემულმა უკან დავიხიე: მომჩვენა თითქოს იქიდან წყლის ალი მიმზერდა და თავის სამფლობელოში ჩათრევას მიბირებდა; ნურც ამ ღრუბლის ფაფახიან მთებს შუა გაწოლილ ხევებში გასეირნებას დაიზარებთ. იქ გატარებულ წუთებს უქმად დაკარგულად არ ჩათვლით, როცა ხევის ერთი მხრიდან ხარ-ირემის ზარზომიან ყვირილს გაიგონებთ, ხოლო გადმიდან ფურ-ირემის სამიჯნურო მოძახილს...

იმ ხევებში მასწამლებად მწყემსები დაგისვლებიან. ისინი მაშინვე, თქვენს თვალწინ მოწყვლიან ცხვრებს და მთიელებსათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით ალალი გულით შემოგთავაზებენ ქაფქაფა მსუყე რძეს. და მერწმუნეთ, მხოლოდ მაშინ იგრძნობთ, თუ რაოდენ თავისებურად რომანტიკულია მწყემსი კაცის ცხოვრება, თავისი ბედი მთლიანად ბუნების კაპრიზებისათვის რომ მიუხდვია.

იხეტიალეთ ჩემი მშობლიური მთების ვიწრო ბილიკებზე და აბრეშუმევიით მოშრიალე ბალახები ღვიძლ დასავით ჩამოგწმინდენ ტანსაცმიდან მგზავრობის მტვერს... შემოიარეთ ჩვენი დაღუმებული ტყეები, მოისმინეთ ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, რომლებსაც გაიმბობენ იქაური მოხუცი მწყემსები და მყის გაგიცოცხლებიან დიდი ხნის განვლილი, დაუბრუნებელი ბავშვობის შთაბეჭდილებანი...

და მხოლოდ მაშინ მიხვდებით, თუ ჩემი შეგნებული ცხოვრების განთიადზე ამ მთებში დაბადებულმა პირველმა წმინდა და ნათელმა სიყვარულმა რატომ გამივლო გულში ასეთი ღრმა, მარად წარუშლელი კვალი...

2. „ემმაკი ხოჰო“

ჩვენი საგაზაფხულო კარვების მახლობლად, წიფლნარის ქალაში, ერთი ტიტველი ფერდობი იყო. აქ ცხოვრობდა მეორე დაზო. იმ ბარაქიან არემარეში დაზოს საცხოვრებლად ეს მწირი ფერდობი ამოერჩია, პატარა ქოხი წამოეჭიმა და ზამთარ-ზაფხულს მთებში ატარებდა. კორძიან კუნძს ჰგავდა ჯმუხი დაზო, პირისახე უხეში ბალნით ჰქონდა დაფარული, წარბები და წვერ-ულვაში ხმელი ბალახის კონას მიუგავდა, ხოლო ცხვირი არწივის ნისკარტს მოგაგონებდათ.

აი ამ დაზოს ერთი შავგვრემანი ქალიშვილი ჰყავდა, ნოემზარი. ისეთი შავი იყო, იტყოდით, კუბრის ქვევრში ამოუვლიათო. გაჩენის დღიდან იმის ფეხებს წინდები არ ენახა, მულამ ფეხშიშველი დარბოდა, ძონძანებში გახვეული. სქელი, შავი თმა ყოველთვის გაწეწილი ჰქონდა, ხოლო თვალები გარეულ კატასავით უელავდა. ჩვენ ამ გოგონას „ემმაკი ხოჰო“ შევიარქვეთ, და ეს სახელი სწორედ ზედგამოჭრილი იყო: გარეგნობით ნოემზარი მართლაც ძალიან ჰგავდა ემმაკუნას, შავსა და ცქვიტ ტყის ხოჰოს.

ნოემზარი დღიდან დაღამებამდე ღორებს მწყემსავდა. ზოგჯერ ღორები აქეთ-იქით გაქეცეოდნენ ხოლმე. ამის გამო ბიჭები ჩხუბი მოგვიდოდა გოგონასთან, ვლანძღავდით, და ძალიანაც არ გვექაშნიკებოდა იმისი ღორების დანახვა: ისინი სამთაბარო ადგილებში ჩიჩქინდნენ მწვანე ბელტებს, არც თუ იშვიათად ესტუმრებოდნენ ჩვენს ბინებს, ჩუმად დაითრევდნენ ტყავის ტომარებს, რომლებშიც ინახებოდა მაწონი, გულეებიდან თქველფდნენ კარაქსა და ყველს. ძროხებს რომ რაიმე ავადმყოფობა გამოაჩნდებოდათ, ყველა დარწმუნებული იყო, რომ სენის შემოტანაშიც დაზოს ღორებს მიუძღოდით ბრალი.

უფროსების წაქეზებით ჩვენ ხშირად ძაღლებს მიგუსევდით ხოლმე დაზოს ღორებს, კეტებით დადევდით ტყეში. ნოემზარს ბრაზი ახრჩობდა, ცოფებს ყრიდა; დიდების ოხტში რომ ვერ მოდიოდა, ჯავრს ჩვენზე, პატარებზე იყრიდა. განსაკუთრებით სძულდა ჩვენი სადგომების გოგონები. როგორც კი რომელიმე მათგანი ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამდა, ნოემზარი იმდენ ხანს უთვალთვალავდა, ვიდრე საღმე მოფარებულ ადვილას არ გამოიჭერდა და ნაკუწუნად არ აქცევდა ახალ სამოსს; უფრო გამაგდებოდა ხოლმე, როცა ვინმე გოგონას ახალ გულქანდას დაუნახავდა — მივარდებოდა, გაუწყვეტდა მანიაკს, აქეთ-იქით გადაუყრიდა მძივებს და მერე ტყეს შეაფარებდა თავს ან თავიანთ ქოხს მიაშურებდა.

ჩვენთან, ბიჭებთან, ანგარიშის გასწორებისათვის ნოემზარი სხვა ხერხს მიმართავდა. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ნაკადულების დაგუბება, პატარა წისქვილების მოწყობა. ამ საქმეში გოგონას თვალს არ გამოეპარებოდა ჩვენი საქმიანობა, დროს შეარჩევდა და უმოწყალოდ ანადგურებდა გაჭირვებით მოწყობილ საგუბრებს, ამტვრევდა ჯიბის დანით წვალებით გათლილ წისქვილებს; ძალიან გვიყვარდა ნახშირით გუთნებისა და ირმების ხატვა ხეებზე, — ნოემზარი ჩუმად ჩამოუვლიდა ხეებს და წაშლიდა ხოლმე. ასევე დაუნდობლად ანადგურებდა ხელოვნურ ტბას, რომლის დასაგუბებლადაც ბევრ შრომას ვხარჯავდით; არც ჩვენს ხბოებს ჰქონდათ მოსვენება ნოემზარისგან. ამ პატარა, უმწეო პირუტყვებს „ხოჰო“ წყებლით სცემდა, აშინებდა, ან განგებ გარეკავდა მინდორზე, სადაც ჩვენი ძროხები ძოვდნენ, რომ დედებისათვის რძე გამოეწოვათ და უფროსებს დავესაჯეთ უყურადღებობისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ ნოემზარი გვძულდა, თვალში ეკლად გვესობოდა და სულ იმის ცდაში ვიყავით სამაგიერო გადაგვეხადა, რომ გულის ჯავრი როგორმე გავექაჩრებინა. ამ სა-



ძაგელი გოგონას ერთი მაგრად მიბეგვა მალამოსავით მოგვეცხებოდა გულზე. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: ჩვენი მშობლები მეტწილად სოფელში იყვნენ საქმეზე დაბანდებული, ნოემზარის მამა კი სულ მთაში იყო; თითოც რომ დაგვეკარებინა მისი ქალიშვილისათვის, დაგვიქვარდა და ისე დაგვამყავებდა, იქნება ერთმანეთი ველარ გვეცნო; აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვითონ ნოემზარს ტყეში ხეტილის დროს მუდამ თან ახლდა ვეებერთელა ქოფაკი; დავინახავდით თუ არა ნოემზარს ამ ძაღლთან ერთად, შიშით გამოჩენასაც ვერა ვებდავდით, სულ ბუჩქებში და ხეებს უკან ვიმალებოდით, რადგან ნოემზარს ძალიან სიამოვნებდა ჩვენზე ძაღლის დაქსევა. ასეთ დროს ხეზე ავძვრებოდით ხოლმე. მამინ ნოემზარი თავის ქოფაკს ხეზე მიაბამდა და შეუღამემდე ზევით გვაყურყუტებდა; გაქცევაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. წყუელი ძაღლი ორ-სამ ნახტომს გააკეთებდა, დაგვეწეოდა და როგორც კი ზურგზე ვივრძობდით იმის მხურვალე სუნთქვას, მიწაზე ვეცემოდით შიშით თავზარდაცემულნი. ძაღლი მოვიდოდა ხოლმე და შორიანლო ჩაცუტკლებოდა; მართალია, აღარ გვეჩრბოდა, მაგრამ მისი ბასრი ეშვებისა და გადმოკარკლული ჩასისხლიანებული თვალების დანახვაც გვზარავდა...

ასეთი ვერაგი და შეუბრალებელი იყო „ეშმაკი ხოჭო“.

3. შურან ტყეში...

ერთხელ ხბოები დაგვეკარგა. მთა და ბარი მოვიარეთ, მაგრამ ვერსად ვნახეთ. ჩემმა ამხანაგმა მესრობმა, რომელსაც მოკლედ „მესის“ ვეძახდით, დაიქინა: ეს „ეშმაკი ხოჭოს“ ოინიაო. მეც ჭკუაში დამიჯდა მისი ვარაუდი და ისე გული მომივიდა იმ გოგოზე, ხელში რომ ჩამვარდნოდა, სულ ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევდი... მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არ მჯეროდა მესის გუჟანი, რამაც ჩემი ამხანაგი გააგულისა.

- აი, ნახავ.. თავს მოვიჭირი, სანაძლეს ვლებ, თუ ეს იმისი ოინი არ იყოს...
- ეე, დაგიქინია შენც და ბოდავ...
- კარგი, თუ ბოდვაა, გაიგებ...

ასეთი ქილიკობით დავებნებოდით ტყეში — საქონელს ვეძებდით, რომ უცებ ჩვენ წინ, თითქოს ახლა ამოიზარდათ, გაჩნდა მაცვლის ბუჩქი, მსხვილი, მწიფე ნაყოფით დახუნძლული. ვეებერთელა შავი მარცვლები ისეთი ეშხით იმზირებოდნენ ფოთლებიდან, თითქოს გვეხვეწებოდნენ: მოდით, პირი ჩაიტკბარუნეთო. დილიდან მშვივრები ვიყავით, იმ წამსვე მივეცვივდით ბუჩქთან და გემრიელად შევექეციით მაცვალს. უცებ მესიმ ჭამა შეწყვიტა და მიაყურადა...

- რა მოხდა? — შევეკითხე.
- ჩურჩულით მიპასუხა:
- არ გესმის?
- არა.
- აბა კარგად დააყურადე...

მე ყურები დავეკვიტე. იქვე, მაცვლის დიდი ბუჩქიდან, მართლაც რაღაც შრილი ისმოდა. „დათვი!“ — გავიფიქრე და ტანში ქრუანტელმა დამიარა. — „გავიქცე? — მაგრამ ამ ბანჯგვლიანს სად წაუვალ? დამეწევა და მზეს დამიბნელებს“. მესი ჩაცუტკდა, მეც მანიშნა, ასევე მოიქეცით. ორივე გავიტრუ-



ნეთ, სუნთქვაც კი შეეწყვიტეთ. შრიალი თანდათან ახლოვდებოდა, ჩვენ ველოდით, მაგრამ ვაი ამ ლოდინს.

შრიალის ხმა, ნემსებივით რომ გვესობოდა გულზე, პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდა და გვიახლოვდებოდა. „ვიღუპებით, — ვფიქრობდი მე, — ხსნა კი არსით არის“. მაყვლის ბუჩქთან გარინდებულნი, შეშინებულები ვიყურებოდით წინ და ველოდით საზარელი მხეცის გამოჩენას... ჩვენგან ათ-თხუთმეტობედ ნაბიჯზე ქარიშხლისაგან ძირფესვიანად ამოგდებული ერთი ვეებერთელა მორი ეგლო, რომელიც დაღეწილი ტოტებით კედელივით ჩახერგილიყო ბილიკზე. შრიალი სწორედ იქიდან მოდიოდა. ველოდით, რომ ნადირი ან მორზე გადმოფოფხვდებოდა, ან გარშემო შემოუვლიდა...

ამ დროს გაისმა საშინელი კივილი, ამ ხმამ ტანში გაგვცრა, კანკალი აგვიტყდა, კბილს კბილზე ვაცემინებდით. რამდენიმე წუთს ამ დღეში ვიყავით. ბოლოს გონს მოვეგეთ, მივხვდით, რომ ეს დათვის ღრიალს კი არა, უფრო გარეული კატის ან სხვა რომელიღაც უცნობი მხეცის კივილს ჰგავდა. მორის უკან გამოჩნდა ჯერ ორი შავი თავი, მერე თითებს შუა კუბრივით შავი თავი. ეს უცნაური სანახაობა ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ მიიმალებოდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე. შემდეგ კვლავ გაისმა საშინელი კივილი, მორის უკან ისევ გამოჩნდნენ თავები და ჰაერი ისე დაფხაჭნეს, თითქოს მიგვანიშნეს: თქვენც ასე დაიფლითებითო...

მე და მესიმ შიშით ერთმანეთს გადავხედეთ. მეტის ატანა აღარ შეგვეძლო, მაგრამ ფეხზე წამოდგომას მაინც ვერ ვებედავდით. ძალღონე მოვიკრიბეთ და ფორთხვით ვცადეთ უკან, ბუჩქებში გაძრომა; თან ისე ვკვნესოდით, რომ ჩვენი კვნესა დიდად არ განსხვავდებოდა ჩვენი ხბოების ზმუილისაგან; მაგრამ გზა ვერ გავიკვლიეთ და ჯარჯებში ისე გავიბლანდეთ, როგორც ბუხი ობობას ქსელში.

— უ-უ-უ... ლაჩრებო, მშიშარებო...

უკან მივიხედეთ... ისედაც შეატუხა ნოემზარს ჩვენს შესაშინებლად პირცხახ და ხელები მაყვლით მოეთხუზნა, მორთან იდგა და გულიანად კისკისებდა. ჩვენ გვესმოდა მისი ხმა, მასაც ხედავდით, მაგრამ თვალსა და ყურს არ ვუჯერებდით და მაინც ვკანკალებდით, როგორც ზამთრის ყინვაში თბილ ოთახიდან გარეთ გაგდებული კატა. ნოემზარი კი კისკისებდა გულიანად. მესიმ გული გაიმაგრა, გაღივება სცადა, წამოიწია და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს სულაც არ შეგვეშინებოდა: ბუჩქებში კი იმიტომ დავიმალოთ, შენთან თამაში გვინდოდაო. მეც მოვიწადინე მისი ნათქვამის დადასტურება, მაგრამ ენა ვერ ამოვიდგი, კრინტი ვერ დავძარი, თუმცა ბაგეებს ვამოძრავებდი. თავი მოგვეჭრა და ის იყო! ახლა ეს საძაგელი გოგონა წავა, ამ ამბავს მთელს ქვეყანას მოსდებს, ხალხის ყბაში ჩაგვაგდებს. სოფელშიც გაიგებენ, თავი აღარ გამოგვეყოფა გარეთ ამ „ეშმაკი ხოჭოს“ ოინის გამო. ვგრძნობდი, რომ მესიც ამას ფიქრობდა. ხოლო ნოემზარი კვლავ შორიახლო იდგა დოინჯშემოყრილი, თავმოძვრნედ გვიცქერდა და კისკისებდა:

— ჰა, მოგხვდათ, ლაჩრებო, კიდე დაიკვნენით!..

მესიმ თვალი ჩამიკრა. მე მაშინვე მივუხვდი განზრახვას—ერთი რამ გვენდოდა, ხელი გვეტაცნა ამ ქაჯისათვის.

— კარგი, ნოემზარ, რაც იყო იყო, მოდი ახლა, დაისვენე... — მშვიდი, უწყინარი ხმით მიმართა მესიმ.

— მხდალ ბაყაყებთან რა საერთო მაქვს! — დაისისინა ნოემზარმა.

მესი შემარბივებელი კილოთი მშვიდად შეეკითხა:

— ჩენი ხბოები არ გინახავს?

— ვნახე...

— სად? — მოუთმენლად შევეკითხე მე.

— არ გეტყვი! სულიც რომ გაგძვრეთ, არ გეტყვით...

მესიმ ნიშნის მოგებით გადმოხედა—ხომ გეუბნებოდიო... ახლა კი უყოყმანოდ მჯეროდა, რომ ჩენი საქონლის დაკარგვაც მისი ოინი იყო. ოჰ, ერთი ხელში მოგვეგდო და ვაჩვენებდით სერის...

ნოემზარი, ის საძაგელი გოგონა, ისევ თამამად იდგა, აინუნშიც არ იგდებდა ჩენს იქ ყოფნას.

— წაივით, მესი, ხბოები მეგელმა არ დაგვიგლიჯოს! — გულგრილად ვთქვი და ნელ-ნელა წასასვლელად მოვემზადე. მესიმაც მომბაძა.

ამ დროს ერთმა დიდმა, ოქროსფერმა ბეპულამ გვერდით ჩაუფრინა ნოემზარს და იქვე მახლობელ ბუჩქზე დაჯდა. „ხოჭო“ დაინახა მწერი, გადაიხნიკა, რომ დაეჭირა, მაგრამ იმავე წამს მესიმ ციყვივით ისკუბა და ნოემზარი დაიჭირა.

● აჰა, გაები ხაფანგში! — ნიშნის მოგებით წამოიძახა მესიმ... მაგრამ სიტყვა არ დაემთავრებინა, კივილი მორთო: — ვაი, ვაი, ვაი...

მივევარდი მათთან და რას ვხედავ: ეს მართლაც ვარეული კატა კბილებით ისე ჩაჰფრენოდა მესის მკლავში. რომ ბიჭი სიმწრისგან სულ გალურჯებულყო. ამჟარა იყო, თუ ამხანაგს არ დავეხმარებოდი, „ხოჭო“ ხელიდან გავეისხლტებოდა. თვალის დახამხამებაში ვაგჩნდი ნოემზართან, თმებში ხელი ვტაცე და ისე დავექაჩე, მეგონა, გაწეწილი თმები თავის ქალას მოსძვრებამეთქი. გოგონამ დაიკვნესა, მაგრამ მესის მკლავს კბილები მინც არ უშვა. მაშინ სარმა გამოეყარა: გოგონა შეტორტმანდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამოეცალაო, მოწყვეტით დაეცა და თან გადაიყოლა მესიც. ამ ძიძგილობაში ჩემმა ამხანაგმა მკლავი გაითავისუფლა და გაიმართა სამთა შორის ხელჩართული ბრძოლა. ჩვენ მუშტებს ვხმარობდით, ნოემზარი კი ფრჩხილებითა და კბილებით გვებრძოდა. „ხოჭოზე“ შურისძიებას მონატრებულნი ისე შევედით ახარტში. რომ სადაც მოგვხვდებოდა, იქ ვურტყამდით მუშტებს დაუნდობლად.

— შენ მაგრად დაიჭირე! — ქომინით მომმართა მესიმ, ფეხზე წამოდგა და წელში გასწორდა. ნოემზარი ქვეშ მოვიგდე და ხელებით მიწაზე მივაკარი. მესი სწრაფად გაიქცა მახლობელ ბუჩქნარისაკენ და მალე უკან დაბრუნდა. ილიაში ერთი კონა ჭინჭარი ჰქონდა ამოჩრილი, მოიმარჯვა ჭინჭრის კონა და ნოემზარს ფეხებზე დაუწყო ცემა. საბრალო გოგონას დასუსხული მუხლები ყაყაჩოსავით წითლად დაუღღღღღდა, მაგრამ მესი მინც გამეტებით ურტყამდა.

ოჰ, რა საშინელია ჭინჭრის ნასუსხი, — ნემსით ნაჩხვლეტი მასთან შედარებით არაფერია...

ტყვილისგან გამწარებული ნოემზარი უკვე წინააღმდეგობას აღარ უწყევდა, მორჩილად იტანდა წამებას. ოღონდ ყოველ დარტყმისას „შეკრთებოდა“ და მისუსტებულ ხმით დაიკვნესებდა ხოლმე...

მე აღარ შემემძლო ამ საშინელი სურათის ცქერა. განსაკუთრებით იმან ამალეღვა, რომ წინააღმდეგობას აღარ გვიწყევდა. ამან ძალიან ჩამაფიქრა და ჩემს გულში ნელ-ნელა გააქარვა შურისძიების გრძნობა.

— კარგი, მესი, ეყოფა! — მივმართე ამხანაგს.

მაგრამ კედელს ცერცი შეაყარე — მესი უწინდელი შეუბოვრობით განაგრძობდა თავის საქმეს. მე კი თანდათან სიბრაღულით მევესებოდა გული და ასე მეგონა, მე მსუსხავენ ჭინჭრით-მეთქი; ჩემდაუნებურად ხელები წავეფარე.



გოგონას, მისთვის მოღერილი ჭინჭრის კონამ მე დამსუსხა, მაგრამ ტყვიანი მარცხი მიგრძენია.

— გასწი ხელები! — დამიყვირა მესიმ.

— შენ გეუბნებიან, ეყოფა-მეთქი! — ჯიქურ შევეუთე მეც. ჩემმა მკეხანე შეძახილმა გამოაფხიზლა მესი და უკან დაახევინა.

ნოემზარი უძრავად ეგდო, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. უცებ ორივე ერთმა საშინელმა ფიქრმა შეგვზარა: ვაითუ... ფეხაკრფით მივუახლოვდით გოგონას და გადაციცებით დავაქცერდით: ნოემზარი ოდნავ, სულ ოდნავ სუნთქავდა...

მე და მესი ერთხანს გაქვავებული ვიდექით პირისპირ, მაგრამ თავის აღებას და ერთმანეთისათვის თვალის გასწორებას ვერა ვებედავდით. არ ვიცი ჩემი მეგობარი რას ფიქრობდა, მე კი რატომღაც სინდისის ქენჯნას განვიციდიდი და ჩვენი საქციელის გამო გული მეთანადრებოდა. მით უფრო, რომ რაღაც უცნობი ხმა დაეინებოთ ჩამძახოდა: „კარგად არ მოიქეცი. ყმაწვილებო!..“ მალულად გავხედე ნამიან ნემოზე უძრავად გამოტოლ გოგონას და გულმა რეჩხი მიყო: მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ნოემზარი გოგონა იყო და ჩვენ ზნებობივი უფლება არა გვქონდა ასე უტიფრად მოვეტეოდით მას.

ბოლოს ნოემზარი ვაი-ვაგლახით წამოდგა, ჩვენთვის სულ არ შემოუხედია და ხმისამოუღებლად წავიდა. დაკონკრლ სამოსში საცოდავად მოუჩანდა გამხდარი სხეული, ხოლო შიშველ ფეხებზე თითქოს წითელი წინდები ჩაეცვა.

— არა, კარგად არ მოვიქეცი, — ხმამაღლა დავძინე მე.

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა მესიმ.

არაფერი ვუპასუხე. ეტყობა, მესიც მიხვდა ჩვენი დანაშაულის სიმძიმეს და აღარც იმას ამოუღია ხმა. დუმილით განვაგრძეთ გზა და როცა კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ მივუახლოვდით ჩვენს ტაფობს, რომელსაც გარშემო კედელივით ერთკა უზარმაზარი ხეების რიგი, დავინახე: ვიწრო ბილიცებით ჩვენს საზაფხულო კარებს უახლოვდებოდა ხბოების ნახირი. მხოლოდ ახლა გამახსენდა დაკარგული საქონელი და ნაძალადევად გამეღიმა, მაგრამ ეს სიხარული უმალ განელდა: ისევ გამახსენდა ჩვენი საქციელი და გულში კვლავ უჩვეულო ტყვილი ვიგრძენი:

— რა სამარცხვინოდ მოვიქეციით!..

4. პირველი „მუსტლისტაქივილი“

ნოემზარი დაუსჯელად არ გაგვიშვებდა, სამაგიეროს გადაგვიხდიდა, ცხვირიდან ბოლს გამოგვადენდა. ეს მე კარგად ვიცოდი. მაგრამ ამაზედ ნაკლებად ვწუხდი და ფიქრებში ისევ ჩვენი ჩადენილი დანაშაული მიტრიალებდა. მართალია დღისით, თამაშით გართულს, მაგიწყდებოდა ეს ამბავი, მაგრამ ღამით, როცა ჩემს ფიქრებს ვუბრუნდებოდი, კვლავ მახსენდებოდა და ძილს მიკრთობდა. როგორც კი გავიხსენებდი იმ გოგონას წამებას, ტანში საშინლად გამცრავდა და მთელი სხეულით ვკანკალებდი. ხანდახან მესიზმრებოდა კიდევ, თითქოს ვილაცივები ჭინჭრით მსუსხავდნენ: ფეხები მეწვოდა, მთელ სხეულში აუტანელ ტყვილებს ვგრძნობდი. სულიერად აფორიაქებულს გამომეღვიძებოდა ხოლმე, საწოლზე წამოვჯდებოდი და ძილი აღარ მეკარებოდა... სულ თვალწინ მედგა გარეული კატის თვალება და ბასბრბჭყალება, თმაგაწეწილი შავგვერდანი ნოემზარი... საბრალო გოგონას ტანზე პერანგი მაინც სცმოდა ან ფეხზე წინდები!.. როგორ კანკალებდა, რა მწარედ იკლავებოდა ყოველ დარ-



ტყმაზე!.. ძალიან უსულგულო ყოფილა მესი, რა დაუზოგავად უტყლა... და... მეც თავქარიანი ვარ, რატომ ვიჭერდი იმ საცოდავს, რატომ არ გავუშვი და არ გადავარჩინე ტანჯვა-წამებას? რატომ?.. რატომ?..

ერთ დღესაც იმდენი ვიფიქრე ამაზე, რომ გული საშინელი სიბრაღით ამევსო, თავი ბალიშში ჩაგრე და ტირილი წამსკდა.

დელამ შემამჩნია:

— რა გემართება, შვილო, რა გატირებს?

— არა, არ ვტირი, — ვუპასუხე მე და გული უფრო ამოვიჯდა სატირლად.

— როგორ თუ არა ვტიროი?! — შეიცხადა დელაჩემმა.

პასუხად ვერაფერი მოვისაზრე: თვითონაც არ ვიცოდი, რა მატირებდა.

— ავად ხომ არა ხარ? — ისევ შემეკითხა დელა და საბანი შემომიკეცა, თითქოს გამოსავალი იპოვნაო.

— ჰო, ავად ვარ, — ვუპასუხე.

— ვაი ჩემს თავს, დამიბრმავდეს თვალები!.. რა გტყავა, გენაცვალე?..

— მუცელი, — ცოტა ფიქრის შემდეგ ამოვიღულულუღე მე.

დელამ ერთი ალიაქოთი ასტეხა, მაშინვე თბილი რძე დამალევინა, შემდეგ ერთი დიდი ქვა გაახურა, ნაჭერში გაახვია და მუცელზე მომადო.

ქვასთან თბილად ჩახუტებულს ტკბილად ჩამეძინა.

5. არტემ ლევზონეცის ზღაპრები

ჩვენს მთიანეთში საღამოს ბინდი შეუმჩნევლად შემოიპარება ზოლმე. სიბნელე ისე ერთბაშად გააუჩინარებს ყველა საგანს, ისე სწრაფად გადაფარებს არემარეს თავის ლურჯ ფრთებს, თითქოს აქვე იყო ჩამალული ბალახებში, ჩანჩქერებსა და ტყეებში და ახლა უცებ გამოხტაო.

როცა წველა დამთავრდებოდა, ძროხები და ცხვრები ცოხნას დაიწყებდნენ, ხოლო ქალები — რძის დაბინავენას. ჩვენ შემოვუსხდებოდით კოცონს, გავაჩაღებდით დიდ ცეცხლს და ვლალბდით: ხან სალამურს ვუკრავდით, ხან ვშაირობდით, გამოცანებს ვამბობდით, ხან კიდევ არტემ ლევზონეცის ზღაპრებს და ბრძნულ საუბარს ვისმენდით.

როცა ყველა შევიკრიბებოდით, უცებ მესი არატრატდებოდა:

— მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე, მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე...

და ჩვენი გართობაც იწყებოდა.

ხუმრობა როდი იყო, შვიდჯერ ზედიზედ უშეცდომოდ, სხაპასხუპით ამ სიტყვების წარმოთქმა... ან კიდევ:

— თავი ვაგდე, თევი ვცლაპე, თავი ვცლაპე...

შემდეგ ზემო და ქვემო უბნელები გამოცანების თქმაში ვეჯობებოდით და ხშირად შუალამემდე გაისმოდა: „აბა, გამოიცან!“ „აბა, გამოიცან!..“

ჩვენს ჯგუფს მესი მეთაურობდა, მან იმდენი გამოცანა იცოდა, მგონი ვარსკვლავიც არ არის ცაზე იმდენი. ერთს ღრმად ჩაისუნთქავდა და ათ-თორმეტ გამოცანას ზედიზედ დააყრიდა... ბიჭი იყავ და გამოიცნობდი!.. გამოცანები მეტწილად გალექსილი იყო... მესი სიმღერით ამბობდა, თან საჩვენებელ თითს პაერში იქნევდა და მელოდიის რიტმს უთანხმებდა.

მაგრამ რარიც გატაცებულნიც უნდა ვყოფილიყავით, როგორც კი კოცონთან არტემ ლევზონეცის ვაყკატური სხეული გამოჩნდებოდა, ბიჭები იმ წუთსავე ვჩუმდებოდით, მუჯღლუგუნების წარტყმით მივიწ-მოვიწვოდით და ძია არტემს ყველაზე საპატიო ადგილს შევთავაზებდით. ძია არტემი იყო ზღაპრების



საუკეთესო მიტმელი და აშუღი, ერთადერთი მოხუცი, რომელიც სიბრძნის წლებს სულ მთაში ატარებდა, ყვავილებისა და ბავშვების აღერსში. მე არ ვემხედრია სხვა მოხუცი, რომელსაც სიცოცხლის დაისამდე ისე გაჰყოლოდა ყრმობის დროინდელი სილამაზე, აზრის ბრწყინვალეობა და თვალის სიმახვილე, როგორც ძია არტემს. როცა ის კოცონის გარშემო შემოკრებილ ბავშვებში ფეხმორთხმით დინჯად ჩაჯდებოდა, ხელისგულებს ცეცხლის ალს მიუშვევრდა და გვერდზე ოდნავ თავდახრილი მდუმარედ უყურებდა კოცონზე გველებივით აწვილლ ცეცხლის ენებს, რომელნიც მკრთალ სინათლეს ჰფენდნენ წყვილიდშა გახვეულ არემარეს, იტყოდით, ეს ვილაც დიდებული მოძღვარიაო. რალაც იღუმალი, მომაჯადოებელი სიდიადე იმალებოდა იმის გარეგნობასა და თვალწარბის თამაშში, მოწყენასა და ღიმილში.

როცა ძია არტემი დაფიქრებული უსმენდა კოცონს, ჩვენ, ბავშვებს გვეგონა შორეულ ზღაპრულ მხარეში, უკვე გარდასულ დროთა წიაღშია წასული, სადაც ფუტკარივით ყვავილიდან ყვავილზე დაფრენს და თავლივით აგროვებს უამრავ უძველეს თქმულებას, ლეგენდას და გადმოცემას, რათა თავისი ლამაზი საუბრით მოგვაჯადოვოსო. და მართლაც, რაზედ არ გვებუზუნებოდა ძია არტემი! მასსოვს, ერთხელ გვიამბო კირანცის ღრმა ხეობაში აღმართულ უძველეს მონასტერზე, რომელმაც ჩვენს ღრმდგ მოაღწია. ეს გასაოცარი ტაძარი საუცხოო ოსტატის ოქროს მარჯვენას აეშენებინა. მაგრამ კირანცის მხარის დიდ ბატონს, ოსტატისათვის შრომის საფასური რომ არ გადაეხადა, მოუჭორია: სადღლაბე კირი ძალიან იყო გამომწვარიო. ეს ცილისწამება დიდ ოსტატს უთაკილია და მონასტრის გუმბათიდან გადავარდნილა... ამ დღიდან ხეობას კირანცის სახელი დაარქვეს, ხოლო მონასტერს — კირანცის ტაძარი.

ერთხელაც გატაცებით გვიამბო გუგარქში განთქმული ყაჩაღის ხეჩოს ამბავი. ყაჩაღს ხელში ჩავარდნოდა მექრთამე ბოქაული, წყერთმია ფულები და ღარიბ-ღატაკებისთვის დაერიგებინა, თვითონ კი ჩაეცვა ბოქაულის ტანსაცმელი, გამოქიპულიყო მექრთამე მოხელის წინაშე და ეთქვა: აბა ახლა განსაჯე, მე ვარ ბოქაული თუ შენაო.

არტემ ლეგზონეცმა გვიამბო შვიდთავიან გველეშაპზეც, რომელსაც ხალხი ყოველდღე მორჩილად სწირავდა თითო ულამაზეს ქალწულს. მაგრამ აი გამოჩენილა ვილაც მამაცი ჭაბუკი, შვიდივე თავი წაუტლია გველეშაპისთვის და უსხნია ქვეყანა ამ საზარელი მტანჯველისაგან.

ხანდახან ძია არტემი გვესაუბრებოდა ბოროტ სულელებზეც, რომელნიც გადმოცემით ღრმა, ბნელ ხეობებში ცხოვრობდნენ; გვიამბო აგრეთვე ოქროს გვირგვინოსანი გველის, ჯადო-სარკის, სპილენძის ქალაქის ამბავი.

ჩვენ გაფაციცებით ვუსმენდით ხოლმე, თან ხან შიშისაგან მთელი სხეულით ვთრთოდით, ხან კი აღტაცების გამომხატველი შეძახილები აღმოგვხდებოდა.

ოჰ, რაზედ არ გვესაუბრებოდა ძია არტემი! თქმულებებსა და ზღაპრებს ბოლო არ უჩნდა. ისე გვიყვარდა მისი ტკბილი საუბრის მოსმენა, რომ მზად ვიყავით ზედიზედ რამდენიმე ღამე გვესმინა მოხუცისათვის, და ისიც არასოდეს გვიწბილებდა სურვილს. მაგრამ რამდენიც უნდა გვეთხოვა — რაიმე იმდერეო, მუდამ მტკიცე უარზე იყო. მისი ხმა ხშირად მოგვესმინა, კარგად მღეროდა, ოღონდ უფროსებისათვის, ანდა მარტოღმარტო საღმე ტყეში ან მთაში ყოფნისას. იმის ხმას, როგორც ჩვენი მშობლები ამბობდნენ, ჯერ ისე შენარჩუნებული ჰქონდა ახალგაზრდული ძალა და ყდერადობა.

ძია არტემის საუბარი შუალამემდე გრძელდებოდა ხოლმე, მაგრამ ისე



საინტერესოდ ჰყვებოდა, რომ საუბრის დამთავრების შემდეგაც კიდევ დიდხანს არ ვიძროდი ადგილიდან. კოცონი ჩაიფრფლებოდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოდგებოდა და მანამდე არ ავიშლებოდი, ვიდრე რიჟრაჟის წინამორბედ დიდებულ მყუდროებას არ დაარღვევდა ღამის ფრინველების კივილი, რაიმე შრიალი ან ნოემზარის გაბმული ხმა:

— ლუტ, ლუტ, ლუტ...

ასე ეძახდა ის ჯოგიდან ჩამორჩენილ ან გზაკვალდაბნეულ ღორებს. მისი ხმა ჩივილივით გაისმოდა, დალა და რალაც სევდა იყო შიგ ჩაქსოვილი. მაგრამ რა იყო ამის მიზეზი, რასაკვირველია, არ ვიცოდი.

ამ ხმის გავონებისთანავე ჩემდაუნებურად მავიწყდებოდა ყველაფერი. რაც ირგვლივ ხდებოდა და ფიქრს ვიწყებდი მხოლოდ ნოემზარზე, მხოლოდ ამ საბრალო ვაგონაზე, რომელიც მარტოდმარტო დაეხეტებოდა ბნელ ხეებში, ტყე-ღრეში, ფეხშიშველი, დღლილი და მშვიერი მაშინ, როცა მისი ტოლი ვაგონები ტკბილად ნებივრობდნენ თბილ ლოგინებში...

ეს სიბრაღის გრძნობა ისეთი ძალუმი იყო, რომ გული მეკუმშებოდა, სულს მიფორიაქებდა. ხოლო როცა გამახსენდებოდა ჩვენი უდიერი მოპყრობა, გულისტკივილი მიორკეცდებოდა, გიჟივით წამოვხტებოდი ხოლმე, რაიმეს მოვიმიზეზებდი, ამხანაგებს გავეცლებოდი და სადმე მახლობელ ხევისპირა გორაკზე საათობით ვიჯექი გარინდებული...

ამ დროს, მარტოდმარტო მყოფს, რალაც უცნაური სურვილი მეზადებოდა: მინდოდა ხევში ჩავსულიყავი, მომეძებნა ნოემზარი, მასთან ერთად მეხეტიალა ტყეში, რომ იგი რომელიმე მხეცს არ შეეშინებინა, ან ვინმეს რაიმე არ დაეშავებინა. მაგრამ ჩემი გულისწადილის შესრულება შეუძლებელი იყო, და ისევ სიზმარივით გრძელდებოდა ჩემი ოცნება: აი, მე და ნოემზარი ერთად მივაბიჯებთ ხევის პირას. აგერ ჩანჩქერის გაღმა ფრიალო კლდეს სული ვდგამება— გველუშაბად იქცევა. ქარაფის კალთებზე მდებარე ქვები ამ საზარელი ცხოველის ცეცხლისმფრქვეველ თვალებად იქცევა, ქონგურები— თავებად, ხოლო ქარაფის უფსკრული— დაღებულ გაუმძიარ ხახად; გველუშაბი ეშაბდება ნოემზარის გადასაყლაპავად, მაგრამ მე, აუსილი მახვილით ხელში, მათ შორის ვდგები და იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება. ცვივა და ცვივა გველუშაბის თავები ჩემი ორღესულის ყოველ მოქნევაზე, ხეობა ივსება სისხლში მოსვრილი, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული გველუშაბის ნაფლეთებით...

ოცნებით წარმოსახულ ამ სურათს მხოლოდ სიზმარივით როდი წარმოვიდგენდი, უშუალოდ ვხედავდი კიდევ. და მე ვგრძნობდი, როგორ მემატებოდა მკლავებში ძალა. ამ ოცნებით გატაცებული ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი, მსურდა გამომეცადა ჩემი ღონე მახლობელ კლდეზე, მინდოდა დაქვლეწა იგი. და მე ამას შევძლებდი კიდევ, უთუოდ შევძლებდი... მაგრამ აბა ჩემს გრძნობას რა აზრი ჰქონდა, როცა ნოემზარი აქ არ იყო, როცა იგი ვერ ნახავდა. თანაც მეშინოდა, ჩემგან დაღეწილი კლდის ნამსხვრევები ხევისკენ დაქანდებიან და ემანდ ქვეშ არ მოიყოლონ ვინმე დაგვიანებული მგზავრი-მეთქი.

ოხ, ნეტავ ნოემზარს სცოდნოდა, ნეტავ მიმხვდარიყო, თუ რა სასწაულების ჩადენა შემეძლო მისი გულისათვის! მხოლოდ სცოდნოდა, მხოლოდ ეგრძნო...

ერთხელ ამგვარი ფიქრებით გატაცებული გორაკიდან ხევში ჩავდიოდი. უმთვარო ღამე იყო. შავი მაუდივით გადაფარებოდა დედამიწას უთვალავი ვარსკვლავით მოციმციმე ცა. წყვილაღმი უშიშრად მივაბიჯებდი, თუმცა არკი ვიცოდი საით. წინათ, როგორც კი დავინახავდი სიბნელეში კუნძს ან

ლოდს, შიშით გული სინდიცივით მიხტოდა, ახლა კი — რა კუნძი, რის ლეღვენიც ისე მშვიდად მივდიოდი, თითქოს სახლიდან კალოზე ვყოფილიყავი ვხსუნის უფრო მეტიც, ახლა უცნაურად მეჩვენებოდა, რომ სხვებს ამ დროს ეძინათ, ან სტკებოდნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის განსაცვიფრებელი სილამაზით, არ ხედავდნენ და ვერ გრძნობდნენ გრილი და მშვიდი ღამის სიკეკლუცეს, მის სიტუტრფეს.

უცებ ყურში ჩამესმა რაღაც ჩქამი, და შემდეგ, თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო, გამოჩნდა ორი შავი სილუეტი. მე მყის გადავუხვიე ბილიკიდან და მახლობელ ლოდს ამოვეფარე. სილუეტები მოახლოვდნენ და შორიახლო გაჩერდნენ. არ ვიცი რამდენი ხანი იღვებოდნენ ასე უძრავად, რომ მყუდროება არ დაერღვია ნოემზარის ხმას ხევიდან:

— ლუტ, ლუტ, ლუტ...

ამ ხმაზე ერთ-ერთი სილუეტი, რომელიც უფრო წინ იდგა, შეკრთა და ამხანაგს მიუბრუნდა:

— აჰა... მაშასადამე სწორი გზით მივდივართ...

სილუეტები მიჰყვნენ ბილიკს, გვერდით ჩამიარეს, მაგრამ ვერ შემაძინიეს, რადგან, ლოდზე მიკრული, ქვად ვიყავი ქცეული; მაშინვე მივხვდი, რომ ესენი ჩვენებურები არ იყვნენ, სიტყვებს — „მაშასადამე“ და „სწორი“ ჩვენში მასწავლებლის გარდა არავინ ხმარობდა. ჩემი გუმანით ისინი ქალაქელები ჩანდნენ, მაგრამ ვინ იყვნენ, რასაკვირველია, არ ვიცოდი.

იმათი წასვლის შემდეგ მოვიცილდი ლოდს და სწრაფად გავეშურე ჩვენი სადგომებისაკენ. მივდიოდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ მძლევდა: ვინ იყვნენ? რა საქმე ჰქონდათ ამ შუალამისას ხევში? რას დაეხეტებოდნენ? რა დაჰკარგოდათ ან რას ეძებდნენ?... როცა კარგა მანძილზე მივუახლოვდი კარვებს, თვალი შევაღლე კიდევ ერთ სილუეტს, რომელიც ჩვენი სადგომებიდან მოდიოდა. მე ქვემოდან ზემოთ ავიღოდი, სილუეტი კი ზემოდან ქვემოთ ჩამოდიოდა, ამიტომ სილუეტი გასაოცრად ვეებერთელა მოჩანდა. მიწას გავეკარი. მან კარგა შორს ჩამიარა. სილუეტის მოძრაობამ და აგებულებამ არტემ ლეგზონცი გამახსენა. ნუთუ ის იყო?... ნეტავი საით მიდიოდა?!

სილუეტმა ჩამიარა, მე კარვებს მივაშურე. ყველას ეძინა. ფეხაკრეფით შევედი ჩვენს კარავში და დავიძინე, ხოლო მეორე დილას რომ გავიღვიძე და გავიხსენე, რაც ღამით ვნახე, რატომღაც ყველაფერი სიზმარივით დაუჯერებელი მეჩვენა... დიახ, სიზმარივით — თვალთ ნახულისა მე თვითონაც არაფერი მჯეროდა.

6. სისხლიანი ფოთლები

ნოემზარის ცემის შემდეგ მესი რაღაც ფარულმა შიშმა შეიპყრო. ჩვენი ერთად ყოფნისას წარამარა მომობრუნდებოდა და მეკითხებოდა:

— ჰა, როგორა გგონია, მამას არ ეტყვის?... თავს მოვიჭრი, თუ „ეშმაკმა ხოჭომ“ სამავიერო არ გადაგვიხადოს...

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხნა და მხრებს ავიჩეჩიდი ხოლმე.

— აბა, რა ვიცი?..

ჩვენდა საბედნიეროდ, იმ დღეებში ღაზოს ღორები გაერეკა ქალაქში გასაყიდად. ქალაქი კარგა შორს იყო. ღაზო ათ-ოც დღეს უნდებოდა ღორების ქალაქში ჩარეკვას, გაყიდვას და იქიდან დაბრუნებას. ასე რომ, თუ რაიმე გვინდოდა: გველონა, დრო საკმაო გვქონდა. ერთ დღეს მესის ეუთხარის: ნოემზარის



გული უნდა მოვიგოთ; ერთ-ერთი ჩვენგანი რომ გოგონას დაუმეგობრდეს, მეორესაც გადაარჩენს-მეთქი. ჩემი აზრი მესის ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ მასვე შევთავაზე, ნოემზარს დაუმეგობრდი-მეთქი, თხასავით შეეკნტრუშდა ადგილზე.

— გაგიყდი?... თუ იოლია, შენ დაიწყე, რაღა მე! — ცივი უარი მომახალა მესიმ.

— მესიჯან, აქ მოხერხებაა საჭირო, შენ კი ამის უნარი შეგწევს!
— არა და არა!..

დიდხანს ვივაჭრეთ. ბოლოს მე ვიკისრე ნოემზართან მოციქულობა, ოღონდ ერთი პირობით: მე და მესი ნოემზარის თანდასწრებით განგებ უნდა წაეჩხუბებულყავით. ამ კონფლიქტში მე ისეთი როლი უნდა მეთამაშნა, რომ გოგონას ნდობა მომეპოვებინა, მისი გული მომეგო. მესი დამეთანხმა და ერთად მოვიფიქრეთ ასეთი ვარიანტი: მესის ქვები უნდა დაეშინა ნოემზარის ღორებისათვის. მე გოგონას გამოვექომაგებოდი, მესი იუკადრისებდა ჩემს საქციელს. შეურაცხყოფდა და ჩხუბს ამიტეხდა. გამარჯვებული მე უნდა გამოვსულიყავი, მესი კი კულამოძუებული გაიქცეოდა. თუ ამ სანახაობას ნოემზარი შეეწირებოდა, ძნელი აღარ იქნებოდა საერთო ენის გამოჩახვა.

მთელი ერთი კვირა ველოდებოდით ნოემზარის ღორების გამოჩენას ჩვენი კარვების მიდამოებში, მაგრამ ამაოდ: ისინი არსად ჩანდნენ. გული მწყდებოდა, მეშინოდა, მესის არ გადაეფიქრა, პირობაზე ხელი არ აეღო.

ერთ დილასაც კარვების შორიანხლო ვისხედით და ვსაუბრობდით. უცებ ტყის ნაჩხში გამოჩნდნენ ღორები. გახარებული წამოგხტი და მეგობარს მხარზე ხელი დავარტყი.

— ვხედავ... — მშვიდად მიბასუხა.
— მაშ რაღას ზიხარ?... ახლა „ხოჭოც“ გამოჩნდება...
— ოო, თავი დამანებე ერთი და!.. — ხელი ჩაიქნია მესიმ.

მალე ღორებმა კარვებისაკენ მოაშურეს. გზადაგზა დინგებით ჩიჩქნიდნენ ჭიანჭველას ბუდეებს, ბალახის ძირებს, თან ჭყვიტინითა და ღრუტუნით ერთმანეთს ექიშებოდნენ, მთელ ხეობას ღრიანცვლით ავსებდნენ; ბოლოს ნოემზარიც გამოჩნდა, იღლიაში წყება ამოედო, ნელ-ნელა მოჰყვებოდა ღორებს და თავგაღუნული წითელ ძაფზე რაღაც მძივებს ასხამდა.

ბევრი დავის შემდეგ, როგორც იქნა, მესი დავითანხმე ჩვენი შეთანხმების ასრულებაზე. უხალისოდ წამოდგა, დაიღუნა და ფეხაკრეფით მიიმალა მახლობელ ბუჩქნარში. მეც მაშინვე ამოვეფარე ჩირგვებს და გავინაბე.

ამასობაში ღორები კარგა ახლოს მოვიდნენ ჩვენს სადგომებთან და კარვებისკენ გასწიეს. ნოემზარმა ეს შენიშნა, მძივის ასხმულა მჯილში მოიგდო და წინიდან წამოუარა. სწორედ ამ დროს თავისი საფარიდან გამოხტა მესი. გრძელი ჯოხით მგელივით გაერია ჯოგში და მარჯვნივ თუ მარცხნივ სულ ბღღვირი ადინა საბრალო პირუტყვს. აღშფოთებული ნოემზარი დაბნეული იდგა. გული გამალებით უცემდა, თვალები მრისხანედ უელვარებდა და ბრახით წარბები უთრთოდა. ამჟამად ეტყობოდა, გოგონას თავისი უღონობის შეგნება სტანჯავდა, ცრემლმორეული ცახცახებდა; აღარ მახსოვს როგორ ვისკუპე ჩირგვებიდან. მე მესის პირისპირ აღმოვჩნდი, მაგრამ ისე ვიყავი გამეხებული, ერთხანს ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე, ენა დამება და უცნაურად ვლულულღებდი. სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდი, მესის კინაღამ სიცილი წასკდა, მაგრამ თავი შეიკავა. ნოემზარი გაშტერებული მოგჩერებოდა.

— რა დაგიშავა საბრალო პირუტყვმა? კარვებში ხომ არ შესულან?... —

უჩვეულო ხმით დაუფყვრე მე.

— მერე შენ რა? — აიჭოჩრა მესი.

მე უფრო ახლოს ავეტუხე; ნოემზარი ისევ გარინდებული იდგა.

— როგორ თუ მე რა!..

— შეაყოლე, შე ცინგლიანი! — აგდებულად მითხრა მესიმ.

— ვინ არის ცინგლიანი?

— შენი!

— მე?

— ღიახ, შენი!..

ალარაფერი მახსოვს, თვალთ დამიბნელდა, ცივმა ოფლმა დამასხა, სისხლი თავში ამივარდა. განზე გავდექი, ჩემმა ჯოხმა პაერში წრე მოხაზა და ის იყო ამხანაგის თავზე ბრაგვანი უნდა მოედინა, რომ საბედნიეროდ მესიმ თავი გადასწია; გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა გადატეხილი ჯოხი შემრჩა ხელში: მთელი ძალით მოქნეული კეტი მესის მხარზე მოხვედროდა და დამსხვერუელიყო. გაფითრებული მესი თვალეზში მომჩერებოდა. შემდეგ მომიახლოვდა მეგონა მალულად საყვედურის თქმა უნდა-მეთქი, მაგრამ ნაცვლად იმისა, ერთი ისეთი მუშტი მითავაზა, რომ თქრიალით წამსკდა სისხლი ცხვირიდან. თვალთ დამიბნელდა, პირი თბილი მტკბარი სისხლით ამევსო, კოლბოხებზე გაჩერებულმა წონასწორობა დაეკარგე, წავიბორძიკე და ქვემოთ დავვარდი.

როცა თვალეზი გავახილე, მესი აღარ ჩანდა. გვერდით მიჯდა ნოემზარი. წკებლა მუხლებზე დაედო და ისეთი თანაგრძობით მიყურებდა, ამდენი სითბო არავის თვალეზში არ ამომიკითხავს. ჩემს ირგვლივ მიწა მოფენილი იყო ოროვანდის სისხლიანი ფოთლებით, რომლებითაც ჩემთვის გოგონას სისხლში მოსვრილი ცხვირ-პირი მოეწმინდა. იმ წუთსავე გამახსენდა რაც მოხდა და სირცხვილით თავბრუ დამეხვა.

ხმისამოუღებლად გავშორდი ნოემზარს; კარავში დაბრუნება აღარ მახსოვს. ისე ვიყავი დასუსტებული და მუხლთ მეკეცებოდა, თითქოს დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველად ამედგა ფეხი — ასე მეგონა, ავადმყოფობის დროს ორი ნეკნი ამოეღოთ და თავის ადგილზე ჩადება დაიწყებოდათ.

7. უკვამლო ცეცხლი

იმ წლის შემოდგომაზე მთებში დარჩენა აღარ მომიხდა — სოფელში ჩამიყვანეს, სადაც თეთრმა ციებ-ციხლებამ დიდი ხნით ჩამაწვინა ლოგინში.

როცა ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოვედი გარეთ ჯოხზე დაყრდნობილი, სოფელი ძალიან გამოცვლილი მეჩვენა, თუმცა არც ახალი სახლები მომატებოდა და არც ახალი გზები გაეყვანათ. თურმე თვალი მატყუებდა, ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა, მაგრამ მე ვიყავი გამოცვლილი.

ნოემზარის ძველი მიწურიც კი, წლის ყოველ დროს კარგამოხურული რომ იყო, წინანდელივით უბადრუკ სანახაობად არ მეჩვენა, ხოლო სარეველა ბალახ-მოდებული ეზო, რომელიც გარს ერტყა მიწურს, ულამაზეს ბაღნარს მივამგვანე. დიდ თუთის ხეს ზედ მიწურის სახურავამდე დაეშვა ტოტეში, თითქოს რაღაც საიდუმლოს ჩასჩურჩულესო. ამ თუთის ხის გაყვითლებული ფოთლები გაცილებით ლამაზად გამოიყურებოდნენ, ვიდრე იქვე მდგარი სხვა ფოთლოვანი ხეები. ახლა ჩანჩქერებს აღარ იკითხავთ? ოქროსფერი ფოთლებით ნაპირებმოფენილი ნაკადულები წარმტაცი სანახავი იყო.

გასათვარი ცვლილებები მომხდარიყო ჩემში, რაღაც მოუსვენრობას ჩაე-



ბუნდა გულში. ჩემს ფიქრებს ფრთები გამობმოდათ და ღრუბლებივით ურობდნენ ხან უკაცრიელ ადგილებში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაედგა, ხან უნაპირო ზღვებსა და ოკეანეებზე, ხანაც გავარვარებული ცეცხლის სამფლობელოში... იმ ცეცხლის ერთი ნაპერწკალი მკერდქვეშ მიღვიოდა, გულ-მუცელს მწვავდა, თუმცა არც ალი ჰქონდა და არც კვამლი...

ღამღამობით ჩვენი სახლის სახურავზე ავდიოდი, საათობით ვარსკვლავებს შევეყურებდი, მათ ვესაუბრებოდი...

ველის ნიაგს მინდვრიდან მოჰქონდა ბალახის სურნელება, მესმოდა ჭრინობელას ჭრინინი, ბაყაყების ყიყინი; ციდან სრიალით ცვიოდა მოწყვეტილი ვარსკვლავები... სახურავზე ყოფნის მარტობის წუთებში თავში ისევ და ისევ მერეოდა ფიქრები ნოემზარზე, მენატრებოდა მისი ნახვა, მინდოდა ჩემს გვერდით მჯდარიყო, რომ ერთად გვემზირა ციური მნათობებისათვის, გვესაუბრა დილაზე, შემდეგ გათენებისას ერთად მიგვეპყრო ყური ბუნების გამორეჟიმებისათვის, ფრინველებს გალობისათვის...

... სად არის ნოემზარი? რას აკეთებს? რაზედ ფიქრობს? რაიმე საფრთხე ხომ არ ელის? და უცებ საიდანღაც ჩემს წინ გაჩნდა ვეებერთელა ბანჯგვლიანი დათვი. ის ნოემზარისაკენ იწვედა გამძვინვარებული ღრიალით; გულმა ძალუმაღ დამიწყო კემა, წამოვხტი, დათვს წინ გადაველობე, ხელი ვტაცე, მოვიქნე და უფსკრულში გადავჩხეხე. მთელი სხეული ზამბარასავით დამეჭიმა, კუნთები მტკიოდა...

— შვილო, შინ ჩამოდი, გვიანაა, გაცივდები, — მომესმა ქვემოდან დედაჩემის უკმაყოფილო ხმა.

დედის ძახილმა გამიფანტა სიზმარეული ჩვენება. არსად იყო აღარც ნოემზარი, აღარც დათვი და აღარც უფსკრული. სიცივე მწვავედ იკბინებოდა, მაგრამ ნოემზარზე ფიქრი მაინც არ მასვენებდა. რატომ უნდა დახეტიალობდეს ნოემზარი ტყეში გარეულ კატასავით? რატომ უნდა ეძახდნენ „ეშმაკ ხოჯოს“? რა ვუყოთ, რომ შავგვრემანი გოგოა? განა სხვებზე ნაკლებ ლამაზი იქნება, მასაც რომ თმა დავარცხნონ, ჩააცვან ახალი ტანსაცმელი და ახალი წინდები? თუმცა რა საჭიროა ეს ზიზილიბილიები?! ის ისედაც ლამაზია, თითქმის ყველაზე ლამაზი, სოფლის ქალიშვილების თვალი. რა ბედენაა, სხვები თუ ამას ვერ ამჩნევენ, მე ხომ ვხედავ ძონძებში გახვეულ ამ მშვენიერებას!..

ნოემზარზე ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ სულ გადამაფიყდა დედის გაფრთხილება, გუნდასავით მოვიკუნტე და იქვე ჩამეძინა, მაგრამ დილით ჩემს ლოგინში გამომეღვიძა.

8. საბედისწერილ ბასროლს

დადგა გაზაფხული. გუგარქის ზურმუხტოვან მთებში ისევ აჩუჩხუხდა ნაკადულები, სალამურივით ამღერდნენ ფრინველები, იალაღებზე კვლავ გაისმა ხარიჩის ყვირილი — გულის ტოლის თავდავიწყებული ძებნა.

და როცა ცაში გაიკრიალა ბირველმა ელვამ, დაუშვა შხაპუნა წვიმამ, შემდეგ შეიღვწერა დადაეკრა ცის სიერცეს ცისარტყელა — ქაჩალ-ქარის ღრმა ხეობა შაშხანების ქუხილმა გააყრუა.

მრისხანე წელი იდგა, მრისხანე გაზაფხული...

სოფლიდან ჩვენმა ოჯახმა და კიდევ რამდენიმე მეზობელმა გაბედა იმ გაზაფხულს მთებში ასვლა: ტყეში ფუსფუსებდნენ უცნობი ადამიანები, რომელნიც ყველას შიშის ზარს სცემდნენ. არტემ ლეგზონეცი გვარწმუნებდა, ნუ

გეშინიათ, ისინი არაფერს გავნებენ, ხელს არ ახლებენ თქვენს ძროხებს. რამ ყველანი შეძრწუნებულნი ვიყავით, ვგრძნობდით, რომ რაღაც უჩვეულო ამბავი უნდა მომხდარიყო.

იმ დღეს, როცა პირველად დაიქუხეს შაშხანებმა, მე და ნოემზარი ტყის პირას ვსეირნობდით. „ემმაკი ხოჭო“ თოფების გრიალმა ისეთ ხასიათზე დააყენა, ვეღარ იცნობდით — შეკრთა, ფერი წაუვიდა და მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. შევტყვე, რომ მთელი ღამის უძინარი იყო, ახლაც ყურები დაცქეტილი ჰქონდა, ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს რაღაცას ყურს უგდებდა, ვილაცას ელოდა; ტყის ნაპირას მდგარი დიდხანს გავცქეროდით შორეულ ხეობას, საიდანაც ხამუშ-ხამუშ ისმოდა სროლის ხმა. ბევრი ფიქრის შემდეგ ნოემზარს ჩემი მოსაზრება გავუზიარე: იქ ყაჩაღებს ებრძვიან-მეთქი. ნოემზარს ჩემს „აღმოჩენაზე“ გაეღიმა.

— ბავშვი ყოფილხარ! ჩანს არ გესმის, რა ხდება ახლა ქვეყნად, — მშვიდად მიპასუხა და ზურგმებრუნებულმა კვლავ დაჟინებით განაგრძო ცქერა ხეობისაკენ. მე აღარ დაუფუყე გამოკითხვა, ვგრძნობდი, ნოემზარი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, რომ დაეცინა, გავეწბილებინე...

ჩვენს ქვემოთ, მთის კალთებზე, რამდენიმე მხედარმა გაიქროლა. ნოემზარმა კისერი წაიგრძელა, დაჟინებული მზერა გააყოლა მათ, ცდილობდა კარგად დაეთვალიერებინა ისინი. მე შევნიშნე, რომ მხედრები შეიარაღებულნი იყვნენ, ნაბდები ესხათ და წოპიანი ფაფახები ეხურათ.

ღაზოს ქოხში დაებრუნდით. ბუხრის კედელთან, მიწაზე, გაცრეცილი ქეჩა ეფინა. ნოემზარი ქეჩაზე დაეშვა, კედელს მიეყრდნო და თავით მანიშნა, მოდი, დაჯექით. კედელსა და სახურავს შორის დარჩენილ ჭუჭრუტანაში ლურჯად მოჩანდა ცის თალი, რომელზეც ხანდახან ლავაშებივით მიცურავდნენ ღრუბლები.

უცებ ნოემზარს სახე გაუნათლდა და ღრუბლებისათვის თვალისმოუშორებლად მხიარულად თქვა:

— იცი, მე მალე სკოლაში წავალ, ღორების მწყემსვას თავს დავანებებ.

— ვინ გითხრა? — დაბნულად შევეკითხე მე.

— ბიძია ენოქიმი! — ამაყად მიპასუხა ნოემზარმა.

ეს სახელი მე პირველად მესმოდა, ნოემზარმა კი ისეთი რიხით წარმოთქვა, თითქოს ქვეყნიერებაზე იმ კაცს ყველგან და ყველა იცნობდა. განცვიფრება რომ შემატყო, გოგონამ შემწყნარებელი კილოთი ამიხსნა:

— ბიძია ენოქი მასწავლებელია. როგორც კი ბრძოლები დამთავრდება, ის ააშენებს ისეთ დიდ სკოლას, რომ ჩვენი მხარის ბავშვებიც ისწავლიან და კიდევ დარჩება ადგილები.

— შენ სად ნახე? — ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

ნოემზარს გაეღიმა.

— აი სწორედ აქ, ამ ქოხში!

— სადაურია?

— ქრდევანელი².

ამ დროს ქოხში სწრაფად შემოვიდა ღაზო. ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია, დასტაცა ხელი ნაჯახს და შემოჰკრა იმ მსხვილ ბოძს, რომელიც სახურავს ვჭონდა შეყენებული. ბოძი საიდუმლო საფარი აღმოჩნდა, შიგ შაშხანა

¹ მაისის აჯანყების მეთაური ყაზახში.

² ამჟამად ენოქივანი, იჯვანის რაიონში.

იყო დამალული. დაზომ გამოიღო იარაღი, ფრთხილად გადაწმინდა მტერი და დაეპყრო.

გავშტერდი: აბა ვის მოუვიდოდა აზრად, რომ კვამლითა და ჭვარტლით გაშავებულ ბოძში შაშხანა იქნებოდა დამალული?!

სროლა ძლიერდებოდა და თანდათან ახლოს გაისმოდა. ხანდახან სროლის ეჭო ისე გუგუნებდა მთებში, თითქოს იმ მრავალწლიან მუხებს ძირფესვიანად აბრუნებენ ან კლდეები ზვაგებად ჩამოშვავდაო.

ნოემზარმა გარეთ გაიხედა. ახლა უფრო ახლო ისმოდა შაშხანების ბათქი. უკვე აშკარა იყო, რომ ვიღაცა სროლით უკან იხევდა ჩვენსკენ. ნოემზარი გაფაციცებით სადღაც იყურებოდა. მერე აღშფოთებულმა მუშტი მიართყა კედელს, თავისთან მიმიხმო, ხელი გაიშვირა და თითოთი დამანახვა პირდაპირ აყუდებული კლდეები.

— ხედავ, საიდან ისვრიან? — სიძულვილით თქვა მან.

პირველად ვერაფერი შევნიშნე, მაგრამ როცა ყურადღებით დავაკვირდი, დავინახე, რომ კლდეების ღრანტებში წამდაუწუმ თეთრად აფარდებოდა კვამლი და იფანტებოდა, იქ ჩასაფრებულთ კი თვალი ვერ მოგკარი — სად მქონდა ნოემზარით ფხიზელი მხედველობა.

— ვინ არიან? — ვკითხე მე.

— მგლები, ცოფიანი მგლები! — აკანკალებული ხმით მომიგო ნოემზარმა და სინანულით თავი გააქნია. — ეპ, ნეტავ შაშხანა მქონდეს!..

— მერე შეგიძლია სროლა?

— ზამთარში ვვარჯიშობდი ხოლმე.

ამასობაში უკანდახეულნი ჩვენს წინ გადაქიმულ მინდორს უახლოვდებოდნენ ტყის გასწვრივ. გზადაგზა ლოდებსა და წაქცეულ ხეებს ეფარებოდნენ და კლდეებისაკენ ისროდნენ, მაგრამ მათი ნასროლი ტყვია მიზანში ისე ზუსტად არა ხედებოდა, როგორც იქიდან გამოსროლილი. თეთრი კვამლის ღრუბლები ახლა უფრო გახშირდა გაღმა და არეკ-დარეკა შეჭქონდათ უკანდახეულთა რიგებში. როცა უფრო ახლოს მოვიდნენ, შევნიშნე, რომ ბევრი მათგანი აქეთ-იქით იყურებოდა, რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდა...

უცებ ნოემზარი მოწყდა ადგილიდან და სირბილით წავიდა მათკენ.

— საით? — შევკვირე მე.

— ვაჩვენებ ბილიკს, გზას ვასწავლი.

მივხვდი, რომ ნოემზარი იმათ დასახმარებლად გარბოდა, უნდოდა ხაფანგიდან გამოეყვანა, მტრისთვის ზურგიდან შემოსასვლელი გზა ესწავლებინა...

უკანდახეულებმა შენიშნეს თუ არა გოგონა, დაუყვირეს უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ ნოემზარი მაინც წინ გარბოდა და თან ხელით რაღაცას უხსნიდა. როგორც ჩანდა, მან მიზნის მიაღწია, ერთმა წარმოსადგმა კაცმა — ალბათ მებრძოლთა რაზმის უფროსმა — შაშხანა მალა აიშვირა, რაზმელებს ნიშანი მისცა და ყველამ მდინარის ტალღასავით იმ მხარეს მიაშურა, საითკენაც ნოემზარმა გადაუხვია. ისინი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ გოგონას და თან კლდის ქონგურებს და ხეების ჩრდილს ეფარებოდნენ.

მაგრამ ყოცებ გაღმა, ქარაფების კალთებზე. კვამლი აფარდა, გამოღმა ნოემზარმა ერთი შეჰკვივლა და მოწყვეტით დავარდა იმ ვეებერთელა კაცის ფეხებთან, რაზმს რომ მეთაურობდა. ბევრი ფიქრის დრო არ იყო, მეთაურმა ხელგებზე დაისვენა ნოემზარი და მორებზე გადმორბენით დაზოს ქოხს მიაშურა.

როცა მალაღმა მხარბეჭიანმა მეთაურმა ნოემზარი იმ ქეჩაზე დაასვენა,

სადაც ის ამ რამდენიმე წუთის წინ სკოლაზე ოცნებობდა, გოგონა აღმოჩნდა...
 თქვედა: ტყვია შუბლში მოხვედროდა...

9. ეპილოგის მახვილი

იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმა მაისმა განვლო, მაგრამ მაინც გუშინდელ დღესავით მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება ის გაზაფხული, მტრის ბოროტმა ტყვიამ ჩემი პირველი სიყვარული რომ იმსხვერპლა...

მაისის იმ დაისს, ნოემზარის უმანკო სისხლით შეღებილს, ნათელი განთიადი მოჰყვა, იმ განთიადს კი — მრავალი გაზაფხული. იქ, საუკუნოვანი გოლიათების პირას, ხელახლა ამწვანებულ მდელოზე, სადაც ოდესღაც ვერაგულად მოჰკლეს ნოემზარი, ხოლო ახლა აღმართულია წითელი კრამიტით გადახურული კოლმეურნეობის ფერმა, დღესაც დახტიან გოგონები და ბიჭები, ისინი ერთმანეთს სიყვარულსა და მეგობრობას ეფიცებიან... მე კი ჩემს პირველ სიყვარულზე ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი შავთვალა ნოემზართან... და ის მოკვდა ისე, რომ ჩემი პირველი გრძნობისა არაფერი იცოდა...

თარგმნა არჩილ დავითიანმა



ხუჩა ბაგუა

ჩემი თაობა

ზღინარესავით მიდის წინ,
 ზერს უცვლის სოფელს, ქალაქს,
 ჩეჩი მამულის სინდისი,
 ჩემი მამულის ძალა.
 უნდა ეპოქას გაასწროს,
 მძაფრა შეტევა უყვარს.
 როგორც მდინარე,
 არასდროს
 ისიც არ იხვევს უკან.
 ოფლიამონადენ სახითა
 და უშრეტელი ძალით
 მიწას,
 მწყურვალს და ნახვითქარს
 დააღვივნა წყალი.
 ხმა მტკიცე,
 ხმა საამური
 ისმის კიღითი-კიდე:
 — დაჰკათ, ბიჭებო, მამულო
 უფრო აყვავდეს კიდე!
 მათი მარჯვენა დალოცეთ,

ხომ გაანადღეს ფიცი;
 დღეს მთელ ქვეყანას აოცებს
 დოვლათი ყამირ მიწის.
 მეც მსურს,
 თქვენს წინსვლას ვუმდგეო,
 ღიმი ვიხდებათ როგორ,
 ჰაბუკო, მკლავმოუღლელო,
 და შავგვრემანო გოგოვ!
 ვინც ხალხს მოსპობას უქადის,
 ახსოვდეთ თქვენგან თქმული —
 თქვენშიც ძვერს გული რუხადის
 და კოშვევის გული.
 უკანდახვევა არ იციო
 და სწორედ ამან შობა
 სიხარული და ხალისი,
 სიყვარული და შრომა.
 ყოველგვარ ეჭვის გარეშე
 ცასაც შეუმტვრევთ კარებს,
 მჯერა, გათოშილ მთვარეზეც
 კოცონს დაანთებთ მალე.

ნუ ბიკვირს

ნუ გიკვირს ქარში ტოტების მსხვრევა
 ზოგჯერ ტკივილებს თუ იწვევს ჩემში;
 იცი, ძვირფასო?
 მე ნორჩი ტყე ვარ,
 შენ შემოჭრილობარ ქარიშხლად ტყეში.
 რომ არასოდეს არ დაშოშმინდე.
 თითქოს შურდული გეპირა ხელში,
 შეგხედე თრთოლვით და გაფითრებით
 და როგორც ლაღი ჩიტები ტყეში
 უეცრად დაფრთხენ

ლაღი ფიქრები
 და ფოთლებივით მიმოიფანტნენ.
 ჰოდა, ნუ გიკვირს,
 ტოტების მსხვრევა
 ზოგჯერ ტკივილებს თუ იწვევს ჩემში.
 იცოდე, კარგო,
 მე ნორჩი ტყე ვარ,
 შენ შემოჭრილობარ ქარიშხლად ტყეში,
 რომ არასოდეს არ დაშოშმინდე.



სინათლე

ჯერ კიდევ ჩანდა მათა გადამა
 მოლურჯო ღრუბლის ნაფერთალები.
 ეს ის დრო იყო, როცა — ჰადაჰა —
 მზეს გაეხილა უნდა თვალები.
 ვერ ისვენებდა ქარი, ვით ხვითო,
 ძირს ჩამოყარა ფოთლები ხიდან,
 დილა იყო და არც იყო თითქოს
 და მეეზოვე ქუჩასა გვიდა.
 გაშიშვლებოდა რტოები ჰადარს,
 მაღლა აღეპყრო ხელები თუთას.
 ქუჩაში ხალხი აქა-იქ ჩანდა,
 ქუჩა ჯერ კიდევ საოცრად დუმდა.
 უცებ ინათა.
 შუქმომფინარი
 მზემ გაახილა ფართოდ თვალები
 და დაემსგავსა ქუჩა მდინარეს

მძაფრი ხმაურით და მშფოთვარებით.
 ხალხი,
 ხეები,
 ქუჩა,
 ჰაერი,
 ფოთლებზე პირველ სხივთა დაცემა.
 სიცოცხლის სუნთქვა გადასარევი,
 რაღაც ხალისი და აღტაცება.
 მივაბიჯებდი ქუჩაში მარდად
 და ვუღიმოდი
 ხალხს,
 ზეცას,
 მნათობს.
 თითქოს ბრმა ვიყავ და დილა მართლაც
 ჰგავდა თვალების გახელას ფართოდ.



გორგი გუბია


მთის ნაკადი

მაღალ მთას ვეღარ იტანს,
წვიმა იხუვლებს ოდეს;
ზაფხით ეშვება მთიდან
და ეჭიდება ლოდებს.
საზარლად ბლავის ხევში,
გგონია, შველას ითხოვს —
უფსკრულზე ვიღაც შეშლილს
ფეხი დაუცდა თითქოს.
ან ულაცს, მქროლავს მძაფრად,
თითქოს აღვირი შეხსნეს;
გადაეღლება ნაპრალს,
ჩაიკარგება ქვესენელს.
ვერსად პოულობს ადგილს,
ჩარეცხავს მთათა კბოდეს.
დაეჯახება ზათქით —
მკერდით გაიტანს ლოდებს.
ღუმილი მისი ვინ თქვას,
სიჩუმეს ვეღარ უძლებს.
მძაფრად გადუვლის დიდ ქვას,

კუზს გამოაჩენს უცებ.
თუმც მთაა მისი ბუდე,
უყვარს ლეხში და წვიმა
მაგრამ შლეგსა და უდრეკს
რა გადუღგება წინა.
მიხტის,
კლდეებთან დაობს,
ვერვინ უცვალოს გეზი.
გზა,
გზა მიეცი, მთაო,
კლდე, გზა მიეცი, გესმის!
მიზანს მიადწევეს ვიდრე,
ივლის კიდითი-კიდე —
მის წინ გზა არის კიდე,
მის წინ ზღვა არის კიდე.

აფხაზურიდან თარგმნა
ხუტა გაგუამ.





სყთი მნიჟე მსხალი

თუ მოხუცი პოლარდი ჯერ კიდევ ცოცხალია, მე მგონი, წაიკითხავს ამ ჩემს ნაწერს; მინდა გაიგოს, რომ არა ვარ ქურდი და არც არასდროს ვყოფილვარ. განა არ შემეძლო მაშინ ტყუილი შემეთხზა, მაგრამ მე მაინც მართალი ვუთხარი, მან კი სამაგიეროდ ერთი გემოზე მიმბეგვა. ცემა თუმცა არაფრად მიღირდა, დაწყებითს სკოლაში ბევრჯერ მომხვედრია; ეს იყო ჩემი სწავლა-განათლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ზოგჯერ მართლაც ღირსი ვიყავი, ზოგჯერ — არა. იმ დღეს კი მისტერ პოლარდმა დაუმსახურებლად გამტყუა. და რადგან ახლა გადავწყვიტე დავამტკიცო, რომ მაშინ უდანაშაულო ვიყავი, ამიტომ მინდა მან ეს ნაწერი წაიკითხოს. იმ წუთებში ვერა და ვერ შევძელი ჩემი განცდების სრულად გამოხატვა; როგორ მიხარია, რომ ახლა მაინც უეჭველად მოვახსენებ ყოველივეს; ავი ეს ამბავი, ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, გუშინდელივით მახსოვს.

ყველაფერში დამნაშავე გახლდათ ზაფხულის მსხლები.

იმ ეზოს, რომელშიც მსხლის ხეები იყო, გარს ეკლიანი ღობე ერტყა. ზოგი ტოტი ღობის აქეთ გადმოშვერილიყო. ექვსი წლის ვიყავი, მაგრამ საესეებით ლოგიკურად ვმსჯელობდი: ჩემის აზრით, ღობეს მხოლოდ იმ ტოტების დაცვა შეეძლო, რომელთაც იგი გარს ეკლებოდა.



ამიტომ ის მსხლები, რომლებიც ღობის აქეთ გადმოწეულ ტოტებს ასწვნი ჩემია, თუკი მიეწვდები-მეთქი, ვფიქრობდი.

მაგრამ რომ ვერ ვწვდებოდი! მსხლების სიყვარული კი მაქვებდა მეღონა რამე. შევეყურებდი მსხლებს და აშკარად ვგრძნობდი, რომ მინდოდა ეს მსხლები, მაგრამ მხოლოდ შესაქმელად კი არა — ველური ხომ არ ვიყავი! უბირველეს ყოვლისა, მინდოდა, მათი მოაზრების სურვილი მქონოდა. დიახ, მე მსურდა ეს მსხლები, რომელნიც იმ წუთებში ჩემთვის ყველაზე უახლოესნი და სანეტარონი იყვნენ. მათი ხელში ჩაგდება გულით მეწადა და ვფიქრობდი, რა მეღონა.

ეს მოხდა დასვენებაზე. იმ ხეებთან რომ მივსულიყავი, სკოლიდან ორა კვარტალი უნდა გამევილო. საოცრად მწყუროდა მწიფე ნაყოფის ტკბილი წვენი და სხვა რაღაც კიდევ, არკი ვიცოდი — რა. თავს ვირწმუნებდი, ეს არ არის-მეთქი ქურდობა.

და მართლაც, ეს მხოლოდ და მხოლოდ გაბედული ნაბიჯი იყო. თუნდა ხელოვნებაც, შესაძლოა რელიგიაც, რადგან ქურდობის ეს სახე წმინდა ადგილთა თაყვანისცემის ერთ-ერთ გამოვლენად მიმაჩნდა. მე მწამდა, რომ ეს თავისებური გამოკვლევა იყო.

ებრაელის ბიჭს — ისაკს გავენდე. ვუთხარი იმ ხეებთან მივდივარ-მეთქი; მან მითხრა, ეგ ხომ ქურდობააო. ეჰ, რა ფასი ჰქონდა ჩემთვის იმის სიტყვებს. იმ ბიჭს, ალბათ, ეშინოდა და არ უნდოდა წამოყოლოდა. მისი სიტყვები აინუნშიაც არ ჩამიგდია, სირბილით გამოვქანდი სკოლიდან და რომელიღაც ქუჩაზე დავეშვი, მგონი პერალტა იყო. თუმცა აღარ მახსოვს ის დასვენება რამდენ ხანს გრძელდებოდა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დასვენება დიდხანს არასოდეს გაგრძელდებულა. დასვენება არასოდეს არ ყოფილა საკმარისად ხანგრძლივი. დასვენება სამუდამოდ უნდა გრძელდებოდეს-მეთქი, ვფიქრობდი.

ექვსი წლის ბიჭის მსხლებთან მიბრუნა კლასიკური სილამაზის მოვლენას თუ შეედრებოდა — მუსიკას, პოეზიას, ან, თუ გნებავთ, ომსაც. სუნთქვაშეკრულმა, ყურდაცქვეტილმა და მომღიმარემ მსხლებს მივალწიე. მადის მომგვრელი მსხლები ჩამოსაწყვეტად და შესაქმელად გამზადებულნიყვნენ, თითქოს თავისკენ მიწვევდნენ. მზეც რა მაგრად აცხუნებდა! ეს იყო ჰაერის, სხეულისა და გონების უცოდველობის ეპოქა.

ფოთლებშუა მოჩანდა ხორცსავსე, წითელ-ყვითელი მსხლები — მზისგან შექმნილი სიცოცხლის წყარო. მინდოდა ეს მსხლები. ეს ისეთი განცდა იყო, რომლის გადმოსაცემად მეორე კლასის მოწაფეები ვერ შეძლებდნენ სიტყვების პოვნას. მათი გონებისათვის მხოლოდ უმარტივესი ამბები იყო მისაწვდომი, ხოლო მსხლებზე, როგორც ცხოვრების საფუძველზე, მსჯელობა ხომ არც თუ ისე ადვილი იყო. თუკი რომელიმე მათგანი ოდესმე მსხალს ასხენებდა, იგულისხმებდა მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ნაყოფს და ვერ იმსჯელებდა მასზე განცვიფრებით, როგორც ცოცხალი მატერიის უცნაურ, ამბულელებელ და საოცარ გამოვლენაზე. ეს პატარები ვერ შეიგრძნობდნენ მსხალს ხესთან ერთად, მზესთან ერთად, მიწასთან ერთად; ეს ხომ წარმოუდგენელი რამაა!

მსხლები ჩემი ვახდებოდა, თუკი მიეწვდებოდი. მაგრამ ვერ ვახერხებდი. მართალია, მათი შორიდან ყურებაც საუცხოო რამ იყო, მაგრამ მე ხომ მათ ისედაც მთელი კვირების განმავლობაში ვუყურებდი. მე ვნახე ჯერ კიდევ შიშველი ხეები, მერე მათს ფოთლებით შემოსვასა და კვირტების გამოსხმას



ვაკვირდებოდი. და, ბოლოს, ვნახე, თუ კვირების ნაცვლად როგორ გამოჩნდა ეს უმწიფარი მსხლების მკვირვა და მწვახე გაძოსახულებამ.

ახლა კი დამწიფებულნი მსხლები მოსაწყვეტად მიხმობდნენ და მეც მზად ვიყავი. ამდენი ხანი უბრალოდ შევყურებდი მათ და განა ეს საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ჩემად მეგულა ეს მსხლები? თვით ღმერთმა მარაგუნა-მეთქი, ვფიქრობდი.

მაგრამ ნურავის ეგონება, რომ მსხლები შესაქმელად მინდოდა. მე მხოლოდ იმისკენ ვისწრაფოდი, რომ შევებოდი ნაყოფს, შემეგრძნო ის და მეთქვა: „აი, მსხალი“. ის ხომ თვით სიცოცხლეა, მისი არსია, რომელსაც შემდეგ დაშლა მოეღოს, — ვამბობდი გუნებაში, — უნდა შეიგნოს ეს კაცმა და მის უკვდავყოფას ეცადოს-მეთქი.

ქურდს შეუძლია მხატვარიც იყოს და ფილოსოფოსიც. მე მგონი, ერთიც უნდა იყოს და მეორეც. ვერ გეტყვით, ფილოსოფია ქურდობის გასამართლებლად მოვიგონე, თუ ქურდობის არსებობა იმიტომ უარყვავი, რომ ფილოსოფია მომეგონებინა. ასეა თუ ისე, ერთი რამ მწამდა: სავესებით გულწრფელად მინდოდა მსხლები და მტკიცედ გადავწყვიტე მათი ხელთ ჩაგდება, თანაც იმგვარად, რომ სავესებით შემენარჩუნებინა უცოდველობა.

მერე კი, როდესაც ქურდად პომნათლეს, ბედს შევეურიგდი და თითქმის ვაღიარე, ჰო, ქურდი ვარ-მეთქი, მაგრამ განა მართლა ასე იყო?

ხის ტოტებქვეშ ვიდექი და ვიღიებოდი, მაგრამ ეს როდი იყო იმ კაცის ღიმილი, ვინც სპობს და აოხრებს. ეს გახლდათ ღიმილი იმისა, ვინც ქმნის რაიმეს და შეჭარბის მას. მხატვარი ისაა, ვინც უყურებს და ხედავს კიდევ, და თუმცა მხედველობა ყველასა აქვს, ერთობ მცირედნი თუ ხედავენ ნამდვილად. მე კი ნამდვილად ვხედავდი მსხლებს. პირველად თვალთ დავინახე, მერე კი თანდათანობით, მთელი სულითა და გულით შევიგრძენი. ამიტომაც ვფიქრობდი, მსხლები მე მეკუთვნის-მეთქი.

მეკუთვნოდა იმიტომაც, რომ ეს მსხლები ღობის აქეთ გადმოწეულ ტოტებს ესხა. ახალგაზრდების ტრაგიკული ბედი ასეთია: სწორედ მაშინ დამუჯდებიან ხოლმე, როდესაც ძალიან ბევრი აქეთ სათქმელი; მოწიფულების უბედურება კი ისაა, რომ შეუძლიათ გაუთავებლად ილაპარაკონ რაღაცაზე, არკი იციან, რით დაიწყონ ან სად დაამთავრონ, ან საერთოდ, როგორ ილაპარაკონ. ჰმ, ჩვენ ამ საქმეში საკმაოდ გაწვრთნილები ვართ. სხვა თუ არა, ის მაინც ვიცით, ლაპარაკი როგორ დავიწყეთ.

ხელით რომ ვერ მივწვდი მსხალს, შეხტომა ვცადე. ეს კი დიდებული რამ იყო და არის კიდევ. პირველად იმიტომ შევხტი, რომ მსხლის ტოტი ჩამომეწია. მაგრამ ორ-სამჯერ შეხტომის შემდეგ უმიზნოდ დავიწყე ხტუნვა, რადგან თვით ხტუნვა იყო საუცხოო რამ. ამ დროს ისეთივე განცდა მქონდა, როგორც მსხლებზე ფიქრისას, როდესაც მათს ჩვეულებრივ ფორმას იქით კიდევ სხვა რაღაცას ვხედავდი. ხტუნვის დროს მცირე ხნით შორდები მიწას ფიზიკურადაც და სულიერადაც, მიემართები საღვთო სფეროებს, შემდეგ უცრად უბრუნდები მას ხმაურით და კვლავ ხდები მიწის შვილი, სავესებით მიწიერი, სისხლხორციით სავესე. მე კიდევ დიდხანს ვხტოდი.

ხტოდი მაშინაც, როცა სკოლის ზარი მომესმა. მახსოვს, რაღაც ჩამწყდა შიგნით მის ხმაზე, მივხვდი, რომ დავიგვიანე. მაგრამ შიშის პირველმა წუთმა გაიარა და მეც დავმშვიდდი, მე ხომ მქონდა გასამართლებელი საბუთი: მწიფე მსხლები და ხტომასთან დაკავშირებული ჩემი აღმოჩენა.

ეს კი სავესებით გონიერულ საბაბად მიმაჩნდა. მართალია, აღარ მახსოვს,



რას გვასწავლიდნენ იმ დღეს გაკვეთილებზე, მაგრამ არა მგონია იმაზე მსხლელების ნელოვანი ყოფილიყო რაიმე, ვიდრე მწიფე მსხლებისადმი ჩემი ლტოლვა მათი მოპოვების სურვილი, ანდა მსხლის ტოტებისაკენ ხტომის არსის აღმოჩენა იყო.

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ ამეხსნა მათთვის ეს ყოველივე. მაგრამ ვერა და ვერ მოვინახე სიტყვები მაშინდელი ჩემი განწყობილების გადმოსაცემად. ჩემი განცდები ერთ გამოუთქმელი იყო.

გამხმარი ტოტით ხუთი მსხალი ჩამოვაგდე. უფრო მეტიც შემეძლო, მაგრამ მხოლოდ ხუთი ავირჩიე, ყველაზე მწიფე. ერთი შევჭამე, ოთხი თან წავიღე და გაკვეთილზე ათი წუთით დავიგვიანე.

ნორმალური ადამიანი ექვსი წლის ასაკში სამოცი წლის კაცზე ნაკლებ გულუბრყვილო არ უნდა იყოს. მაგრამ ნორმალური რომ ცოტანი არიან? ბევრს კი მოჩვენებითი კულტურა აქვს. ოთხი მსხალი სკოლაში მივიტანე, როგორც დავვიანების მიზეზი. აღარც მახსოვს, რა ვთქვი მაშინ, შესაძლოა არც არაფერი მითქვამს, ის კი მახსოვს, რომ მწიფე მსხლები ყველას ვუჩვენე.

ოო, რა ალიაქოთი ატყდა! წარმოიდგინეთ, ქურდად ჩამთვალეს. მე ჯერ შევკრთი და მერე გავგულისდი კიდევ. არ მესმოდა, რა საჭირო იყო რაიმეს ახსნა, როცა ხელთ მსხლები მქონდა. ესენი ხომ აშკარად მეტყველებდნენ მომხდარ ფაქტზე და თან გასამართლებელ საბუთსაც წარმოადგენდნენ. მაშ როგორ არ უნდა აღვეშფოთებინე მისს ლარკინის უგუნურებას, როცა მისთვის მსხლები მხოლოდ დანაშაულის მამხილებელი იყო? ბოლოს და ბოლოს, განა ტყუილად იყო მასწავლებელი, ტყუილად ცხოვრობდა ამდენ ხანს ამ ქვეყნად?

სასტიკად მომექცა და ვინ იცის, რა სიტყვებით არ შემამკო! ვერაფერი გამეგო. იმას კი ვატყობდი, რომ ჩემი დასჯა მოინდომა. სხვა წერილმანები კარგად აღარ მახსოვს; მახსოვს მხოლოდ, როგორ ვიჯექი ჩვენი ღირექტორის, მისტერ პოლარდის მომლოდინე მის კაბინეტში და როგორ შევიგრძეხე სადღაც, გულის კუნჭულში — ქურდი ვარ-მეთქი.

ჩემი მსხლები ღირექტორის მაგიდაზე ეწყო. ახლა ისინი, რა თქმა უნდა, მხოლოდ შიშველ ფაქტზე მიუთითებდნენ. მსხლები პირქუშად გამოიყურებოდნენ და მეც, ცოტა არ იყოს, მეშინოდა.

უსაქმობისაგან ერთ მსხალს შევექეცი. წარმოიდგინეთ, ეს უფრო ტკიბილი გამოდგა, ვიდრე ის მსხალი, ხესთან რომ შეიჭამე. ხელში დარჩენილ მსხლის გულს ვერაფერი მოგუხერხე, ვერ მოვიშორე თავიდან. საერთოდ, გადაადებენ ხოლმე, მაგრამ ჩემს ირგვლივ მხოლოდ კედლები და ფანჯრები იყო.

მსხლის გულიც შევჭამე და ხელში დარჩენილი თესლები ჯიბეში ჩავიყარე — ჩემი საკუთარი მსხლის ხეები მექნება-მეთქი, ვიფიქრე.

მეშინოდა და თანაც არ მსიამოვნებდა ჩემი თავის ქურდად აღიარება. ამიტომაც ყველა მსხალი ზედიზედ შევჭამე. საკუთარი თავის ქურდად შეგრძნება არავსთეტიური განცდა იყო, რადგან მასში ვერავითარ სიამოვნებას ვერ გპოულობდი.

ბოლოს, მისტერ პოლარდიც გამოჩნდა. მისი მოსვლა ჩემი აღსასრულის დღის მოსვლას წააგავდა. მან რომ ჩაახველა, ასე მეგონა, მთელი ქვეყანა შეირყა-მეთქი. საკმაოდ ბევრჯერ ჩაახველა, საკმაოდ ბევრჯერ მრისხანედ შემოხვედა და ბოლოს მითხრა: „გავიგე, მსხლები მოგიპარაეთ, აბა შაჩვენეთ“.

მეგონა, ღირექტორის მსხლის შეჭმა უნდა-მეთქი და უცებ შემრცხვა ჩემი მსუნაგობისა. მე ხომ აღარც ერთი დავტოვე და რალა მიმეწოდებინა ღირექ-

ტორისათვის? ის კი. მგონი, ვერ მიმიხვდა და გაიფიქრა, თავისი ქურდობისა შერცხვა და კიდევ იმისა, რომ დაიჭირესო.

„ახლა კი უთუოდ დავისჯები“, — გამიელვა თავში. დირექტორს შევატყვე, რომ ისარგებლებდა ჩემი დარცხვენით.

როგორა ფიქრობთ, სასიამოვნო მოსასმენია, ქურდობას რომ გწამებენ, როცა დარწმუნებული ხართ. არ მიქურდნიაო?

ვანა ძნელი იყო იმის შეგნება. რომ მე ვნახე ჯერ კიდევ უმწიფარი მსხლები. ვნახე ხის შიშველი ტოტები, ვნახე მერე მისი ფოთლები და კვირტები და ვუყურებდი მსხლებს, სანამ სულ არ დამწიფდნენ. მე შეეჭმენი მსხლები. მწიფე მსხლები მე მეკუთვნოდა.

მე ვუთხარი: „მე შეეჭამე ისინი“.

ეჰ, ვერ ავუხსენი, რატომ უნდა მომეპარა, როცა ისინი მე თვითონ შეეჭმენი-მეთქი; სხვა გზა არ მქონდა, მხოლოდ შიშველი ფაქტი უნდა აღმენიშნა.

— თქვენ შეეჭამეთ მსხლები? — მკითხა მან. მგონი, ჯავრობდა.

მე იხტიბარი არ გავიტეხე და ვუპასუხე:

— დიახ, სერ.

— რამდენი მსხალი იყო? — მკითხა.

— ოთხი, — ვუპასუხე.

— თქვენ მოიპარეთ ოთხი მსხალი, — თქვა მან, — და მერე შეეჭამეთ?

— არა, სერ, — ვუპასუხე, — ხუთი მოვიპარე. ერთი იქვე შეეჭამე.


ყველაფერი ისე აირ-დაირია, ვატყობდი, ვედარაფერი მიშველიდა. ვერ გავაგებინე ჩემი განცდები და ამგვარი პასუხებით კიდევ უფრო მეტად ვაფიქრებინე ჩემი დასჯა, აკი დამსაჯა კიდევ.

მან კარგა მაგრად მიმბერტყა ტყავის ქაბრით, და მეც ვღრიალებდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. იმდენად ტკივილი არ მაწუხებდა, რამდენადაც იმ აზრის სიმწარე, რომ ვერც ერთმა სულიერმა ვერ გამიგო, თუ რატომ მოგწყვიტე ხუთი მსხალი და მათგან ოთხი რატომ მივიტანე სკოლაში. მე ხომ შემეძლო ყველა მსხალი გზაშივე შემეჭამა, და მერე მომეტყუებინა, იპიტომ დამაგვიანდა, რომ ვილაც უცნობს გზა ვასწავლე-მეთქი, ან სხვა რამ შემეთხზა.

ვიცი, რომ მისს ლაკინი მეკდარია, მაგრამ თუ მისტერ პოლარდი ცოცხალია, იმედი მაქვს, წაიკითხავს ამ ნაწერს, რადგან მისთვის ვწერ და ხმაძალა ვაცხადებ, რომ მე არ მომიპარავს მსხლები, ის მსხლები მე შეეჭმენი და მათგან ოთხი, ყველაზე ლამაზი, იმისათვის მივიტანე სკოლაში, რომ სხვებსაც ჩემსავით შეეგრძნოთ ისინი. არ გეგონოთ, რომ თქვენზე ნაწყენი ვარ, მისტერ პოლარდ, მაგრამ მწამს, რომ უნდა ამეხსნა თქვენთვის ჩემი იმდღევანდელი ნამდვილი განწყობილება.

ინგლისურიდან თარგმნა

ნანა ლამაზიძემ



ქაბა მიხაქვირი

ს ა მ ი ჯ ნ უ რ მ ს მ ნ ე ტ მ ბ ი

Quand'era in parte
altr'uom da quel, ch'io sono.
Petrarka

*
* *

ო, საყვარელო, ღვთაებრივი აღერსის წუთებს
შხამით მიზაეებს ეგ მწუხარი მიმოგონება.
რა გადიტანა შენმა გულმა, რა შეღონება,
გარდასულ ჟამს რომ ცრემლიანი ღამეებს უთევ?

შენ რა გაქვს ბრალი — თუ წამწამთა ელვარე ბუდეშ
და ბაგეთ ვარდმა მოხიბლულთა იწყეს მონება;
მოენდე აგრე ჩემს სიყვარულს, გულს და გონებას,
და ზენაარმა ცეცხლოვანი მოგვავლო ზღუდე.

მარტოდ შეენილნი აუხდენელ ოცნებათ გზაზე,
ტრფობის წყურვილით, იმ დღეების შრიალში ასე
ვიბრძოდით დიდხანს, დაშვრებოდა ვიდრემდის გული.

ახლა კი დავალ, საკურთხეველს ლოცვებით ვავსებ
და უფალს არ ვთხოვ შემიწყალოს, არამედ მსურის
იმ შენი წმინდა ცრემლებისთვის არ მაგოს შური.

Do Laury

გიხილე, სულმა უეცარი იწყო ხარება,
როს უცნობ შუბლზე ვნახე შუქი ძველი ოცნების,
თვალეშში მზე და მღუმარება ზღვა გოაცების
და გაზაფხულის შევიცანი გამოდარება.

შენ ღუღუნებდი და ეგ ტკბილი ხმა ნეტარებად
გულს მეღვრებოდა — სიცოცხლის და შვების მომცემი.
თითქოს მეძახდნენ შორეთიდან ანგელოსები
და ზეცის ჟამმა გადარჩენის ხარი დარეკა.

„როს ნაწილობრივ სხვა კაცი ვიყავ, ვიდრე ახლა ვარ“. პეტრარკა, სონეტები ლაურა-სათვის I.

სულო, თუკი შენც ავაღელევა ნათელმა წუთმა,
 მითხარი ჩუმად ნაჩუმარი ამბავი გულთა,
 ნუ სწუხხარ; ჩვენზე შური ძლევით რომ აღორძინდა,

რომ უნდა ფარულ სიყვარულით მიყვარდე მუდამ.
 დე, მიწიერი ეკუთვნოდე ბედით მოცინარს —
 შენს სულთან ღმერთმა იცოდე მე დამაქორწინა.

...ისადმი

თვალებში მიმზერ და ამ თვალთა ბნელი იგავი,
 შენ ვერც კი ამჩნევ, როგორ გიქრობს გულის მნათობებს.
 ვიდრე უკუნით შემოსილხარ, წადი, დამტოვე,
 წინანდებურად უმანკო და წმინდა იყავი.

მე განვიძარცვე მარტოობის ქარით, გრიგალით
 და მწუხარების ავღრიანმა წლებმა დამთოვეს,
 შენ კი ასეთი სიყვარულით რად მოგანდომეს
 დღეებმა ჩემთან სიახლოვე და მადრიგალი!

შენ ახლა მშვიდი და ბალღური ფიქრით მშვენდები,
 გული ხალისის უნაპირო ზღვით რომ აივსე.
 მე კი სამარეს მივაბარე ყრუ იმედები,

ჟამიც — ზღვასავით ბობოქარი და სიხალისე.
 სურო ხარ შენა, მოეხვიე მწვანე ალვის ხეს,
 ჩრდილმა მოჰბუროს სამარეთა მძიმე სვეტები.

მორჩილება

უბედურია, ვინც ტრფიალი ცრემლად იწვინია,
 ვინც განიძარცვა ვნებისაგან, გადიქცა მიწად,
 და კიდევ მეტად უბედური იგია, ვისაც
 უყვარდა წინათ და იგი ვერ დაუვიწყნია.

როცა ხიბლავენ მას თვალები მრუში, ციმციმა—
 მოგონებები, ვით ღრუბლები ავღრიან ცისა
 წამოვლენ გუნდად, მოჰგრაგნიან ოცნებას მისას.
 და იგი ნისლი ხსოვნამ ველარ გადაიწვიმა.

უარპყო სხვები... გულზე კმუნვის მოიღო ხავსი,
 როცა სასოთა უეზარი დაემსხვრა თასი.
 მას ეხლა ჩუმად ეპარება ბინდი გვიანი;

გული აქეს ზღუდეშემუსვრილი ტაძარის მსგავსი,
 სად ყოველივე მტვრად აღგვილა, სად მადლიანი
 არა ზის ღმერთი და ვერ შედის აღმიანი.

შენ დაგემონე, მაგრამ გული ჰმუნვით მყივარი
 დუმს და პირველად მიხარია ტყვეობის დაღი,
 გიგონებ შენ და ფიქრები მაქვს ქარივით ლაღი,
 მიყვარხარ შენ და გულს არა აქვს რამ სატკივარი.

ბევრჯერ ვყოფილვარ იმედებით გულნაწვიმარი,
 მხიბლავდა ცრუ და ჰაბუკუთრი ოცნების თაღი,
 რიოში სიტყვა, ხან უტურფეს წამწამთა ბაღი,
 მაგრამ არარად ჩამიგდია ბელი მღიმიარი.

მე განვიცადე მიჯნურობის ცეცხლი ფარული,
 იჭვი და ჰმუნვა, თვალს მომდგარი ცრემლების ფიფქი
 და ახლა რისთვის მოვიგონო ჟამი ქარული.

შენ სიხარულით მოავენე მწუხარე ფიქრი...
 მადლობა უფალს, რომ მომიძღვნა ეგ სიყვარული,
 მადლობა მიჯნურს, რომ მაჩვენა უფალი იგი.

ნემანისადმი

ჰოი, ნემანო, მშობლიურო ჩემო მდინარეც,
 აწ საით ვლიან ის ზვირთები, როცა მე ბაღლი
 მათ მდინარებას ბობოქარი ოცნების ტალღით
 თან მივყვებოდი ამ სევდიან დღეთ უწინარეს!

მიჯნური ჩემი ჰეველს ციმციმას პირმომცინარე
 და ყვავილებით თავშემკული უმზერდა მაღლით,
 ვიყავი შლეგი და რამდენჯერ ოცნებით დაღლილს
 ცრემლებით სახე გაღმიშლია წყალზე მჩინარი.

აწ საით ვლიან, ო, ნემანო, წყალნი მშფოთარნი,
 ან ის ბაღლობა, უვიწყარი მზით შემომდგარი
 გულზე რომ მფენდა იმედების ვარდებს მშვენიერს,

სად გადიკარგა სიჰაბუკის მხურვალე აღთქმა,
 ან თქვენ სადა ხართ, მეგობარო, შენც, სულო, სად ხარ?
 წაგშლიათ კვალნი — მხოლოდ ცრემლი მე დამშთენია.

ძვირფასო ჩემო, გახსოვს, გული შენი მხმობელი
 ან იგი ჟამი — შემოსილი უნაზეს ბინდით,
 როცა ვხედებოდი ჩვენ ერთმანეთს ხალისით, რიდით
 და არ გვახსოვდა ეგ მდრტვინავი წუთისოფელი.

გახსოვს ფარდული — უსურვაზით ჩრდილის მომფენი,
ჩვენი რუსხმულის ანკარა და მჭქეფარე ზვირთი,
მათ სიახლოვეს, ო, რაოდენ სიამეს ვმკიდით
ღამის ლანდებით შებურვილი ჩუმი სწორფერნი!

მაშინ მთოვარე ცის თავანზე უხმოდ მავალი
გვათოვდა ნათელს და მხიბლავდა მშვეენება შენი —
ღვთაებრივი და ღამესავით სხიფუამარი...

ამ დროს მიჯნურთა გულს ერღვევა კაცური ბქენი,
ცრემლი ცრემლს ერთვის, ბაგეს ბაგე იზიდავს ფშვენით,
თვალი თვალის და გული რჩება გულის ამარი.

სალამო მშვიდობისა

მშვიდი სალამო... გულისცემით დაეუწყებ ლღდინს,
რადგან არც ღამე — შემომდგარი გულდამშვიდებით,
არც განთიადი — ავსებული მზით და ჩიტებით
არ მხიბლავს ისე, როგორც ნისლთა ცისფერი ბონდი.

როგორც ეგ ჟამი — შემოსილი ჭვირვალი ბლონდით.
შენც მაშინ გიყვარს გაყუჩება, აღარ ინთები,
და მთების გრილი ნიავეთ და ჩუმი ბინდებით
ფეხაკრეფილი, ნაღვლიანი სალამო მოღის.

მშვიდობის დილამ, დე, ყოველ ქოხს უძღვნას სალამი,
მიმოაქციოს სიმძიმისი გალობის ხმებად,
მშვიდობის ღამემ აღასრულოს მიჯნურთა ნება,

გადავიწყოს ნეტარებით დღეთა ვარამი,
ხოლო რომელნი დიდ სიყვარულს ვეღარ მალავენ —
მშვიდობის მწუხრმა დაუფაროს უსაზღვრო ვნება.

პოლონურიდან თარგმნა თამაზ ჩხენკელმა





3003253 ბოჩკაჩი

1947 წელს გარდაიცვალა ვოლფგანგ ბორჰერტი და რამდენიმე დღის შემდეგ ჰამბურგში წარმატება სწვდა მის პიესას „გარეთ, კარებთან წინ“.

ბორჰერტი დაიბადა 1921 წელს. თავდაპირველად მსახობობდა, მაგრამ არ დასცაღდა; 1941 წელს ფამისტებმა ფრო ტიდან გამოათხოვეს და დააპატიმრეს. აქ იგი 4 კვირის მანძილზე სასიკვდილო სკანში იჯდა.

მხოლოდ ომის დამთავრებამ იხსნა სეილახალი ჰატემროსისკან. ორაოდე წლის შემდეგ ჯანჯატეხილმა პოეტმა კიდევ დაასრულა სიცოცხლე.

აქ მოთავსებული ღეკსება ამოდებულა 1956 წლის ანთოლოგიიდან, რომელშიაც შედიან ახალგაზრდა გერმანელი პოეტები აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ავსტრიიდან.

ბარათი

ჩვენ ეს ფანჯარა გვაიძულებს და ვიტყვით „გარეთ“
და ჩვენ, რომელიც მაინც შინა ვართ,
წარმოვთქვით „გარეთ“, ალბათ გარეთ ამღვარა ქარა
წარმოვთქვით „გარეთ“ და გვეშინია.

ფარნები ღვანან,
რომ უამრავ ღამეს ათევედნენ —
ძილი არავის არ უნდა განა!
და აი ღამემ მიაღწია ღამის ათამდე,
ქუჩას მიეცა ფერი ყოფრალი
და აღმოცენდა უხმო მორევი,
შიგ ქეა და მინა ოხვრით მომრავლდა.

იგი ჩვენს სისხლში გამოერია,
რომელიც ახლა ასე ხმაურობს —
ქარი ცეკვაში ჩერდება და ნაბიჯს ანელებს,
ქარი ჩერდება, ქროლვა არ ნებავს,
რათა უსმინოს აქაურობას.
და კიდევ დიდხანს ღამის ფარნები
თან მიჰყვებიან ღამის ზმანებებს.

დიდი ქალაქი

ემვის გარეშე ქალღმერთია დიდი ქალაქი,
 ამოიზიდა ზღვა უდაბნო მასში ქვისაგან.
 თავისი სუნთქვით ჩვენი სუნთქვა უმალ ალაგმა
 და მარტოობა მან დაგვისახა.

დიდი ქალაქი, იგი როსკივს განა არა გავს —
 რბილი მკლავებით გამოწვდილა იგი ჩვენდამი,
 ჩვენ ტკივილმა და სიხარულმა გაგვანანაგა
 და არასოდეს გვიტხოვია მაინც შენდობა.

დიდი ქალაქი დედა არის ალერსიანი
 და დაღლილობამ ვინც დაიურვა,
 განა მის კალთას მარადიულს არ ეზიარა —
 და გადიარა მასზე ქარმა მარადიულმა.

ფარანთა ოცნება

მოგვედები როცა,
 მე აღმოვთქვამ სურვილს საოცარს,
 რათა ისეთი გავხდე ფარანი,
 შენი სახლის წინ რომ აენტოს იგი ფარანი,
 დამეს უბნელესს,
 რათა იგი ნათელს უბნევდეს.

ან ნავთსადგურთან,
 იქ გემები ძილში გადგმულან
 და გოგონებმა სიცილი მორთეს,
 მოვისურვებდი ვეკიდო მარტო,
 იქ ავიტანდი სივიწროვეს და სიბინძურეს
 და მარტოდ მავალს მე სხვასავით არ მოვიძულებ.

ვიწრო შუქებში
 მდგარ ტავერნას განვაშუქებდი,
 თუნუქის ვიყო და მოწითალო,
 ვიყო ფარანი ესევეთარი
 და საამისო
 მე ჩემს ფიქრებში მაქანაოს ქარმა დამისამ,
 ავყვე სიმღერას გულაჩუყებით.

და ვინმემ ბავშვი თუ მიატოვა,
 იგი შიშისგან მავალ თვალებით
 მე აღმომაჩენს მოუთმენელი,
 რადგან ბნელა და რადგან მარტოა —
 ქარი რად ბლავის ასე სარკმელთან
 და გარეთ დამემ ხმა რად გაკმინდა.

და მე აღმოვექვამ სურვილს საოცარს,
მოვეკვდები როცა,
მოვისურვებდი ვიყო ფარანი
და იყოს ღამე დაუფარავი,
სანამ ქვეყანა ძილს მოამთავრებს,
მე სასაუბროდ მივმართავ მთვარეს
და, რა თქმა უნდა, მხოლოდ შენობით.

სიძველენი

ვიგონებ მაღალ ფერმიხდილობას

შორს, სადაც აწმყო, დიდი აწყმო აღარ ხმაურობს,
მათი გმირული მარტოობა არის ქებული
და სიწყნარეში, სადაც მტვერი დევს აქაური,
წყვილი თასები ფერმერისა განრიგებულა.

მათ გაფითრება დასწოლიათ იმპერატორის,
ვისი ქანდაკიც ღირსეულად იტანს თაბაშირს.
სამხრეთის ზღვათა მოქარგული ალიგატორი
მომწვანო თვალებს მინასავით ათამაშებს.

ბრძენი კარლოსის საკრეთელი მოჩანს პირიქით,
ბუღას მუცელზე ელვარებს და ეძებს ნაოქებს,
როს სურნელებას ინარჩუნებს ძველი პარიკი
და მომხიბვლელი ძველი პუდრით ყნოსვას აოცებს.

ხეში ქვავდება მაღაელი კერპის ნაკვთები,
მულატურ კბილებს დასტყობია ღზობის სიმკრთალე,
ომთა ზმანება იარაღსაც ყანგად აკედება,
რემბრანდტის ჩრდილებს ეფარება და თავს იმრთელებს.

ბაროკოს კომოდს ეკედლება ჭია სამარის,
გამომშრალ კედლებს, ჟამგამოვლილს და მიტოვებულს.
ბუზის ბზული მოსასმენად ცუდი რამ არის,
შოპენჰაუერს რომ დააჯდა. ცამეტტომეულს.

ვერმანულიდან თარგმნა
ბესიკ ადგიშვილმა



შალვა ღლიანი

რაც გაემსხენდა

32

ახლა კი ვილაპარაკოთ საერთოდ ჩემს საზოგადოებრივ სამსახურზე.

ამის სათავეც თბილისში უნდა ვეძიოთ, რადგან მწვერლობასთან ერთად თბილისში მო-
მხიბდა საპასუხისმგებლო სამსახური.

სანამ საბოლოოდ თბილისში მოვიდგამდი ფეხს, მანამ 1920—1921 წლების სეზონებში ქუთაისის დრამატული საზოგადოებისაგან ქუთაისის დასში ვიყავ მიწვეული ხელმძღვანელად და რეჟისორად. სეზონი კარგად მიდიოდა, ვდგამდი უფრო ქართული ავტორების პიესებს, როგორც, მაგალითად, რამიშვილის „სალომეს ოჯახს“, გერგესელის „ბურუსს“, გულისაშვილის „დრონი მეფობენ“, ჩემს „ვარაშს“ და მთელი დასი საზოგადოების სიყვარულსა და პატივის-
ცემას იმსახურებდა. იმ დროს შემოვიღე კიდევ წესად, რომ მცოდნე ხალხს წაეკითხა ჩვენთ-
ვის ლექციები თეატრალურ ხელოვნებაზე, დრამატურგიაზე საერთოდ, ევროპული თეატრების
და კერძოდ საქართველოს ისტორიაზე, მკაფიო მეტყველებაზე და აგრეთვე ფიზიკურ ვარჯი-
შობაზე, ესწავლებინათ ფარეკაობა, ცეკვა-როცა როგორც ევროპული, ისე აზიური და სხვ. ამ
ზომებმაც გამოაცოცხლა დასის მუშაობა. სწორედ ამ დროს მენშევიკების მთავრობაც იძულებ-
ული შეიქნა, რომ, კულამოქმედული, ზღვით ევროპისაგან გააპარულიყო.

მანამდე რას არ წერდნენ მენშევიკური ვაზეთები ბოლშევიკებზე, მათ ბარბაროსობაზე,
აღამიანთა დაუზოგავობაზე; დღიად აშინებდნენ ქართველ ხალხს და ავტოლიანებდნენ მათთან
საბრძოლველად, მაგრამ „არ ვარდავალს გარდუვალ“ და თებერვლის 25-ს საქართველოში საბ-
ქოთა ხელისუფლება დამყარდა.

ქუთაისშიაც მამისონის უღელტეხილიდან მოდიოდა ბოლშევიკური ჯარი და, მიუხედავად
მენშევიკების წინასწარი დაშინებისა, არავითარი ექსცესები არ ყოფილა. ქუთაისშიაც დაფრთხენ
ზოგიერთები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისიდან მატარებლით მენშევიკურმა მთავ-
რობამ ჩამოიარა. მათი ჩამოვლის დროს არავითარი დემონსტრაციები თუ მანიფესტაციები მათ
საპატივცემლოდ ქუთათურებს არ მოუწყვიათ, ისე უმნიშვნელოდ, ჩაილუღის წყალივით ვაღნა
მენშევიკური ხელისუფლება. მათი წასვლის შემდეგ ბოლშევიკების შიშით დაიკეტა ბაზარი;
დუქნები.

მსახიობებმაც დროებით შეეწყვიტეთ წარმოდგენები. ვიფიქრეთ იმაზე, რომ მოსალოდ-
ნელი შიშშილისაგან თავი როგორმე დავკვდივით. ამისათვის შევადგინეთ მცირე კომისია
ცნობილი მსახიობის ალექსანდრე იმედაშვილის მეთაურობით, რომელმაც პირველ ხანად
გავგვიჩინა, სურსათ-სანოვავის ერთი კვირის მარაგი მაინც. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვიყავით.

•
•

ბოლშევიკების ჯარი შემოვიდა ქალაქში და გამოცხადდა, ქუთაისის ქალაქის კომენდანტი
არის კოლია წულუკიძეო. თქვენ გახსოვთ ამ ჩემი ნაწერიდანაც, რას წარმოადგენდა კოლია-
ვევლა გააკვირვა ჯერ მისმა ბოლშევიკობამ და შემდეგ ასეთმა თანამდებობამ. მე კი ცოტა არ
იყოს გამეხარდა, რადგან ვიფიქრე, როგორმე ვნახავ და გავახსენებ ჩვენს ძველ მეგობრობას.

¹ დასასრული. იხ. „ცისკარი“, 1957 წ. № 2, 3, 4, 5, 7 და 1959 წ. № 2, 3, 5, 8.



ამითი შეიძლება თეატრი და დასი მაინც გადაეარჩინო (როგორც მაშინ მე მეგონა) ბოლომდე ვიკური ჯარის უხეშობას-მეთქი, მაგრამ მისი ნახვა ცოტა არ იყოს ძნელი გამოდგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოთხი საათის შემდეგ ქალაქში სიარული აკრძალული იყო, თუ რამე საშვი არ ენახებოდა კაცს, მეორე ის, რომ თვითონ კოლია ძალზე მოუცუელი იყო თურმე თავისი სამხატვრო გემო და იმდენი ხალხი ესაა გარშემო, რომ მასთან ახირებულად ვერ მიადევნებდი. მაგრამ გამოვიდა ახალი განცხადება (ასეთ განცხადებებს საერთოდ ქუჩებში თვალსაჩინო ალაგას აკრავდნენ), რომ კოლიას მაგივრად ვილაც ახალი იყო დანიშნული და ასე სულ რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ინიშნებოდა ახალ-ახალი კომენდანტი. ამასობაში ჩვენ, დასის წევრები, ვიყავით შექუჩილად ჩვენ-ჩვენი ოთახებში და იმდაშვილისაგან დიდ-დილობით განაწილებული ულუფით ვიკვებებოდით.

იმე დღეებში უეტრად მოვიდა ერთი ახალგაზრდა რუსის ჯარისკაცი და მეთხა: თეატრის რეჟისორი თქვენა ხართ? მეც დაუდასტურე. მაშინ მან შეუვალად გამომიცხადა: მე უნდა წამოწყვეთ, კრებზე გაბარებნო. მე და ელომ ერთმეორეს გადავხედეთ, მაგრამ წაუსვლივობა „არ ეგებოდა“ და მეც წაყვევი. ჯარისკაცმა მიმიყვანა იმ შენობაში, სადაც წინათ სველი ქვის პრეწელობა საბჭო იყო მოთავსებული და ერთ დღის ვიზორი ზღაწევიჩი და კიტა აბაშიძე თითქმის მთელი იმერეთის კულტურულ საქმიანობას უღვგენ სათავეში.

შეი რომ შევედი, უკვე კარგა ბლომა ხალხი იყო თავმოყრილი. აქ იყო ნაწილი იმ ინტელიგენციისა, რომელსაც ვერ მოვსწრო ვახიზუნა ქუთაისიდან და ამაჟამად ახალი ხელისუფლებაში განაქარგულევაში იყო მოქცეული. მე რომ მივედი, კრება არ იყო დაწყებული, მაგრამ კოლევ რომ შემოვევმატნენ, მაშინ წამოვიდა ერთი ახალგაზრდა ჩერკესიანი კახაჯი და კრება გახსნილად გამოაცხადა. შერკებილებს ურჩია, რომ კრების თავმჯდომარე აერჩიათ. თან ესეც დაეყოლა — მე გირჩევთ თქვენი საყვარელი საზოგადო მოღვაწე და თეატრის რეჟისორი შალვა დალიანი აირჩიოთ ან კრების თავმჯდომარეად. მე გავცხუნდი, გამაყვირა ჩემმა დასახელებამ მაშინ, როდესაც კრება ესწრებოდნენ ჩემზე გამოცდილი საზოგადო მოღვაწეები და გამაყვირა იმანაც, თუ საიდან მიტნობდა ეს კაცი. ამ დასახელების შემდეგ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და ისევე ამ კახაქმა აიძულა ხმა: ეტყობა, სხვა კანდიდატები არა გყავთ. მაშ ვინც დალიანის მომხრე ხაიო, ხელი ასწიეთო. დამსწრეებმა ხელი ასწიეს. მაშინ მოვიდა ჩემთან კახაჯი, დამსვა სათამჯდომარეო საქმზე, თვითონაც გვერდით მომიჯდა და დაბალი ხმით მოთხრა: მე პოლიტხელი ვარ აქ ჩამოსტული ჯარისა. მონდობილი მაქვს გავაერო ხალხს ჩვენი პროგრამა ხელოვნების დარგში და თბილისში ხელოვანთა პროუკაციების ყრილობაზე გასაგზავნად დელეგატი ავირჩიოთ. ამას ყველაფერს გამოუტანდებთ ხალხს და მერე სიტყვას მე მომიცემთო. მე გულში მაყვირებდა ესეთი სიჩქარე კრების წაყვანისა და მოქნილი მუშაობა, მაგრამ დეაღუებული მაინც შევასრულე.

კახაქმა დიდხანს ილაპარაკა, თუ როგორი შეხედულებების არის პარტია საერთოდ უპარტიო ხალხის დამოკიდებულებაზე პარტიასთან, საერთო მუშაობის და, განსაკუთრებით, ლიტერატურისა და თეატრის წარმართვზე. მისმა საუბარმა გამოიწვია კამათი. შემდეგ კახაქმა განაცხადა, ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე და თბილისში წამსვლელი დელეგატი ავირჩიოთო, ჩემი მხრით ვასახელებ დალიანსო. ცოტა შეჩერდა, მერე იკითხა, ვინ არის წინააღმდეგო. ხმა არავის ამოუღია, ისევე იკითხა, ვინ არის მომხრეო და ამირჩიეს.

კახაჯი ძალიან მხიარულ გუნებაზე დადგა და მითხრა, ამ ორ საათში მე და შენ მატარებლით თბილისში უნდა წაივდიეთო.

მე მაინც მაყვირებდა ასეთი სწრაფი გადაწყვეტილება საკითხებისა: ერთი, ორი, სამი! და არავითარი გაქიანურება კრებისა და კამათისა, საქმე მორჩობილი იყო. კრების შემდეგ კახაქმა გამომიცხადა — შენ დასს განკარგულება მიეცი, რომ წარმოგვენიბი განახლოს და ამას ვარდნება დართეთ, რომ ჩვენი ჯარის დრამატულმა წრემ თქვენს თეატრში წარმოდგენები გამართოსო. ჩემთან წამოდი მარტო შენ. მე ვიცი, რომ შენს ზოგიერთ არტისტს უნდა თბილისში გამგზავრება, მაგრამ ამის ნება არ მისცე, დალეგატი მარტო შენა ხარ და შენ უნდა წამოხვიდეთო. მაშინ ძალიან ანგრეული დრო იყო, — მენშევიკები წაივდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ საერთოდ სიმშვიდე ჯერ არ იყო. მოშლილი იყო რკინიგზაზე მსვლელობა.

კახაქმა ჩვენ საბარგო მატარებლით წამოგვიყვანა ქუთაისიდან. ამ მატარებლით ჩემს გარდა მოდიოდნენ მარიამ ორახელაშვილი და ბუღუ მდინის ცოლი (მენშევიკების მიერ დატუსაღებული და იმჟამად განთავისუფლებული ბათუმის სატუსალოდან), პოტი სპა აბა-შელი, სოლომონ ახელუდიანი და კიდევ სხვა ინტელიგენტები, რომელთა სახელები არ მახსოვს, კახაქმა იყისრა ჩვენი მატარებლის კომენდანტობა და დეზერტირებს ჩვენთან არ უშვებოდა, ერეკებოდა. თან უტახდებდა, ამ მატარებლის კომენდანტი ვარ და საქართველოს ახალი

მთავრობა მიმყავს თბილისში. მე და აბაშელი ჩუმ-ჩუმად ვიცინოდით, რომ კაზაკმა „მოგვათავსა“ საქართველოს მთავრობაში. საერთოდ მხიარულად ვმგზავრობდით, კაზაკი მხიარულ გეაქითხავდა, ხომ არაფერი გვირღებდათ, მაგრამ ზესტაფონამდე მაინც სამი დღე ვიარეთ. ზესტაფონაზე კარგა ხანი შეგვაჩერეს და საღებურის ბაქანზე ჩასვლის ნება არ მოგვცეს, მაგრამ ჩვენ მაინც გავწვიეთ საბარგო რონოდის კარები ვანზე და იქიდან მივჩერებოდით საღებურს; არც იქ ჩანდა ვინმე მოარული ან მგზავრი.

თბილისში დიდ შეკრებილებში მოვხვდით. აქ იყვნენ მწერლები, არტისტები და, საერთოდ, ხელოვნები. მათ უკვე ჩაეტარებინათ ხელოვანთა კავშირის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობის არჩევნები. თავმჯდომარედ აერჩიათ ვალერიან გუნია. ახლა იმის საკითხი იდგა, თუ განათლების კომისიარადთან ახალჩამოყალიბებულ ხელოვნების სამმართველოში ვინ უნდა აერჩიათ რესპუბლიკის თეატრების გამგედ, სხვა სექტორების გამგეები უკვე არჩეულნი იყვნენ: მუსიკის განყოფილებაში — მელოტონ ბალანჩივაძე, ლიტერატურაში — სანა აბაშელი და მხატვრობაში — გრინეცკი. ამ ყრილობას ხელმძღვანელობდა განათლების კომისიარი მამია ორახელაშვილი, დამხმარეებად ჰყავდა ცეკას წარმომადგენელი ლევან დოლობერიძე და არჩილ მიქაძე. აი ამით წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა, სხვებიც იყვნენ მსურველები ამ თანამდებობის მიღებისა, მაგრამ ზემდგომმა ორგანოებმა ჩემს კანდიდატურას დაუჭირეს მხარი.

ამგვარად, პირველად ჩემს სიტყვებში, ვახვდი სახელმწიფო სამსახურის კაცი. მე სრულიად გამოუცდელი კაცი ვიყავი ასეთ სამსახურისათვის, მაგრამ განა მარტო მე? მთელი ქართველობის ის ნაწილი, რომელიც მაშინ ჩაება. საბჭოთა სამსახურში, ასეთივე გამოუცდელები იყვნენ, რადგან ჩვენ ვიცნობდით მხოლოდ ბოლშევიკების მთავარ იდეას, მაგრამ არ ვიცოდით თუ ეს იდეა სამსახურის წერილობებში როგორ გამოვეყენებდნა.

ამისათვის ჩვენ მოგვიჩინეს დასახმარებლად ჩამოსული რუსი კომუნისტები, მაგრამ სამწუხაროდ ზოგი მათგანი პარტიასთან მიტმასნილი აღმოჩნდა, ამის გამო ბევრი შეცდომაც გვექონდა; ზოგჯერ ისეთი ვასაოცარი წინადადებები გვეძლეოდა, რისი განხორციელებაც ჩვენთვის მიუღებელი იყო.

მაგალითად: ჩვენს წინაშე წინადადება დაისვა, რომ ქართული სასტამბო შრიფტი და საერთოდ ქართული ანბანის გამოსახულება უკუგვეგდო და სამაგიეროდ შემოგველო ლათინური. ამან ჩვენი დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან ცნობილია, რომ ჩვენი ანბანის ბგერები სხვებზე უფრო სრულყოფილია და თან მარტივი: როგორც იწერება, ისე იკითხება, არა გვაქვს „მოლალატა“ ანბანები, როგორც ზოგიერთ სხვა ენაში, ვანზე რომ ვახტებთან და სულ სხვა ბგერებს გამოსცემენ, ამასთან ქართული ანბანის მოყვანილობა ერთბაშე მხატვრული რამ არის და არ არის სიმარტივე თუნდა ლათინურით. ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართნა ზემდგომი ორგანოებისათვის და იმით ეს წინადადება უკუვადგეს.

ერთი სიტყვით ისეთი დრო იყო, რომ ყველა დარგში ყველაფერი ახლებურად უნდა გაკეთებულყოფ. აქ მხოლოდ კარგი ის იყო, რომ დაარსდა ვახეთი „კომუნისტი“ ქართულ ენაზე და რუსული „ზარია ვოსტოკა“, რომლებიც უფრო გზავთვებით და პარტიული სისწორით აშუქებდნენ საქირო საკითხებს, ამასთანავე ვახსენეს ქართული დრამატული თეატრი და მის კომისრად დანიშნეს ცნობილი ქართველი მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომლის ინიციატივით და შეამდგომლობით რუსული თეატრის შენობას ეწოდა რუსთაველის სახელობის თეატრი. აგრეთვე აშუშავდა ოპერის თეატრი, რომლის დირექტორადაც დააყენეს მაშინ ცნობილი თეატრალური მოღვაწე და მუსიკის კასტრი მცოდნე კოლია ქართველიშვილი.

იმავ დროს თბილისში გასტროლებზე იყო ჩამოსული რუსული დრამა, რომლის მთავარი რეჟისორიც იყო კოტე მარჯანიშვილი. ქართული დრამატული თეატრი ვერც თავისი რეპერტუარით და ვერც სასცენო ოსტატობით ვერ აკმაყოფილებდა იმ დროის მოთხოვნილებებს. ამო სათვის შედგა რამდენიმე კრება მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით და საქმის გამოსასწორებლად და განსაახლებლად მოიწვიეს კოტე მარჯანიშვილი. ის იმ დროს უკვე ცნობილი იყო, როგორც ერთი უნიკერესი რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი მთელს რუსეთში, ამიტომ მისი ქართულ სცენაზე გადმოსვლა, რასაკვირველია, ყველასათვის სასურველი იყო.

როგორც ვიცით, განსვენებულმა კოტემ საცხებით ვამართლა მასზე დამყარებული იმედები და პირველივე სექტაკალით „ფუნტე ოვეხუა“ („ცხვრის წყარო“) გამოიწვია დიდი ალტაცება და თან დიდი შეხლა-შემოხლა. სწორედ იმ ხანად დასში მყოფმა ახალგაზრდობამ ჩა-



მოაყალიბა ერთგვარი წრე, სახელწოდებით „დურუჯი“, და მისმა ცოტა არამართებულმა წევრებმა ნიფესტმა და გამოსვლამ გამოიწვია დიდი პოლემიკა.

ამ პოლემიკაში მეც ჩავებრე. თეატრის განახლებასა და კარგ ოსტატობას სულითა და გულით მეც მივესალმე, ოღონდ ქართული თეატრის ძველი ტრადიციებისა და წინანდელი მოღვაწეების დაწუნება უმართებულად მივიჩინე, ყოყლოინობა დავუწუნე.



პირველ ხანებში, როგორცა ვთქვი, მე განვაგებდი თეატრალურ განყოფილებას, მაგრამ იმავე დროს მებარა კინემატოგრაფიაც, რომელიც მხოლოდ ერთი-ორი წლის შემდეგ გამოვეყუო, ასე რომ მანამდე დიდად დატვირთული ვიყავ სამსახურით. ცალკე თეატრები და ცალკე კინემატოგრაფია. მაშინ დაიღვა „არსენ ჯორჯიანი“ (გრაიზნოვის მკვლელობა) და „სურამის ციხე“. პირველის რეჟისორი იყო ბარსკი და მეორისა ივანე პერესტაინი, შემდეგში დიდი შოამავე ქართული კინემატოგრაფიისა. ამ რეჟისორებმა ორთავე ამ სურათში მიმალბინეს მონაწილეობა ეპიზოდურ როლებში. ერთ დროს კიდევ მეღიტონ ბალანჩიავამ ქუთაისის გადაყვანეს იქაური ახალგაზსნილი მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად და მუსიკალური სექტორის ხელმძღვანელობა მე მომანდევს. ასე რომ, როგორც ზევითაც მაქვს ნათქვამი, მაშინ მართებულად დამცინოდა პატივცემული კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი: რა იცის შალვამ მუსიკის? კონტრაპუნქტიც არ იცის რას ნიშნავსო.

ისე გი მთლიანად განათლების ხელოვნების განყოფილებაში მცოდნე ხალხს ჰქონდა თავი მოყრილი. უფროსად პირველ ხანებში იყო განსვენებული სეონ თოხაძე.

ეს სეონ თოხაძე იყო მართლდაც ნათელი პიროვნება. უბრალო, კერძობრივი პარტიული და კარგე ქართველი. მართალია, ის ხელოვნების საქმეებში კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ საკითხებს წინასწარ რაც შეიძლება დაწვრილებით ეცნობოდა და ამას გარდა გამოცდილი და სპეცილისტ ხალხს ეეთხებოდა, თან დადგენილებებსაც უტეებურად არ გამოიტანდა; დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თანამშრომლებსა და საზოგადოებაში, მაგრამ ბევრის გაკეთება არ დასცადა, რადგან კუქის წყლულით იყო დაავადებული და ამან უდროოდ მოუღო ბოლო.

სამხატვრო ნაწილს განაგებდა მხატვარი გრიგოლესკი, რომელიც თითქმის გაქართველებული იყო, კარგად იცნობდა ქართულ ყოფა-ცხოვრებას და ერთ დროს საუცხოო რეალისტური ილუსტრაციები გაუკეთა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებს. მეტად კეთილი კაცი იყო, ზუსტად შემსრულებელი მასზე დაყრდნობით მოვალეობისა. თან თითქმის უსიტყუო კაციც იყო. ჩემი და მოკრძალებული, მაგრამ ერთხელ ხმა აიმაღლა, როდესაც განათლების კომისარიატის თანამშრომლებს შებათობა გვაკამარბთვინეს. მართლაც მიზანშეწონილი არ იყო ეს შებათობა. განათლების კომისარიატის ეზოში ეყარა დიდალი ხარახურა და ნავავი; იმის მაგიერად, რომ ჩვენი ეს გაგვეწმინდა, წავკვიყანეს ქუჩის სასაფლაოზე, სადაც დახვავებული იყო თუნუქის ნაწინანებელი ნავთის ქურჭლები და ეს ქურჭლები იქვე, სასაფლაოს მოედანზე, სხვა ადგილას დაგვყარვინეს. თითქმის მთელი დღე მოვუდით მუშაობას და ყველანი უმცაყოფილო ვიყავით, რომ ეს ჩვენი მუშაობა მიზანს მოკლებული იყო, პირველ ხანს ძალიან გაგვეხარდა, რადგან გვეგონა, საპარტებლო საქმეს გვაკეთებინებდნენო, მაგრამ როდესაც ვაგვივით, რომ ეს დიკრები არაფრისათვის არ იყო გამოსადეგი, სრულიად მოვეუდითო. ჩვენც, სხენებული შებათობის მონაწილეებს, ასე დაგვემართა. შებათობაზე დიდი მიყვადით და საღამოობით ვგაბრუნებდნენ, ჯარისკაცებივით ვიყავით გამწვრივებულნი და ერთი ვინმე ნასლდათარი „Ать, два“-ს ძახილით გვერტეკებოდა. ქალაქის მცხოვრებლებში შესცქეროდნენ ამ ჩვენს მსვლელობას და ეღიშებოდათ. ამის შემდეგ ერთ დღეს გზაში შემგვდა ერთი ძველი ქართული მანდილოსანი და შორიდან დამიძახა: „აქ მობრძანდი, შალვა, აქ მობრძანდიო!“ ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, როგორც დამნაშავე ბავშვებს დაუძახებს ხოლმე უფროსი — აქ მობრძანდი, აქაო! ამ ქალბატონთან რომ მივედი, არც გამარჯვება მითხრა და არც ხელი ჩამომარბია, პირდაპირ შემომიტია: „შე უბედურო, შენც მოლატე შეიქენი?“

უნდა გავიხსენოთ, რომ პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ამ ხელისუფლებას ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი აღმოაჩნდა უცქეროდა და ყველა იმ ქართველებს, რომლებმაც ბოლშევიკებთან თანამშრომლობა დაიწყეს, მოლატებებად თვლიდნენ. ამ ქალბატონმაც ასე გამაპინტრომა.

ჩვენს განყოფილებაში იყო აგრეთვე ჩვენი საყვარელი პოეტი საშა აბაშელი. ვინც კი იცნობდა საშას, ყველა იტყვის, ანგლოზი კაცი იყოო. ის განაგებდა ლიტერატურულ სექტორს

და ქართული წიგნების გამოცემლობას ხელმძღვანელობდა. ჩემი, ხუმარა, დიდად გულსაღმრთოა.

დასასრულ ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩიშვილის შესახებ: მან სამსახურის დროს ბევრი რამ გააკეთა მუსიკის დარგში, რასაკვირველია, ზემდგომი ორგანოების ხელისშეწყობით; ეხლანდელი კონსერვატორია, რომელიც მაშინ მხოლოდ მუსიკალურ სასწავლებელს წარმოადგენდა, კონსერვატორიად აქცია თავისი პრფერანციითა და მდგომარეობით; აგრეთვე მეორე მუსიკალური სასწავლებელი, ზაქარია ფალიაშვილის მიერ დაარსებული, კონსერვატორიას შეუერთა. ქუთაისში კიდევ დააარსა სამუსიკო სასწავლებელი, რომელსაც ამჟამად მისი სახელი ეწოდება. იმავე დროს თავისებობით დაასრულა თავისი ოპერა „თამარ ციციანი“ და ორკესტრის ნაწილიც დაამუშავა ჩერებნინის და ფოცხვერაშვილის დახმარებით, ხოლო როცა ჩვენი დასრულდა ზაქარის მშენებლობა, დაწერა კანტატა, რომლის ტექსტიც პირველად მე დამამუშავებინა. საერთოდ იყო დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონი და საოცარი სმენაც ჰქონდა. ხშირად ვყოფილვართ ერთად სადმე ბაღში და რომელიმე ხმის ძირში ფოთლების შრიალი მოუსმენია, რასაც ის ისეთ აღტაცებაში მოჰყავდა, თითქო რომელიმე კომპოზიტორის სიმფონია მოესმინოსო, თან იყო მეტად სამეგობრო კაცი, თავისებური ხუმარაც, ამხანაგებს გვეყვარდა მასთან ჯდომა და საუბარი და ისიც თავისი ჭკვიანური, მაგრამ იუმორით აღსავსე ანგლოტებით გულიანად გვაკინებდა. მე ახლაც მახსოვს მისი ნამახვილევი ჩემ შესახებ. სწორედ იმ დროს მე ვეყოლე ტყაყის ტანისამოსი: ქურთუკი, შარვალი, ჭუდი და ფეხსაცმელი სულ ტყაყისა მქონდა. პირველად რომ ჩავიცვი და სამსახურში მივედი, მელიტონს შევხვდი. მივესალმე და შევეუბნე: მელიტონ, არ გეტოლები, სულ გატყაყებული ვარ-მეთქი! „— ეეე! — მითხრა. შეგვიანებით იცოდა ლაპარაკი. — ააარა, შალვა, ვილაცა ვაგიტყაყებია“.

მაინც ჩვენ ყველანი ვეჩვეოდით მასსახურს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთგვარ ინსტრუქტორებად მოგვეწოდნენ მოსკოვიდან ახალი ამხანაგები. ერთი იყო ტრუნინი, რუსეთის ე. წ. „სტარობრიადული“ სექტის წევრი, მაგრამ უკვე გაბოლოებული და საერთოდ კარგი განათლების კაცი, მეორე კი ალექსანდრე პოკროვსკი, მეტად ნათელი პიროვნება, პარტიის ერთგული წევრი, რომელიც ახლაც მოსკოვში მსახურობს და განაგებს რუსეთის თეატრალურ საზოგადოებას. მართალია, ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება დიდად ცნობილი მსახიობი ქალი იაბლოჩკინა, მაგრამ სინამდვილეში აქტიური გამგე საზოგადოების პოკროვსკია და კარგი ის არის, რომ დიდი ნდობა და საყოველთაო პატივისცემა აქვს დამსახურებული.

მე პირადად არ ვიცოდი, თუ რა და რა დაწესებულება იყო ჩემი „თოოს“ ქვემდებარე და ერთხელ მომივიდა ასეთი „კანფლი“. რალაც საქმის გამო ჩვენი ოპერის დირექციას გავუგზავნე ასეთი მიმართვა: გთხოვთ ესა და ეს საქმე გავვეითეთ-მეთქი. პოკროვსკიმ რომ ეს ქაღალდი ნახა, ბევრი იცინა და გამისწორა: „შალვა ნიკოლაევიჩ, შენ მოკითხვის ბარათს ხომ არ სწერ, შენ იმათი უფროსი ხარ და ოფიციალურად უნდა მიმართო ასეთი სიტყვებით: წინადადება გექძევით და სხვა“.

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიო შემდეგი: პირველ ხანებში ჩვენს თანამშრომლებს ფული არ ეძლეოდათ, მათ მიეცემული ჰქონდათ ულუფის ბარათი და ამით ღებულობდნენ სათანადო დაწესებულებებიდან სურსათ-სანაწვავებს, ტანსაცმელს და სხვა ოჯახისათვის საჭირო მასალებს, ხოლო როდესაც „ჩერკოვნიკი“ შემოიღეს, მაშინ ყველანი ფულადაც ვღებულობდით გასამრჯელოს. ზოგჯერ ამ ფულების მიღება იგვიანებდა. თეატრების საწვლადო, ჩემი თანამდებობის გამო, მე უნდა დამერიგებინა. ერთხელ ძალიან დაავიანდა თეატრების ფულის დარიცხვა. ერთ საღამოს განათლების კომისარი და მე დავეცნობით „კეროვი ჯიშის“ სექტაკლს. ეს იყო რუსული მინიატურების თეატრი, რომელსაც განაგებდა იმ დროს ესტრადის ცნობილი არტისტი კეროხინი და ამ მე რომ დამინახა, ასეთი სახუმარო ექსპრომტი მტყორცნა:

Я пою не хуже цыганки Анны,
Когда же нам даст денег Даддани!

მაგრამ ამის შემდეგ მალე მოვიდა ფულები და კომისარმა მიბრძანა, ოპერის თეატრისათვის პირადად მე წამეღო მათი წილი. ეს უფრო იმიტომ, რომ ოპერაში ხუთასზე მეტი კაცი მსახურობდა და ყველაზე უფრო ისინი „ჰუკუყურებდნენ“. მაგრამ ფულის მიტანა გაჭირდა, მაშინ ბონები კიდევ იყო ხმარებაში და ათასი მანეთის ბონს ერთი დიდი ტომარა მაინც სჭირდებოდა. ასე რომ იძულებული ვიყავი ორი საბარგო მანქანა შექირაეებინა და ასე წავუღე ბონებით გავსილი ტომრები. როდესაც დაინახეს, რომ მივედი და ფულები მივუტანე, მათს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცხადია, იმ დღეს ჩემზე უფრო საყვარელი კაცი მათ არ ჰყავდათ.



რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ჩერკოვსკის გამოშვების შემდეგ მალე შეიცვალა ხელდასის დარიგების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩაღვდა.

იმავე დროს პერიფერიის თეატრებზე უნდა გვეზრუნა. ქუთაისისა და ბათუმში ამ დროსათვის იქ დარჩენილ მსახიობთაგან შედგა ამხანაგობათა დასები და წარმოდგენები გაჩაღდა, ხოლო ქუთაისში გაფანტული დასების შეკრება მივიანდე იქაურ ძველს რევოლუციონერს და გამოცდილ სცენისმოყვარეს, მირიან ჭანიშვილს. აგრეთვე ავამუშავეთ სიღნაღისა და თელავის, აგრეთვე ველისციხის დრამატული წრეების მუშაობა. რეპერტუარი გვიჭირებდა საქმეს როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში, მაგრამ პირველ ხანად წარმოდგენების დასაწყებად დიდი სამსახური გავეციოა ლენაჩარსკის „მეფის დაღამა“ და აგრეთვე ჩემმა — „როს ნადიმობდნენ“.

ამგვარად თეატრები ამოძრავდნენ და თანდათანობით, შეძლებისამებრ დამაკმაყოფილებლად მიჰყავდათ საქმე.

იმავე დროს განათლების კომისარიატთან მუშაობდა „პროლეტ-კულტი“, რომელსაც განაგებდა ჩვენნი პოეტი სანდრო ეული და პყავდა თავისი დასი, რომელსაც რეჟისორობდა ანხ. კობახიძე. შემდეგში ზომ კიდევ უფრო გადახალისდა სათეატრო მუშაობა რესპუბლიკაში. მარჯანიშვილის მეოხებით რუსთაველის თეატრმა დაიჭირა წამყვანი ადგილი და ამასთან მის მიერ დაარსებულმა თეატრმა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, ისეთი სახელი მოიპოვა, რომ იგი თეატრი ცალ-ცალკე გასტროლებზედაც კი იყო გაწვეული მოსკოვსა და კიევიში.

იმავე დროს მე ვიყავი მიწვეული სახალხო თეატრში რეჟისორად, სადაც იმაჟამად მუშაობდნენ ნიჭიერი და თვალსაჩინო ძალები — ნიკო გოციოძე, ჯაბაური, მისი მეუღლე, შემდეგში ცნობილი სახალხო არტისტი სოსო რომანიშვილი, მისი და სონია, ვანო მინდელი, თამარ გოლოშვილისა, ანკარა (ყიფშიძისა) და სხვ. უმრავლესობა სცენისმოყვარენი იყვნენ, მაგრამ ძალიან კარგი ოსტატობით ძლეოდნენ რთულ პიესებს და კარგი სახელიც ჰქონდათ მოპოებული საზოგადოებაში.



მე პირადად თეატრში მუშაობა ყოველთვის უფრო მიტაცებდა, ვიდრე მოხელეობა აღმინისტრაციულ დაწესებულებაში. არ მიშვებდნენ, მერე როგორღაც მოვახერხე და თავი გავიწავილეთ, მაგრამ დაწესებულებაში სამსახურს მაინც ვერ ავცდი. მწერალთა კავშირში ამირჩიეს დრამსტეკიის თავმჯდომარედ და დამნიშნეს „საულის“ დირექტორად. სიტყვა „საულიც“ ჩემსიზმანს დაერქვა ამ დაწესებულებას — ეს ნიშნავს „სააგროო უფლებათა დაცვის“ კანტორის შემოკლებულ სახელს. კარგა ხანს ვმსახურობდი მწერალთა კავშირში, მაგრამ ამ დროს შემუშავდა საკავშირო კონსტიტუცია და არჩეული იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. საქართველოდან, სხვათა შორის, მეც მხედა ბედნიერება ვყოფილიყავ დეპუტატად არჩეული თორმეტი წლის განმავლობაში და ბევრი ვერაფერი, მაგრამ მაინც ჩემს საარჩევნო უბანში დავესმარე — ზოგან წყალი გამოეყვანათ, ზოგან გზები გაეყვანათ და ზოგან სკოლები დაეარსებინათ. ეს უფრო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, რადგანაც კავშირის საბჭოში სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელთაგან ვიყავი წარგზავნილი.

ლაუფიწყარია ჩემთვის თვითონ არჩევნების პროცესი: მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, უნდა მომიველო ყველა ის წერტი, სადაც მე მირჩევდნენ, ე. ი. დაწყებული ყაზბეგიდან ყარაიხამდე, უფლისციხიდან საგარეჯომდე. ამათ შორისა მე თითქმის ერთი თვე მოვედი და როდესაც მოახლოვდა 12 დეკემბერი 1937 წლისა, წინააღმდეგ დავბრუნდი თბილისში და ვეახელ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ანგარიშის ჩასაბარებლად.

მანამდე კიდევ მახსოვს ერთი ეპიზოდი: ჯერ სულ პირველად გაზეთებში იწერება წერილები და ახსნა-განმარტება დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად.

არჩევნებამდე ერთ დღეს ვზივარ შინ ჩემს კაბინეტში და ჩემთან მოვიდა სტუმრად ახალგაზრდა სიმპათიური კაცი ანხ. ლომიძე, რომელიც მაშინ თბილისის გარეუბნის რაიკომის მეორე მდიანად მსახურობდა (ამჟამად საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა). მიიტბრა, წამომყვი საარჩევნო უბნებში და ხალხს გააცანი, როგორი უნდა იყოს დეპუტატი: ეს მაინცაღამაინც არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი, რომ მწერლებიც დაჰყავდათ საავტოტიოდ.



წავყვი. ჩავედი აქვალში. იქ ხალხს თავი მოეყარა. ადგილობრივი კოლმეურნეობის ღირსებმა და ღირსებმა და სიტყვა მე მომცა, მეც ავდექი და შესვლისამებრ განვმარტე დეპუტატის რთული მოვალეობა. ეს არც ისე გამჭირვებია, რადგან იმ დროს სტალინს უკვე წარმოთქმული ჰქონდა თავისი ცნობილი სიტყვა დეპუტატის მოღვაწეობაზე, ამ სიტყვაში ხაზგასმული იყო, რომ დეპუტატი არის ხალხის მსახური. ეს დებულება ჩემთვის, როგორც მკითხველმა ამ ნაწერიდან იცის, ძალიან გულს ახლო იყო, რადგან ბავშვობიდან ჩანერგილი მქონდა, რომ ხალხის სამსახურია უდიდესი მოვალეობა ადამიანისა. მეც გავეუბრე ჩემს სიტყვაში და რაც შემძლო, შინაარსიანად და ლამაზად ვილაპარაკე. ჩემ შემდეგ წამოდგა ერთი იქაური კოლმეურნი და განაცხადა, დადიანს მშვენივრად ცოდნია დეპუტატის მოვალეობა და სხვა კანდიდატი რად ვეინდა, ეგ ავირჩიოთო. ეს რომ გაეიგე, თავზარი დამეცა, ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო და გადავხვედი ჩემ გვერდით მჯდომ პატივცემულ ლომიძეს. ის ჩუმად იდინოდა. მე თითქო მაინც გოგნებელი ვიყავი, მაგრამ აგერ წამოდგა იქაური მასწავლებელი ქალი, შემაქო და შემამყო და იმანაც განაცხადა, დადიანი უნდა ავირჩიოთო. შემდეგ წამოდგა კომკავშირელი და იმანაც ასე და... ის იყო ამირჩიეს კოლე.

მთელი ეს პროცესი რომ მოთავდა, მივმართე პატივცემულ ლომიძეს და გახარებულმა ვუთხარი, ეს ყოველივე ხომ გვირგვინია ჩემი ცხოვრებისა.

ერთხელ მოგხვლი ყაზბეგში, იქაც გამოდიოდნენ მიტინგზე და მე მაქებდნენ და მადიდებდნენ, თან ურჩევდნენ ხალხს მე ავირჩიო. მათ შორის გამოდგა ერთი ხანშესული ადამიანი და სხვათა შორის ასე თქვა: „ხალხო! იცით ეს ვინ არის? დადიანია. თავის ქვეყანაში მთავარი იყო და ხალხს აწიოებდა. მადლობა დმეროს, ჩვენ მაგისი ყმები არ ვიყავით“. მე კი გულში გავიფიქრე, რას ამბობს ეს კაცი-მეთქი. მაგრამ უცერად მოუხვია: ვენაცვალე ჩვენს მთავრობას, რომ ეგ ჩვენი მსახური გახადო. სიცილი. ხარხარი და... მერე ამირჩიეს.

ერთხელ კიდევ ყარაიაში მივიდიოდით დეპუტატების კანდიდატებად ორნი: ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის აწინდელი პრეზიდენტი პატივცემული ნიკოლოზ მუსხელიშვილი და მე.

ყარაიაზამდე მოგვეგებნენ ცხენოსნები და დამბაჩების სროლით მიგვაცილეს საარჩევნო მოედანამდე. იქ შემოგვესია ხალხი, განსაკუთრებით ქალები, და მუსხელიშვილს და მე გულზე ხელს გვისვამდნენ და გვეუბნებოდნენ: „მანულუშ“.

ეს სიტყვა, მგონი, „ვენაცვალეს“ უდრის.

ავედი კათედრაზე, მაგრამ ამ დროს რა მოხდა? ხალხისაგან წამოვიდა იმდენი ყვივლები და თავიულები, რომ მუსხელიშვილი და მე სულ დაგვფარეს.

ფიქრობ — რა ექნა ახლა, გადავიბერტყო ეს ყვივლები? რა საკადრისია. თუ არადა სამომხრო არა მაქვს, პირი მიჩანს მხოლოდ. მეც გამახსენდა და ამორჩევლებს მოვახსენე: ფუტკარს ყვივლებიდან გამოაქვს წვენი და ხალხს უბრუნებს და მეც თქვენ ყვივლებს ვიბრუნებთ-მეთქი და ვისროლე და ვისროლე თავიულები ხალხში. ვავიჯისუფლდი. მერე მოვყვი დ ვთქვი ჩემი სათქმელი, ყურში კი მესმის, როგორ მეგობრული ჩურჩულით მლანძღავს მუსხელიშვილი — შენ გამოძევი, მაგრამ მე რა ექნაო. მაგრამ ისიც „გამოძევა“.

ყველა ამეების შემდეგ მუდამ სამსახურში ვიყავი და ვარ, მაგრამ ეს სამსახური ყველა არჩევითია და უფრო ნებაყოფლობითს საზოგადოებებში.

ამგვარად მე უკვე მივიდი უკანასკნელ კარიბჭემდე ჩემი ცხოვრებისა.

უკანასკნელი წართქმა

ამ ჩემ „რაც გამახსენდაში“ აღუწერია, შეიძლება ცოტა არეულადაც, მაგრამ მე მაინც გამბეო ჩემი ბავშვობისა და სიკვამლის ამბები, ჩემი მსახიობობა, მწერლობა და სამსახური, რისგანაც შესდგებოდა მთლიანად ჩემი ცხოვრება.

უნდა გამოეტყუე, რომ კარგი სიბერე დამიღდა, ხალხისაგან ზედმეტად პატივცემული ვარ და პარტიისა და ხელისუფლებისაგან მოალერსებელი და გამხნევებელი.



მიუხედავად ჩემი ოთხმოცდაოთხი წლისა (1958 წ.), ჯერ კიდევ არ დამკარგვია ხალისე და უნარი მუშაობისა და შეძლებისამებრ კვლავ განვაგრძობ ჩემს მწერლობას და საზოგადოებრივ სამსახურს.

ასე რომ ამჟამად პანაშვიდის მეტი აღარაფერი მაკლია, მაგრამ როდის იქნება ეს, ამას, რაც უნდა მოვიინდომო, მაინც ვერ გეტყვი.

მანამდე კი ჩემს სათაყვანებელ სამშობლოს, ჩემს სასიქადულო ქართველ ხალხს ვუძღვნი უაღრეს მაღლობას, რომ შეც ერთ რიგით კაცად გამომიყვანა ამ ქვეყნად. თან გამოეთქვამ სრულ ბრძენას, რომ ჩემი ქვეყნის მომავალი ბრწყინვალეა.

ქართველ იყოს მისი გზა!



საბი კვირა საბჭოთა

1.

1958 წლის 16 დეკემბრის უმზეო, ბურუსიანი, მოლუშული დილაა. ეს-ეს არის გადავლახეთ რუმინეთის საზღვარი და ნელა ეუახლოვდებით ქალაქ იასს. მალა, ქალაქის თავზე, მოჩვენებასავით ჩნდება კათედრალის ოთხი კოშკის ბუნდოვანი სილუეტი.

ექვსის ნახევარზე გავაღვიძეს უნგენში — ესაა უკანასკნელი სადგური რუმინეთის საზღვარამდე. ჩვენს ვაგონს დიდხანს დააგორებდნენ წინ და უკან: ლერქები შეუცვალეს (რუმინეთში უფრო ვიწრო ლიანდაგია), სხვა მატარებელს მიაბეს. ვაცვდით თუ არა უნგენს, რუმინეთის საბაჟოს მოხელეები შემოვიდნენ და პირველმადე მოხელემ რუმინულად მომმართა: რუმინელი ვეგონე. (შემდეგ, ბუქარესტში, ბევრი ისეთი რუმინელი შეგხვდა, რომ ქართველისაგან ვერ გაარჩევდი).

საათს კიდევ ერთი საათით ვწევთ უკან: აღმოსავლეთ ევროპაში ორი საათით უფრო გვიან თენდება, ვიდრე თბილისში. რვის ნახევარზე ჩვენი მატარებელი იასის სადგურში შედის. სადღაც ამ ქალაქში უკვე 168 წელიწადია განისვენებს ბესიკი, რომელმაც აქ, ფელდმარშალ პოტიომკინის კარზე, დაასრულა თავისი ხანმოკლე შფოთიანი ცხოვრება, როგორც იმერეთის მეფის ლესანბა.

რამდენიმე წუთის შემდეგ შემოდიან იასის არქივის დირექტორი გეორგე უნგურიანუ და არლუსის აქაური განყოფილების მდივანი ილიე გუზუ: მათთვის ბუქარესტიდან უცნობიბაით ჩვენი ჩამოსვლის ამბავი. ეს პირველივე შეხვედრა რუმინეთის მიწაზე გულთბილი და მეგობრული იყო. გეორგი ლეონიძე და უნგურიანუ ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს. საუბარი მაშინვე ბესიკზე ჩამოვარდა. ბესიკის საფლავის ქვა 1949 წელს სწორედ უნგურიანუს წყალობით აღმოჩნდა. მაგრამ იასის არქივებში თვით ბესიკზე არაფერი ჩანს, თქვა მან. პოტიომკინის დროინდელი დიდალი

მასალა მოსკოვის არქივებშია და იქ უნდა დაიძებნოსო.

თბილისის 1500 წლისთავი იასშიაც აღენიშნავთ. ჩვენ თანა გვაქვს თბილისის საიუბილეო სამკერდე ნიშნები. უნგურიანუ და გუზუ პირველი რუმინელები არიან, რომელთაც ამ ნიშნებით ვამკობთ. შემდეგ, ჩვენი რუმინეთში ყოფნის განმელობაში, ჩვენი დედაქალაქის დღესასწაულის ამბავი და ეს სამკერდე ნიშნები ცნობილი გახდა რუმინეთის შორეულ კუთხეებშიაც.

შემე გამოიხედა. სუსხიანი, ნათელი დღე ღვება. მატარებელი რამდენიმე საათის განმელობაში თითქმის მთელ სიგრძეზე კვეთს რუმინეთს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. პეიზაჟი ჯერ ქართლისას ჰგავს: ველები, მთაგორები. შემდეგ, ვალახიაში თვალწვდნელი ველი იშლება: შავი ნოყიერი მიწა ერთსა და მეორე მხარეს, პორიზონტამდის. ამ უსაზღვრო ველზე, თანაბარი ინტერვალებით, საკმაოდ ახლო-ახლო, ქეობა. სოფლები კი შორიშორსაა. ჩვენმა თანამგზავრმა რუმინელმა პოლკოვნიკმა მითხრა: ამ მიწას გვალვისაც კი არ ეშინია, მაინც დიდ მოსავალს იძლევაო (სიმინდი, პური).

სადგურების ახალი შენობები: აგურის კედლები, კრამიტის მაღალი სახურავები. უბრალო, მოხდენილი, „საკმიანი“ არქიტექტურა. პრეტენზიებისა და პომპეზურობის გარეშე.

საღამოს ხუთის ნახევარზე მივალწვით ბუქარესტს. მატარებელი ჯერ კიდევ გაჩერებული არ იყო, როცა დაეინახეთ აკადემიკოსის პეტრუ კონსტანტინესკუ-იასის ნაცნობი სახე. რამდენიმე წლის წინათ კონსტანტინესკუ-იასი თბილისში იყო სტუმრად, იგი იცნობს საქართველოს, ჩვენს კულტურას, წერილიც აქვს გამოქვეყნებული რუმინულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. მაშინ იგი რელიგიურ კულტურა მინისტრი იყო, ახლა — არლუსის ვიცე-პრეზიდენტი და რუმინეთ-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ინსტიტუტის



დირექტორია, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდი ენთუზიასტი. მასთან ერთად გვხვდებიან არლუსის მდივანი ეუჯენ როდანი, არლუსის თანამშრომლები და აქტივისტები, საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი, მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, რუმინულ-საბჭოთა მეზუეობის დირექტორი კალმაჯი, რომელსაც შემდეგაც არა ერთხელ შეეხვდით, პიტისის მუშაკები... სიხარულით გვაცხებებიან, გვეხვევიან, სურათებს გვიღებენ... რამდენიმე კაცი ეხილდება ჩვენს ბარგს: თხუთმეტამდის შეკვრაა, უმეტესად საჩუქრად ჩატანილი წიგნები ქართული მწერლობისა და ხელოვნების შესახებ, ქართული მწერალთა თხზულებანი. პირველი წუთებიდანვე ჩვენ მეგობრებს შორის ვგრძნობთ თავს...

მე ბუქარესტში სხვა მეგობრებზე მეგულებანი: რუმინელი არქიტექტორები და ჩემი კოლეგები — არქიტექტურის ისტორიკოსები, რომლებიც 1953 და 1957 წლებში იყვნენ საქართველოში. გიორგი ლეონიძეს ხომ აქ კარგად იცნობენ: 1950 წელს იგი მონაწილეობდა დიდი რუმინელი პოეტის ემიანესკუს სიონისადმი მიძღვნილ დღესასწაულში; რუმინულად გამოცემულია მისი პოემა „ბავშვობა და ყრმობა“, ნათარგმნია ლექსები. ახლა მისი უმოთხრობის საქმე იქნება: ერთი მხრივ, ახალი მასალების მოპოვება ბესიკის, ანთიმოზ ქართველისა და თბილისის პირველი სტამბის პირველი ოსტატის — რუმინელი მიხეილ სტეფანეს-შვილის შესახებ; მეორე მხრივ — მჭიდრო კონტაქტის დამყარება მწერლებთან იმისათვის, რომ ქართული მწერლების რუმინულად თარგმნისა და რუმინულია ქართულად თარგმნის საქმე მტკიცე საფუძველზე დამყარდეს.

მე, ბუნებრივია, რუმინული ხელოვნება მაინტერესებს, განსაკუთრებით ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები. ინტერესს აცხობვლებს ისიც, რომ თვით რუმინელი მეცნიერთა აზრით, ამ ძეგლებს ზოგი რამ საერთო აქვთ ქართულსა და სომხურ ხუროთმოძღვრებასთან. მაგრამ აქ ბევრი სხვა რამეცაა მიმზიდველი: ძველი ქალაქები, თანამედროვე მშენებლობა, მეზუემები, მხატვრობა, თეატრი და ახალი ადამიანები, რომელთაც პირველად ვხვდებით. თანაც, ჩვენი მიზანი მარტო ამ ახალი ქვეყნის გაცნობა კი არ არის, არამედ ქართული კულტურის „გატანაკ“, მისი პროპაგანდა... აქ სინახავიც ბევრია და სამუშაოც.

2.

ჩვენი მასპინძელია არლუსი — საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისა და მეგობრობის რუმინული საზოგადოება — ფართოდ განმტობილი ორგანიზაცია, რომელიც მრავალ ათას

წევრს ითვლის. რუმინეთის ყოველ სოფელში ქალაქში არლუსის ფილიალებია. სადაც კი ჩავილოდით, ვეღვან არლუსის წარმომადგენელი გვხვდებოდა: არლუსი საუწყებო დაწესებულება კი არ არის, არამედ სწორედ ნამდვილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დიდ იდეოლოგიურ მუშაობას ეწევა. მას თავისი პერიოდული ორგანო აქვს — ყოველკვირეული „გიაკ ნოუ“ (ახალი საუენე); რუმინულ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელში ყოველ დღე იმართება ლექციები, კონცერტები, უჩვენებენ საბჭოთა კინოსურათებს. საზოგადოების მთელი საქმიანობა მშვენივრადია აწყობილი.

ჩვენი მოზაურობისა და მუშაობისთვის არლუსმა იდეალური პირობები შეგვიქმნა. არც ერთი წუთი დუჰად არ დაგვიკარგავს. ჩვენ მოჩენილი გვეყვება თითო თარჯიმანი, ჩვენზე გამდმებით ზრუნავდნენ არლუსის გენერალური მდივანი ეუჯენ როდანი და თანამშრომელი ქალი რეია ლუპუ, დასასრულ, თვით აკად. კონსტანტინესკუ-იაში, რომელიც დღეს არლუსის ფაქტობრივ ხელმძღვანელია (არლუსის პრეზიდენტი, ღრმად მოხუცებული აკადემიკოსი პარხონი მძიმე ავადმყოფია). მე არ შემოძლია განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლობით არ მოვიხდენიო ისინი, ისევე, როგორც რუმინული კულტურის ბევრი სხვა მოღვაწე, რადგანაც სწორედ ასეთი ადამიანები განამტკიცებენ თავიანთი გულწრფელობითა და სიყვარულით ქვეყნის მეგობრობას. უკვე მეორე დღეს ბუქარესტში ჩვენ ისე ვგრძნობდით თავს, თითქოს ვარს ძველი ნაცნობები და ახლობელი გვეხვებოდნენ, და არა გეშინო გაცნობილი შორეული ადამიანები. ამ განსაკუთრებით მახარებდა და მადლვებდა, რა თქმა უნდა, ყოველი მათგანის სიმბაობა, ნამდვილი ინტერესი და პატივისცემის გრძნობა საქართველოსადმი, ქართველებისადმი, ქართული კულტურისადმი.

ჩვენი „სამუშაო დღე“ ადრე იწყებოდა (რუმინეთში დაწესებულებები დილის რვის ნახევრიდან მუშაობენ). ქალაქსა და მეზუემებს ჩვენ ერთად ვთარჯიმანობდით, ერთად ვიყავით ოფიციალურ მიღებაზე არლუსში, აკადემიაში, ერთადვე დავდიოდით თეატრებსა და კინოში და ბუქარესტის ახლო-მახლო მღებარე ძეგლების სანახავად. მაგრამ ჩვენ მხრივ ჩვენი „პროგრამები“ განსხვავებული იყო: გიორგი ლეონიძემ უმეტესად არქივსა და ბიბლიოთეკაში იმუშავა ანთიმოზ ქართველისა (ანთიმე ივერიანელის) და მიხეილ სტეფანეს-შვილის შესახებ მასალების მოსაყარება; ხვდებოდნენ მწერლებს, ისტორიკოსებს, წაითხება მოხსენება ბუქარესტის უნივერსიტეტში ქართულ მწერლობაზე, ჩემი საქმიანობა უფრო



ხელოვნების „განხრით“ წარიმართა: ვიყავი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, შეეხვედი რუმინულ არქიტექტორებს, წაგივითხე მოხსენება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ ბუქარესტის არქიტექტურის ინსტიტუტში და — ეს იყო განსაკუთრებით საინტერესო — ბევრი ვიმოგზაურე: თითქმის 2000 კმ გავიარე მანქანით ვალახისა, ტრანსილვანიისა, მოლდოვასა და ბუკოვინაში და ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი ვნახე.

3

ბუქარესტში გავაფხულის ამინდი დავგზავნე: სითბო, კრილა ცა, მზე. ასეთი დღეები ჩვენი ში გავაფხულებს იცის ხოლმე, როცა ხეები რვეირება. ეს სიხალისეს ჰმატებდა ისედაც ხალისიან ქალაქს, რომელიც შობა-ახალი წელიწადის დღესასწაულებისთვის ემზადებოდა. ჩვენი სასტუმროს წინ, რესპუბლიკის მოედანზე — ესაა მთავარი მოედანი — გამალებული აშენებდნენ „საბავშვო ქალაქს“ და როცა მე ტრანსილვანიიდან დავბრუნდი, იქ უკვე უზარმაზარი მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე იყო აღმართული, გარშემო კი მოხატული კოსკები და პატარა პავილონები იდგა. ქუჩებში, მღაზიების წინ, შიგ მღაზიებში ლოხუნვებივით ეკიდა — Luna cadourilor — „საჩუქრების თვე“. მღაზიები თოვლის ბაბულები და სახალწლო საჩუქრები იყო სავსე.

მთხედვად ამ სადღესასწაულო ვანწყობილებისა, ჩანდა, რომ ბუქარესტი შედარებით მშვიდი ქალაქია. მუდამ ნაჰაირიანი და აფორაიქებელი მოსკოვის შემდეგ ეს განსაკუთრებით მომხედა თვალში. მანქანების მოძრაობა, მე მგონია, თბილისშიაც მეტია (მანქანების დიდი ნაწილი საბჭოთა ქარხნებისაა, უმეტესად „პობედა“). ხალხი კი ქუჩაში ბევრია, ნახავ მოსიერნე და ერთ ადგილზე გაჩერებულ ხალხსაც, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებიან, ისევე როგორც თბილისში.

ბუკურეშტი, ასე უწოდებენ რუმინელები თავიანთ დედაქალაქს. ისევე, როგორც თბილისს, ბუქარესტსაც აქვს თავისი ლეგენდა: იგი თითქმის ვინმე წყევმის, სახელად ბუკურს, დაუბარსებია. მდინარე დიბოვიცას ნაპირზე, იმ უბანში, სადაც ქალაქი ჩაისახა, დღესაც დგას პატარა ეკლესია, რომელსაც ბუკურის ეკლესიას უწოდებენ. მაგრამ იგი XVIII საუკუნისაა, ქალაქი კი, რუმინელ მეკლევართა აზრით, XIV ს. მეორე ნახევარში უნდა ჩასახულიყო. საბუთებში, თავისი დღევანდელი სახელით, იგი პირველად 1459 წელს იხსენიება — სწორედ ხუთისი წლის წინათ. ბუქარესტი ათი საუკუნით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩვენი თბილისი, მაგრამ იმ ორი ქალაქის ისტორიულ

განვითარებაში ზოგი რამ საერთოდ ვერაფერსაა საუკუნემდე ბუქარესტი ისევე, როგორც თბილისი, ტიპური ფეოდალური ქალაქი იყო.

XIX საუკუნემ არსებითი გარდატეხა შეიტანა რუმინულ სამთავროების ვალახისა და მოლდოვის ცხოვრებაში. ისინი ნახვარდოვი ბრძოლით, მაგრამ თანდათან მაინც აღწევნ თავს თურქეთის უღელს. განთავისუფლებას, საკუთარი ერთიანი სახელმწიფოს შექმნას მრავალი პატრიოტის სისხლი შეეწირა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ახლებურ სოციალურსა და ეკონომიურ ევოლუციას: კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას, ეროვნული ბურჟუაზიის წილში გამართვას. ევროპის დიდი სახელმწიფოები აქტიურად ერეოდნენ სამთავროების ზედ-იღბლს გადაწყვეტაში: არა ერთი კონფერენცია შედგა, არა ერთი ტრაქტატი და კონვენცია იქნა ხელმოწერილი, სანამ ასი წლის წინათ, 1859 წლის 24 იანვარს, მოლდოვა და ვალახია საბოლოოდ გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ (ჩვენი იქ ყოფნის დღეებში უკვე ემზადებოდნენ ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად). რუმინეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის ბევრად უფრო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დამყარდა. თუ მანამდის იძულებული იყვნენ სტამბოლისთვის ექპირათ, ახლა ხარბად დაეწყანენ დასავლური კულტურის მონაბოვარი. არსებითი როლი შეასრულა რუსეთთან დაახლოვებამაც: ერთ ხანს, XIX ს. პირველ ნახევარში, სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამ ამბებმა სრულიად უცვალეს სახე ბუქარესტსაც. ისევე, როგორც თბილისი, ბუქარესტიც სწორად XIX ს. მანძილზე იქცა ფეოდალური ქალაქიდან — ბურჟუაზიულად, ნახევრად აღმოსავლური ქალაქიდან — ევროპულად. არსებითად, ბუქარესტი-ქალაქი XIX ს. მანძილზე და XX ს. პირველ ათეულ წლებში ჩამოყალიბდა და, ბუნებრივია, მისი ხუროთმოძღვრებაც მთლიანად ამ ეპოქის კვალს ატარებს (ამით განსხვავდება იგი თუნდაც ტრანსილვანიის ძველი ქალაქებისგან, რომელთაც უკვე აღრევე ნამდვილი „ქალაქური“ იერი ჰქონდათ მიღებული).

XIX ს. დასაწყისიდან განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კლასიციზმის ხუროთმოძღვრული ფორმების შეჭრა — ერთი მხრივ რუსეთიდან, მეორე მხრივ დასავლეთ ევროპიდან. ასევე იყო ზომ თბილისშიაც, მაგრამ აქ კლასიციზმის ელემენტთა შერწყმამ ადგილობრივ ფორმებსა და ტრადიციებთან სრულიად ახალი, თავისებური რამ მოგვცა — „თბილისური“ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნების განუყოფელ სილამაზეს ჰქმნის. მე არ ვიცი, იყო თუ



ხელოვნების „განხრით“ წარმართა: ვიყავი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, შევხვდი რუმინელ არქიტექტორებს, წვაიკითხე მოხსენება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ ბუქარესტის არქიტექტურის ინსტიტუტში და — ეს იყო განსაკუთრებით საინტერესო — ბევრი ემოგზაურა: თითქმის 2000 კმ გავიარე მანქანით ვალახიას, ტრანსილვანიას, მოლდოვას და ბუქარესტს და ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი ვნახე.

3

ბუქარესტში გაზაფხულის ამინდი დავგვხდა: სითბო, კრიალა ცა, მზე. ასეთი დღეები ჩვენი გაზაფხულზე იცის ხოლმე, როცა ხეები რეკერტება. ეს სიხალისეს ჰმატებდა ისედაც ხალისიან ქალაქს, რომელიც შობა-ახალი წელიწადის დღესასწაულებისთვის ემზადებოდა. ჩვენი სასტუმროს წინ, რესპუბლიკის მოედანზე — ესაა მთავარი მოედანი — გამალებით აშენებდნენ „საბაშეო ქალაქს“ და როცა მე ტრანსილვანიიდან დავბრუნდი, იქ უკვე უზარმაზარი მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე იყო აღმართული. გარშემო კი მოხატული კიოსკები და პატარა პავილიონები იდგა. ქუჩებში, მაღაზიების წინ, შიგ მაღაზიებში ლოზუნგები იყობდა — Luna cadourilor — „საჩუქრების თვე“. მაღაზიები თოვლის ბაბუები და საახალწლო საჩუქრებით იყო სავსე.

მოუხედავად ამ სადღესასწაულო განწყობილებისა, ჩანდა, რომ ბუქარესტი შედარებით შვიდი ქალაქია. მდებარე ხმაროიანი და აფორიაქებული მოსკოვის შემდეგ ეს განსაკუთრებით მომხვდა თვალში. მანქანების მოძრაობა, მე მგონია, თბილისშია მებრუნა (მანქანების დიდი ნაწილი საბჭოთა ქარხნებისაა, უმეტესად „პობედა“). ხალხი კი ქუჩაში ბევრია, ნახვ მოსვლირენ და ერთ ადგილზე გაჩერებულ ხალხსა, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებიან, ისევე როგორც თბილისში.

ბუქარესტში, ასე უწოდებენ რუმინელები თავიანთ დედაქალაქს. ისევე, როგორც თბილისს, ბუქარესტსაც აქვს თავისი ლეგენდა: იგი თითქოს ვინმე მწყემსს, სახელად ბუქურს, დაეარსებია. მდინარე დიმბოვიცას ნაპირზე, იმ უბანში, სადაც ქალაქი ჩაისახა, დღესაც დგას პატარა ეკლესია, რომელსაც ბუქურის ეკლესიას უწოდებენ. მაგრამ იგი XVIII საუკუნისაა, ქალაქი კი, რუმინელ მეკლევართა აზრით, XIV ს. მეორე ნახევარში უნდა ჩასახლებიყო. საბუთებში, თავისი დღევანდელი სახელით, იგი პირველად 1459 წელს იხსენიება — სწორედ ხუთასი წლის წინათ. ბუქარესტი ითი საუკუნით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ჩვენი თბილისი, მაგრამ ამ ორი ქალაქის ისტორიულ

განვითარებაში ზოგი რამ სიერთოც არის. მათი საუკუნეზე ბუქარესტი ისევე, როგორც თბილისი, ტიპური ფეოდალური ქალაქი იყო.

XIX საუკუნეში არსებითი გარდატეხა შეიტანა რუმინელი სამთავროების ვალახიისა და მოლდოვის ცხოვრებაში. ისინი ხანგრძლივი ბრძოლით, მაგრამ თანდათან მაინც აღწვენი თავს თურქების უღელს. განთავისუფლებას, საკუთარი ერთიანი სახელმწიფოს შექმნას მრავალი პატრიოტის სისხლი შეეწირა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ახლებურ სოციალურსა და ეკონომიურ ევოლუციას: კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას, ეროვნული ბურჟუაზიის წილში გამართვას. ევროპის დიდი სახელმწიფოები აქტიურად ერეოდნენ სამთავროების ბედ-იღბლის გადაწყვეტაში: არა ერთი კონფერენცია შედგა, არა ერთი ტრაქტატი და კონვენცია იქნა ხელმოწერილი, სანამ ასი წლის წინათ, 1859 წლის 24 იანვარს, მოლდოვა და ვალახია საბოლოოდ გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ (ჩვენი იქ ყოფნის დღეებში უკვე ემზადებოდნენ ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად). რუმინეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის ბევრად უფრო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა დამყარდა. თუ მანამდის იძულებული იყვნენ სტამბოლისთვის ეცქირათ, ახლა ხარბად დაეწყვნენ დასავლური კულტურის მონაპოვარს. არსებითი როლს შეასრულა რუსეთთან დაახლოებამაც: ერთ ხანს, XIX ს. პირველ ნახევარში, სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამ ამბებმა სრულიად უცვალეს სახე ბუქარესტსაც. ისევე, როგორც თბილისი, ბუქარესტიც სწორედ XIX ს. მანძილზე იქცა ფეოდალური ქალაქიდან — ბურჟუაზიულად, ნახევრად აღმოსავლური ქალაქიდან — ევროპულად. არსებითად, ბუქარესტი-ქალაქი XIX ს. მანძილზე და XX ს. პირველ ათწლეულში ჩამოყალიბდა და, ბუნებრივია, მისი ხუროთმოძღვრებაც მთლიანად ამ ეპოქის კვალს ატარებს (ამით განსხვავდება იგი თუნდაც ტრანსილვანიის ძველი ქალაქებისგან, რომელთაც უკვე აღრევე ნამდვილი „ქალაქური“ იერი ჰქონდათ მიღებული).

XIX ს. დასაწყისიდანვე განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კლასიციზმის ხუროთმოძღვრული ფორმების შეჭრა — ერთი მხრივ რუსეთიდან, მეორე მხრივ დასავლეთ ევროპიდან. ასევე იყო ხომ თბილისშიაც, მაგრამ აქ კლასიციზმის ელემენტთა შერწყმამ ადგილობრივ ფორმებსა და ტრადიციებთან სრულიად ახალი, თავისებური რამ მოგვცა — „თბილისური“ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნების განუყოფელ ბელ სილამაზეს ჰქმნის. მე არ ვიცი, იყო თუ



არა ბუქარესტშიაც ამდაგვარი რამ; დღეს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახლები არ ჩანს.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო იმის თვალნათლივ დანახვა, რომ მომდევნო საფეხურებზედაც ანალოგია გრძელდება, ეს ბუნებრივია: XIX ს. თბილისი ხომ უკვე ზოგად ევროპული განვითარების კალაოტში იყო მოქცეული. ამასთან წლებში ბუქარესტშიც ჩნდება „რომანტიკული“ არქიტექტურის ნიმუშები, რომლებიც გუთუნი სტილიზაციის სახეს ატარებს. შემდეგ კი — როგორც ყველგან, როგორც თბილისში — ეკლექტიზმის ხანა იწყება. სწორედ იგი საუკუნის მიჯნაზე — სამოცდაათიანი წლებიდან XX ს. ათიან წლებამდის — ქვეყნის სწრაფი კაპიტალისტური განვითარების დროს, ბუქარესტში ინტენსიური მშენებლობაა განაღებელი. მე საქმარისად ახ ვიცნობ რუშინეთის ისტორიას, რომ ამის ახსნა შემეძლოს, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ XIX ს. მეორე ნახევარში რუშინეთს ყველაზე უფრო მჭიდრო კულტურული კონტაქტი საფრანგეთთან ჰქონდა; თუ რაიმე გავლენებზე ვილაპარაკებთ, მან უპირატესად საფრანგეთის გავლენა განიცადა. რუშინეთში დღესაც ძნელად შეხვდები ინტელიგენტს, რომ ფრანგულად არ ლაპარაკობდეს; ფრანგული ფერწერის უძველესი გამოაჩხილი იგროძობა ახალ რუშინულ მხატვრობაში და XIX — XX სს. მიჯნის საქალაქო არქიტექტურის ნიმუშებიც, როგორც ჩანს, ფრანგული იყო: დიდი უმეტესობა მაშინდელი სახლებისა კლასიციტურ-ბაროკული ხასიათისაა — სწორედ ფრანგული კლასიციზმის ფორმებთან დაკავშირებული და, ცხადია, XIX ს. მკაფიო ნიშნებით აღბეჭდილი. ბუქარესტის ხუროთმოძღვრულ სახეს უმთავრესად ეს სოლიდურად ნაშენი, პომპეზური შენობები შეადგენს. მაგრამ არსებობს მეორე ბუქარესტში, რომელიც დღეს თითქმის არანაკლებ იგროძობა, ბუქარესტში, რომელიც ორ მსოფლიო ომს შუა შენდებოდა: 8-9-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლები და სასტუმროები, კვლავ სამინისტროები და სასოფლოეობრივი შენობები კონსტრუქტივისტულ-ფუნქციონალისტური ხასიათისა. ზოგი მათგანი — თავისი მარტივი, რაციონალური იერით, კარგი პროპორციებით, მშენებლის მაღალი ხარისხით — უძველესი მიმზიდველი შთაბეჭდილებას ტოვებს.

დასასრულ არის კიდევ მესამე ელემენტიც, რომელიც ცალკეული დიდი სახლების სახითაა „ნაწვეთებული“ ამ დიდი ქალაქის განაშენიანებაში: ეს აგებოდა XIX — XX სს. მიჯნის სახლებია, რომელიც არქიტექტურაშიც ჩანს ცდა ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმათა აღრომინებისა: აქ იმის ანალოგიური მოვლენაა, რომელსაც იმავე ხანებში თბილისშიც ჰქონდა ადგილი. ორსაც შემთხვევაში

არსებითა ეროვნული დეკორატიული სახეობაა, ეროვნული ისტორიული ფორმების განხორციელება. ბუქარესტის „ეროვნულ“ შენობათმხატვრული ღირებულება არათანაბარია. ზოგან ადვილი შესამჩნევია, რომ „ეროვნულ“ არქიტექტურულ ფორმებს „მოდერნის“ რაღაც ელემენტებიც შეჰპარვია. მაგრამ ბუქარესტში ისევე, როგორც ჩვენში, მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია თვით ისტორიული ფაქტი ამგვარ „ეროვნულ“ მისწრაფებათა არსებობისა არქიტექტურაში — იმისდამიუხედავად, თუ როგორი იყო შედეგი ყოველ ცალკე შემთხვევაში.

აი ასეთ თანამედროვე განაშენიანებაშია გაფანტული ბუქარესტის ისტორიული ძეგლები, უმეტესად ეკლესიები. ზოგან აგურით ნაშენი პატარა ძველი ეკლესია ათსართულიანი კონსტრუქტივისტულ-სოციალურ შუაა ჩაჭვდილი. ბუქარესტის უძველესი შენობაა მირჩა ვოევოდას მიერ XVI ს. შუა წლებში აგებული ეკლესია, ე. წ. „კურტია ვეკე“, ე. ი. ძველი კარის საყდარი. ეკლესიის დამუშავებით, განსაკუთრებით კი გუმბათის ყელის ფორმებით, იგი გვიან ბიზანტიურ ნიმუშებს უახლოვდება. ძალიან ვნანობ, რომ ვერ ვნახე ე. წ. მიწაი ვოდას რომანტიკის ეკლესია XVI ს. დასასრულსა, რომელშიც, მკვინი, უფრო მკაფიოდ უნდა ჩანდეს ვალახის არქიტექტურის ზოგი თავისებური ნიშანი — კერძოდ, ფასადების მორთვა ორ იარუსად განლაგებული დეკორატიული თაღების მწყკრივით. უკვე ბუქარესტის ძეგლების მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ვალახის საეკლესიო არქიტექტურაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ტრიკონქი, ე. ი. ისეთი სახის ჯვარისებრი ეკლესია, რომელსაც ჯვრის სამი მკლავი ბოლოებშიმორგავალივით აქვს. ბუქარესტშიც და რუშინეთშიც მოეზაურობის დროსაც ამ თემის ბეგრნაირი ვარიანტი ვნახე, მაგრამ ყველაზე უფრო თავისებური — ეროვნული რუშინული წარმოშობისა იმ გეგმა, რომლითაც კურტია დე არჯეშის სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი და მისი მიმაძვით აგებული საპატრიარქო ეკლესიაა აშენებული. ბუქარესტის საპატრიარქო ტაძარს, რომელიც XVII ს. შუა წლებს მიეკუთვნება, ვალახის ეკლესიების დამახასიათებელი კიდევ ერთი ელემენტი აქვს — მასივური კარიბჭე; იგი თვით ეკლესიის დასავლეთის ნაწილთან ერთად მთლიან მოიცავლობას ქმნის. ქართული ეკლესიების შინაგან სივრცეს შეჩვეული კაცისთვის სრულიად მოულოდნელია რუშინული ეკლესიების შინაგანი დამუშავებაც: ვალახიაშიც და მოლოდინშიც ეკლესიების შიგნით ხუროთმოძღვარი კი არ აერთიანებს სივრცეს, არამედ ანაწვერებს მას ცალკე სადგომებად: ზოგან ნამდვილი ანტი-

ლადის შთაბეჭდილებაც კი ექმნება.

საპატრიარქო ტაძარს კარგად მდებარეობა აქვს: იმ ბორცვისავე, რომელზედაც აღმართული იგი, ფართო ხეივანი მიემართება. იქვე, გვერდით, დგას პატრიარქის სახლი, რომელიც XVII ს. ნაწილებს შეიცავს, გერბე მხარეს კი — დიდი ეროვნული კრების გერანდიოზული სასახლე, 1907 წელს აგებული არქიტექტორ მაიმაროლუს მიერ. მისი არქიტექტურა ფრანგული კლასიციზმის ნიმუშებს ემყარება.

ძველი საერო ხუროთმოძღვრების ძეგლი რუმინეთშიაც უფრო ცოტად დარჩენილი, ვიდრე საეკლესიოსი. მაგრამ იქ ამ მხრივ მინც ჩვენზე უკეთ აქვთ საქმე. მაგალითად, ბუქარესტივე, ქალაქის განაპირას, დღესაც დგას XVIII ს. პირველ წლებში აგებული სასახლე, რომელიც მოგოშოიას სახელითაა ცნობილი. იგი აშენა მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვანუმ, ანთიმოზ ივერიელის მეგობარმა და მფარველმა, რომლის დროსაც ვალახიაში საერთოდ ვაცხოველებული მშენებლობა იყო, თვით მთავარს აქ დიდხანს არ უტყობარია, 1714 წ. იგი თავისი ოჯახითურთ გაემგზავრა სტამბოლს, სულთნის კარზე, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. მას შემდეგ მოგოშოიამ — ორსართულიანმა მცირე სასახლემ, რომელიც სულ რამდენიმე დარბაზისა და მშენებრივ ღრმა ლოჯიისაგან შედგება, იცვალა სახე. იგი ჯერ გაძარცვეს, მერე უპატრონოდ იყო, შემდეგ ახალმა პატრონმა — თავადმა ბიბეს-კუმ — ცალ მხარეს ოთახები მიაშენა. დიდი პატივს ძველი მხატვრობაც. მაგრამ ბევრი რამ მინც ვადაჩხა: შენობის უმთავრესი ნაწილები მინც უცვლელია, უმეტესად თავდაპირველია მისი ხუროთმოძღვრული მორთულობაც: ლოჯიის წვრილი თაღები — სამკვიბლა თაღებითა, დაბალი გრებილი სვეტებითა და ფართოდ გადაშლილი, კორინთელის მსგავსი, სვეტისთავეებით, ზოგი სხვა დეტალიც.

მოგოშოია დიდსა და ლამაზ პარკში დგას ტბის პირას. მის ეზოში უმეტესად ახალი შენობებია, მაგრამ მათი საერთო იერი კარგად ეგუება სასახლისას. ახლა ამ შენობებში ხელოვნების მუშაკთა დასასვენებელი სახლია, თვით სასახლეში კი — შუასაუკუნეთა კულტურის მუზეუმი. ზამთარში, როგორც ჩანს, იქ არაფერ იხივებებს. მე რომ მივედი, ეზოში ერთი ფარშევანგი დასიერნობდა, სხვა არავინ გამოჩენილა. თბილი, კაშკაშა დღე იყო და მყუდრო, უკაცრიელი პარკი განსაკუთრებით ლამაზი ჩანდა. მუზეუმშიაც ამ დღეს ჩემს მეტე არაფერ იყო მნახველი. თარჯიმანმა ჩემი თავი მუზეუმის კონსერვატორს (იქ „მუზეოგრაფს“ უწოდებენ) რადუ პოპას ჩააბარა, თვითონ კი დავტოვო. პოპა — სულ ახალგაზრდა, მალალი, ლამაზი, შავთვალწარბა ყმაწვილი, თავაზიანი

და მიმზიდველი — კარგად ლაპარაკობდა, დროულად გულად და ჩვენ კარგა ხანს მშვიდად ლაპარაკობდა. რებლად ვსაუბრობდით. მუზეუმში ბევრი ექსპონატი არაა, მაგრამ რაც არის — ზრიახანდაა გამოფენილი: დხვავებული არაა, ადვილი აღსაქმელია. უმთავრესად აქ კონსტანტინე ბრინკოვანელს ხანა წარმოადგინილი — ნივთიერი კულტურა, მწიგნობრობა. და ანთიმოზს, მის ნაბეჭდ წიგნებს, მის ლეაწლს, რა თქმა უნდა, დიდი ადვილი უჭირავს. თავდაპირველი ავეჯი მოგოშოიაში აღარ გადარჩენილა. 1947 წლამდის, სანამ სასახლე პრინც ბიბეს-კუმ ოჯახს ეკუთვნოდა, სიძველეს დაცვაზე აქ, როგორც ჩანს, მინცადამინც არავინ იწუხებდა თავს. ბოლო წლებში კი, როცა აქ მუზეუმის მოწყობა განიზრახეს, შენობის ინტერიერები დიდი მზრუნველობითა და ტაქტიკით მოაწესრიგეს. დღეს მუზეუმის შგნით ისეთი არაფერი გხვდება თვალში, რომ საერთო შთაბეჭდილების მთლიანობას არღვევდეს. დიდი ლოჯია აქ ისევია მოთავსებული, როგორც ნინოშინდის ტუსისშეიღისეულ სახლში, ან თუნდაც აკაცის სახლში სხვიტორს. და იქცე ლოჯიიდან მშენებერი სანახაობა იშლებს: ტერასა, სადაც ბზის ბუჩქებით გამოყვანილი ლაბირინტებია, ტაბები, რომლებიც ტბისკენ ეშვება, თვით ტბა, დაბუჩქებული მცენარეულობა ტბის ნაპირზე...

უცნობ ქალაქს, ცხადია, ვერ გაიცნობ, თუ მის ქუჩებში ფეხით არ იხეტიალე. მარტო ხეტიალს მინც ანაფერი სჯობს: ყოველი ახალი შესახვევი ძალაუვნებურად გიზიდავს რა „გიორგეს“, შეიძლება დაიბნე კიდეც, მაგრამ ამ ხეტიალსა და გზის ძებნაში შეუძნეველად და უნებურად „ვიგრნობ“ ქალაქის ხასიათს, მის სულს.

ბუქარესტიში ადვილად არ დაიბნევა კაცი. მაგრამ ქალაქის გეგმა არც სავსებით რეგულარულია. ბევრია ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩაც, რომლებიც თავისი ერთ-ორსართულიანი კომპლქა სახლებით ზოგჯერ ქუთისის მოგვაგონებს. ქალაქის ძველი არტერიია „გა-მ-ა-რ-ა-ჯ-ე-ვ-ი-ს-გ-ზ-ა“ — „ქალაი ვიკტორიევი“, შედარებით ვიწრო ქუჩა, რომელიც გამარჯვების მოედნიდან სამხრეთით მიემართება, რამდენიმეჯერ უხვევს, გზად რამდენსამე მოედნის გაივლის და ქალაქის ბოლო შეაგულს კვეთს. ამ ქუჩაზეა რუმინეთის აკადემია, ყოფილი სამეფო სასახლე, სამინისტროები, „ტელეფონების სასახლე“ — მრავალსართულიანი ვიწროდ აწოწილი შენობა, აბრის ცენტრალური სახლი, თეატრები, კინო-თეატრები და ურიცხვი მალახია — დიდი უნივერსიტეტი და წყებული და კერძო სახელისნობით დამთავრებული. ეს ქუჩა ახლანდესულ კაცს ძალაუვნებურად იზიდავს: აქ მშენებრად გა-



მოცემული წიგნებიც იყიდება, ხალხური ხელოვნების ნიმუშებია და რუმინული მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაც: მარტივად, კარგი გემოვნებით გამართულ ვიტრინებში მაშინვე გხვდება თელში, მაგალითად, ძალიან მაღალი ხარისხის ტრიკოტაჟი, რომლითაც მთელი ქალაქი სავსეა. „ქალია ვიკტორიე“ ცოცხალი, მოძრავი ქუჩაა. საღამოობით ხალხს მარტო ტროტუარები ვერ იტევს, და ისევე, როგორც ჩვენთან პლენარის პროსპექტზე, იგი ერთიანად, ტროტუარიდან ტროტუარამდეც, მოსერინებით ივსება.

დაახლოებით „ქალია ვიკტორიეის“ პარალელურია ქალაქის მეორე დიდი არტერი, რომელიც ერთიმორეს მოყოლებული სამი ბულვარისაგან შედგება: ესაა ბელჩესკუს, მაგერუსა და ანა იპატესკუს ბულვარები, შექმნილი XIX ს. მეორე ნახევარში. პირველი ორი, არსებითად, უწყვეტად ერთვის ერთმანეთს: ეს თანამედროვე ევროპული ცენტრის დიდი ქუჩაა — ფართი, 8-9-10 სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, დიდი ოტლებითა და მაღაზიებით. ორ ომს შუა ნაგები კონსტრუქციისტული შენობები უმეტესად აქაა თავმოყრილი. ანა იპატესკუს ბულვარი ნამდვილი ხეივანია: მწვანე ზოლი მას შუაშიც მისდევს და ნაპირებზედაც; აქ მიჯრით მიწყობილი მრავალსართულიანი სახლები კი არაა, არამედ მცირე მანძილით ერთმანეთს დაშორებული ორ-სამ სართულიანი კოტეჯები.

ამგვარი ქუჩა ბუქარესტისთვის დამაბასიათებელია. აქ მთელი საცხოვრებელი უბნებია არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის კოტეჯებით. არქიტექტურის მხრივ ეს ქუჩები სრულიად ელემენტარია: ერთიმორის გვერდით ნახევრულტრა-თანამედროვე დასავლურ სახლს, რომლის ფსადიც ბეტონის კედლებისა და შემინული ზოლებისაგან შედგება, მოდერნის სტილის ნაგებობას, ეროვნული დეკორატიული მოტივებით შემკულ ფსადს და სასყებით „თავისუფალ“, საკმაოდ ახირებულ ფსადებსაც, რომლებიც ზოგჯერ ევზოტიურ თეატრალურ დეკორაციას ან მაკეტს მოგაგონებს. შვარამ ეს სახლები კარგადაა ნაწერი, ქუჩები მწვანეშა ჩაფლული, მუდრო და უხმაურთა. ალბათ ასეთი არისტოკრატიული უბნების არსებობით აიხსნება, რომ ბუქარესტს, რომლის მოსახლეობა 1,300,000 არ აღემატება, პარიზის ოდენა ფართობი უჭირავს. ახლა ეს ყოფილი არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული კოტეჯები, რა თქმა უნდა, კომუნალურ სახლებადაა გადაქცეული. მხოლოდ უფრო მცირე სახლები ვეუთენის თითო ოჯახს.

ქალაქის ნამდვილი მშენებელი მისი ჩრდილოეთის ნაწილი, ვიქტორიის მოედნიდან — განაპირამდის. აქაა უხარმხარი პარკები,

სტალინის ბულვარი და კისლევის ძალიან ფართო ხეივანი, რომლებიც ამ პარკებს კეთის, აქვეა რამდენიმე დიდი ბუნებრივი ტბა — კერესტრეუ, ფლორიასკა, ტიე — რომლებიც ჩრდილოეთიდან საზღვრავენ ქალაქს. პარკები მათ ნაპირებზეა გაშენებული. ასეთი ტბები შუა ქალაქშიცაა — ჩიშმიჯიუსა და თავისუფლების პარკებში. ეს მართლაც დაუფასებელი განძია, რომელიც ერთი ათად ზრდის ქალაქის სილამაზეს. თბილისელი კაცი, ბუნებრივია, შურით უყურებს ასეთ ტბებს, რომელთა ნაპირებიც მცენარეულობითაა დაბურული: თბილისს ხომ, თუმცა კი სიმწვანით არც ისაა ღარიბი, მაინც ძალიან აკლია წყალი: შადრევნები, აუზები. ის, რასაც „წყლის სარკეს“ უწოდებენ.

ქალაქის პარკები — ჩიშმიჯიუ და თავისუფლების პარკი, ასევე ძალიან ლამაზია: მშვენიერი მცენარეულობა, ასწლოვანი, ტოტეგამაღლილი ხეები, გაზონების პარტერი, აქა-იქ ამ ბუნებრივ სიმწვანეში ჩართული, უკვე ხავსმოკიდებული, ხუროთმოძღვრული ფრაგმენტები — სეკტი, სეკტისთავი.

ჩიშმიჯიუს პარკში, შუა ადგილას, მცირე მრგვალი მოედანია და მის გარშემო — თორმეტი ბიუსტი: ემილესკუ, ბელჩესკუ, კარაჯაულუ, კოშბუკი, ალექსანდრი... ძალიან ბევრი ძეგლია ქუჩებსა და მოედნებზედაც. თუმცა ბევრი მათგანი დიდი მხატვრული ღირსების არაა, მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, მაინც ჰქონდათ და აქეთ დიდი მნიშვნელობა ეროვნული და საზოგადოებრივი თვითშეგნების განსამტკიცებლად. არის, ცხადია, კარგი (ძალიან კარგი) სკულპტურებიც: მაგ., თავისუფლების პარკში, ხელოვნურ გროტთან — ორი გიგანტისა და მათ შუა მწოლიარე შიშვითი ქალის ფიგურები. ერთი გიგანტთაგანი, ყველაზე გამოჩენილი რუმინელი მოქანდაკის პაჩურაის ნაწარმოებია, მიქლანჯელოს „მოწინის“ ერთგვარი გამოძახილი, მართლაც ძლიერი, მეტყველი ფიგურაა: არც სხეუბია ურიგო. იმ სამქანდაკებს რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ სახელდობრ რა, არ ვიცი.

იმ დღეს, როცა მე და ჩვენი თარჯიმანი ლუკრეცია პოპესკუ შევედით თავისუფლების პარკში, ქანდაკებების გროტთან გაჩაღებული მუშაობა იყო: ხეებს თხრიდნენ და ხარზეშემული მარხილუებით გადაჰქონდნენ (მა გიგანტოზული ხარებია, ჩვენებურ კამეჩებზე უფრო დიდები!). იმ ქალის ფიგურაა დედები ამოსდეს და აშუეთი გადაათრიეს მანქანაში. ასეთივე ბედი მოელოდათ გიგანტებსაც: თურემ იქ პანთეონს აწყობდნენ — ასე ვთხოვია ერთმა კაცმა, რომელიც ჩვენსავით გულისფანქვალთ

ადგენება თვალს ქალის ქანდაკების „მოგზავ-
ურობას“.

ახალი მშენებლობა ქალაქის გარეუბნებში უფრო შესამჩნევია, მაგრამ შიგ შუა ქალაქ-შიაც ბევრია ახალი ნაგებობა. პოლიგრაფიული კომპანიის სკინტეის მრავალსართულიანი სახლი ჩვენშიაც კარგადაა ცნობილი ფოტორეპროდუქციებით. იგი ქალაქის განაპირა-საა, ჩრდილოეთით. მისი დიდი მისივი ამთა-ერებს ეისელებას შოსეს პერსპექტივს. თვით შენობის არქიტექტურა არც იმდენად საინტე-რესოა, მაგრამ საქმე კი აქ დიდი კეთდება: ამას ნათლად მოწმობს ბოლოდროინდელი რუ-მინელი გამოცემების ხარისხი. პოლიგრაფიული კომპანიის გარდა, სკინტეის შენობაში ბევრი სხვა დაწესებულებაა. ის ინტერიერები, რომ-ლებიც მე ვნახე, ძალიან კარგადაა შესრულ-ბული, მარტივი და ლამაზია.

ბუქარესტში მთელი უბნებია მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლებისა. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკამ სწორედ ამ მიმართულებით წარ-მართა თავისი საქმიანობა. ამ სახლებში მე არ ვყოფილვარ, მაგრამ გარედან ეს უბნები — ბუქარესტშიაც და ორამულ სტალინშიაც — მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს: სახლებს რაციონალური, ხალისიანი იერი აქვთ, მათი განლაგებაც კარგად მოფიქრებული ჩანს. სრუ-ლიად ახალია 23 აგვისტოს სახელობის სტა-ლინი, რომელიც სულ რამდენსამე თვეში დაუშთაერებიათ ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალისთვის, დიდი საომერო თეატრი, რომელსაც ძალიან ფართო მოხერხებული ფიციები აქვს (მე წარმოდგენის დაწყებამდის ვთავლიერებდი შენობას, დარბაზში ბნელოდა და ვერ გავარჩიე მისი მოკაზმულობა), ბევრი სხვა შენობაც — სახელმწიფო და საზოგადოებ-რივი დაწესებულებებისთვის. ძალიან დამენანა, რომ ვერ მოვარხერხე ქალაქ ვიქტორიაში გავლა: ამ ახალი ინდუსტრიული ცენტრის საცხოვრებელი სახლები ქართველი ხუროთ-მოძღვრის ლონგინოს სუმბაძის ტიპობრივი პროექტებითაა ნაშენი.

4

ბუქარესტში ბევრი საინტერესო მუზეუმი. მე მხოლოდ სამი ვნახე (მოგაშოიის გარდა). ჩასვლის მეორე დღეს დავათვალიერებ ნაციონალური მუზეუმში, რომელიც ყოფილ სამეფო სასახლეშია მოთავსებული, რესპუბლიკის მოე-დანზე. ამ უზარმაზარი სასახლის დარბაზები, რა თქმა უნდა, მინცადამაინც შესაფერი არ არის სურათების ექსპოზიციისთვის: ზოგან საკმარისი განათება არაა, ზოგან ზეთით შეს-რულებულ ზედაპირს შუქი ისე სცემს, რომ სურათი ბრწყინავს და ძნელი გასარჩევია. მაგ-

რამ ამას იღვილად შეურთებდები, იმდენად მშვენიერია თვით ექსპონატები, რომლებიც აქ რესპუბლიკის დამყარების შემდეგ მოუყა-რეს თავი — ზოგს მეფის კოლექციიდან, ზოგს პროვინციული მუზეუმებიდან და კერძო კო-ლექციებიდან. წინათ ბუქარესტს ასეთი დიდი სახელმწიფო მუზეუმი არ ჰქონია.

რუმინელი მხატვრობის განვითარება, რომელსაც, ბუნებრივია, უდიდესი ნაწილი უჭი-რავს, მთლიან, დასრულებულ სურათს ქმნის.

იმ დღეს მე პირველად ვნახე თეოდორ ამა-ნის, ნიკოლაე გრიგორესკუს, იონ ანდრესკუს, შტეფან ლუკიანისა და სხვათა ორიგინალები. წინათ მათ მხოლოდ რეპროდუქციებით ვიც-ნობდი. რა თქმა უნდა, ერთი ასეთი სწრაფი დათვალიერება, უფრო სწორად, „შემორბენა“, სრულად არ კმარა იმისთვის, რომ ამ მხატვ-რებზე იმსჯელო, მით უფრო, რომ ყოველმა მათგანმა რთული შემოქმედებითი გზა განვლო. მართო გრიგორესკუს სურათებიც კი სახეთა მთელ სამყაროს შეადგენს: პორტრეტები, ტან-რი, პეიზაჟი, ბატალიური სცენები, ცხოველები — მათი უმეტესობა ნამდვილი პოეტური გრძობ-ბითაა გამთბარი, ბევრი მათგანი საინტერესოა ფერწერით და კოლორიტის მხრივ. თუ უშუ-ალ შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკებთ, ყველა-ზე მეტად მე შტეფან ლუკიანმა მომხიბლა: თემატურად იგი თითქოს იმდენად მრავალ-ფეროვანი არაა, როგორც გრიგორესკუს, მაგრამ ყოველთვის ნამდვილად შინაარსიანია, იდეუ-რისი და იმავე დროს რაფინირებული კოლო-რისტი და ფერმწერია, ზოგჯერ რამდენადმე დეკორატიული განხრითაც. ლუკიანი განსაკუთ-რებით ბევრს კარგავს რეპროდუქციებში — იყარგება მისი ფერადოვნებისა და ფერწერის უშულობა, სიცხოველ. ლუკიანი 1916 წ. გარდაიცვალა. მომდევნო თობაშიაც ბევრი იყო საინტერესო ინდივიდუალობა. მათი თე-მატიკა უფრო შესრუდულია, ხშირად წინა პლანზე სპეციფიკურად ფერწერული და კოლო-რისტული ამოცანები გამოდის, რაც საერთოდ დამახასიათებელი დასავლური მხატვრობის-თვის XIX--XX სს. მიჯნიდან, მაგრამ, რო-გორც ჩანს, რუმინელი მხატვრობა მაინც არ წასულა იმ ულტრა-მემარცხენე, ფორმალის-ტური აზვით, რომელმაც ჩვენი საუკუნის პირ-ველი თვითი წლების დასავლური მხატვრობა მოსწყვიტა ცოცხალ სინამდვილეს, მატერიალურ სამყაროს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს მუზე-უმის ექსპოზიციამში. მე განსაკუთრებით ჩამჩნა მეხსიერებაში ორი მხატვარი — ნიკოლაე ტონიცი და გეორგე პეტრასკუს: სრულიად გან-სხვავებულნი ბუნების კოლორისტული აღქმის მხრივ, მაგრამ ორივე ძალიან მახვილი და ფაქიზი სწორედ ამ თვალსაზრისით.

ძალიან მწყინს, რომ ამ მუზეუმის მეორედ



ნახვა ვეღარ მოვახერხებ და იმ დღესაც იმუ-
ლებული ვიყავი მართლაც „ჩორთით“ შემომერ-
ბინა დარბაზები: მეორე დღეს მუზეუმი დახუ-
რეს რალაც ცელილებთან დაკავშირებით
და ჩვენ რუმინეთში ყოფნის განმავლობაში
არც გაუხსნიათ. სანახავი კი იქ სხვაც ბევრი
რამ არის, გარდა რუმინული მხატვრობისა:
დასავლეთ ევროპის მხატვრობის გალერეაში
არის რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომლი-
თაც მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მუზეუმები
მოიწონებდნენ თავს: ვანდერვეის „მამაკაცი
ციხეში“ თავესაბურავეთ“, მემლინ-
გის ორი პორტრეტი (ეს სამი პატარა სურათი
ერთად ჰქვია და პატროსანი თელევიით ანა-
თებს), ტიციანის „სუსანა“, რიბერის („პერ-
კულესი კლავს კენტავრ ნესუსს“),
ველასკესი (ფილოპ IV თავი) და ყველაზე საყ-
ვირველი და თავბრულამხვევი — ელ-გარკოს
„მწყემსთა თაყვანისცემა“!

ძლივს გამოვიყვანე იმ მუზეუმიდან. პროგ-
რამის თანახმად სხვაგან მიგვეჩქარებოდა, მე
კი ფეხები უკან მრჩებოდა...

მაგრამ ბუქარესტში არის კიდევ ერთი მუ-
ზეუმი, რომლის ნახვამაც მოსვენება დამიკარ-
გა: ასეთი მუზეუმი ჩვენც გვჭირდება თბილის-
ში, მისი გამართვა ჩვენც შეგვიძლია და იგი
არანაალებ მდიდარი და არანაალებ საინტე-
რესო იქნება!

ესაა სოფლის მუზეუმი — *Museum
satului*. რუმინეთის სხვადასხვა კუთხეებიდან—
ვალახიიდან, მოლდოვიდან, დობრუჯიდან,
ტრანსილვანიიდან ჩამოტანილია გლეხების
საცხოვრებელი სახლების ნიმუშები. სახლებ-
თან ერთად — მათთან დაკავშირებული სამეურ-
ნეო შენობებიც: სასიმინდეები, საჯინიბოები,
ბოსლები, ერთი კერამიკული სახელოსნოც კი.
მაყურებლის თვალი წინ გლეხის მთელი კარ-მი-
დამა. თავმოყრილია სახლების მთელი შიგა
მოწყობილობაც: ავეჯი, ჭურჭელი, სამეურნეო
იარაღები, ტანსაცმელი; ერთგან პატარძლის
მზითვით საცხე სკივრიც კია. ყველა სახლი და
ყველა ნივთი ორიგინალია. სახლებს ადგილობ-
რივ ყიდულობენ, შლიან, ჩააქვთ ბუქარესტში,
თან მიპყავთ ადგილობრივი ხელოსნები და
მათვე აშენებინებენ კვლავ.

მუზეუმი ჰერესტრეს ტბის ნაპირასა და 7
პეტარი უჭირავს. მის გვერდით სტაინის

პარკი და თვით მუზეუმიც ნამდვილი მუზეუმი
დაარსებულია 1935 წელს, მაგრამ განსაკუთ-
რებით გაფართოვდა 1948 წლიდან, როცა მეც-
ნიერული მუშაობაც გაიშალა. სულ დღესდღეო-
ბით ჩატანილია 114 შენობა და 12000 ნივთი.
სახლები — მხოლოდამხოლოდ გლეხებისაა,
ქრონოლოგურად — უკანასკნელი სამი საუ-
კუნისა, XVII საუკუნიდან მოყოლებული, ამო-
ღენა მეურნეობას 45 კაცი განაგებს და უცლის.
2-3 სახლს თითო დარაჯი ჰყავს, ყოველი სახლის
ჭირმართან დაკიდულია პატარა ტახტული: რუ-
მინეთის რუკა წითელი წერტილით — ეს ის
ადგილია, საიდანაც ის სახლია ჩამოტანილი.
ამას გარდა, იქვეა ნახაზიც — სახლისა და კარ-
მიდამოს გენერალური გეგმა.

სოფლის მუზეუმს ორ საათზე მეტი მოეუნ-
და. მიხსნიდა მისი დირექტორი გეორგე ფოკ-
შა — ამ საქმის დიდი ენთუზიასტი. იქვე შემ-
ხვდა ჩემი მეგობარი პროფესორი გრეგორე
იონესკუ — რუმინული ხუროთმოძღვრებისა და,
კერძოდ, ხალხური ხუროთმოძღვრების სპე-
ციალისტი, მრავალი ნაშრომის ავტორი, რო-
მელიც მე ორი წლის წინათ გვიცანი საჭარო-
ველოში. იმ დღეს ახალი ფოტოსურათების
გაღასაღებლად მისულიყო. შეიძლება ითქვას,
რომ მთელი რუმინული ხალხური ხუროთ-
მოძღვრება და ხელოვნება ბუქარესტელებს
იქვე, თავის სახლში აქვთ. ეს ნამდვილი გან-
ძია: არა მარტო ხალხური შემოქმედების შეს-
წავლის უშრეტე წყარო, არამედ ხალხური
შემოქმედების დიდი, განზოგადებული ძეგ-
ლიც.

ბოლოს ეკლესიაში შევედი: სახლების
გარდა, მუზეუმის ტერიტორიაზე სამი ეკლესი-
ასაცაა — ხის ეკლესიები, რა თქმა უნდა. ერთ-
ერთი, 1722 წლისა, ტრანსილვანიიდან ჩამო-
ტანილი, ფრესკების ფრაგმენტებსაც შეიცავს.
პირველ სადგომში, რომელიც ქალებისთვის
იყო განკუთვნილი, მხატვრობა პირდაპირ ფი-
ცარზეა შესრულებული. ისეც ხალხური შე-
მოქმედება — საღმრთო წერილის სიუჟეტების
ხალხური ინტერპრეტაცია; ნამდვილი იუმორი-
თაა გადმოცემული, როგორც სასჯელი მოელოთ
ქალებს ჯოჯოხეთში სხვადასხვა ცოდვის-
თვის. ბევრი რამ უკვე გადაშლილია, მაგრამ
კარგად ჩანს ენით ჩამოყიდებული ყბედი ქალი.

(გაგრძელება იქნება)



გუკამ კანკავა

მის უპოეტური ენერგია

პოეზია სინამდვილეს ასახავს, მაგრამ ამისთვის მას სჭირდება შინაგანი თავისუფლება. გიორგი ლეონიძის შემოქმედება ამგვარი სილამის, თავისუფალი ქროლის შეგრძნებას იწვევს. მის პოეტურ უწყარბში გაქანებისა და აჩქარებული სენტიმენტის მომგვრელი განცდა იგრძნობა. ეს შინაგანი ქროლისა და სიფართოვის შეგრძნება პოეტს უმდიდრესი პოეტური საშუალებებით აქვს შექმნილი. ისინი თითქმის ყოველთვის მოულოდნელი არიან და დამაჯერებელი.

გიორგი ლეონიძეს თუკი თავისი პოეტური გულისანდების დაფარვა სურს, ან რომანტიკული „წამოსასამის“ გადაცემა, ამბობს: „შევიზღვის ნისლებს ამოვფარე“; როდესაც იგი ლაპარაკობს თავისი პოეტური შუადლის შეახებ, ამგვარად წერს: „ჩემს მზეს ბორბლები არ დამტყრევი“, ან „გულის გადაწვევი ზეინებო“. ჩვენი სასიქაფლო წინაპრების ქებათა შესხმა მას ამგვარად აქვს წარმოდგენილი: „ხმები გმირული დააგუგუნეთ და გააგრძელეთ კვლავ საუკუნე“, ან „ათასი მუხა მის ხერხემალზე ამოხეთქილა...“ ერთ ბოლო ხანებში შექმნილ ნაწარმოებში გ. ლეონიძეს პომეროული ძღერადობა აქვს შეტანილი; აღამიანი ასე შეიგრძნობს მიწის ძერას, ზევის დატურებით გამოწვეულ ჰაერის ფიბრაციას. ეს ნაწარმოებია „გაზაფხული“; იგი ვაჟა-ფშაველას აშკარა ზეგავლენით არის შექმნილი და ამგვარად მთავრდება:

შორიდან გეხარხარებთ:
მოდი, სულ ერთად ვიართო!

ამგვარი შინაგანი სიფართოვე და თავისუფლება, პოეტური სილაღე და დიდებუებოვანება ამოსავალი წერტილია გიორგი ლეონიძის პოეზიის ნამდვილი აღქმისთვის. ეს თვისება ყველაზე არსებითი და ნიშანდობლივია მისი პოეტური მემკვიდრეობისთვის, რადგან მისი მხატვრული აზროვნება მასშტაბური და ელვარე.

გიორგი ლეონიძე მთლიან პოეტური პიროვნებაა. მას თითქმის არასდროს არ ეპარება ეჭვი საკუთარი კალმის, პოეტური წარმოსახვის სიმძლავრეში იგი ყოველთვის ენდობა დაბადებულ სტრუქტურას, სწამს მისი ძალა. შემოქმედებითი პიროვნების ამგვარი მთლიანობა მისი პოეზიის არა მარტო თავისებურებაა, არამედ მისი ძლიერების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ამოსავალი მხარე. სწორედ ამ ნიშნის გამოა იგი ძალუმი.

პოეზია, რომელიც გ. ლეონიძემ შექმნა, ღრმად ეროვნულია. პოეტი შეგნებულად მისწრაფვის ხალხურობისაკენ, ლექსის ფოლკლორული ელერადობისა და ინტონაციურობისაკენ, რადგან აქ ხელდას ქართული პოეზიის ნამდვილი და დიდი საწყისებს. ამავე მიზეზით აიხსნება მისი კვლავ შეგნებული დაწაფება ვაჟას ლირიკისადმი, რომელმაც ახალი პოეტური პირობონტები უჩვენა ჩვენს პოეტს. თავის თვალსაზრისში იგი ერთგვარ უციღერესობამდე მიდის. ამ ბოლო დროს შექმნილ „ავტობიოგრაფიაში“ იგი ამტკიცებს, რომ ქართული ბელეტრისტიკა უნდა აღორძინდეს სოფლური თბრობა-მეტყველების, წისქვილში შექმნილი ზღაპრისა და მოთხრობის ნოყიერ ნიადაგზე. მე ძალზე მიყვარა ჩვენი წისქვილი მდინარე იორზე — იგონებს იგი. — იქ მრავლად იყრიდა თავს ხალხი, იყრიბებოდნენ მეურმეები, ისდნენ ორი-სამი დღე კაკლის ძირში, ელოდნენ თავის რიგს და რას არ ჰყვებოდნენ. რა ამბავი და თავგადასავალი არ მომისმენია იმათ პირთაგან!

მე ამჟამადც ვურჩევ ქართველ ბელეტრისტებს, — განაგრძობს მწერალი. — ხშირად იაროს წისქვილში, ეუფტკიცებ, რომ ქართული პროზის საწყისები აქაა და „თქმულება“ და „მოთხრობა“ წისქვილში არიან წარმოშობილი. გ. ლეონიძეს კარგად ესმის, რომ მისი ეს დარიგება ცალმხრივია, მაგრამ ისიც იცის, რომ იგი სიბრძნესაც შეიცავს. ქართულ ზღაპარში თუ თქმულებაში („ხალხურ ნოველებში“) ხომ ბევრი



ნიშანი მოიძებნება იმგვარი ხასიათისა, რომელ-
ნიც ლიტერატურულ ღირსებებს შეიცავენ.

გიორგი ლეონიძის პოეზია უარესად ბიო-
გრაფიულია. ამაში ჩვენ უფრო მეტად ვრწმუნ-
დებით, როდესაც მის „ავტობიოგრაფიას“
ვეცნობოდით. ბევრი მხარე ამ ნაწარმოებისა
ჩვენთვის ცნობილი იყო მისი ლექსების კრე-
ბულია შემწეობით. მისი პოეზიის ბიოგრაფიუ-
ლი ხასიათი, ეტყობა, ხელს უწყობდა, რომ ეს
„ავტობიოგრაფია“ მეტად პოეტური გამოსული-
ყო. მაგრამ გ. ლეონიძის ბიოგრაფიის პოეტუ-
რობა ვიწრო-ესტეტური არაა, გ. ლეონიძის პო-
ეზიის პირველწარო — ეს ლეგენდით სავსე
ქართული სოფელია, კახეთის შვირაინი ლანდ-
შაფტი, ქართული ადამიანები, რომელნიც მის
მეხსიერებაში ფერადებივით ელვარებენ. ბო-
ლოს, გ. ლეონიძის „ავტობიოგრაფიიდან“ ჩვენ
ვეცნობათ მის მსოფლშეგრძნებასაც. ჩვენ ყუ-
რადღობას ვამახვილებთ, თუ ყველაზე მეტად რა
დარჩა მის პოეტურ მეხსიერებაში, რა შერჩა
მის პოეტურ სულს იმ დროიდან, როდესაც
თითონ სულ პატარა დალიოავდა, ახდენდა
„დაკვირვებებს“ მძლავრი ვნებებით აღბეჭდილი
კახელი მამაკაცებისა და უფროსი გოგონების
მღელვარე ცხოვრებაზე.

ზოგიერთი პოეტი თავის პიროვნებას ხედავს
განფენილს სამყაროში, ბუნებაში და ამგვარად
აღიქვამს სინამდვილეს. ზოგიერთი, თითქოს
„ივიწყებს“ თავის პიროვნულ მესს, რათა
ერთნაირი შვებით და აღტკინებით უმღეროს
როგორც ამქვეყნიურ ნათელს, ისე ბნელს,
როგორც სიყვარულს, ისე ორგულების დრამას.
გ. ლეონიძის ლირიკისათვის საესტეტი უცნობაა
პოეტური ინდივიდუალიზმის სივიწროვე და სიმ-
ძაფრე, იგი სავსე ხმით უმღერის ყოველგვარ
მოვლენას ამ ცხოვრებაში, ყოველ მის ღირსეულ
გამოვლინებას. მავალითად, იგი იხსენებს ჩვენ-
თვის ერთის შეხედვით უმნიშვნელო ამბავს
მისი თანასოფელი ზაქროს შესახებ; ეს ზაქრო
ჩვენზე მანიაკის შთაბეჭდილობას ახდენს:
აგერ სოფელში განქარბით მოდის მალაი,
ოდნავ წერწებთა მოხუცი გათეთრებული წვერ-
ულვაშით, — ჰყვება ავტორი. — იგი ჯობს იშვე-
ლებს. აქვს მოძრავი შვიი თვალები და გამზღა-
რი, ფერმკრთალი სახე. ზამთარ-ზაფხულ ცხვრის
ტყაუპუი და ფაფახი ჰხურავს. მას ცხელა. მარი-
ლიანი წვეთები სრიალებენ ნაოჭებში, მაგრამ
იგი უღრეკად მიიბიჯებს ყველაზე დიდ ხვატ-
ში. მხოლოდ მისმა შინაურებმა იციან, რომ იგი
ავად არის; მას სიცხე აქვს, სახე უხურს, ფეხებ-
ში სისუსტესაც გრძნობს, გული უძგერს, მაგ-
რამ ლოგინს ახლოს არ ეკარება, ჯიუტად გა-
ნაგრძობს ზეწურვრად ყოფნას.

— ზაქრო, დაწეი, — თხოვევ შინაურები.

— როგორ თუ დაწევი? არასოდეს! დაწევი,
რომ მტრის თვალი გავახარო?! — და ისევ უმბ-

ტებს შემოფთებულ სიარულს. პოეტის ნებაში
ნებაში დარჩა ეს ადამიანი, მაგრამ არა ისე,
როგორც სახე ერთი უცნაური ადამიანისა, არა-
მედ როგორც განუზღებრი ნების შეუპოვრობის,
მედგრობის განსახიერება. ცხოვლად შერჩა მე-
სიერებს კიდევ ერთი ადამიანის ხატი. იგი
სოფლის მეზამლა, ერთადე თავის ტყავეებში და
ხელსაწყობში ჩაფლული. ამიტომაც, ალბათ, არ
მოვლოდა მისგან არავინ იმას, რასაც იგი სჩა-
დიოდა ყოველი კვირაძალის წინ; იგი ანთებდა
სანთელს შოთა რუსთაველის სურათის წინ, მას
ერქვა ისე, და ღრმად სწამდა, რომ რუსთავე-
ლის პოემა ხალხს გამოგზავნილი აქვს საჩუქ-
რად ციდან..

გიორგი ლეონიძის მოგონებით, ბეშეობაში
მისი ტოლური სოფლად ცისარტყელას მიხედ-
ვით ამგვარად წინასწარმეტყველებდნენ: თუკი
ცისარტყელაში სჭარბობდა მწვანე ფერი, პურას
კარგი მოსავალი იყო მოსალოდნელი; თუ წითე-
ლი — მაშინ ღვინის მოსავალი იქნებოდა კარგი;
თუ ყვითელი ფერი ყველაზე შესამჩნევად იყო,
მაშინ სიმინდის ბარაქიან მოსავლს ელოდნენ!
ბეშეობაში პოეტს ალბათ ისიც სჯეროდა, რომ
ადამიანთა რიცხვი მიწაზე შეესატყვისებოდა
ვარსკვლავების რაოდენობას ცაში; რომ ბაეშ-
ვის დაბადებისთანავე ცაზე ახალი, ბედის
ვარსკვლავი ამოდიოდა, ხოლო როდესაც ციდან
ვარსკვლავი მოსწყდებოდა, ეს იმას ნიშნავდა,
რომ ვიღაცა მოკვდა. როგორც ყველა მისი თა-
ნატორი ბიჭი, ამ შემთხვევაში იგიც სამკერ
გაიმეორებდა: „შენ წადი და მე დავრჩები-ო“;
თუ მსხვილი ვარსკვლავი მოსწყდებოდა ზეცას,
ეს ნიშნავდა, რომ ვარდაიცვალა დიდი ადამი-
ანი: პოეტი, მხედართმთავარი, ფილოსოფოსი...
ბეშეობაში მომავალ პოეტს და მის ცანკალებს
ღრმად სწამდათ, რომ შვიდ წელშიაღმეო ერთხელ
ცა იხსნებოდა და ვინც ცის კარს გახსნილს
დაინახავდა, ყველაფერს ეწეოდა, რასაც კი
გულში ინატრებდა. ეს პატარები აპრილის წვი-
მას თავს ურთავდნენ და თავიანთ შიშობას ატყ-
ბობდნენ ერთდერთი მათთვის მისაწყდომი
წარმტაცი სანახაობით: ცისარტყელებით, მზის
პირის ზანვით, იებთ მორთული პატარძელის
მდგლოთი, ან ვარსკვლავების ღამეულ ცაზე
სრიალოთ... სწორედ ამგვარად ყალიბდებოდა
პოეტის მდიდარი, გამახვილებული პოეტური
წარმოსახვა და შემოქმედების მადლიანი კალ-
თა ამ ცის ქვეშ დაებერტყა.

როცა წვიმა აპრილისა ტყეებს აზანზარებს,
როცა ცაზე ცისარტყელამ შვიდჯერ დაიკოჟ-
როს, —
მაგონდება: თავს ვუშვერდით პირქაფიან
ღარებს,
და გვეგეროდა: სქელ ქოჩრებზე დაგვიდოდა
ოქრო...



ირმის ძუძუ შხაბუნებდა, მინდვრები ესეოდა, ცისარტყელა ბრიალებდა, ვით ხოხობის ყელი, ჩვენ კი, — ოქროს ხუჭუჭები სიხზარად გვეზრდებოდა...
ხუჭუჭები, ხუჭუჭები, ოქროდ დასახვევი...

ეს ლექსი — „ოქროს წვიმა“ პირველი ბავშვური შთაბეჭდილებებით არის შექმნილი. და განა ვასაკერია, თუ ნამდვილი შთაგონებით და პოეტური თრთოლვით აავსებდნენ რომანტიკულად განწყობილ ყმაწვილს ის თქმულებანი, ლეგენდები და ბალადები, რომელთაც მას შრობელ დედა უამბობდა და რომელნიც შემდეგ კიდევ დიდხანს სჯეროდა და მათში ეჭვიც არ ებარებოდა! მართლაც ძნელია ეჭვი შეგებაროს ასეთი მშვენიერი თქმულების ნამდვილობაში... ჩემს ბავშვობაში, — იგონებს გ. ლეონიძე, — დიდხანს მწამდა, რომ შვიდ წელწიწადი ერთხელ, ღამით წყაროებსა და ნაქაღვლეებში წყალი იძინებს. მჯეროდა, რომ, თუკი ჩუმად მივეპარებოდი, ისე, რომ წყაროს არ ვაღვიძა, ყველაფერი, რასაც კი მინარე წყალში ჩავაგდებდი, ოქროდ გადაამქცეოდა...

ამ სათუთი გადმოცემების გვერდით პოეტი ხატბად ეცნობოდა შრობელი ქვეყნის დრამატიზმით სავსე ისტორიას, რამაც კიდევ უფრო გამამაძრა და ეცხლი შეჰმატა მის შთაგონებას, მსოფლშეგრძნებას. თითქმის არც ერთი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში არა ვაგვეს ისტორიზმის ისეთი მკეთერი შეგრძნება, როგორსაც ჩვენ გ. ლეონიძის პოეზიაში ვნახულობთ. მისი წარმტაცი სასიყვარულო ლირიკაც კი წარსულის მწველი აღქმით არის გაზავებული. თავის ცნობილ „ნინოწმინდის ღამეში“ შეყვარებულ პოეტი თავს ხაზარს ადარებს, ხოლო სიყვარულის ძალას — ტამერლანის ხმლის მოქნევას. ამგვარ მეტაფორებს არა მარტო უჩვეულობა, მოულოდნელობა შეაქვთ ლექსში, არამედ. აღქმის სიმამართლე. „ნინოწმინდის ღამე“ ქართულ თანამედროვე პოეზიაში მუდამ გამოირჩევა ბრწყინვით, უჩვეულო პათეტიკით, არტისტულობით და იმ დუღილით თუ თრთოლვით, რომელიც პოეტმა ნინოწმინდის ღამეს მიაწერა: „საზანდარმა ღამე აცახცახა“... როდესაც აბრე ამ ლექსს ვკითხულობდი, ყოველთვის მეჩინებოდა ათაბაგის ქალის მკერდის შედარება ოქროს კლმახებთან. საერთოდ ოქრო მეტად არაპოეტურ, არაესთეტიკურ სამკაულად მქონდა წარმოდგენილი ლექსში.

...მე მიგტერი ღამეს ზამბახების და სიყვარულს ათაბაგის ქალისას; ძუძუები ოქროს კალმახები, წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

შესამე სტრიქონი მე მერჩივნა ამგვარად ყოფილიყო: ძუძუები ვერცხლის კალმახები... მაგ-

რამ უფრო გვიან დაეფასე ის ცეცხლგამაგანთება თუ ალის ფერი, რომელიც მისი რეზას აქვს და მძლავრი ეროტიკულობის იერს აძლევს სტრიქონს, მთელ ლექსს. არის ნაწარმოებანი, რომელთაც უღარებენ, აიგივებენ ავტორთან. ამბობენ — მწერლის პიროვნება ყველაზე მკაფიოდ და სრულად სწორად მათში გამოჰმავდალა. გიორგი ლეონიძესაც აქვს ამგვარი ნაწარმოებანი, რომლებშიც მან თავისი პოეტური შესაძლებლობანი სრულად გამოავლენა; ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს „ნინოწმინდაზე, შეიძლება არსებითად განმეორდეს მის შემოქმედ პიროვნებაზე და პირიქით. გ. ლეონიძემ შეძლო რამდენიმე თავისი შედეგებით გამოეძერწა საკუთარი მძლავრნაკეთიანი პოეტური პიროვნული. მისი პოეზიის ნაკეთები ენერჯული, თითქოს სტიქიური ძალის მატარებელი, უღარესად კომპაქტური არიან და ხშირად დაუმუშავებულ, ვეება კლდის ნაგლეჯს ჰგვანან. „ნინოწმინდის ღამე“ ამგვარ დაუმუშავებულ კლდის ნაფთუს წააგავს, თუმცა მისი სილამაზე ამ თავისებური ბუნებრივობის გამო უფრო მწველია, დაუმრეტელი.

ახალგაზრდა პოეტის დიდ, ჯერ ისევ დაგუბებულ ძალას გრძნობდა ს. ესენინიც, როდესაც მან, იმეფიანდ უკვე სახელმწიფოებრივმა პოეტმა, თბილისში ყოფნისას ონავრულად მოისურვა მასთან „ღუღელში გასვლა“.

— Я вызываю тебя на дуэль! называю секундантов! — უთხრა ესენინმა.

ლეონიძე, რომელიც ყველაზე ნაკლებად სწორედ ამას მოელოდა, დაიბნა.

— Завтра в 6 часов утра, на Коджорском шоссе!

— Я не понимаю, что за детский разговор!

— Не волнуйся, будем стрелять холостыми, а на другой день газеты напечатают, что дрались Есенин и Леонидзе, понимаешь! Неужели это тебя не соблазняет?..

„ღუღელი“, ცხადია, არ შედგა, ორი ერის ორმა დიდმა პოეტმა სახელის განთქმის ამგვარი გზა არ აირჩია.

გიორგი ლეონიძის ლექსები მეტად ხატოვანია, ხოლო ეს ხატოვანება დახვეწილი პლასტიკური მეტაფორებით არის განხორციელებული. იგი იშვიათი მხატვრობითი ჰქმნის სახეს და აქცევს მას თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად. ლექსის ხატოვანება პოეტური აზროვნების არსებითი, თითქმის ერთადერთი გზაა მისთვის. გავყვეთ ამ გზას. როდესაც მწერალს სურს გადმოგვეცეს ის უხილავი ძალა, რომელიც მოიცავს შეყვარებულ ადამიანს და მას უჩვეულო სიმსუბუქეს ანიჭებს, იგი ამბობს: „ჩოხა წვიმისა მეცმევა და ყაბალახი მთვარისა“; მხატვრული



პერსონიფიკაციის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ის, რაც პოეტმა გამოიყენა ყანაში გამოქროლილი ქარის დასახატად: მიყვარს ნიაგზე ყანა, ქალივით მოსახვევინად რომ წამოვაო. პლასტიკური სინატივით და ექსპრესიით არის წამოყალიბებული ახალგაზრდა ადამიანის ნაბერწყლით სავსე გრძნობები, რომელსაც ენახება ყოველი „განვლილ დღეთა კრებულო“ („სიმღერა პირველი თოვლისა“). ეს ნაწარმოები ნამდვილი არტიტიზმით არის აღნიშნული.

ეს თოვლია, თუ მიმინობ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ ზავერდები...

ეს ლექსი დაუფიქრარი პლასტიკური სახეების მონაცვლეობზე არის აგებული. ოსტატურად არიან ჩამოქნილი მხატვრული სახეები ლექსში, სადაც ავტორი მისტრიის შრომელი დედის ხსოვნას (პატარა ქვაო პატარძელში“). პოეტი მადლიერების გრძნობით იგონებს წლებს, რომლებიც შრომის ზრუნვით იყო გამთბარი. თავისუფალ დროს დედა უკეთხვავდა მომავალ პოეტს სხვადასხვა წიგნებს. პატარასთვის ეს იყო ნანატრი წუთები. „სწორედ დღემ ჩამინერგა სიყვარული ლიტერატურისა და ისტორიისადმი“ — იგონებდა იგი უფრო გვიან.

შრომელი დედის სახე არაერთხელ გამხდარა პოეტისთვის შთაგონების საგანი (პატარძელულო“, „პოეტის დედა“) და პლასტიკურ ტონებში გამოსთქვამდა მეტად ნაზ დაღონებას:

ეკ, კაბის ნაცვლად მოლი გაცვია,
ლენჩაქის ნაცვლად — ნისლი გახურავს...

ერთ ლექსში პოეტი აღნიშნავს, რომ ბევრი ხეობა ვადაილიხავს, ბევრი რამ გადამხდომია დაჲს, მაგრამ მინც გამოვალ წიგ, „მო, რჩი ტყეობას, იცი რით? — ლექსში ევეხვის ნახტომით!“, იმით, რომ ღირსეულად აესახე ის, რაზეც ვული მტკიოდაო. რაზე სტკიოდა ყველაზე მეტად პოეტი გულზე? ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თითქმის არცერთი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში არ უკავია ისტორიული თემის დამუშავებას ასე ფართო ადგილი, როგორცაა ჩვენ გ. ლეონიძის ნაწარმოებებში ვხვდებით. მაგრამ ისტორიზმი გ. ლეონიძისთვის არ გულისხმობს დღევანდელი სინამდვილისათვის პირის არიდებას. ყოველი მისი წარსულის თემაზე შექმნილი ნაწარმოები ერთი თავისებური ლიტერატურული ხერხია პოეტის მიერ სხვადასხვა საშუალებით გამოხატული მაღალი პატრიოტული გულისტკივისი, სიყვარულის გამოვლენისა. მის ცნობილ „ქართლის ცხოვრების“ ციკლში და სხვაგან ისეთივე წრფელი და სამშობლოს სიყვარულით მფთქავი გუ-

ლი ძგერს, როგორც ეს იგრძნობა დღევანდელი სოციალისტური საქართველოსადმი მიძღვნილ ნამდვილ მამულიშვილურ ნაწარმოებებში. ეს ნაწარმოებები ღრმა ადამიანური განცდით და გრძნობის სიჩვილით გამოირჩევიან, მაგრამ უფრო ხშირად ისინი ჩვენი სამშობლოს ისტორიის მწერალ დღევანდელ არიან ნაყარხავენი და მათი დაძაბული ტონუსი, შინაგანი წრეცა და ექსპრესიულობა თვალნათლვ მოგვაგონებს, თითქოს გვაგრძნობინებს საქართველოს ნახევრად ზნელი წარსულის სისხლიან კორიანტელს.

სამშობლოს სიყვარულს, მისი დაცვისა და თავგანწირვის ძლიერ გრძნობას ბევრ ხელოვანში გამოუწვევია აღმადგინა. პატრიოტული თემა მუდამ მაღლიან, ნაყოფიერ შედეგს იძლეოდა. ლიტერატურის ისტორიაში ალბათ ძალზე ბევრი მხატვრული შედეგები მოიპოვება, რომელიც საზრდოს ამ კეთილშობილი გრძნობიდან იღებდა. განა ექვის შეტანა შეიძლება იმაში, რომ, თუ ალექსანდრე ბლოკს მართლაც თავდავიწყებამდე არ პყვარებოდა თავისი ქვეყანა, იგი, თავისი შეუღარებელი ტალანტის მიუხედავად, ვერ შექმნიდა პოეტურ ციკლს „კულოვოს ველზე“. ეს ნაწარმოები დიდ ტკივილთ, სისხლიანი ცრემლით და უნახესი სიყვარულით არის შექმნილი. პოეტი მასში დასტრიალებს თავისი სამშობლოს ბელს როგორც მის შორეულ წარსულში, ისე მომავალში. იმ დღის ექსპრესიის, ვეყატური შემართებისა და მძაფრი სიყვარულის გამო, რაც ბლოკის ამ ნაწარმოებს გააჩნია, ჩვენ გესურს იგი ლეონიძის ისეთ ნაწარმოებთ შევუღაროთ, როგორცაა „ქართლის ღამე“, „თემურის ხანძართ ნატისუსალი“, „ყივჩალური ღამე“.

გიორგი ლეონიძის ამ ნაწარმოებებში ყველაზე მწვავედ არის ასახული წარსულის სურათები, როდესაც საქართველო აღმოსავლეთის მძლე ტირანთა თარგვის საგანი იყო. ამ ლაქსებში საოცრად ხელშესახებად, უტყუარად არის ვადმოცემული ცხელი სუნთქვა ხანძრისა და უდაბნოსი, სიღინაც დამპყრობნი ადგებოდნენ საქართველოს, ერთი მხრივ, და ასეთივე მწველი სუნთქვა და ბოროტარი ვნებები იმ დამპყრობ სარდლებისა, რომელთა ნებას, სისხლის წყურვილსა და საკუთარ უზრეტ სურვილთა „წამლის“ ძებნას, მეორე მხრივ, აობრებამდე მიპყავებთ ქვეყნები.

ორ ბრწყინვალედ შესრულებულ ლექსში „ქართლის ღამე“ და „თემურის ხანძართ ნატისუსალი...“ (ციკლიდან „მოგზაურობა სამშობლოში“) პოეტი ავკიწერს იმ სტიქიონურ ვნებებსა და ისტორიულ კატასტროფებს, რომელნიც მატინანში თემურლენგის მკენივარე სახელიან და მის სახმედრო ოპერაციებთან არის დაკავშირებული. მწერალი გვაგრძნობინებს, რომ იმგვარი ადამიანები, როგორც ჩინგის



ყენი ან თემურლენგი იყენენ, მიწას თითქოს ემიმბობოდა, მათი ნაკვალევი, აღბეჭდილი სისხლით, ცრემლით და ხანძრით, მასში ტყეილს იწვევდა... გ. ლეონიძე ოსტატურად გადმოგვიცემს პოეტური ქართული პეიზაჟების გაშლილ ფონზე დრამატიზმით საესე სურათს, როდესაც ქართლი „ერთ წაშში“ გაისრისა მონღოლი ურდოების მიერ.

წყნარად ქათქათებს ზეცა კრიალა,
უხმოდ მოსკურავს ჩქერებში ტივი...
ეჰ ისტორიამ ვადიგრაიალა
და მიწა ჩუმაღ ისინჯავს ტყეილს...

მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბურში,
თამარის სახის დასადავლი.
მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ჭურში,
ფოთლის არხევის არსად არ ელი...

უცხად მეყნოსა სუნი დამწერისა,
თემურის ხანძარი ნატისუსაი,
თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა
და ერთი ფეხით ვერ მიუღუსწარი...

ისტორიულ-პატრიოტული ლირიკის შედეგად — „ყიჩაღურ დამწერში“ ავტორი თითქოს ირონიულად ათვალერებს წარსულის ვანკმოკიდებულ ფურცლებს, რომლებიც გვაუწყებენ ჩვენი ისტორიული მტრების არასახარბილო ბედს. ახლა ყიჩაღები მიწის ქვეშ, შავ ყურდანებში წვანან და სიზმრადღა ხედავენ ავღბულ რომის პალატებს, ღონის ნაპირებზე გარმონის დამკვრელ ქალებს, დარბაისს კლდეებს... ლექსი საოცარი გამომსახველობითი ძალით არის შექმნილი და მისი ექსპრესიული უნარი უმაღლეს მწვერვალს აღწევს მაშინ, როდესაც ავტორი გვამცნობს, რომ მიწიერი დიდებისაკენ ამოა სრავლავდ ვერც საფლავებში მოთუტანა ყიჩაღებს სულიერი სიმშვიდე:

როგორ გატორეს ერთბელ ტრამალი,
როგორ ამტრევედნენ გულის ფიცარისა;
მაგრამ ვერ ნახეს ქვეყნად წამალი
და გამწარებით ხრავენ მიწასა!

გ. ლეონიძეს უყვარს ისტორია, აქვს მისი პოეტური განცდის უნარი და კარგად ეცნობს ისტორიული წარსულის მწვერვალ გაცვეთილების მნიშვნელობა. ერთ თავის ბოლო დროს შექმნილ ლექსში „დროშა“ იგი ისევე ჩვენი ერის გმირულ წარსულს უბრუნდება. ლექსი პოეტურ დიალოგს წარმოადგენს პრალამი მცხოვრებ ერთ მესიტორიესა და ავტორის შორის. ჩვენი ისტორიკოსი, რომელმაც იცის, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ სახელმწიფოთნი თავისი ბაიარაღის ფერთა შერჩევას, ეკითხება ქართველ პოეტს — რა ფერისა იყო სულ ძველისძევილი ქართული დროშა: „ფეხი დროშისა ბეგრის მიქმელია, თანაც სიმაგრე დროშის ტარისა“—ო. პოეტი პრადელ მეცნიერს უხსნის, რომ ფერი

ქართული დროშისა იყო შინდის, შავი ვარდისფერი შემოვლებული. იგი უმარტავს უცხოებულს...
ომში ხალხის დაღვრილი სისხლის საპატევიცემულოდ იქნა ძოწული, „სისხლური ფერი“ აღიარებული ქართველთა დროშის ფერად. ხოლო ჩვენი წარსულის შავ ღდეებს მოასწავებდა შავი არშია. ამ უკანასკლავ ინტერპრეტაციაში შეიძლება შევედვათ პოეტს, რადგან საეჭვოა გლოვის, ტრაურის ფერი ერს თავის დროშაზე გამოეხატა. შავი არშია ქართულ დროშაზე უფრო პირქუში რისხვის თუ სხვა რაიმე უფრო ღრმა სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს.

გიორგი ლეონიძის მთელ პოეზიაში თითქოს მხედრული სული სუფევს. მისი ლექსების დაკვირვებით გადაკითხვის შემდეგ მესხიერებაში გვრჩება სწორედ ისინი, სადაც ლაშქრულ-ასპარეზული მოტივები არის გაბატონებული. როგორც ამბობენ, ეს შემთხვევითი არ არის. შემმართებლური, მებრძოლ-რაინდული ტონი მიუცილებელია გ. ლეონიძის მსოფლშეგრძნებისთვის, სხვაგვარად მას არ შეუძლია ამ ცხოვრების მიღება, მორალური კმაყოფილების შექმნა. მის ლექსებში აბჯრბიანი ცაქცილი ერთმანეთს დაუზოგავად კავავენ, ლეწუნ, თავს უბობენ და შუაზე კვეთავენ, ხან კი შუალაზისას მოულოდნელად ქეითინებენ („ძველი საქარაველო“), ან „ველი ხშითა და გულით მღერბიან, აქათებელი ჯამებთი ერთმანეთის სადღერბელოებს ამბობენ. მათი ჩაცმულობა ხშირად უფრო მთიელი ქართველების გარდერობს გვაგონებს, ხოლო მათი გრძობების უშუალოდა და სიძლიერე „ბანტრიონისა“ და „სტუმარ-მასანძლის“ გმირთა განცდებსა და გულსისახლის.

1957 წელს დაწერილ ლექსში — „რემინისციენციები“, სადაც პოეტი უჩივის ქალარის უღროოდ და უადგილოდ შემოპარებას, მისთვის დამახასიათებელი შეუპოვარი ინტონაციებით ამბობს: „ჩემმა მზემ რაჯინდ დაიხასხვრეთოს, ლექსთა ლაშქარს შევაესებ, როგორც ბანაკს სამხედროს!“ გ. ლეონიძეს, ყოველგვარი მხატვრული მეტაფორისა და შედარების გარეშე — თავისი ლექსები წარმოუდგენია მხედრულ-რაინდულ ბანაკად, სადაც თვითონ მთავარსარდალი არის; ამ გმირული სულის ბანაკში ჟღარტუნოს ნინოწმინდის ხმალი, ისმის ყიჩაღური ყიყინა, მათი იერიშების ქარიშხალი, ხოლო თვით მთავარსარდალი „ნაქვრალ“ ცხენს თხოულობს, რათა სანქტორად გადვენოს წყალგამა გასულ დაფეთებულ მტრედების გუნდს, რომელთაც, თურმე, მისი ახალგაზრდობა გაუტაციათ!

გ. ლეონიძე შედარებით იშვიათად, მაგრამ ოსტატურად იყენებს ლირიკულ დეტალებს. ამგვარი დეტალები ლექსში მეტად დასამახსიერებელი, შთამბეჭდავი და ქვეტექსტული აღჭურვილი არიან. ასეთია მისი ცნობილი „დილა კაწანისის ბაღში“, რომელიც შინაგანი გამომსა-



ხელობითი ძალით გამოირჩევა, ხოლო ამ ნაწარმოებში შექმნილი დეტალები ავტორის დიდი ლირიკულ შესაძლებლობებზე მეტყველებენ. ლექსში ეს დეტალები კონდენსირებულ პოეტურ გარძობებს შეიცავენ:

სხივთან ერთად ჩაზოვარდა ხიდან
ჩიტისაგან დაკეცილი თუთა...

ან კიდე:

ხე შეირხა მიმობლილი ფრთებით,
მტრედის გუნდი დაფრინდა ცაებებს...

ენერგიული, მძლავრი შინაგანი ტონუსით შექმნილი სახეების გვერდით პოეტი ჰქმნის ნაზ აკვარელებს. მის ხშიერ პოეტურ სამყაროში ისარი განსაკუთრებულად გამოირჩევიან, შეაქვთ მასში სირბილე, პოეტური სურნელი და ერთგვარი სისათლეთე გარძობისა:

მის თითებშუა ჰყვოდა ვარდი,
ვინც დაირხია მღერით საყელო
და ჩამოზიდა მიწად ლავეარდი...

პეროვნებით და მაღალი შთაგონებით გამოირჩევა მის პოეზიაში ლექსი, მიძღვნილი ნინა ჰუცუავაძისადმი. ეს ნაწარმოები მშვენიერების ქართული პიმნია. ამ ლექსში ჩანს მოკრძალებმა თუ პატივისდება, რომელსაც პოეტი წინაპართა მიმართ იჩენს, მაგრამ უფრო მეტად — ის ნამდვილი თაყვანისცემა, რომელსაც სილამაზე აღძრავს მის პოეტურად მომართულ სულში. პოეტის წარმოსახვას და შთაგონებას ავსნებს ამ ქალის არა ტრაგიკული ბედი, არამედ უჩვეულო მშვენიება, თუმცა მისი ნამდვილი პორტრეტი არ შენახულა. პოეტის მგრძობიარე ფანტაზიისთვის სკამარისი გახდა ვადმოცემები, თქმულებები მასზე...

ვიორგე ლეონიძის ყველაზე უნაზესი ლირიკის გვერდით ჩვენ ვხვდებით მამულის ბარაქით, დოვლათითა და ჯანით გახარებულ, ამეტყველებულ სტრიქონებს. ისინი ხშირად სომატურად, პოეტისმეტად ხორციელად გვეჩვენებიან, მაგრამ სინამდვილეში კი შემოაქვთ ჩვენს თანამედროვეობაში, ჩვენს სულში სიჯანსაღე, სიცოცხლის წვეწვით დატკბობის განცდა, კუნთური ენერჯიის ბედნიერი, დიმილიანი შეგარძნება:

მე შემოველ კახეთიდან, თან შემომყვა მისი
შუქი,

მე სავეც ვარ ივრის ჯანით, ალაზანის
სიკაბუკით!

კახეთი, მისი მოჭარბებული სიმდიდრე შემთხვევითი თემები არაა გ. ლეონიძის შემოქმედებაში. მისი აზრით ღონიერი თქმები და მწიფე სიტყვები, რომლითაც მეტად ნაყოფიერი და მსხმიარეა გ. ლეონიძის პოეზია, სწორედ კახეთის ლანდშაფტებიდან არის ამოკრეფილი,

მისი თქმულებებით და მითებით დაღვრული ბული. პოეტის ბავშვობაში ჯერ ისევე გრძობდა ლი იყო ძლიერი გადმონათები მიდოფერების რომელიც უძველესი წარმართული დღესასწაულებისა. ერთი ამგვარი წარმართული მისტერია გაზაფხულობით მის სოფელშიაც ეწყობოდა. დილადრიან მამაკაცები მიდიოდნენ სახლიდან სხვადასხვა წესრეულებათა ჩასატარებლად. მათ დაბრუნებამდე სახლის კარებს შიგნიდან გადაკეტვდნენ და კარებთან ერთ-ერთი ოჯახის ქალი ელოდებოდა. საღამოს მამაკაცები შინ ბრუნდებოდნენ და ოჯახის თავი სთხოვდა კარებთან მოდარაჯე დიასახლისს, რომ კარები გაეღო. დიასახლისი აძლევდა მას კითხვებს და იქამდე არ გაუღებდა კარებს, სანამ ყველა მათგანზე პასუხს არ მიიღებდა.

— ხარებმა არა თქვეს? — ეკითხებოდა დიასახლისი. — თქვეს, რომ კაცი და უღელი დაამზადეთ, ჩვენ კი მზადა ვართო!

— ძროხებმა არა თქვეს? — სახბორე დაამზადეთ, ჩვენ კი მზადა ვართო!

— ცხენებმა არა თქვეს? — საკიციე დაამზადეთ, ჩვენ კი მზადა ვართო!

ქალი ამგვარსავე კითხვებს აძლევდა ქათმისა თუ სხვა შინაური ფრინველის შესახებაც. ამ გრძელ სიამში მონაწილე ოჯახის ქალიც იყო მიძღვნილი:

— ქალებმა არა თქვეს? — აყენები დაამზადეთ, ჩვენ კი მზადა ვართო!

ამის შემდეგ დიასახლისი და სხვა ქალები აებდნენ კარებს, ვახშამი მზად იყო და იწყებოდა ერთი საერთო მიზარულება. პურობის დაწყების წინ აუცილებელი იყო პირველი სადღეგრძელო: „საქონლის ანგელოზო, შენ ისხენი ჩვენი საქონელი ნადირისაგან!“

მოსავლესა და ნაყოფიერებს ეს წარმართული მისტერია და ორგანულად შეისისხობოცა გ. ლეონიძის პოეზიაში. მისი პოეზიის ჯანმრთელი, სისხლჭარბი საწყისები სწორედ აქ არის დასაძებნი. ამგვარი პოეტური ფეხეები აქვს ამ ორობე წინ შექმნილ მის „მეკვლეს სიტყვასაც“. პოეტი სამშობლოს მეკვლედ გვევლინება. მის თითქოს სჯერა, რომ კეთილი სიტყვა გზას იკვლევს საოცე ჯერ არს, და ამიტომ იგი არ იშურებს სიტყვისა და გრძნობის ბარაქას.

ვდგვივარ, როგორც მუხის ძირი,
ჩემი მუხლი არ მოხრილა.
მოგილოცავთ! შეგაგებებთ
შოთის პურს და თავლის ხილარს!
რძე მომსკადარი ზღვათა ოლნად,
რწყავდეს ბაღნარ-მინდორ-მდლოსს,
მოარწყვდეს მტრედი აკვანს, —
საქართველოს სასახელის!
ჰაი, სახლო, გაძლიერდი,
არ მოგაკლდეს ჩემგან რჩენა...

ხანდახან დოვლათისა და ხორცსავსებობის კულტი თვითმიზნურად არის პოეტის შემოქმედებაში წარმოდგენილი და ზოგჯერ იგი რაბლეს შესაფერი ყალბით შესრულებული ჩანს:

...ვაზი თორმეტი ფურის ნაწველი,
დასხული ოქროს ბარძიმივითა,
წინანდლის ღვინო დედისრძიან;
თაფლი, ხეებზე ჩამოღვენილი,
ბროწეულის ხე წყაროებითა...

ქართველი ადამიანის დაწაფება სიცოცხლისადმი, მისი შეურყენელი და გმირულად განწყობილი ფსიქიკა, ისტორიული რომანტიკა და აღმოსავლეთის კოლოზიტინი ცა, რომლის სიღრმეს ხარბად მისჩერებოდა პოეტურად განწყობილი პატარძელის ახალგაზრდა მკვიდრი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მისი, როგორც მხატვრის საბოლოო ჩამოყალიბებაზე და პოეტიც ბოლომდე მათი ერთგული, უშუალო მომღერალი დარჩა. მაგრამ ეს ადამიანები მას არა მარტო ხიბლავენ და სამღერლად განაწყობენ, ან აოცებენ, ხშირად დაუფარავი ირონიის საგანნიც ხდებიან. სოფლის პატარა მკვიდრი ამჩნევს, რომ ზოგ მის თანამემამულეს გარეგნობით აშკარად ატყვიო, რომ ისინი ძველი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის პირმშონი არიან, მაგრამ ხშირად მათ ნიჟს, კოლორიტიან ბუნებას ვერ უპოვია გამოსავალი, თავისი ადგილი თანამედროვე სამყაროში.

გ. ლუონიძე მუდამ დაეძებს და პოულობს ნამდვილად ხალხურ, ეროვნული სხივით განათებულ პოეტურ თემებს. იგი მკერდმოშიშვლებული ძველი რაფსოდიებით მოგზაურობს თა-

ვის სამშობლოში, ყურს უგდებს ყოველგვარ თქმას, გრძნობით შეფერილ სიტყვას, რათა ისინი უკვალოდ არ დაიკარგონ, და აძლევს მათ დიდ განმარტავადებელ მხატვრულ მიმართულებას. პოეტური „დაცვისა“ თუ განზოგადების ამ მომენტს თავის შემოქმედებაში იგი ამგვარად გამოთქვამს: „არ დაეცემა მიწაზედ აქლერებული სიტყვები“. პოეტური შთაგონება და დამუშავება მის წარმოსახვაში სიმაღლესთან არის დაკავშირებული: „კიდევ ერთხელ აღი მაღლა, კიდევ ერთხელ, ლექსო, კიდევ“ — მიმართავს პოეტი საკუთარ სტრუქტურებს. მაღლა, ყველაზე მშვენიერ სიმაღლეებში მას მისი მშობელი ხალხის შემფასებელი გემოვნება და პოეზიისადმი მიძღვნილი დიდი სიყვარული ეგულება. გიორგი ლუონიძე არა მარტო პოეტური ხალხურობიდან ამოდის, იგი ამისკენ მისიწრაფვის კიდევ. თავის ერთ-ერთ ბოლო ხანებში შექმნილ ლექსში — „ბრილის წყარო“ იგი ოცნებობს, რომ მისი სიტყვები ყოფილიყოს ხალხის გულზე გადამწვდარი, თუმცა კი იცის, რომ მისი ეს პოეტური ოცნება კარგა ხანია რაც მშვენიერ სინამდვილედ იქცა:

და ვით ხალხი —

ბრილის წყარომ,
ისე ხალხმა შემიწყნაროს!

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთ ხევსურეთში მივლინებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა ექსპედიციამ ჩაიწერა ორი ლექსი გიორგი ლუონიძისა. სახალხო მთქმელები მათ თავისად მიიჩნევდნენ...



მუკაბა გვიჩვენებს

შემოქმედებითი ღონისძიებების გზაზე

ამ უკანასკნელ წლებში სალიტერატურო კრიტიკაში ხშირად შევხვდებით აღიარებას, რომ ქართული მხატვრული პროზა ამჟამად გამოვიდა იმ ერთგვარი „ჩიხიდან“, რომელშიც ომისშემდგომ წლებში „მოექცა“, და მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. ეს არ არის ლიტერატურული კრიტიკის ლიტონი განცხადება, არც მხოლოდ პროზის ოსტატების წახალისებისა და გამხსნელების მიზნით გამოთქმული გადაჭარბებული შეფასება. ზოგი იმასაც ამბობს, ქართულმა მხატვრულმა პროზამ უკანასკნელ წლებში პოეზიასაც კი გაუსწრო განვითარებაში (ეს სულაც არ გულისხმობს, რომ ქართულ პოეზიაში ამ პერიოდში სულ არაფერი ან მხოლოდ მცირე რამ დაიწერა საინტერესო და მნიშვნელოვანი). იქნებ არც ეს მოსაზრება იყოს საფუძველს მოკლებული. მართალია, ქართულ ლიტერატურაში მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პოეზიას მუდამ დომინირებული მდგომარეობა ეჭირა, და ეს არ შეცვლილა თვით მე-20 საუკუნეშიც კი, როდესაც მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაწყებული პროზის ხვედრითი წონის ზრდის პროცესი დღეს უკვე საუკუნოდ აღარავის მიაჩნია. მაგრამ ამ ბოლო ხანს მართლაც შეიმჩნევა, რომ ქართული პროზა უფრო მეტ ინტერესს იჩენს თანამედროვე თუ წარსული ცხოვრების მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, უფრო მეტი ინტენსივობით ვითარდება, ვიდრე ქართული პოეზია.

შეიძლება ეს ჯერ კიდევ სადავო იყოს, ისიც შეიძლება, რომ დადგა დრო, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ამ გარკვეულ კანონზომიერებას უნდა დავმორჩილონ ქართული კულტურაც, საქართველოც, რომელიც აქამდე პოეზიის ქვეყნად არის მიჩნეული, მაგრამ ჩვენ ამ საკითხზე დისკუსიისათვის არ წამოგვიწყია საუბარი, სიტყვამ მოიტანა და ვთქვით. ისიც კი უშუალოდ და უდავო, რომ ქა-

რთული მხატვრული პროზა ამ ბოლო ხანს სულ უფრო მეტად ახარებს ქართველ მკითხველს თავისი ახალი და ახალი ნაყოფით და ქართულ სალიტერატურო კრიტიკასაც მართებს ამ სასიხარულო ფაქტის იმედოვანი აღიარება.

კიდევ ერთი საკულისხმო გარემოება უნდა აღინიშნოს. ქართული პროზის აღმავლობაში მართო უფროსი თაობის მწერლებს როდი მიუძღვით ღვაწლი. ქართული პროზის აღიარებული დიდოსტატების კონსტანტინე გამსახურდიას, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვების მიერ ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ერთად, პროზის განვითარებაში თავისი საფუძვლიანი შემოქმედებითი წვლილი შეიტანეს, თუ შეიძლება პირობითად ასე ვუწოდოთ მათ, საშუალო თაობის მწერლებმა, რევაზ ჯაფარიძემ და მისი თაობის პროზაიკოსებმა. ამასთანავე ქართული პროზის სარბიელზე გამოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერი თაობა, რომელიც, თუმცა ჯერ კიდევ შემოქმედებითი ძიებისა და დღეის პროცესშია, მაგრამ ნამდვილად იმედის მომცემია. ამ უკანასკნელთა ნაწარმოებები თუ მეტს არა, ყოველ შემთხვევაში არანაკლებ უზრაღლებასა და აზრთა გატეხვა-გამოცვლას საპირობედ ავტორების შემოქმედებითი დაეჯიკების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ მკითხველის ყურადღება გვიანდა შევჩეროთ ახალგაზრდა პროზაიკოსის როსტომ ბეჟანიშვილის ახლახან ცალკე წიგნად გამოსულ რომანზე „სამამულე რქა“.

როსტომ ბეჟანიშვილს ქართველი მკითხველი უკვე საკმაოდ იცნობს, იგი რამდენიმე ვრცელი თუ მცირე ფორმის საინტერესო მოთხრობის ავტორია. მაგრამ, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ მწერალი უფრო დიდი პროზაული ტილოებისადმი იჩენს მიდრეკილებას. ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში დაწერა მან რომანი „ჯარისკაცის ბედი“, რომელიც, მართალია, მხა-



ტვრულად შედარებით სუსტი იყო, მაგრამ უკვე მიგვაჩვენებდა ავტორის მისწრაფებას ეპიკური ჟანრისადმი. ხოლო რომანმა „სამამულე რქა“, რომელიც ეურნალ „მნათობში“ დიბეკდა 1957-58 წლებში, წელს კი ცალკე წიგნად გამოვიდა, არა მარტო იმაში დაგვარწმუნა, რომ ავტორის ნიჭი უპირატესად ეპიკურ ჟანრში ცდილობს ხორცშესხმას, არამედ იმაშიც, თუ როგორ სწრაფად იზრდება და ვაკაცდება მწერალი შემოქმედებითი დაოსტატების გზაზე.

სალიტერატურო კრიტიკაში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ დიდი პროზაული ტილოს შესაქმნელად ავტორის შედარებით ხანდაზმულობა საუკრო, როდესაც დაბრთვოლია და პირად განცდებში გადადღეებულა უამრავი ცხოვრებისეული მასალა, როდესაც ახალგაზრდულ ემოციებს უკვე სჭარბობს ღრმა ინტელექტი, როდესაც სრულყოფილადაა გამომუშავებული „ესკიზების“ შექმნის ისტატობა, ამ პრინციპულად სწორი მოსაზრების უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც ეპიკური თხრობის შინაგანი მოთხოვნა მწერალში საკმაოდ აღრე იჩენს თავს. ეს მწერლის ტალანტის თავისებურებაზეა დამოკიდებული, რაც თავისთავად განსაზღვრავს შემოქმედის გარკვეულ სტილსა და ჟანრობრივ მიდრეკილებას. შოლოხოვს ორ ათეულ წელს ახალი გადანიჭებული ჰქონდა და მხოლოდ არამდენიმე მოთხრობის ავტორი იყო, როდესაც შინაგანად იგრძნო ეპიკურა ჟანრისადმი ლტოლვა და ტიტანურ პალატრას მოჰკიდა ხელი. საესებით სწორად მოიქცა მწერალი, როდესაც თავის შინაგან გულისთქმასა და მოწოდებას უფრო ენდო, ვიდრე ჟანრებისადმი ასაკობრივი მიეკრძობების თეორიას. არაკრთი მსგავსი მავალითი შეიძლება კიდევ გავგესხენებინა. ასე რომ ეპიკური თხრობის უნარი მწერლის შემოქმედებით ბუნებაზეა დამოკიდებული და ამ მხრივ რაიმე მკაცრად განსაზღვრულ კანონზომიერებას არ ემორჩილება.

ამიტომაც, თუ როსტრე ბეჟანიშვილი შინაგანად გრძნობს ეპიკური ტილოების შექმნის მოთხოვნისადმი, ვფიქრობთ, არ იქნება სწორი ვურჩიით მას დაიკოს ეს მისწრაფება და უფრო მოგვიანო პერიოდისათვის გადადოს თავისი შემოქმედებითი სურვილებისა და მოწოდების განხორციელება, ახლა კი მხოლოდ მოსამზადებელი, „ესკიზური“ სამუშაო შესასრულოს. მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ მას პირუთენულად, გულდასა და ვუთხრათ ჩვენი აზრი, რათა მწერალმა ყურადსაღები და ანგარიშგასაწევი გაითვალისწინოს შემდგომი მუშაობისას.

თავიდანვე შევიძლია განაცხადოთ, რომ „სამამულე რქა“ ქართული პროზისათვის არ არის სასხვათაშორისო რომანი; იგი საკმაოდ საინტერესო მოვლენაა, მაგრამ ამასთან ერთად,

ვფიქრობთ, ამ რომანში ჯერ კიდევ არასრულად გამოვლენილი ის შემოქმედებითი ტენდენცია, რომელიც ბეჟანიშვილს უნდა ჰქონდეს. ავტორი ჯერ კიდევ შორს არის შემოქმედებითი სიმწიფისაგან, იგი ჯერ მხოლოდ შემოქმედებითი დაოსტატების გზაზეა.

სასიამოვნო და მისასალმებელი ფაქტია, რომ ახალგაზრდა მწერალი თამამდ ჰკიდებს ხელს ასეთი დიდი მეოქის მხატვრულად გააზრების მეტად რთულ ამოცანებს. მწერლისათვის უთუოდ საუკროა შემოქმედებითი სითამამე (ამ სიტყვის კარგი ვაგებით), როდესაც იგი, რასაკვირველია, საღუმელთან რწმენას ემყარება, ჩვენი აზრით, რომანი „სამამულე რქა“ გააზრებულია როგორც, ასე ვთქვათ, მე-20 საუკუნის ქართული ყოფის მხატვრული ქრონიკა. ავტორის მიზანია არა რომელიმე ცალკეული ეპოქა გაცილებული მკითხველის წინაშე, არამედ მოგვეცეს მხატვრულად ხორცშესხმული სურათი ჩვენი განვითარებისა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან თვით სულ უკანასკნელ დღეებამდე. და თუ რამდენი უდიდესი ეპოქალური გარდაცვალები მწერლის ისტორიული მოწყვეთი, ამაზე საუბრის გავრქმელება არ მიგვაჩინა საუკროდ, იმდენად ნათელია ეს მკითხველისათვის. ასე რომ, მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ტვირთი იყო თავს მწერალმა, მან მიელ რიგ შემთხვევებში დაძლია ამოცანა, ზოგი რამ კი ამკარად ზერეულ და მხატვრულად არადაამაჯერებელი გამოუვიდა.

რომანი უთუოდ კარგად არის გააზრებული. მწერალს სურს რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა ტიპური სახეების საშუალებით მოგვეცეს ფართო სურათი ჩვენი საზოგადოების, კერძოდ კი ქართული სოფლის განვითარებისა, იგი ამ ამოცანას ნიკასა და ხარებას შთაბრძნავლთა საშუალებით ახორციელებს, ამას თვით სათაურით მიგვაჩვენებს. მართალია, ხალხური წარმომოების გამოთქმა „სამამულე რქა“ ეენახთან, ვაზთანა დაკავშირებული, მაგრამ აქ მწერალს იგი გამოყენებული აქვს ადამიანის შთამომავლობასთან, თაობებთან დაკავშირებით და არა თავისი უშუალო, პირდაპირი მნიშვნელობით. რომანი ეხება ქართული გენისის, უფრო კონკრეტულად, კახელი გენისის ცხოვრებას, რომელიც მკიდროდაა დაკავშირებული ვაზთან. ეს ჩანს კიდევაც ნათლად ნაწარმოებში, მაგრამ რომანში ეენახის პრობლემა უშუალოდ არ დგამავტორის უფრადღების ცენტრში, მას მხოლოდ ადამიანების სულიერი სამყარო აინტერესებს. ამ განცხადებას პარალელად ნურავინ ჩავვითვლის, რასაკვირველია, აბა სხვა რა. თუ არა ადამიანების სულიერი სამყარო აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, ყველა ჭეშმარიტ ხელგანს. მაგრამ გაეიხსენოთ, თუ ამასთან პარალელურად რა დიდი მნიშვნელობის წმინდა სამეურნეო და მეცნი-



ერთი საკითხები დააყენა ლეონიდ ლეონოვი თავის „რუსულ ტყეში“. ამ ჯგუფს მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, გამოთქმა „სამამულე რქა“ მთლიანად ადამიანთა მეტეკვიდრობის კავშირს გულისხმობს და ვენახის პრობლემას არ მიაჩნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სათაური რომანისა მტკაღ ოსტატურად არის მიგნებული. ქართული პროზის სახელოვანი ოსტატე კონსტანტინე გამსახურდია საესებით მართებულად შენიშნავდა ნაწარმოების სათაურის შერჩევს დიდ მნიშვნელობასა და ამასთანავე დიდ სიძნელესაც. ფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ „სამამულე რქა“ ერთ-ერთი საუკეთესო მიგნებული სათაურია უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში.

რომანში არ არის ერთი გამოკვეთილი ცენტრალური გმირი, რის გამოც ავტორს გარკვევით საყვედურობს კრიტიკოსი გ. ხუხაშვილი (შენიშვნები თანამედროვე რომანზე, ლიტერატურული გაზეთი, № 11, 1959 წ.). ფიქრობთ, ეს საყვედური არ უნდა იყოს სამართლიანი. ავტორს სულ სხვანაირად აქვს გააზრებული თავისი რომანი, იგი ერთი ცენტრალური გმირის ირგვლივ როდი აგებს რომანს, რომლის ვარშემო, როგორც გ. ხუხაშვილი ამბობს, „უნდა ტრაკლებდეს ყველაფერი, როგორც წრეები ტბაში ჩაგდებული ქვის ირგვლივ“. მწერალს თაობები აინტერესდა, ადამიანის სამამულე რქა აინტერესებს და, ამდენად, ასე გააზრებულ რომანში ერთი ცენტრალური გმირის გამოკვეთის მოთხოვნა მწერლის ჩანადიქრის არასწორად გაგებაზეა მხოლოდ დამყარებული. მწერლის შთანთქმით რომანის ცენტრალური გმირებია ორი ოჯახის შთამომავლობა; ერთი მხრივ ნიკა, ჯამბარა, სოსიკო, ნინო, ფიქრობთ, სტეფანეც, მეორე მხრივ — ხარება, ანანი, კიტე. სხვა საკითხია, თუ რამდენად შექლო მწერალმა ამ დიდი ამოცანის მაღალმატერეულად გადაჭრა. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომანის ზოგი მხატვრული სახე მწერლის აშკარა გამარჯვებაა. ცოცხლად, რელიეფურად, დამაჯერებლად გვიხატავს მწერალი ხარებასა და ჯამბარას, ერთი სოციალური ფენის სრულიად განსხვავებული ბუნების მატარებელი ადამიანების ტიპური სახეებს. ჯამბარასაც და ხარებასაც უზომოდ უყვართ გლახაკის იმედი და სიმდიდრე მიწა, ვენახი, ზღო თუ ჯამბარას ეს სიყვარული გლახაკში საუკუნეების მანძილზე დღესკირი ცხოვრების, სოციალური ჩაგვრის შედეგად გამოთქმეულ ავადმყოფურ ინსტიქტად დასულა მხოლოდ, ხარებას უფრო იმედიათ, ეთილშობილური სიყვარული უყვარს მიწა, ვენახი. მისი გამოყენების შესაძლებლობაც სულ სხვაგვარად ესმის. გმირების ბუნება განსაზღვრავს მათს ბედსაც და მათი ცხოვრების და-

სასრულსაც. საინტერესოა, რომ ჯამბარას ხარებაც ვენახში კვდებიან, მაგრამ თუ პირველი იღუპება სოფლად ახალი ყოფის დამკვიდრების რაღაც შეუცნობელი შიშის გამო, როგორც კერძომესაკეთრული ინსტიქტის ბრმა მონა, მეორე უფრო კეთილშობილურად ეწირება ვახს, თუმცა მისი სიყვარული და ერთგულება ვენახისადმი უფრო ძლიერია და ენობიერი, ვიდრე ჯამბარას. ფიქრობთ, ვაღაპრებებულ არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯამბარაცა და ხარებაც საკმარისად ძლიერი მხატვრული სახეებია უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში მსგავსი ხასიათები საკმაოდ აგანისი, ახალგაზრდა მწერალმა შექლო შექმნა დიდი მხატვრული სიმართლის მატარებელი სახეები, რომლებიც თავისთავადნი და განუყოფრებელნი არიან.

სახეებით სამართლიანად აღნიშნავდა ამ რომანის პირველი საჯარო რეცენზენტი გ. ხუხაშვილი, რომ ავტორი ჰარბად და ოსტატურად იყენებს თავისებურ სიმბოლიკას. ერთგვარად სიმბოლიკა ხარებასა და ჯამბარას სიცილი, თითქოს მართკ ეს სცენები იყო საკმარისი ამ ორი ხასიათის მთლიანად და შეუცდომლად გაგებისათვის. ისიც ბევრს მიგვანიშნებს და ერთგვარად რომანის კინეტისენიკის სიმბოლიკის წარმოსახვის საშუალებას წარმოადგენს, რომ მთელ თაობებს შორის ქნშობის სავანი, ჯამბარას ადგილ-მამული სახალხო მეურნეობის საერთო საცხოვრებლისათვის იქნება გამოყენებული, რაც ხაზს უსვამს ადრე წარმოებული ბრძოლის ისტორიულ დრომეკუთლოს, როდესაც ახლა ახალი ცხოვრება იყავდა გზას, კერძომესაკეთრულ ეგოისტურ გრძნობას უპირისპირდება და ცვლის საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი გრძნობა, კოლექტივიზმისა და სოლიდარობის გრძნობა.

ავტორის მიერ ხასიათების გასახსნულად გამოყენებული თავისებური სიმბოლიკის ხერხებიდან ყურადღებას იპყრობს სცენა ბარბობის შემდეგ. მელანოსთან, ამ ათქვირებულ ქვრივ დედაკაცთან ბარბობაზე შეხვედრა გულს გაუთბობს სამი ობოლი შვილის მამას ჯამბარას, მელანო და ჯამბარა ერთად დაადგებიან გზას სოფლისკენ, აღიდებულ ღელეზე გადასასვლელად, ფეხები რომ არ დაუსველდეთ, მელანოცა და მისი მოზრდილი ვაჟიც სტეფანეც მოხერხებულად შესაკუბლებიან შეცბუნებულ ჯამბარას. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მკითხველი თანაგრძნობით ეციდება მელანოს, მას თითქოს კიდევ ახარებს ამ ორი ჯანსაღი ქვრივის ერთმანეთისადმი ღრმად, ამ ეპიზოდში იგი აშკარად ხედავს იმ სიმბოლიკურ სურათს ზედმეტკვირთაიღებელი ჯამბარასი, რომელიც მთელი სიცხდით შემდეგ უნდა წარმოისახოს.



მკითხველის მოლოდინი არ მტყუნდება, და იგი არაერთხელ თანაუგრძობს ამ გამარჯვებულ კაცს სახელისწირო ნაბიჯის გადადგმის გამო, როდესაც მან თავისი ისედაც დუბლირი ცხოვრების გზაზე კიდევ ორი მძიმე ტვირთი აიკიდა. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად სიუჟეტის შემდგომი განვითარების წინაწარი მოხაზვისა, იგი იმდენად ოსტატურად და ღრმად ხსნის მელანოსა და სტეფანეს ხასიათს, რომ გუმანალებული მკითხველი სულაც არ ბეზრდება გმირების ადრევე მინიშნებული ხასიათების უშუალოდ და საფუძვლიანად გაცნობისას. უნდა ითქვას, რომ მელანოს, ამ უკიდურესად ეგოისტი, ძველი ტიპის გლეხი ქალის სახე ქვეშაობითად ოსტატურად, ღრმა ფსიქოლოგურად არის გახსნილი მწერლის მიერ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს და ხაზი არ გავსვას იმ სასიხარულო გარემოებას, რომ რომანი „სამამულე რკა“ დახვეწილი მხატვრული ენითაა დაწერილი. შეიძლება ვინმემ არ გაიზიაროს ჩვენი შთაბეჭდილება, გადაკარბებულადაც მიიჩნიოს ეს შეფასება, მაგრამ, ვფიქრობთ, ახალგაზრდა მწერალი იმდენად საფუძვლიანად ფლობს ქართულ ენას და ისე ოსტატურად იყენებს მხატვრული ნაწარმოების ამ პირველსაწყის მასალას, რომ ერთგვარად მოლოდინსაც კი აკარბებს. როგორც ჩანს, მწერალს ორგანულად აქვს შეთვისებული არა მარტო ქართული სალიტერატურო ენა, არამედ აღმოსავლური მეტყველებაც. რომანი ნამდვილად ძაბრდვანი, მადლიანი ქართული ენითაა დაწერილი. აქ შორს წაგვიყვანდა მაგალითების მოტანა, თუ რა ოსტატურად იყენებს მწერალი განწყობილების შექმნელად, სახის გეგმასწავლელ ორიგინალურ შედარებებსა და ხალხურ თქმებს, რა შესანიშნავად ხატავს სოფლის სურათებს ან ცალკეულ ეპიზოდებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ბრძანდეს გადავშალოთ რომანი, ისინი თითქმის ყოველ გვერდზე შეხვდებიან მკითხველს. ამასთანავე უნდა ითქვას ავტორის რაღაც შინაგანი ზომიერების გრძობაზე, რაც მას ახლევებს ეუთხური მეტყველებით ზედმეტ გატაცებისაგან. მართალია, მწერლისა და მისი გმირების ენა განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ, ამასთანავე, ავტორისეულ ტექსტსაც საერთოდ აღმოსავლური მეტყველების იერი დაჰკარავს და ეს ერთგვარად მთლიანობაში აყალიბებს მთელ ენობრივ მასალას.

კიდევ შეიძლება აღგვენიშნავს რომანის მთელი რიგი საინტერესო და დადებითი მხარეები, მიგვიერთებინა მწერლის ოსტატობის ზოგ თავისებურებაზე, ცალკეული ეპიზოდების დახვეწილობაზე ან ხასიათის რელიეფურად გამოკვეთის ავტორისეულ უნარზე, მაგრამ ყველაფერი ეს შორს წაგვიყვანს, თავისთავად თუმცა საყურადღებო, მაგრამ მაინც მეორეხარისხოვანი,

რადგან რომანის ცალკეულ დეტალებში არააუმჯავან პერსონაჟებს შეეხება.

მაგრამ, ამასთანავე, არ ვიქნებით გულწრფელი, თუ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად არ შევეხებით იმ სერიოზული ხასიათის ხარვეზებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, რომანს გააჩნია, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რომანი არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი.

როგორც ვთქვი, „სამამულე რკა“ ფართო ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც ავტორმა სცადა არა ერთი, არამედ მთელი ჯაჭვი ისტორიული გარდატეხების მხატვრულად გაეცოცხლებინა. ეს კოლოსალური ამოცანა მწერალს დიდ სიმძნელებს უქმნიდა და მთელ რიგ შემთხვევებში ავტორმა ვერ გაართვა მათ თავი. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას რომანის კომპოზიციის მიმართ. ავტორს საქმოდ ხშირად იტაცებს შედარებით წერილობანი ამბები, რომლებიც თავისთავად შეიძლება ოსტატურადაც იყოს გადამოცემული, მაგრამ მთავარი მიზნის განხორციელებას არაფრით უწყობს ზელს და ამდენად თავის მნიშვნელობას კარგავს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება ზოგჯერ, თითქმის მწერალი ერთგვარად თავს იწონებს ცალკეული დეტალების ხატვის ოსტატობით. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რაც უნდა კარგად იყოს დაწერილი ცალკეული ეპიზოდი, თუ იგი რომანის საერთო, ძირითადი მოქმედების განვითარების გარეთ რჩება, არაფრით არ უწყობს მას ზელს, იგი თავისთავად ზედმეტი და უსარგებლო ხდება. მაგალითად, როცა მწერალი ავტორებს სცენას, თუ როგორ გაწმობილებული დარჩა ჯამბარა მამინაც კი, როდესაც სხვა ველარაფერი მოახერხა და ცოლი სატრფიალოდ ევენახა დაიბარა, ან დეტალს საქაიო ფუნქცია აქვს დაკისრებული. საქმე ისაა, რომ აქაც ხელისშემშლელად ჯამბარას გერი სტეფანე გამოდის, რომელიც ავტორილია დედას და შრომისაგან დამაშვრალ კაცს აღაქვს ევენახში მისცა საშუალება მიალერსებოდა ცოლს. ამით კიდევ ერთხელ, არაპირდაპირი საშუალებით, მინიშნებულია იმ ზედმეტ ტვირთზე, რომელიც ჯამბარამ ნებით იღო თავს, მინიშნებულია სტეფანეს ხასიათი, რომელიც შემდგომ ასე სრულად იხსნება რომანში, მაგრამ როდესაც ავტორი მკითხველს სთავაზობს ქინძიგაფოსა და პელოს ბუჩქებში ჰიდაობის სცენას, ამას კი აღარავითარი გამართლება არა აქვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მწერალი რამოდენად დიდი გულმოდგინებით ხატავს სოფლის ჭორიანა დედაციის პელოს სახეს. მიზანი კი ჩვენთვის, და, ვფიქრობთ, ყველასთვის, გაუგებარი რჩება. გაუთავებული ყმდობა პელოსი, რომელსაც მეტი ადგილი აქვს დათმობილი რომანში, ვიდრე ცენტრალური გმირების ხასიათის გახსნას, ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ ავტორს ხშირად არ ჰყოფნის



უნარი შეიკავოს თავი ცდუნებისაგან, აარიდოს თავი უმნიშვნელოსა და არაფრისმთქმელს რომანისათვის და მოქმედების ძირითად განვითარებას მისდობს.

საერთო მოქმედების განვითარებისათვის არაფრისმთქმელი დეტალებისა და ეპიზოდების მოყვანა რომანიდან საკმაოდ შეიძლება, მაგრამ ამაზე როგორ გადავამჯობლოთ მკითხველის ყურადღება, როდესაც რომანის მონარდილი ნაწილებზე ტოვებენ ზედმეტობის შთაბეჭდილებას. როგორც აღენიშნეთ, რომანი თავდაპირველად ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა და შემდეგ გამოიცა ცალკე წიგნად. ავტორს საკმაოდ გაუზრდა ამ მოცულობა რომანისა წიგნად გამოცემის დროს, ან, უფრო სწორად, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას შეუძლია ბევრის დროს, ხოლო ავტორს შემდეგ აღუდგენია, რასაკვირველია, სათანადო დამატებით მუშაობის გაწევის შემდეგ. ჩვენი აზრით, აღივსებელი და დამატებული ნაწილები მინც ყველაზე სუსტი და მხატვრულად უფერულია. ეს განსაკუთრებით ითქმის პირველ ნაწილზე. სადაც ძირითადად ჯამბარას მამის ნიკას ცხოვრება მოხრობილი.

საერთოდ უნდა ვუსაყვედუროთ მწერალს, რომ ის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, ძირეული გარდატეხები, რომლებიც მე-20 საუკუნეში მოხდა ქართულ სოფელში და ქართველი გლეხის ბუნებაში, რომანში სწორად არ არის დრმად ნაჩვენები, ავტორი მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, რომლებშიც განსაკუთრებულად რელიეფურად უნდა გამოიყვითოს გამიგრების ხასიათი, გაიხსნას მათი სულოვრი სამყაროს სიმდიდრე თუ სიღატაკე, ხშირად სრულიად ტოვებს, გვერდს უვლის და მკითხველი გუშინით თუ მიხვდება, რომ ეს ისტორიული პერიოდი მოქმედების განვითარების მიხედვით უკვე უკანა ჩამორთვებული. არაფერია ნათქვამი, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ, ან, თუნდაც, როგორი განწყობით შეხედდნენ რომანის გამიგრები რევოლუციის ბობოქარ დღეებს. იმპერიალისტური ომების ამბებიდან უცერად სოფლის კოლქტივიზაციის გატარების ეპოქაში აღმოჩნდებით. შემდეგ ავტორი კვლავ დუმს მთელი უვლის გვერდს სამაჟლო ომის პერიოდს და ომის შემდგომ წლებში გადააქვს მოქმედების განვითარება. ეს კიდევ არაფერი, იმ ეპოქებსაც, რომლებსაც ავგოწნებს ავტორი, ერთგვარი ზერელობის იერი აღპყრავს. როგორც ზევით ვთქვით, რომანში მოქმედება ჩვენი ცხოვრების სულ უკანასკნელ წლებამდე მოდის, მაგრამ მკითხველი მხოლოდ „ოიდიპოს მეფის“ ხსენებით თუ მიხვდება ამას. ვანა შეიძლება ითქვას ამის შემდეგ, რომ მწერალმა შუძლო ჩვენი უკანასკნელი წლების ცხოვრების მიახლოებით

მინც გახსნა? შედარებით უფრო მარტივად სწვდება ავტორი კოლქტივიზაციის ეპოქას და აქ უფრო მეტი მხატვრული დამაჯერებლობით გვიხსნის გამიგრების ხასიათს.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ პირველ ნაწილს რომანისას, სადაც მოქმედება რუსეთის პირველი რევოლუციის ეპოქიდან მყოფობებული იმპერიალისტური ომის დღეებამდე ვითარდება, თავდაპირველად მკითხველს სსეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ავტორი სწორი გზით მიდის. მართლაც, აქ არის ცდა რევოლუციური მოძრაობის გარეგარეზე გლეხობის ჩვენებისა. მაგრამ ეს ხაზი მალე იკრავება და ავტორი შემდეგ რაღაც სენტიმენტალური თავგადასავლებით ფიქრობს მკითხველის გართობას. გ. ხუხუაშვილი სამართლიანად საყვედურობდა ავტორს, როდესაც მიუთითებდა, რომ მთელი რიგი სურათები სოფლის ცხოვრებისა მართალია ოსტატურად არის დაწერილი, მაგრამ მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში მრავალგზის დამუშავებული სცენების გახსენებას იწვევსო. ამას შენიშნავდა კრიტიკოსი „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ვარიანტის მიხედვით, სადაც წიგნს პირველი ნაწილი არც დაბეჭდილა. ჩვენ მით უმეტეს შეგვიძლია ამ საყვედურის გამეორება, რადგან წიგნად გამოსული რომანის პირველ ნაწილში, რომელიც საკმაოდ მონარდილია (საერთო მოცულობის მოთხედს თუ არაღვანს), შეიძლება ითქვას, სხვა არაფერია, თუ ანა მრავალგზის წაკითხულის განმეორება. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ ლაზარობის, ხარებას სიყვდილის და სხვა სცენებსა და ეპიზოდებში ამბის თავისებური, ოსტატური თხრობით უნარი მაინცა ჩანს. აქ ამასაც ვერ ვხედავთ. მთელი ეს ეპიზოდები მეფის რუსეთის ოფიცრების ცხოვრებისა და დროსტარების, განსაკუთრებით დუელის სცენა, შემდეგ ქრისტიანი ნიკასა და მამამდიანი ლალას ცრუსენტიმენტალური სიყვარული და მისი ტრადიკული დასასრული სრულებით არ მოქმედებს მკითხველზე, იმდენად შაბლონურია და უკვე გაცვეთილი, ათასჯერ გადამღერებულის ვულუბრ-ყვილი და მდარე გადამღერება. მით უმეტეს, რომ, როგორც რომანის დასაწყისი გვიჩვენებდა, მოქმედება აქით არ უნდა განვითარებულიყო. მაგრამ ავტორი მწიგნობრული, ზერეულ შთაბეჭდილებების ქვეშ უფრო მოექცა და რაღაც ცრუსთავგადასავლო აზება ვაჟყვა, იმის ნაცვლად, რომ მოქმედება მოქმედების განვითარების ლოკალური ხაზი, რაც ეპოქის რეალისტური ასახვისა და ტიპური სახეების შექმნის შესაძლებლობას მისცემდა მას. ასე რომ ამ სახით პირველი ნაწილი რომანისა მეტად მდარე მხატვრული ღირსებისა და ნამდვილად სწორად მოქმედა ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია, როდესაც მოკვთა იგი.

ჩვენ ზემოთ კმაყოფილების გრძნობით აღ-

ნიშნით, რომ მწერალმა შეძლო ისტატურად გამოკვეთა რამდენიმე საინტერესო სახე. მაგრამ ეს მხოლოდ მწერლის შესაძლებლობაზე მიგვი-თითებს და ასეთი ფართო პლანის რომანისათვის სულაც არ არის საკმარისი. ჯამბაზა, ხაჩეზა, ანანია მხოლოდ ცალკეული შტოებია იმ სამამულე რქისა, რომელიც რომანში იზრდება; სხვებზე კი, სამწუხაროდ, ამას ვერ გავიმეორებთ. რაც მთავარია, საფუძველშივე ყალბია ნიკას სახე-როგორც ვიგებთ. ნიკა ორი ათეული წელიწადია მოწყვეტილი სოფელს, მიუტოვებია სახლ-კარი, დედა, მცირეწლოვანი შვილი და უკანაფეხდავად გაქცეულა ქალაქში. აქ იგი თურმე მუშად მუშობდა, დაკავშირებია რევოლუციურ წრე-ებს, აქტიური მონაწილე გამხდარა მათი საქმიანობისა, იმდენად აქტიური, რომ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებსაც აძლევდნენ, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დღეებში სოფლად გლეხობის ორგანიზებული ბრძოლის ხელმძღვანელადაც კი გამოუყვია პარტიას. მაგრამ ამას ყველაფერს ჩვენ ვაკვირთ ვიგებთ, ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით მოქმედებაში ნიკას. თითქოს სულ სხვანაირად უნდა წარმართულიყო ნიკას ხასიათის განვითარება, მაგრამ, რადეცა ჩვენ უკვე მოწმენი ვხვდებით ნიკას ცხოვრებისა, მისი წარსული ძნელად დასაჯერებელი ხდება. პირველივე მარცხი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნიკას უმტიყენეულოდ აეღო ხელი თავის რწმენაზე. მხატვრული ხასიათის ლოკიის ძალით შეიძლებოდა თუ არა, რომ ნიკა ჩამოშორებოდა რევოლუციას, დამარცხების სიმწარეს, უნუგეშობას მასში მხოლოდ ვენახის ან უროს სიყვარული გაეღვიძებინა ისევ, როგორც ეს ხარებას მიუვიდა? რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ავტორს სხვა საშუალებებზე უნდა გადაეფიქრა გლეხობისა და პროლეტარიატის ისტორიული გზა და ნიკას შეცდომაც თვალნათლივ ეჩვენებინა. დაახლოებით ასეთი ბედისა აღმოჩნდა ხარება. ვფიქრობთ, არავის მოუვა თავში აზრად ამ უკანასკნელის გამო უსაყვედუროს ავტორს, მაგრამ ის, რაც ნიკას ემართება, ალოგიკურობაა მხატვრული სახის განვითარების თვალსაზრისით. ნიკა — ეს მშრომელი კაცი, სრულიად ჩამოსცილებული რევოლუციურ საქმიანობას, ხდება ოფიცერი. ესეც შეიძლება დაეუფოთ, მაგრამ ის კი სრულიად დაუჯერებელია, თუ როგორ შეეგუა ასე უმტიყენეულოდ იგი ამ მისთვის სრულიად უცხო გარემოს, როგორ შეძლო ეცხოვრა ისე, როგორც ამას სჩადიოდნენ გულმორყევიბული არისტოკრატის მახინჯი ნაშვირნი. ან საიღან შეითვისა მან სულ რამდენიმე თვეში ასეთი „დახვეწილი“ მანერები ფუქსავატი ოფიცრისა! თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე არისტოკრატულ ოჯახებში გამართულ საღამოებზე იგი ყველსაგან გამოირჩეოდა თავისი ვალსის ცვეთით! იგი რომ

რომელიც არისტოკრატული გვირგვინის მქონე ვალი იყო და ოფიცრება მამა-პაპათგან მამავლობით მიეღოს, ეს სრულებით არ გავი-კვირდებოდა, მაგრამ როგორც კი გაგახსენდება, რომ იგი სულ ცოტა ხნის წინ შავი მუშა იყო, ხოლო მისი წინაარბები ვენახში შრომით დალეულან, გვიკვირს — საიდან მოუვიდა მწერალს თავში აზრად თავისი გმირების ასეთი საოცარი და უეცარი მეტამორფოზა!

არც ბევრი სხვა გმირია უკეთეს მდგომარეობაში. ისინი, მართალია, ასეთ მეტამორფოზას არ განიცდიან, მაგრამ საშავიეროდ. თითქოს ყოველგვარი დანიშნულების გარეშე შემოდინ და უკვალოდ ვადიან მოქმედებიდან. მავალითად, რა ფუნქცია აქვს დაკისრებულ პარტიოვ ლა-ლის სახეს — ჩვენთვის გაუგებარი რჩება. იგი შემოდის მოქმედებაში სოფლად კოლექტივიზაციის გატარების პერიოდში, რომანის სულ რამდენიმე გვერდზე ცოცხლობს, არავითარ კვალს არ ტოვებს, თუ მხედველობაში არ მივი-ღებთ იმას, რომ სამოქალაქო ომში ერთიანად დაცხრალულ მზარხას აჩუქებს ანანია ბჭის, და უეცრად კვდება. მკითხველმა არაერთი რომანი იცის ლიტერატურის ისტორიიდან თუ თანამედროვე პრაქტიკიდან, რომლებიც მკიდრობა არიან დასახლებულნი გმირებით. ლეე ტოლ-სტოის „ომსა და მშვიდობაში“, თუ არ ვცდებ-ბით, 600-მდე გმირი მოქმედებს, მაგრამ მათ ყველას თავთვისი გზა აქვთ მიჩნეული. თანამედროვეთაგან შოლოხოვის „წყნარი დონი“ გავისენთო, რასაკვირველია, ყველა მწერალს რი მოუთხოვებია ტოლსტოისა და შოლოხოვის ნიმი, მაგრამ თუ გმირების მოვლის უნარი ჯერ არა გვაქვს, არც უნდა შემოვიყვანოთ მოქმედებაში ასეთი დიდი რაოდენობით. ასეთი გმირები მერე უზგოუკელიდ დაიხეტებინან, ან, უარესი, ისე მოულოდნელად ვადიან მოქმედებიდან და იკარ-გებიან, რომ ამას ვეღარც ავტორი ამჩნევს და ვეღარც მკითხველი.

მთავარი რომანში მაინც თაობების საკითხია, იმ თაობებისა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ვუკაცდებიან და მოქმედებენ და ამდენადვე კიდევ განსხვავებუ-ბიან ერთმანეთისაგან. საინტერესოა, როგორ ვართვა თავი მწერალმა ამ რთულ ამოცანას, შეძლო თუ არა სამამულე რქის ზრდის პრო-ცესი დამაკრებლად ეჩვენებინა? ამაზე მხო-ლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ავტორმა აქაც ნაწილობრივ ვართვა თავი ამოცანას. ხარებას. ანანისა, კოტეს ხაზი შედარებით უმტიყენეუ-ლოდ და სწორხაზოვნად, შინაგანი კონფლიქ-ტების ვარეშე ვითარდება. ამ არ იყო მწერლი-სათვის ფსიქოლოგიური დაკვირვებებისა და ანა-ლიზის ფართო ასპარეზი, სამავიეროდ ამ მხრივ დიდ შესაძლებლობას აძლევდა მეორე შტო სამამულე რქისა. ესაა ნიკას, ჯამბაზასა და



ამ უკანასკნელის შთამომავლების — გიოს, დაროს, სოსიკოს, ნინოს ცხოვრების ისტორია, ესენი სრულიად განსხვავებული ხასიათისა და რწმენის პატრონები არიან, მათ ყველას თავისი განსხვავებული გავება აქვთ ადამიანის დანიშნულების, ცხოვრების საკუთარი მიზნები აქვთ. ეს სამამულე რქა კი მართლაც დიდი ტკივილით იზრდებოდა და ავტორსაც უნდა ეზიარებინა მკითხველი ამ მძიმე, რთული პროცესისათვის, სწორედ ამ ხაზის განვითარებაში გამოჩნდა ყველაზე მეტად რომანის ნაკეი. ნიკაზე აღიარებენ ვიტყვი, ზემოთ უკვე მოვლად მოვხაზეთ მისი საოცარი ბიოგრაფია, აღვნიშნეთ ხასიათის განვითარების არადამაჯერებლობა. აქ ნიკასა და ჯამბარას ურთიერთობაზე დავუმატებთ მხოლოდ. ნიკას თავისი შვილი დავაქცევამდე არც კი ენახა, იგი მხოლოდ ერთხელ ჩამოდის სოფლად, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში და მიტოვებული ოჯახი გააპრტახებული ხვდება, მოსწრებული ვაქცაქი ჯამბარა რელიგიური ცრურწმენის საფუძველზე „კურადა“ შემდგარა, ცხვარში მძიმე შრომით მოგროვილი ფარა მეფის მოხელეების წყალობით განიავებია, ერთი ცხვარია შერჩენია იმედოდ და იმის გადარჩენას ფიქრობს. ნიკას რევოლუციური შემოქმედისათვის ფული სჭირდება, იგი ისე გაუყვლის იმ ერთადერთ ნუგუმს თავის შვილს, რომ გულისნაღებს არ გაანდობს, ამით ის უკანასკნელი ძაფიც ვაწყვდა, რომელიც აქამდე მამაშვილური გრძნობით აკავშირებდა ნიკასა და ჯამბარას, ჯამბარა ოჯახის ფეხზე წამოყენებას ფიქრობს, ეს არის მისი ერთადერთი მიზანი. ნიკამაც ვერ მოიცილა იმისათვის, რათა თავის შვილისთვის რაიმე ახალი რწმენა და მიზანი ჩაენერგა. ნიკა და ჯამბარა სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის და უცრად ვივებთ, რომ ნიკამ, როდესაც ტყეს შეაფარა აჯანყებულების რაზმი, ჯამბარაც თან წაიყვანა. კი მაგრამ, როგორ, რისთვის მიატოვა ჯამბარამ ოჯახი, ვენახი, სახლ-კარი, როდესაც მისი შეგნება ამ პატარა მიწის ნაკვეთს არ ვასცილებია, რატომ ენდო ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეში ადამიანს, რომელთანაც აღარავითარი გრძნობა არ აკავშირებდა და რომელმაც მისი ღრმა რწმენით მასსა და მის ოჯახს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა? სად არის მწერალი, რომელიც მკითხველს ამ გაუგებრობაში ვაარკვევს? მაგრამ მწერალმა, როგორც ჩანს, ვერ შენიშნა ეს წინააღმდეგობა, ეს ღრმა ოჯახური კონფლიქტი. შედარებით უკეთესიდაა ვახსნილი ჯამბარასა და მისი მემკვიდრეების ურთიერთობის საკითხი. მათ შორისაც დიდი ზღვარი დევს. ჯამბარა ეენახს მიჯაჭვული ადამიანია, რომლისთვისაც

ძნელია კერძო-მეცადონე გრძნობაზე მალა დადგომა, მისი მემკვიდრეები კი უკვე ახალი, სოციალისტური ყოფის შვილები არიან და ეს ორი თაობა უკვე სულ სხვადასხვანაირად აზროვნებს, თუმცა ეს გამოკვეთილია მხოლოდ ჯამბარასა და სოსიკოს ურთიერთობაში. ჯამბარა თავზარდაცემული ადევნებს თავს სოსიკოს საქმიანობას, მას არ ესმის შვილის მიზნები, უბედურად მიანჩნა თავი, როგ მისი ყველაზე დიდი ნუგევი სოსიკო საკუთარი ვენახის მოვლის ნეცვლად საზოგადო საქმიანობას გადააყოლია. ხოლო როდესაც სოსიკო კოლექტივში მიწების გაერთიანებას თავისი ამისი მამულით იწყებს, ამის გადატანა კი შეუძლებელი ხდება ჯამბარასათვის და იგი იღუპება. უნდა ითქვას, რომ სოსიკოს რომანის სიუჟეტური განვითარების მიხედვით უფრო მეტი ყურადღება ეკუთვნის მწერლისაგან, ვიდრე ეს სინამდვილეში არის. სოსიკოც მეტად მალე ჩამოდის სტენიდან.

რომანში ყველაზე უფრო რელიგიურად გამოკვეთილია ჯამბარას, მელანოსა და სტეფანეს შორის დატრიალებული ოჯახური ტრადიცია. ჯამბარას თავისი მამული ალალი შვილებისათვის უნდა, ეს უკანასკნელი კი ამით თავს არ იწყუხებენ, მათთვის ვენახი, მიწა ფეტქის არ წარმოადგენს, როგორც ეს ჯამბარასთვისაა. სამაგიეროდ, ამ მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად აქტიურად იბრძვიან მელანო და მისი შვილი სტეფანე და ეს კონფლიქტი ისე ღრმად, საინტერესოდ არის ვაშლილი რომანში, რომ უნებურად შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „სამამული რქის“ მიზანი სხვადასხვა ისტორიულ პირობებში თაობების ცხოვრების ჩვენება კი არ არის, არამედ ჯამბარას ოჯახის ამ შინაგანი კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ.

ჩვენ საკმაოდ გულახდილად გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებანი რომანის „სამამულე რქა“ შესახებ, თუმცა უფრო ძირითად საკითხებზე შევანერეთ ყურადღება. შეიძლება ბევრ სხვა მხარეზეც მიგვეთითებინა, როგორც დადებითზე, ისე ნაკლოვანზე, მაგრამ ეს შედარებით მეორეხარისხოვან საკითხებს, დეტალებს შეეხებოდა და ამიტომ შევიკავეთ თავი. არც ის არის გამოორიცხლები, რომ ცოტა მკაცრად ვილაპარაკეთ რომანის ნაკლოვანებებზე, მაგრამ ეს მხოლოდ იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ როსტომ ბეჟანიშვილი მიგვაჩინა უდავოდ ნიჟიერ ახალგაზრდა პროზაიკოსად, რომელიც ვერ მხოლოდ დაოსტატების გზაზე დგას, რომელსაც არ მიუღწევია შემოქმედებითი სინაფისისათვის და ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო მისთვის ამ გზაზე სიარული ვაგვეადვილებინა.



ნიმუხები

ნიმუხები ნაშრომი რუსთველოლოგიაში

გასულ წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ აკ. ვაწერელიას რედაქტორობით გამოცა პროფ. ალ. ბარამიძის მონოგრაფია „შოთა რუსთველი“. როგორც ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ეს წიგნი წარმოადგენს რუსთველოლოგიის ძირითადი საკითხების „შემკვიდრებულ და თანმიმდევრულ დალაგებას“. ზმირ შემთხვევაში კი ნაშრომი მოიცავს ავტორის მიერ უკანასკნელ ხანებში პირადი დაკვირვების შედეგად წამოჭრილ სრულიად ახალ და უცნობ საკითხებს.

წიგნის დასაწყისში ავტორი განიხილავს XI-XII სს. საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პროცესებს, ახასიათებს ამ ხანის სოციალურ წყობას, რაც დამყარებული იყო ფეოდალიზმის იმ სახეობაზე, რომელსაც პატრონაჟი ეწოდება. აქვე ავტორი ჩერდება იმდროინდელი ეკლესიის როლის შესუსტებაზე ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ამ ზოგადი ხასიათის შესავლის შემდეგ ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და გამოცემების საკითხებს. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ადრინდელი ხელნაწერები ჩვენამდე მოღწეული არ არის. XIII-XV სს. ისტორიულ-პოლიტიკურმა ავბედითობამ მძიმე ხედვარი აარგუნა „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელ ტექსტებს. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი XVI ს. გასულსა თუ XVII ს. დასაწყისს თუ განეკუთვნება, ხოლო უძველესი თარიღიანი ხელნაწერი მხოლოდ XVII საუკუნისაა.

ზემოთ დასახელებული თავი მიზნად ისახავს მეციხველს გააცნოს ის ტექსტოლოგიური სხვადასხვაობანი, რაც დროთა ვითარებაში განუცდია პოემის ტექსტს. ავტორი გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თითქმის ყველა მთავარი დამახინჯების ნიმუშს.

ავტორს ცალკე თავად გამოუყვია პოემის შედგენილობის საკითხი. თუ წინა თავში იგი ეხებოდა ტექსტის ცალკეულ ინტერპოლაციებსა

და დამახინჯებებს, ეს თავი მიზნად ისახავს მეციხველს გააცნოს პოემის შედგენილობა. იგი ვრცლად ჩერდება პოემის პროლოგის საკითხზე. პროფ. ა. ბარამიძე სამართლიანად აკრიტიკებს დ. კარიჭაშვილის მოსაზრებას პროლოგ-ეპილოგის სიყალბის შესახებ და შემდეგ გადმოსცემს ნ. მარის შეხედულებას პროლოგის თაობაზე. ცნობილია, რომ ნ. მარი პროლოგს არა თუ მიიჩნევდა პოემის ორგანულ ნაწილად, არამედ სთვლიდა შოთას კალმის უშესანიშნავეს მიღწევად.

წიგნის დასასრულს ავტორს ცალკე თავად გამოყოფილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ტექსტის ცალკეული დამახინჯებანი (რომლებზედაც ავტორს ლაპარაკი ჰქონდა იმ თავში, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს ეხებოდა), ისე პოემის შედგენილობის საკითხი (აქ ძირითადად პროლოგის საკითხი დააყენა ავტორმა) და აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების საკითხი (რომელიც ცალკე თავად გამოუყვია ავტორს), ერთი კატეგორიის საკითხებს მოიცავს. ავტორმა მეციხველს წარმოუდგინა პოემის შედგენილობისა და ინტერპოლაციების საკითხი, მაგრამ ამ ტიპის მონოგრაფიაში ჩვენი აზრით უმჯობესი იქნებოდა ყველა ეს საკითხი, რაც ტექსტის დამახინჯებას თუ ყალბისმქნელობას უკავშირდება, გაერთიანებული ყოფილიყო ერთ თავში, ცალკეულ ქვეთავების გამოყოფით. ყველა ამ საკითხის ერთი თავში მოქცევა ფართო საზოგადოებას უფრო გაუადვილებდა პოემის შედგენილობის საკითხზე ყურადღების გამახვილებას.

წიგნის ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს პოემის „ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები“, რომელიც აერთიანებს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის, ავტორისა და ფაბულის წყაროს საკითხებს.

ეს თავი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოთაგანია როგორც რუსთველოლოგიაში, ისე იმათთვის, ვისაც კი „ვეფხისტყაოსანი“ ხელში აუ-



ლია. ამიტომ მუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც მკითხველში ეს თავი იწვევს.

ჩვენის აზრით, რამდენადაც ამ თავის მეორე ქვეთავი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საკითხი, წიგნში მოცემულია სრულად და ამომწურავად, პოემის დაწერის თარიღის საკითხი მეტად შეუზღუდავს ავტორს. მიზეზი ამისა ვასაგებია: ავტორი ცდილობს თავი იპოვოს პოლემიკას, აზრთა სხვადასხვაობის ისტორიას და მკითხველს წარმოუდგინოს ამ მხრივ წარმოებულნი კვლევის პოზიტიური მხარე. ავტორის ეს მეთოდი გამოყენებულია აგრეთვე მეორე რიგ საკითხებში (პოემის ტექსტზე ან ავტორის საკითხზე მსჯელობისას და სხვ.), მაგრამ პოემის თარიღის საკითხზე, ვფიქრობთ, მკითხველისათვის მეტი ცნობების მიწოდება უინტერესო არ იქნებოდა, მით უფრო, რომ დღესდღეობითაც ყველა რუსთველოლოგი არ იზიარებს პოემის დაწერის თარიღზე ტრადიციულ შეხედულებას.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ისტორია მეტად ვრცელია და მასთან დაკავშირებული მოსაზრებები სხვადასხვაგვარია. ავტორმა კარგად მოახერხა ეჩვენებინა და გაებათილებინა იმ მკვლევართა მოსაზრებები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხოურობას ამტკიცებდნენ, მკითხველისათვის გაეცნო ის შეხედულებებიც, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ისტორიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას ახდენდნენ და პოემას ალგორითულ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ, აგრეთვე მართებულად აეხსნა პოეტის მიერ სიუჟეტის შენაღების ხერხი.

აღნიშნული თავით მონოგრაფიაში ფაქტიურად მოაერღება პოემასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემები და იწყება წმინდა ლიტერატურული საკითხებიც (თუმცა წიგნის ბოლოს ავტორი რამდენადმე ისევ უბრუნდება ისტორიულ-ლიტერატურულ და ტექსტუალურ საკითხებს). ამ თავებში განხილულია პოემის კომპოზიცია, საკითხი პოემის მთავარი თემისა და მთავარი პერსონაჟების შესახებ. ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი ახდენს გმირების სულიერი ცხოვრების ღრმა ანალიზს, მხედველობაში იღებს თვითველი გმირის ინდივიდუალურ სამყაროს და მათი მოქმედების გარემოს.

ლიტერატურული ჟანრის თაობაზე მსჯელობისას პროფ. ა. ბარამიძე სამართლიანად არ იზიარებს ნ. მარის შეხედულებას, რომელიც სრულიად უპარყოფდა პოემაში ავტორის სუბტილურ განწყობილებათა არსებობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეურ-თემატური მოტივები. იგი სამი ქვეთავისაგან შედგება: 1. სიყვარული და ქალის თაყვანისცემა; 2. ძმობა-მეგობრობა და ძმანდობა, ხალხთა მეგობრობა; 3. პატრიო-

ტიზმი. მთელი ეს თავი წარმოადგენს მარკსისტულ იდეურ-თემატურ ანალიზს. მაგრამ ჩვენის აზრით ავტორს ამავე თავში უნდა დაესვა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემისა. აქვე იქნებოდა საინტერესო მოვლანა ტრადიციული თვალსაზრისი პოემის მთავარი თემის შესახებ, ნ. მარის შეხედულება ამავე საკითხზე და ყველა მასთან დაკავშირებული საკითხი, რომლებზედაც ავტორი წიგნის წინა ნაწილში მსჯელობს.

წიგნის ერთ-ერთი მეტად საინტერესო თავი არუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანა. იგი წარმოადგენს ფართო მიმოხილვას პოემაში ასახული სოციალური სინამდვილისას, სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა დიხასიათებას, პატრონჟურული ურთიერთობის ანალიზს პოემის მიხედვით. წიგნის ავტორი იხილავს პოემაში ნახმარ ტერმინებს—ყმასა და მოყმას, აკარაგყმოს, საკარაგას და სხვ. ყველა მათ განხილვას ავტორი უკავშირებს საქართველოს სოციალურ სინამდვილეს და ამით კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს „როგორი უშუალოებით არის „ვეფხისტყაოსანი“ დაკავშირებული საქართველოს სოციალურ სინამდვილესთან და როგორი სიციხველით ასახავს ამ სინამდვილეს XII საუკუნის დიდი პოეტი“. ასევე საინტერესო აქვს ავტორს განხილული ვაჭართა სოციალური წრის ცხოვრება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

რუსთველოლოგიის ერთ-ერთ საინტერესო საძიებო საკითხად იყო მიჩნეული ბოლო დრომდე არუსთველის მსოფლმხედველობისა და მისი რელიგიური მრწამსის საკითხი, არ დარჩენილათითქმის არც ერთი ფილოსოფიური მიმართულება, რომლის წარმომადგენლად რუსთველიც არ დაესახათ.

იმ თავში, რომელიც რუსთველის მსოფლმხედველობას ეხება, პროფ. ა. ბარამიძის მიერ ჩამოყალიბებულია შემდეგი მართებული დებულება: „რუსთველი იყო პროგრესიულად მოაზროვნე პოეტი, რომელმაც გაუსწრო თავის დროს. მაგრამ, რასაკვირველია, იგი ისტორიულად მაინც ერთგვარად შეზღუდული იყო სოციალურ-კლასობრივი მსოფლმხედველობითა და სარწმუნოებრივი გრძნობებით, ამიტომაც რუსთველი როდი იქნეს სრულ გულგრილობას სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი საკითხებისადმი, ოღონდ პოეტი ვარკვეულად არ ამქვანავს თავის მიდრეკილებას რომელიმე რელიგიური სისტემის მიმართ. იგი გავრბის რელიგიის დიფამატორი და საწუთო ფორმების გამოხატვას“. აქვე ავტორს მიმოხილული აქვს მეცნიერებაში არსებული ცდები რუსთველის სხვადასხვა რელიგიურ განსტობათათვის მიკუთვნებისა და საგანგებოდ ჩერდება პოემაში არსებულ ბიბლიურ შედარებებსა და ქრისტიან-

ნულ ტერმინებზე, რომლებიც ამჟღავნებენ რუსთაველის ნაქითხობას საქრისტიანო „საღმრთო წერილში“.

მონოგრაფიის თავის „რუსთაველის მახლობელი წინამორბედნი და თანამედროვენი ქართულსა და მსოფლიო ლიტერატურაში“ I ქვეთავი მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს რუსთაველის კავშირი მის წინამორბედ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან და, კერძოდ, მისი ეპოქის მნიშვნელოვან ძეგლებთან. ამ მიზნით მონოგრაფიაში ფართოდ არის განხილული „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „თამარიანის“ და „აბდულმესიანის“ საერთო ხაზები რუსთაველის გენიალურ პოემასთან. ამგვარი ძიება ავტორს უწარმოებია ამ ძეგლთა სიუჟეტური მოტივების, ენის, მხატვრული ხერხების და აფორისტულ განზოგადებათა შედარების გზით.

ამვე თავის მეორე და მესამე ნაწილში „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით განხილულია დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლური ქვეყნების შუა საუკუნეების ლიტერატურა. მათი შეპირისპირებისას მონოგრაფიის ავტორი მხედველობაში იღებს ნაწარმოების წარმოშობის დროს, თემატიკურ-ჟანრობრივ, იდეურ-თემატიკურ ხასიათს და შესაფერ კლასიკური-ეპიკურულ და სოციალურ გარემოს. ამ შედარებიდან ჩანს, რომ ამ ხანის დასავლეთ ევროპისა და ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ მიახლოებულად ასახულია სარეინდო-სამიჯნურო იდეალები და სარეინდო-სამპარტონეზო ცხოვრების სურათები.

მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის განხილული რუსთაველის ენა და მხატვრული ენის თავისებურებანი.

ასევე საინტერესოა მონოგრაფიის ის თავი, რომელიც რუსთაველის ლექსს ეხება. ავტორი ჩერდება შაირის საზომის რაობაზე, მის ხალხურ საწყისებზე, შაირის ფორმებზე ქართულ საეკლესიო მწერლობაში და შემდეგ გადადის რუსთაველის შაირსა და მის სპეციფიკაზე.

მონოგრაფიის იმ ნაწილით, სადაც ავტორი ვკვსაუბრება „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანებზე, მკითხველი ერთხელ კიდევ რწმუნდება, თუ რაოდენ პოპულარული გამხდარა ქართული მხატვრული სიტყვის ეს შესანიშნავი ძეგლი არა-ქართულ მკითხველთა შორის.

ძველი ქართული მწერლობის საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერა-

ტურული ძეგლისა და ხალხური ნიმუშების ურთიერთობის საკითხებს. ბუნებრივია, რომ ისეთ ნაწარმოებს, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, არ შეიძლება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში თავისი კვალი არ ვაგველო.

„ვეფხისტყაოსანი“ ყველა წამკითხველის წინაშე უნებლედ იბადება კითხვა: მხოლოდ ამ პოემის ავტორია გენიალური პოეტი, თუ მას სხვა ნაწარმოებებიც ეკუთვნის? პროფ. ბარამიძე სწორად მოქცეულია, როდესაც მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წიგნში სპეციალური თავი შეუტანია — რუსთაველის ე. წ. არმოღწეული თხზულებების შესახებ. ავტორი განიხილავს ყველა იმ მოსაზრებას, რომლებიც რუსთაველი სხვადასხვა თხზულებათა ავტორად იყო მიჩნეული.

მონოგრაფიის უკანასკნელი თავი — ბრძოლა რუსთაველის გარშემო. თავდაპირველად ავტორი ჩერდება იმ სიუჟარულსა და პოპულარობაზე, რაც პოემას ქართველთა შორის საუკუნეთა მანძილზე დაუმკვიდრებია. შემოხვევითი როდი იყო, რომ ქართველი პატარძლების საპატიო მზითვეს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა, ან ის, რომ ბევრმა ქართველმა, როგორც ძველად, ისე დღესაც, ზემოთადა იცის უკვდავი პოემა თავიდან ბოლომდე.

მაგრამ ასე როდი უყურებდნენ რუსთაველს კონსერვატულ-კლერიკალური საზოგადოების წრეებში..

ზემოაღნიშნულ თავში ავტორი მკითხველს აცნობს იმ ბრძოლას, რომელიც რუსთაველის პოეტურ მემკვიდრეობას აფასებდა კონსერვატულ-კლერიკალური პოზიციებიდან. ამ ბრძოლაში საუკუნეთა მანძილზე უფრო და უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და XVIII საუკუნეში „ვეფხისტყაოსანის“ ფიზიკური განადგურების ცდილი დასრულდა (იგულისხმება 1712 წლის გამოცემა).

ასეთია ზოგად ფორმებში ის მთავარი საკითხები და დეტალები, რომლებიც მონოგრაფიაში არის წარმოდგენილი.

როგორც წიგნის ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, მონოგრაფიის ავტორს მხედველობიდან არ გამოარჩენია რუსთაველოლოგიის არც ერთი ძირითადი საკითხი.

ამრიგად, პროფ ა. ბარამიძის მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

[Handwritten signature]

როლიონ ჟოკია

სანიტერსო წიგნი

1947 წელს ნორვეგიელმა ეთნოგრაფმა ტორ ჰეიერდალმა თავის ხუთ ამხანაგთან ერთად პერუს ნაპირებიდან პოლინეზიის კუნძულებამდე იმოგზაურა ცხრა მორისაგან შეკრული უზარალო ტივით. მოგზაურებმა 4.300 მილი გაიარეს. მათ ორჯერ უფრო მეტი მანძილი გაეტურეს, ვიდრე კოლუმბმა თავის დროზე. განსხვავება ისაა, რომ კოლუმბს მშვენიერად გამოართული ხომალდები მოეპოვებოდა, ტორ ჰეიერდალს კი მცენარეთა ღეროებისაგან შეკრული ტივი.

მკითხველს გააკვირვებს ეს ვარებობა: რადიოსა და ატომგულის ეპოქაში პრიმიტიული ტივით მრგვალობა? მაგრამ საქმე ისაა, რომ ტორ ჰეიერდალსა და მის მამაც თანამგზავრებს აინტერესებდათ მეცნიერული საკითხი: საიდან წარმოიშვენ პოლინეზიელები? ამ საკითხის გარშემო მეცნიერებაში სხვადასხვა თეორია არსებობს. ერთნი ამტკიცებენ, პოლინეზიელები აზიური წარმოშობისა არიანო, ჰეიერდალი კი ამტკიცებდა, პოლინეზიელები პერუდან გადასახლდნენ თავიანთ ახალ კუნძულებზე და ეს გადასახლება ტივებით მოხდა... ტივებით რამდენიმე ათასი კილომეტრი! აი, სწორედ ამ საინტერესო და თითქმის დუაჯერებელ ამბავს მოგვიხატობს ტორ ჰეიერდალის საინტერესო წიგნი „მოგზაურობა კონ-ტივით“. წიგნს უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს. გარდა ამისა, იგი ბრწყინვალე სათავგადასავლო ლიტერატურული ნაწარმოებია. ეს წიგნი ისეთი დაძაბული ინტერესით და ხალისით იკითხება, როგორც „რობინზონ კრუზო“.

„მოგზაურობა კონ-ტივით“ 1957 წელს გამოცემაში გამოქვეყნდა „ტექნიკა და შრომა“. მისი ქართული თარგმანი შესრულებულია რუსული გამოცემის მიხედვით შალვა ზუაჩიძის მიერ. მთარგმნელს საგრძნობი დაბრკოლება შეხვედებოდა წინ, რადგან ქართულ ლიტერატურაში არაა დამუშავებული და დაბეჭდილი საზღვაო ტერმინოლოგია. არც მაჩინისტული ლიტერატურა გვაქვს ქართულ ენაზე. ამიტომ მთარგმნელს თითქმის უვალი გზის გასაფხვა მოუხდა. მიუხედავად ამისა წიგნი დამაკმაყოფილებელი ქართულითაა თარგმნილი, იკითხება ხალისით, მეცნიერული ამბებიც სწორადაა გადმოცემული. წიგნი უქვეყნალ დიდი შენაძინია ქართული მა-

ჩინისტული ლიტერატურისათვის და სრულიად სამართლიანად ამბობს წიგნის რედაქტორი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ლ. მარუაშვილი, რომ იგი „ამდიდრებს ქართულ სამოგზაურო ლიტერატურას შესანიშნავი ნაწარმოებით, რომელიც უდავოდ დაიმსახურებს მკითხველთა მოწონებას“.


მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ მთარგმნელმა და გამომცემლობამ წიგნის განმეორებით გამოცემისას.

წიგნის მე-20 გვერდზე მთარგმნელი ხმარობს ტერმინს „ზვიოთოსიევა“, ქართულად უნდა „ფერთუხი“ (რუსული „Гурун“). რუსული „северное сияние“ თარგმნილია „ჩრდილოეთის ბრწყინვალეობად“ (გვ. 46), ქართულად უნდა „ჩრდილოეთის ცილი“. „Предохранитель“ თარგმნილია როგორც „გამაფრთხილებელი საკეტი“ (გვ. 74), ქართულად უნდა „დამცველი“. „Спасательный пояс“ თარგმნილია როგორც „მშვეველი სარტყელი“ (გვ. 81), ქართულად უნდა „მშვეველი სარტყელი“. „Щупальца“ თარგმნილია, როგორც „მარწუხი“. სჯობდა კი „საკეცი“. ეს უკანასკნელი ზოოლოგიური ტერმინია (გვ. 146).

წიგნში დიდალი ტერმინია აგრეთვე ოკეანოგრაფიისა და ისტიოლოგიისა. მთარგმნელი კარგად თარგმნის ამ ტერმინებს.

რაც შეეხება თვითონ ლიტერატურული ტექსტის თარგმანს, მკითხველს ალგალაგ თვალში ეცემა რუსული ტექსტის გავლენა და რუსიციზმი. მაგ., „მონოლითებმა და... და, დანარჩენმა ძეგლებმა... საკვები მისცა სხვადასხვგვარ თეორიას“ (გვ. 24). ქართულად უნდა „საბაბი მისცა“ ან „წარმოშვეს“; რუსულადაა... „Монолиты... и остальные памятники... дали пищу для самых различных теорий“, „თითქმის მთა მომეხსნა მხრებიდან“ (გვ. 37), რუსულადაა „У меня словно гора свалилась с плеч“, ქართულად უნდა: „თითქმის მძიმე ტვირთი მოვიხსენი“.

მიუხედავად ამისა გამომცემლობამ და მთარგმნელმა უქვეყნალ სასარგებლო საქმე გააკეთეს ამ შესანიშნავი საგმირო ეპოპეის გამოცემით.



აქსონური გეგმა

ახალმოხენი
ლათინური წარწერა
ფარსმან მეფისა

საქართველოს ძველი ისტორიის წყაროებს, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდევ ერთი საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლი შეემატა — იტალიაში აღმოჩნდა ახ. წ. II ს-ის ლათინური წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ფარსმან მეფე. თუმცა წარწერა ძალიან ფრაგმენტულია, მასში გადმოცემული თუნდაც ძუნწი ცნობები მაინც ფრიალ მნიშვნელოვანად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმ ეპოქის შესახებ, უფრო მეტ სისრულესა და დამაჯერებლობას ანიჭებს და ამასთანავე ახუსტებს ჩვენი ისტორიის აქამდე ცნობილ ზოგ ფაქტს.

წარწერის ფაქსიმილე სათანადო კომენტარით (წერილი სათაურით — „ფასტების ახ-

ლი ფრაგმენტი ოსტიიდან“) შარშან გამოაქვეყნა ფრაიბურგელმა მეცნიერმა პ. ნესელჰაუფმა პაეის (იტალია) უნივერსიტეტის სამეცნიერო ორგანო „ათენეუმში“ (H. Nesselhauf, Ein neues Fragment der Fasten von Ostia. Athenaeum, ტ. 36, ნაკვ. 3 [1958] გვ. 219 — 228). ავტორი აღწერს ამ ახალ მონაპოვარს, მისი აღმოჩენის პირობებს, მსჯელობს შინაარსის შესახებ, აყენებს დაზიანებული ტექსტის ზოგიერთი ადგილის სავარაუდო წაკითხვებს და ბოლოს საკუთრივ ამოკითხულ ტექსტსაც ურთავს ჩვეულებრივი ლათინური ორთოგრაფიით.

დაზიანებულ ტექსტს პ. ნესელჰაუფი დაახლოებით შემდეგნაირად გადმოგვცემს:

[.]sian[us (ან stan[us)
 [. . . L. Annius?] Fabianus,
 [(თარიღი)]Pharasma[n]es rex Iberorum . . cum filio]
 [(სახელი)]e et uxore Phr...
 5. reddidit. V k. Apr.
 I non. Mai. diem, [qua]
 vit gladia[tor(um)]
 MXI
 s

ქართულად:

[.]სიან[უს (ან სტან[უს)
 [ლუციუს ანიუს?] ფაბიანუს,
 [(თარიღი)] ფარსმანი [მეფე იბერთა შვილით]
 [(სახელი)]...ით და მეუღლით ფრ...
 5. მისცა (დაუბრუნა). აპრილის კალენდებამდე 5 დღით ადრე
 მაისის ნონებამდე ერთი დღით ადრე
 გლადია[ტორთა



✓ ფრაგმენტი უპოვნიათ მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში ოსტიაში (ოსტია წარმოადგენდა რომის სანავსადგურო ქალაქს ტიბრის შესართავში, მის მარცხენა ნაპირზე) და მოხვედრილა ერთი გერმანელი სიძველეთა მოყვარულისა და კოლექციონერის ხელში. სამწუხაროდ, მომპოვებლის მალევე გარდაცვალების გამო, ძეგლის აღმოჩენის სხვა დაწვრილებითი გარემოებანი და ზუსტი ადგილი უცნობია.

ნესელჰაუფის აღწერილობით, იგი წარმოადგენს ყოველმხრივ უსწორმასწოროდ შემოტყვერულ 17 სმ სიმაღლის, 13,5 სმ. სიგანისა და 2,1 სმ. სისქის მარმარილოდ ადაფას, წარწერა შესრულებულია სრულიად მკაფიოდ და საკმაოდ ლამაზი ასომთავრულით, I—II საუკუნეთა ეპოქის დამახასიათებელი ხელით. მარმარილოს ფილის პატრონს წითელი საღებავი ამოუსვამს ამოკრილ ასოებში და შეიძლება ნაწილობრივ ესაცაა მიხეზი, რომ წერილს თანდაართულ ფოტოსურათზე ძალიან მკაფიოდ ჩანს თითქმის ყველა დეტალი და, როგორც გამოიმკვებიც ადისტურტებს, იგი კარგად გადმოსცემს ორიგინალის თავისებურებებს.

ფილა ძალიან ბარბაროსულად შემომსხვრეულია ვარშემო და ტექსტიც ყოველ მხარეს აკლია, სულ მოღწეულია მეტნაკლები რაოდენობის ასოების შემცველი 7 სტრიქონი, თავსა და ბოლოში კი შეინიშნება თითო სტრიქონის ნარჩენები, რომელთაგან პირველ სტრიქონში, მეცნიერის თქმით, S და A მკაფიოდ ჩანს (პირველი ასოს სწორად ამოკითხვა ფოტოსურათითაც კარგად დასტურდება, A-ს შესახებ კი, თუ მხოლოდ სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, თითქოს გაძნელებდა ამის თქმა), მეცხრე სტრიქონში პატარა ნავლევი-ღია და აღარაფრის აღდგენა არ შეიძლება.

ბარემ აქვე გვინდა მოვითავით მეცხრე და პირველი სტრიქონების ამბავი და დავსვენთ, რომ მეცხრე სტრიქონიდან გადარჩენილი ერთადერთი ასოს ფრაგმენტი, თუ ფოტოზე სწორად არის აღბეჭდილი ორიგინალის მდგომარება, საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს — S-ის თავს წაავგეს, რაც შეეხება პირველი სტრიქონის ნარჩენს, იქ ასოების ქვემო ნაწილის ბოლოებიდა ჩანს, რომელთაგან პირველი ასო მართლაც S-ის ნაწილი უნდა იყოს; მეორე — რომელიდაც სწორი ბუნინი ასოს ნაწილია, უფრო — I-სი ან T-სი (ამ უკანასკნელის ასომთავრული დაწერილობა ძალიან წაავგეს I-ს), შეიძლება აგრეთვე P-ც ვივარაუდოთ, მესამე ასო — A, თუ გამოიმკვმელს დაუვჯერებთ, მეოთხე — აკარა; მეხრამე მეოთხე მეორეზე კიდევ უფრო ძნელად ამოსათიხია. ისიც სწორბუნინი, ოღონდ თითქოს ცოტა გადაბრლი ასოს ნაშთი ჩანს და შეიძლება

იყოს N-ის, M-ის ანდა სულაც აგრეთვე T-ს ანდა P-ს ნაწილი.

წერილის ავტორი თავიდანვე უყოყმანოდ აღიარებს, რომ ეს ფრაგმენტი წარმოადგენს ამ ქალაქის ე. წ. ფასტების ნაწილს. ფასტები (ლათ. Fasti) თავისებურ კალენდარს აღნიშნავდა რომში. თავდაპირველად მას აწარმოებდნენ პონტიფეკსები — ქურუმები და აღწვსხვადნენ იმ დღეებს, როცა შეიძლებოდა სამართლის წარმოება და საჯარო გამოსვლები ხალხში. შემდგომში ამას მიემატა ყოველწლიურად არჩეულ თანამდებობის პირთა სიებიც, განსაკუთრებით კონსულებისა. ასე წარმოიშვა, მაგალითად, ე. წ. კონსულითა ფასტები (Fasti consulares), მერე ფასტებში ძალიან მოკლედ აღინუსხებოდა აგრეთვე ამა თუ იმ წელს მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბები. ეს ფასტები ძალიან ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის მოღწეული ჩვენამდე, მაგრამ რაც მოღწეულია, როგორც ჯერ კიდევ რომის სახელგანთქმულმა მეისტორიემ თ. მომზენმა დაამტკიცა, პირველხარისხიან და ფრიად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს, კიდევ მოუყარა მან თავი გადარჩენილ მასალას და გამოსცა «ლათინურ წარწერათა კრებულის» I ტომში.

პირველივე თვალის გადავლებით მკვლევარისთვის ცხადია, რომ აქ გადმოცემულია რომის საქალაქო ცხოვრების უმთავრესი ამბები და რომ ტექსტში გლადიატორთა შეჯიბრებების მოხსენიებაც ნიშანდობლივი მოვლენაა—ოსტიის ფასტებში ასეთი ამბების შეტანა ახ. წ. მეორე საუკუნიდან ხდება და, მაშასადამე, ეს წარწერა ამავე აღრიწდელი არ შეიძლება იყოს.

ნესელჰაუფს «ფაბიანუსი», რომლის შემდეგ იმდენი ადგილია წარწერაში დარჩენილი, რომ აღარ არის სავარაუდო სხვა სახელი მოსდევნებოდა კიდევ, მიანჩია იმ წლის ერთ-ერთი მოქმედი კონსულის (consul suffectus) ე. წ. კოგნომენად (რომაელები ჩვეულებრივ სამი სახელით იხსენიებოდნენ, რომელთაგან პირველი იყო ე. წ. „პერნიომენ“ — წინასახელი, ანუ საკუთარი, პირადი სახელი, რომელთა რიცხვი ძალიან განსაზღვრული იყო და ჩვეულებრივ მარტო ინიციალდობდნენ იწერებოდა; მეორე იყო „ნომენ“ — საგვარეულო, ანუ სატომო სახელი; მესამე „კოგნომენ“ კი — საგვარეულოს ნაწილის ანუ ოჯახის აღმნიშვნელი. ასე, მაგალითად, პუბლიუს ვერგილიუს მარო ანუ მარონი რომ ეწოდება დიდ რომაელ პოეტს, აქ პუბლიუს არის პრენომენ, ვერგილიუს — ნომენ, მარო კი — კოგნომენ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსულებად უყვე ასე თუ ისე სახელაანი და წარჩინებულ პირები შეიძლებადა ყოფილიყვნენ, ეს სახელი («ჟუბიანუს») კი საკმაოდ იშვიათია, იგი, მეცნიერ-

რის აზრით, შეიძლება გაიგივებულ იქნას იმ ლუციუს ანიუს ფაბიანუსთან (L. Annius Fabianus, რომელიც ახ. წ. 135 წლიდან დაახლოებით 167 წლამდე დაიკის (რომის იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით ახლანდელი რუმინეთის ტერიტორიას მოიცავდა) გამგებლად (ე. წ. legatus pro praetore) ჩანს სხვა წყაროებით.

ფაბიანუსის ზემოთ, პირველ სტრეპტონში, მისი წინამორბედი კონსულს აგრეთვე კოგნომენის ნაშთი უნდა იყოს, რომელიც შეიძლება ბოლოვდებოდა, როგორც ...sian[us] ანდა ...stan[us]. მაგრამ ვინაიდან ამ ეპოქის კონსულთა სია საერთოდ ძალიან ფრაგმენტულადაა ჩვენთვის ცნობილი, მისი ამოცნობა ჯერ-ჯერობით ძნელდება.

ჩვეულებისამებრ კონსულების დასახელების შემდეგ, რომის იმპროინდული უმთავრესი ამბებიდან პირველ რიგში შეტანილია სწორედ ფარსიან მეფის რომს სტუმრობის ცნობა, რამაც სხვა რომაულ-ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობათა უტყუარობა შესანიშნავად დაადასტურა. ამასთანავე ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვალნათლივ, რომ როგორც უცხოური, ისე შშობილი, ქართული უძველესი წერილობითი წყაროები ჩვენი ისტორიის ბევრ შემთხვევაში უძვირფასეს მასალას შეიცავენ ჩვენი ერის წარსულის შესასწავლად და რომ მათდამი ვადაპარბებულ სექტიკურ დამოკიდებულებას თავისთავად ეცლება თანდათან საფუძველი.

ეს ფარსიანი რომის ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის (დაახლოებით ახ. წ. 150 — 235), ე. წ. „ავგუსტუსების ისტორიის მწერლების“ (წარმოადგენს სხვადასხვა დროს — არაუგვიანეს IV ს-ის I ნახევრისა — სხვადასხვა პირობებში შედგენილ რომის იმპერატორთა ბიოგრაფიებს, როგორც ირკვევა, საკმაოდ სანაო წყაროებზე დამყარებულს) და რომელიც სახელმწიფო მოღვაწის ბერძენი ფლავიუს არიანოსის (ახ. წ. II ს-ის I ნახევარში ცხოვრობდა, 131 — 137 წლებში კაპადოკიას განაგებდა. აღრიანე კეისარის ბრძანებით 134 წელს შემოიარა შავი ზღვის სანაპიროები და აქაური დიდიმოხარების აბჯავი მთავრობას მოახსენა წერილობით) ცნობებით, ნიჭიერ, დაკვირვებულ, ძლევამოსილ სახელმწიფო კაცად წარმოგვიდგება.

მისი საბრძანებელი არიანოსის მოწმობით („შავი ზღვის ვარშემო მოგზაურობა“, თ. 15), რომელიც სწორედ ფარსიანის თანამედროვე ჩანს, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე აღწევდა. იგი დირსეულად განაგრძობდა თავისი ქვეყნის გაძლიერებას და დაწინაურების იმ საქმეს, რომელიც ჯერ კიდევ ახ. წ. I საუკუნეში იწყება მისი სენიას, აგრეთვე ძლიერი და გამპროხიხი სახელმწიფო მოღვაწის

დროს და, ეტყობა, თანდათან აღმოცენდა გრძელდება მეფე I — III საუკუნეების შახილზე, ამ სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ აღმავლობას კარგად ადასტურებს წერილობითი ძეგლების გარდა მცხეთასა და მის მიდამოებში ჩატარებული ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების შედეგებიც.

ქართლის მსგევრებში, ჯერ ფარსიან პირველმა და მისმა უშუალო მემკვიდრებმა, მერე კი ჩვენი ახლანდელი მონათვრის გმირმა ფარსიან მეორემ, მოხერხებულად გამოიყენეს იმპროინდული ორი დიდი სახელმწიფოს — რომისა და პართიის ქიშპობა, აგრეთვე რომის მტერების თანდათან დაქვეითება და რომის მტერობისა და მოკავშირეობის გარეგნულ საფარქვეშ ფაქტიურად დამოუკიდებელი აქტიური პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ.

მკვლევარების ერთი ნაწილი (ს. ჯანაშია, გ. წერეთელი და სხვ.) იმ აზრისაა, რომ ეს ფარსიანი (II) ძველ ქართულ წყაროებში („მოქცევა ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველის თხზულება) მოხსენიებული ფარსიანი ქველ უნდა იყოს, რომელიც აგრეთვე ძალიან მორბულ ხელმწიფედ არის ქართულ წყაროებში გამოყვანილი. ეს ფარსიანივე უნდა იყოს მოხსენიებული არამაზის ცნობილ ორიენთან წარწერაში, რომლის აღმოჩენასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის ბევრი საკითხის ახლებურად გაშუქებისათვის (ახ. გ. წერეთელი, არამაზის პოლინგვა, ენიმიკის მთაბზე, ტ. XIII, 1942, გვ. 23 — 24).

ფარსიანი რომ რომს იყო და რომ იქ დიდის პატივით მიიღეს, ამას რომაული და ბერძნული წყაროები ერთხმად აღიარებენ, მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებამდე შემცდარი აზრი არსებობდა მისი რომს სტუმრად ჩასვლის დროის შესახებ. მას ურთიერთობა ჰქონდა რომის ორ იმპერატორთან — ადრიანესთანაც (იმპერატორობდა 117 — 138 წწ.) და ანტონინუს პიუსთანაც (138 — 161 წწ.), მაგრამ ამ ამბების გადმოძქმევი ერთ-ერთი მთავარი წყარო, დიონ კასიოსის რომის ისტორიის ეს ნაწილი, მხოლოდ ნაწყვეტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული და პირველი გამოქვეყნების მიერ შეცდომით დალაგებულია ისე, რომ ანტონინუს პიუსის შესახებ ამბავი ადრიანეს შესახებ მომხრობ ფრაგმენტებში მოუთავსებიათ. ამიტომ ასევე გადმოიღო არა მარტო აკად. ვ. ლატიშვიმ თავის ცნობილ კრებულში (Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, стр. 622), არამედ ამავე კრებულის ახალ, უფრო ახალ „Вестник древней истории“-ს მიერ განხორციელებულ გამოცემაშიც (ВДИ, 1948, № 2, стр. 277) უცვლელად და უკომენტაროდ იქნა გამეორებული. მაშინ, როცა ჯერ კიდევ 1885 წ. თ.



მოშენმა (შდრ. История Рима, т. V, стр. 365) გაასწორა და შემდეგ კი დიონ კასიოსის საუკეთესო კრიტიკული გამოცემის ავტორმა Boissvain-მა (ტ. III, გვ. 244; მისი გამოცემა განხორციელდა 1895 — 1901 წლებში), Loeb Classical Library-ს სერიაში E. Cary-მ (1925 წ.) და სხვებმა ერთხმად ცნეს ეს შესწორებები. როგორც ნესელჰაუფიცი აღნიშნავს, ეს ახლა საერთოდ მიღებული აზრია და საკამათოდ აღარ ითვლება.

ჩვენში ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ბოლო ხანებში მ. ინაძემ თავის შრომაში „იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში“ (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ. 1955, ტ. I, გვ. 313 — 328), რომელშიაც იგი სამართლიანად მხარს უჭერს მოშენის მიერ აღრევევ გამოთქმულ მოსაზრებას და საინტერესოდ აშუქებს ფარსმანისა და, საერთოდ, იბერიის მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკას რომისა და პართიის მიმართ.

საქმე ის არის, რომ აღრიანე კეისრის მეისტორიე ელიუს სპარტიანუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღრიანემ „სამეფობროდ მოიწვია გამგებლები და მეფეები...“ და „როცა ზოგი მეფე ეახლა, ისე მოეპყრო მათ, რომ ვინც მოსვლაზე უარი თქვა, იმათ ინანეს. ასე მოიქცა განსაკუთრებით ფარსმანის გელსთვის, რომელმაც მისი მიწვევა ქედმაღლურად უკუაგლო“ (აღრიანეს ცხოვრება, თ. XIII, 8 — 9). მერეც აბის განმეორებული, რომ „აღბანები და იბერები ძალიან მოგობრულად იყვნენ მასთან, რადგან მათი მეფეები საჩუქრებით აავსო, თუმცა მასთან მისვლა ზიზით უკუაგდესო“ (ივემ, თ. XI, 13). მაშასადამე აღრიანესთან მართლაც არ ჩასულა და რომ არ ჩასულა, საფიქრებელია, სამისო საბუთიც ჰქონდა ალბათ.

აღრიანემ, როგორც ჩანს, თავისი მოგზაურობის დროს კაადოკიაში რომ ჩამოვიდა, მაშინ დაიბარა ამ მხარეთა მესვეურები. სხვათა შორის, ჩვენს მკვლევართა შრომებში ან ბუნდოვნადაა ლაპარაკი ამ მიწვევის თარიღზე, ან ჰგონიათ, რომ ეს მოხდა პირველი მოგზაურობის დროს, ე. ი. 123-124 წლებში, მაშინ როცა ამ მიწვევაზე აშკარად ლაპარაკია აღრიანეს ბიოგრაფიაში სწორედ მეორე მოგზაურობის დროს, დაახლოებით 128 წელს, როცა იგი, ეტყობა, მელიტენეში იდგა, ზემო ევფრატის ახლოს.

ძალიან საინტერესოა და ახსნას მოითხოვს აგრეთვე ბიოგრაფის შემდეგი ნათქვამი: აღრიანემ „ბევრ მეფეს უბოძა დიდძალი საჩუქარი, მაგრამ იბერთა მეფეებმეტი კი არაკისთვის მიუტია, რომელსაც სხვა დიდებულ საჩუქრებთან ერთად სპილო და ხუთასეული რაზმი გაუგზავნა. ხოლო როცა ფარსმანისგანაც მიიღო დიდძალი საჩუქარი და ამით შორის ოქროქსოვილის მოსას-

ხაზები, მისი საჩუქრების გასამახარებლად იმ ოქროქსოვილიანი წამოსასხამებით სამისე დამანავე შეგზავნა ცირკის ასპარეზზეო“ (ივემ, თ. XXI, 13).

თავისთავად უცნაური ამბავი გამოდის: რატომ უნდა მოქცეოდა ასე უპატიოდ ფარსმანის ძღვენს და, მაშასადამე, ამით თვითონ ფარსმანს? აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ შრომაში ისეც არის წარმოდგენილი, თითქოს ფარსმანმა უძღვნა საჩუქრები და მერე მიიღო ის საპასუხო სამავალითო საჩუქრები იმპერატორისაგან, მაშინ როცა ნამდვილად პირიქით მომხდარა ეს ამბავი — ჯერ აღრიანეს გაუგზავნია საჩუქრები და მერე ფარსმანს მოუძღვნია, არ შეიძლებადაც არც შერიგების შემდეგ გავგზავნა იმპერატორს საჩუქრები, როგორც ზოგი შრომის ავტორი ვარაუდობს, რადგან ელიუს სპარტიანუსი, აღრიანეს ბიოგრაფი, სრულიად გარკვევით აღნიშნავს ფარსმანის საჩუქრების უპატიოდ მიღებას (XVII, 12); ხოლო თუ შერიგებული იქნებოდნენ, რატომდა უნდა ჩაედინა ასეთი წინდღუხედავი და უთავებოლო საქციელი აღრიანეს და ტყუილად ისევ გაემწვავებინა ურთიერთობა?

ჩვენის აზრით, უფრო ლოგიკური იქნება თუ ვფიქრებთ, რომ ფარსმანისათვის საჩუქრების გაგზავნა მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მეფე-მთავრების კაადოკიაში მიწვევის დროს ფარსმანიც იქნა მიწვეული და, როგორც განსაკუთრებით საპატიო მოყავშირე მეფეს, საჩუქრებიც უფრო საპატიო გაგზავნა, მაგრამ ფარსმანი, რასაკვირველია, რომის იმპერატორის წინაშე თავისი ქედმაღლობის ამკარად გამოცხადებას ვერ გაბედავდა, და თავისი ნამდვილი განწყობილების დასაფარავად და თანაც თავისი მოკმეულობის საჩვენებლად, რაც კი შეიძლება, მართლაც დიდებულ საპასუხო ძღვენს გამოუგზავნიდა რაიმე მიზობიწებითურთ. თუმცა, როგორც ვნახეთ, ოფიციალურ მისიონერს და ეტყობა, თვით იმპერატორსაც მაინც, ქედმაღლობაში ჩამოურთმევიათ პირადად გამოუცხადებლობა და მისი საჩუქრებიც უპატიოდ გაუნიავებიათ.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ფარსმანს არ გამოპარებოდა და, მაშასადამე, მისი ხელისშეწყობით აღნიშნის დადამოსვლას და პართიის (რომელსაც მაშინ მეგობრული განწყობილება ჰქონდა რომთან), სომხეთისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეების დარბევას, რაც იუდეველთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ (ე. ი. 135 წ.) მოხდა, სრულიად საკმაო გამამართლებელი საბუთი ექნებოდა. ამით ფარსმანს შეეძლო ეგარძობინებინა რომისთვის თავისი ძლიერებაც.

ნესელჰაუფი ყურადღებას აქცევს ალანთა შემოსევის თარიღის საკითხს. ეს შესევა იუდეველ-

თა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მალევე მოხდა (დიონ კასიოსი, 69, 15, 1). მაგრამ როდემდე გაგრძელდა ეს ამბავი, ამის შესახებ კი ვარკვეული აზრი თითქოს არ არსებობდა. საქმე ის არის, რომ დიონ კასიოსის იმავე ფრაგმენტში დაცულია ისეთი მითითება, რაც აადვილებს აღნთა შემოსევის ხანგრძლივობის მიახლოებით მაინც დადგენას. იქვე ნათქვამი აქვს დიონს: აღნების შემოსევა მას შემდეგ შეწყდა, რაც ერთის მხრივ პართების მეფე ვოლოგუნმა საჩუქრებით დაიყოლია ისინი, ხოლო მეორეს მხრივ კი კაბადოკიის გამგებელმა ფლავიუს სარდანოსმა შეაშინაო. არიანოსი კი როგორც ცნობილია, 131 — 137 წლებში იყო კაბადოკიის მმართველად; ასე, რომ აღნებს იგი 137 წლამდე თუ „შეაშინებდა“ და, მაშასადამე, აღნთა შემოსევის დროც 135 — 137 წლებში უნდა დაედოთ.

ამ საქმის თაობაზე პართელმა რომ უჩივლეს (დიონ კასიოსი, 69, 15, 2) ფარსმანს რომაელთა წინაშე, ეს ამბავიც, სხვათა შორის, ცალკე ფრაგმენტის სახით არის მოიწეული ჩვენამდე და მის შესახებაც არსებობს აზრი (E. Cary), რომ, შესაძლოა, ისიც ზემოხსენებულ მეორე ფრაგმენტით ანტონინუს პიუსის ხანას ეხება.

შედარებით გრძელი მსჯელობა ამ საკითხზე იმიტომ გვეჭირდება, რათა აშკარად გამოჩნდეს, რომ ფარსმანის რომს ჩასვლა აღრიანეს დროს მართლაც ძნელი იქნებოდა და რომ იმასა და რომის ამ იმპერატორს შორის სრული გულგანმანდობა და თანხმობა არ შეიძლებოდა არსებულყო. რაც შეეხება ანტონინუს პიუსის ხანას, მაშინ რომის მხრივ ფარსმანისადმი კიდევ უფრო განსაკუთრებულ აღურს თავისი ფასი მიეცა, რადგან ამ დროს, როგორც წყაროები და საქმის ვითარება ცხადდ მოწმობენ, პართისადმი რომის დამოკიდებულება ძალიან შეიცვალა — ფართო საომარი მზადება დაიწყო მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და ამ მდგომარეობაში ისეთი ძლიერი სახელმწიფოს მომდურება, როგორც ფარსმანის იბერია იყო, რასაკვირველია, რომის ინტერესებში არამც და არამც არ შედიოდა.

ამიტომ უნდა იყოს, რომ პართიის საჩივარს აღარავითარი ყურადღება აღარ მიეცევა და, პირიქით, ფარსმანთან კეთილგანწყობილება უფრო განმტკიცებულია. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ფარსმანსაც გული ისე მოპბრუნებია, არა თუ თვითონ, არამედ, როგორც დიონ კასიოსი გადმოგვცემს (69, 15, 3), მეუღლით, ძითა, და დიდებულებითურთ ჩასულა რომს. ანტონინუს პიუსის მემორიე იულიუს კაბიტოლინუსის თქმით, „მეფე ფარსმანი მასთან (ე. ი. ანტონინუსთან) ჩამოვიდა რომს და უფრო მეტი პატივი აცა მას, ვიდრე აღრიანესო“ (ანტონინუს პიუსის

ცხოვრება, თ. IX, 6), თვითონ ანტონინუსი როგორც დიონი ამბობს, გამოჩნევით დააფასა: „გუდილა სამეფო, ნება დართო კაბიტოლიუმში მსხვერპლად შეეწირა, ბელონას ტაძარში მისი ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა და მისი, მისი ძისა და სხვა შეპურვილ წარჩინებულ იბერთა ვარჯიშობის უტყირაო“ (69, 15, 3). ეს მართლაც სერი და უჩვეულო პატივი იყო — უცხო მეფის ასეთი დახვეწილა საქმიად იშვიათია რომის ისტორიაში და როგორც საიშვიათო ამბავი კიდევ აუსახავთ ფასტებში.

უნდა შევინშნოთ, რომ ამ ტექსტის თარგმანში და საერთოდ ამ ამბის ხსენების დროს ჩვეულებრივ ცხე წერდა, თითქოს მარსის მინდორზე დაედგათ ცხენისანი ფარსმანის ძველი. აქ კი, ჩანს, ლაპარაკია, ბელონას ტაძარზე. ბელონა მარსის, ომის ღმერთის, დად თუ მეუღლედ ითვლებოდა კონტექსტში ეს უნდა შეეისტყებოდეს ბერძნულად, Ένυθას, ბერძნული არვისს მხეველს. ბელონას ტაძარი რომში ფლამინიუსის ცირკის ახლოს მდგარა (ჩვეულებრივ ძველი რომის გეგმაზე შონიშნულიც არის მისი ადგილი). ამ ტაძარს დიონ კასიოსი იმავე ფორმით რამდენჯერმე სხვაგანაც ახსენებს (მაგ., 50, 4, 5; 72, 33, 3 და სხვ.); საიდანაც კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ მართლაც ბელონას ტაძარი უნდა იყოს აქაც ნაგულისხმევი.

ყოველივე ზემოთქმულს უკავშირდება თვით ფარსმანის რომს ჩასვლის თარიღის ვარკვევანესელებათუთი სასართლიანად ფიქრობს, რომ ეს იქნებოდა ანტონინუს პიუსის მეფობის დასაწყისში, რადგან ერთის მხრივ თვითონ რომისთვისაც საჭირო იყო მისი კვლავ შემორჩევა პართისთან მდგომარეობის გამწვავების გამო, მეორეს მხრივ კი ფარსმანისთვისაც მოხერხებული დრო დადგა — საბაბი მიეცა თავისი პრეტორის შეუღლებავად, თავაზიანობის ვიზიტის სახით გამოცხადებულად ახალ იმპერატორთან მილოცვისათვის და ამასთანავე სასარგებლო მოლაპარაკებაც ეწარმოებინა.

ფასტების ამ ნაწილის თარიღის შემოფარგვისათვის ნესელპაუფი ყურადღებას მიაქცევს იმ ვარკვევას, რომ ანტონინუს პიუსის იმპერატორობის ხანაში ფასტების მხოლოდ 141 — 144, 149 — 150 და 157 — 159 წლების ნაწილებია უცნობი და მხოლოდ ამ წლების კონსულთა სახელები არ ვიცით. რაკი ფარსმანის მოსვლა ანტონინუსის მეფობის დასაწყისს უფრო ეფარდება, ამიტომ მას შესაძლებლად მიაჩნია, საკმაოდ გულდაჯერებულ მივეჭინათ ახლადამოჩენილი წარწერის კონსულ ფაბიანუსის სახელი და მასთან დაკავშირებული ფასტები უფრო 141 წელს, ვიდრე სხვა რომელობს.

რომს ჩასვლის დროს წარმოებული მოლაპარაკების შედეგი კარგად ჩანს წყაროებში — უნდობლობი: ღრუბელი გაფანტულა და კეთილ-



განწყობილების ნიშნად მისი სამფლობელო გაუ-
დღებდა კიდეც რომის მბრძანებელს, ე. ი. ალ-
ბათ დაუმტკიცებია ფარსმანისათვის ზოგი ის-
ტერიტორია, რომელიც ალანთა შემოსევის დროს
იღლო ხელთ აღრევე. ნესელაჟუფს ამ ფაქტთან
დაკავშირებით შესაძლოდ მიაჩნია, წარწერის მე-
ხუთე სტრიქონში შემორჩენილი ზმნის ფორმა
reddidit კვლავ ფარსმანის ამბავს მიაკუთვნოს.
ქვემდებარედ აქ ანტონინუს პაუსს ვულისხმობს
და ამ ფრაზას ასე აღადგინეს: „regnum am-
plius reddidit“, ე. ი. ანტონინუსმა იბერთა მე-
ფეს უფრო დიდი, უფრო ვრცელი სამეფო ანუ
საბრძანებელი მისცაო“ (სიტყვა-სიტყვით „დაუბ-
რუნაო“). მართალია, დასაბრუნებელი ფარსმანის
არაფერი ჰქონდა, თავისი საბრძანებელი თვი-
თონვე ეპარა, მაგრამ არ არის შეუძლებელი,
რომაულ ოფიციალურ დოკუმენტში მართლაც
ამ სიტყვითაც გამოეხატათ ის ამბავი, რომელიც
რომის ხელისუფლებასთან იბერთა მეფის შე-
რიგებას გულისხმობდა. მაგრამ დაბეჯითებით
კი ასეთი აღდგენისათვის მხარის დაჭერა ძნე-
ლია, რადგან წარწერის შემორჩენილი ტექსტი
უფრო კატეგორიული მსჯელობის საშუალებას
არ იძლევა.

შეტი უეჭველობით შეიძლება მტკიცება, რო-
გორც გერმანელი მეცნიერი ამბობს კიდეც, რომ
ფარსმანის შემდეგ მისი ტიტული „იბერთა მე-
ფე“ (rex Iberorum) იქნებოდა მოყვანილი.
აგრეთვე რაკი ცოლი ნახსენებია, შეილსაც არ
დაივიწყებდა ფასტების შემდგენელი და დიონის
ცნობიდანაც ხომ ვიცით, რომ ვაქცი თან ახლ-
და. ამასთან დაკავშირებით ნესელაჟუფი დას-
ქენს, დედის წინ შეილის მოხსენიება სრულიად
შეესაბამება მაშინდელ ეთიკებს და ნიშნავს,
რომ ვაჭი, ვითარცა მემკვიდრე, წესისამებრ
მართლაც მამის შემდეგ უნდა მოეხსენებინათ.
ოლონდ საეჭვოდ მიაჩნია აქ არამაზის ბილინგ-
ვის ქსეფარნტუი ყოფილიყო, რადგან ბილინგ-
ვაში არ არის ნახსენები — ქსეფარნტუი რა ნა-
თესაურ დამოკიდებულებაში იყო ფარსმანთან,
შვილი იყო თუ ძმა, ამიტომ, მისი ახრით, მცირე
შესაძლებლობა არსებობს ასეთი აღდგენი-
სათვის — [cum filio Xepharnugje (= „შვი-
ლით ქსეფარნტუიურთ“), მაგრამ თუ დედოფ-
ლის სახელს წინ შეილის სახელი მართლაც
იმიტომ იყო მოთავსებული, რომ იგი ტახტის
მემკვიდრეს ეკუთვნოდა, რატომ უნდა ვიფიქ-
როთ, ეს მემკვიდრე სხვა იყო და არა ის, რო-
მელსაც, ბილინგვის თანახმად, ნამდვილად უჭი-
რავს ტახტი სწორედ ფარსმანის შემდეგ და
ჯერჯერობით არც არავითარი ცნობა არ მოგ-
ვეპოვება, რომ ფარსმანის მემკვიდრე-უფლის-

წულ გარდაცვლილიყო უდროოდ. შეი-
მხრივ სხვა ჩასაფიქრებელი ვარაუზობაც იჩენს
თავს — რატომ უნდა წაეყვანა ტახტის უშუა-
ლო მემკვიდრე ფარსმანს ასე შორს, მაინც
ასე თუ ისე სახეფათო და ხანგაძლივ მოგზაუ-
რობაში, და რატომ უნდა დაეგდო სამეფო უპა-
ტრონოდ საკმაოდ დიდხანს? შესაძლოა რომ
სხვა ვაჭი წაიყვანა, მემკვიდრე კი შინ დასტოვა
ქვეყნის მოსაგულად.

ფარსმანის მეუღლის სახელი მეოთხე სტრი-
ქონში „ფრ...“-თი იწყება და მართალი უნდა
იყოს მკვლევარი, როცა ვარაუდობს, რომ ისიც
იბერიელია და (დაესქენდით ავრეთვე — სო-
მეხთა) მაშინდელი სახელების უმეტესობის
მსგავსად ირანული წარმოშობისა იქნებოდა.
ამნაირი დასაწყისის მქონე ქალთა სახელები სა-
ერთოდ იშვიათია და ნესელაჟუფი თავს იკა-
ნებს რაიმე გარკვეული ვარიანტის წამოყენე-
ბისაგან. ფ. იუსტის ირანულ სახელთა ლექსი-
კონში მხოლოდ რამდენიმე ასეთი სახელი შე-
იძლება გამოირჩეს მსჯელობის საგნად: „ფრა-
გუხუბა“, „ფრანია“, „ფრაზუშუკა“, „ფრაჰჰაჰა“,
„ფრაჰაჰაჰა“, რომელთაც საკმაოდ ბევრი ვა-
რიანტები მოგვბოვებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ,
თუ ამ წარწერის ფარსმანს მართლაც ფარსმან
ქველან გვაივთვებთ, „ქართლის ცხოვრებაში“
(ს. ყაუხჩიშვილის გამ., ტ. I, გვ. 54) მისი მეუღ-
ლის სახელად მოყვანილია „აღდანა“, რომელიც
სომეხთა მეფის ასული ყოფილა. ასეთი სახელიც
იშვიათია; შესაძლოა, დამახინჯებულად იყოს
გადმოცემული და საერთოდ ეს საკითხი შემ-
დგომ სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ამ ფასტებში შეტანილი დანარჩენი ცნობები-
დან ფაქტიურად მხოლოდ დღეების აღნიშვნე-
ლი თარიღებიდა შემორჩენილი. მე-7 სტრიქონ-
ში გლადიატორთა ხსენება ალბათ რაღაც სა-
ზეიმო ვითარებაზე უნდა მიუთითებდეს. ფარ-
სმანის საქმესთან მას თითქოს აღარ უნდა
ჰქონდეს კავშირი. ერთი დასკვნის გამოტანის
საშუალება კი გვეძლევა: ავრე არილის კალენ-
დების დასახელება და მერე მისის ნონისა
გვაფიქრებინებს, რომ მათზე წინ მოყვანილი
ფარსმანისა და მისიანების ამბავი გაზაფხულის
პირზე, ალბათ მარტში ან უფრო ადრეც უნდა
მომხდარიყო.

მიუხედავად ფრაგმენტულობისა და იქნებ
სწორედ ამ ფრაგმენტულობის გამოც, ეს ახ-
ლადამოჩენილი წარწერა კვლავ ბევრი და
უფრო საფუძვლიანი მსჯელობის საგანი იქნება
და ალბათ ჩვენც მოგვეცემა შემთხვევა კიდეც
დავუბრუნდეთ მის გარშემო აღძრულ ზოგ სა-
კითხს.



დანიშნული გომორაქი

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიიდან

ქართველ ხალხს ასეული წლების მანძილზე არაერთხელ დაუღვრია სისხლი თავისი კერის, ეროვნული სახის, ენისა და კულტურის დასაცავად და ამ ბრძოლებში ასეულ ათასობით მებრძოლი ქართველი დიდების შარავანდედით შემოსილა. „შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში მეორე ისეთი მხარე, რომელსაც იმდენი შემოსევა-დაპყრობა და ტაცება-აოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე განიცადა.“

ჩვენს მეზობელთაგან არაერთმა ხალხმა დაპყრობა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დამპყრობელთა საბოლოოდ დაემონა. არაერთი ძლიერი სახელმწიფო გაქრა და არაერთი კულტურული ხალხი საბოლოოდ გადაშენდა. ქართველი ხალხი კი ვადაურჩა ათას ქართველს“ (ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, თბილისი, 1941 წ. გვ. 3).

ფეოდალური დაშლილობის ხანაში საქართველომ უთანასწორო ბრძოლაში თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. XVI საუკუნისათვის საქართველო დაყოფილი იყო ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად — სამეფო-სამთავროებად: ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოს, ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებად. სამეფო-სამთავროები ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებოდნენ შემოსეულ მტრებს და მარცხდებოდნენ. გარდა ამისა მათ განუწყვეტელი შუღლი და მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში.

განსაკუთრებით ტრაგიკული იყო საქართველოსათვის XVI-XVII საუკუნეები. თურქეთისა და სპარსეთის გააღებულ შემოსევების შედეგად ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. თავადური საქართველო დაუსტ-

და და დაუძღვრდა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სამშობლოს თურქეთ-მანთა სახელმწიფომ, რომელიც საქართველოს XV საუკუნეში დაუმეზობლდა და რომელიც „იდგა ფეოდალიზმის ყველაზე უფრო დაბალ, ბარბაროსულ საფეხურზე“ (K. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, გვ. 374). ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ზიანდებოდა სამხრეთ საქართველო, რომელიც თურქეთის მოსაზღვრე იყო. ფეოდალურმა დაშლილობამ აქ ყველაზე ცუდი ნაყოფი გამოიღო და ამ „გზადახვეული ფეოდალის“ კუთხეს — სამცხე-საათაბაგოს რიგრიგობით არბევდნენ ხან ირანი და ხან ოსმალეთი.

XVI საუკუნის მიწურულს ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის თანახმად სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთს დარჩა. ამ დროიდან თურქეთმა სავსებით მოსწყვიტა საქართველოს მისი ყველაზე უფრო მდიდარი და კულტურული მხარე შესხეთი და მაშინვე შეუდგა მის „გათათრებას“. „ოსმალეთის“ დამყარება სამცხე-საათაბაგოში ჩვენი ქვეყნის უდიდესი მარცხი იყო. „საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი — სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელისა, ბექა ოპზარისა და შოთა რუსთაველისა“ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია — საქართველოს ისტორია, გვ. 325, 1950 წ.).

XVI-XVII საუკუნეების მანძილზე თურქეთმა საქართველოს სამცხე-საათაბაგოს გარდა თანდათან წაართვა ქანეთი (ლაზისტანი), ბათუ-



მი, ქობულეთი, ციხისძირი, ფოთი და სოხუმი. ქართველთა გადასაშენებლად თურქ-ოსმალოები ყოველგვარ ღონისძიებებს ატარებდნენ. ვარდა იმისა, რომ მათ მიწისმფლობელობისა და მიწისსარგებლობის ოსმალური წესები შემოიღეს, ისინი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას გვარსა და სახელს თურქულად უცვლიდნენ. იმისათვის, რომ შთამომავლობას წარმოადგინა არ ჰქონოდა წინაპრების მიერ შექმნილი დიდ კულტურულ მემკვიდრეობაზე, თურქები ანგრევდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, მატერიალურ ძეგლებს, რომლებიც ქართველი ხალხის მალა და მდიდარ კულტურაზე მეტყველებდნენ. თურქი დამპყრობნი ედილობდნენ მოესპოთ ქართული ენა, კულტურა და ზნე-ჩვეულებანი. მიუხედავად ამისა, დამპყრობლებმა საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ათასწლოვანი ქართული კულტურის უცხო კულტურით შეცვლა დიდ სიძნელეებს ხედვოდა და ოსმალო ბარბაროსებმა სამხრეთ საქართველოს „გათათრების“ პროცესის დასრულება საბოლოოდ ვერ შეძლეს. „სპარსული და თურქი ასიმილაციები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ულტუნდნენ სომეხ და ქართველებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ტრების მოსპობას, არამედ — პირიქით — იძულებული გახდნენ აგრეთვე კაბიტულაციის მოეღონათ“ (ი. სტალინი, თხზ. ტ. II, გვ. 385, თბილისი, სახელგამი, 1950).

1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამით ზღვარი დაეღო ირან-თურქეთის მიერ ჩვენს სამშობლო მიწაწყლის აწიოკება-აოხრებას, საქართველო მშვიდობიანი სამეურნეო განვითარების გზას დაადგა. ხალხი მომრავლდა და ბრძოლისუნარიანი გახდა. სამხრეთ საქართველო კი კვლავ თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩა. იქ მყოფი ქართველობა XVII-XVIII საუკუნეებში არაერთხელ აჯანყებულა თურქ მოხელეთა თვითნებობისა და მიიმე გადასახადების წინააღმდეგ. XIX საუკუნეში თურქების წინააღმდეგ ასეთი აჯანყებანი არ შეწყვეტილა და მათ ადგილი ჰქონდა 1813, 1815, 1830, 1845 და 1852 წლებში. მოსახლეობა ამქვეყნებდა თავის სამშობლოსთან — საქართველოსთან შეერთების დიდ ტენდენციებს. სამშობლოსადმი ღრმადი ტენდენციები ამქვეყნებდა ქართული მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი — გლეხობა, მაგრამ ასევე მრავალი პროგრესული წარმომადგენელიც შეძლებულთა კლასიდან.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად, რომელშიაც ქართველმა ხალხმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, ქართული მიწაწყლის 24 სანჯაყიდან, რომლებიც თურქეთს ეკუთრა, საქართველოს შეუერთდა 10 სანჯაყი:

ქობოლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალქალაქი, ყური, ასპინძა, ხეროვისი, ახალქალაქი, ჯაიბი, ფოცხოვი და პალაკიო (ჩილდირი). ვარდა ამისა ამავე ომის შედეგად 1828 წელს თურქეთს წაართვეს ქ. ფოთი. ეს მოვლენა ქართულმა ხალხმა უდიდესი ზემოთა და აღტაცებით აღნიშნა. შემდეგ წლებში თურქეთის უდიდეს ქვეშ მოქცეული ქართული მოსახლეობის ღრმადი დედასამშობლოსაკენ კიდევ უფრო გაძლიერდა. 1855 წელს გენერალი მურავიოვი წერდა, რომ „გურულების მონათესავე ქობულეთებს, რომლებიც ახლა გამაჰმადიანებულნი არიან, რომ მათთან შეერთება სურთ“. უფრო გვიან, 1870 წელს, აჭარის სათავეში მოღვაწე შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა „იუსტრის“ რედაქტორ ივ. კერესელიძესთან საუბარში განაცხადა: „ღმერთმა ქმნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველთა შვილებს შევეუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ისევ გახდესო“. ასეთივე განწყობისა იყო შეგშეთის ყველაზე გავლენიანი პირი ნური ბეგ ხიმშიაშვილი.

XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მუდამ ასოვდათ საქართველოსაგან ძალით ჩამოვლელი მშობლიური მიწა-წყლის ბედი. ეს საკითხი მათთვის ყოველთვის აქტიურ პრობლემას წარმოადგენდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი დიდად იყვნენ დაინტერესებულნი თურქეთის მონობაში მოქცეულ ქართველთა ბედით, სევდით შესცქეროდნენ სამხრეთ საქართველოს უძველესი ქართული კულტურის აკვანს, რომელიც თურქმა ბარბაროსებმა გადაგვარების გზაზე დააყენეს.

დიდი ილია 1877 წელს წერდა: „შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები, ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად დღაწყლის დამღებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღზინენი“ („ივერია“, 1877, 28 აპრილი, № 9 გვ. 3). ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ს. მესხი 1876 წელს „ღრობაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ომის მოლოდინი“ წერდა: „ქართველი ქართველობას, თავის სამშობლოს სიკეთესა და სარგებლობას არ დაივიწყებს ამ საზოგადო შეტაკებისა და გაჭირების დროს...“ („ღრობა“, 1876, 12 ნოემბერი, № 122, გვ. 1). ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომამდე შემოიარა აჭარა, წერდა: „ვიმედოვნებთ, რომ ახლანდელი ბრძოლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის... იმით დასრულდება, რომ მესხისა და ჩვენ ერთი მეორეს ისევ შეუერთდეთ ძველებურად, ძმურად და, — ვისურვოთ ყველამ, — საუკუნოდ“ („გაზ. ივერია“, 1877, № 11, გვ. 3).



ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები რუსეთ-თურქეთის ამ ომს დიდ იმედებსა და მიზნებს უკავშირებდნენ. ფრთებს ისხამდა მათი ოცნება: თურქთა მონობაში მყოფი ქართველი ძმების გამოხსნისა და ძალით, ხელოვნურად გათიშული ეროვნული ორგანიზმის გამთავისუფლება იდეა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავეებმა მათ ხელში არსებული ეურნალ-გავთვები აქციეს ტრიბუნად, საიდანაც ვაისმოდა მოწოდება სამშობლოს მიწა-წყლის გამოხსნისა. ეს მოწოდება იყო ერთდროული ხმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებისა და მთელი ქართველი ხალხისა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, განემტკიცებინა რუსეთის ეკონომიური და სამხედრო პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, და მეორე — მიეღწია იმისათვის, რომ შავი ზღვის სრუტეები გაღებულყო რუსეთისათვის, რუსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ბალკანეთში მცხოვრებ სლავ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

1877 წლის 12 აპრილს გამოცხადდა რუსეთ-თურქეთის ომი და იმავე დღეს დაიწყო საომარი მოქმედება, ერთდროულად როგორც ბალკანეთში, ისე ამიერკავკასიაში.

ომის გამოცხადებისთანავე მთელმა ქართველმა ხალხმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო მასში. საქართველოს ყველა კუთხეში აღდგნენ ლაშქრის, რომელშიც ხალხისთი ეწეობდნენ. ლაშქრის აღდგენენ ომის გამოცხადებამდეც. სიღნაღის მაზრაში 300 კაცისაგან შემდგარი ლაშქრის გაცილებებისა მრავალ დედასა და ცოლს უტრიადა და მხედრები ასეთი სიტყვებით გაუცილებია: „...წადით, ვასწირეთ თავი, დაიცევით სახლი, დედა და ცოლშვილი, ნუ გაამუსყრინებთ თავს მტერს, თავზედ დუშმანს ნუ გადაიბრუნებთ დაღვარეთ სისხლი მამულის მომავლისთვის, გამშაგებულ სიკვდილს წინ მიეგებებით.“ („დროება“, 1877, 30 იანვარი, № 12, გვ. 2). 1877 წლის აპრილში სოფელ ველისციხეში შეერთებულან თელავისა და სიღნაღის მაზრების ცხენოსანი მოლაშქრეები. ლაშქარში მრავლად იყვნენ 17-18 წლის ახალგაზრდები, რომელთაც სახლში არავენ დარჩენოდათ, მაგრამ ისეთი სიხალისე და გამბედაობა ეტყობოდათ, როგორსაც მოითხოვდა სამშობლოს დაცვის სიყვარული და ერთგულება. ქართველი მხედრების გაცილებებისა გამოვიდა რუსეთ-თურქეთის ამ ომის ცნობილი ქართველი გენერალი ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომელმაც მხედრობას უთხრა: დღეს ჩვენ გავდივართ ოსმალეთთან საომრად. ჩვენი ძმები, ქართვე-

ლები, დღესაც იმათ ხელში, იმათის კარსაგან ქვეშ იმყოფებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქართველი კაცი მათის დახსნისათვის თავს შესწირავს და არ დაიშურებს თავის სისხლის დანთხევას. („ივერია“, 1877, 12 მაისი, № 11, გვ. 3). ამავე დღის მან განაცხადა, რომ იგი ყველაზე მეტად იმით ამაყობს, რომ მხედრობამ არ მიაქცია ყურადღება თავის მატერიალურ ნაყოვანებებს და ყველა გამოვლდა პირველ დამახილზე, თითქოს ლხინში იყვნენ წვეულნიო („დროება“, 1877, 4 მაისი, № 49, გვ. 3-4).

9 მაისს ქართველ მხედრობას გაცილებდა მოუწყეს თბილისში. დიდმა პოეტმა და სახელოვანმა ქართველმა მცოვანმა გენერალმა გრ. ორბელიანმა მხედრობას „ღეთისმშობლის ხატო“ უძღვნა, დალოცა და უთხრა: „ივერიის ხატი ვიძლივთ ამ სახელოვან საქმეშიო“. მხედრობის მეთაურმა იოსებ ჯორჯაძემ გრ. ორბელიანს ამაზე პასუხად უთხრა, რომ ქართველები მამაპაპის სახელს არ უღალატებენ. ქართველებმა იციან, რომ ნაძარხსა სიცოცხლესა სახელოვანი სიკვდილი სჯობსო („ივერია“, 1877, 12 მაისი, № 11, გვ. 4).

ხალხით ეწერებოდნენ ქართულ ლაშქარში საქართველოს ყველა კუთხეში. შორაპნის მაზრაში, განკარგულეთი, ყოველ 100 გლეხზე 2 მხედარი უნდა გამოეყვანათ. მაგრამ 100 გლეხზე ორი კაცის ნაცვლად ოცი კაცი აცხადებდა სურვილს ომში წასასვლელად. ამის გამო „დროების“ კორესპონდენტი წერდა — ჩვენი ხალხი სრულდებით არ არის შეშინებული ომის მოლოდინისაგან და ხალხისთი აწერს ხელს ომში წამსვლელ მსურველთა სიაზედა. („დროება“, 1877, № 1, 2 იანვარი, გვ. 3).

განსაკუთრებით დიდი ხალხით ეწერებოდნენ ლაშქარში გურულები. „დროების“ კორესპონდენტი გურიიდან წერდა: „გურულები ამბობენ, ყოველთვის მზათა ვართ ჩვენ დასაცავად ჩვენი მამულისათვისო“. რუსეთ-თურქეთის ამ ომის უშუალო მონაწილის, პორტუჩიკ ივანე მკაშვილის ცნობით (რომელიც გურის პირველი ლაშქრის მეთაურ ასეულს მეთაურობდა და რომელმაც სპეციალური შრომა მიუძღვნა გურიის პირველი ქვეითი ლაშქრის საბრძოლო დამსხვრებას), გურიაში პირველი გაწვევის დროს, 1876 წლის დეკემბრის დასაწყისს, 1000 კაცის ნაცვლად გამოცხადებულა 3000 გურული. გაწვევის სურვილი განუცხადებიათ 13-14 წლის ყმაწვილებსაც კი, რომლებიც „ცრემლმორეული თიხოდნენ“ ჩაირიცხათ ლაშქარში. პოლიციენიკი ყაზბეგი მთ დამპირებია მიეღო ისინი ლაშქარში ერთი წლის შემდეგ, რაზედაც ყმაწვილებს უპასუხნიათ: „რად გვინდა ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხება, როდესაც იმ დროისათვის ომიც დამთავრდება. ახლავე გესურს თავი დაე-



დოთ... სამშობლოსათვის“. ხოლო, როდესაც ომი დაიწყო, ომის მონაწილე ნიკოლაიშვილის მოწოდებით, 12-16 წლის ყმაწვილები კვლავ გამოცხადდნენ ჯარის უფროსთან და განაცხადეს, რომ „საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყავითო. თოფი მოგვეცით და ჩავვაყენებ უფროსით; ხმელ მკაილი თუ გვექნა სავსელად, ჯერ არა გვინდა რაო“. მგარეშ ლაშქრის უფროსმა კვლავ არ მიიღო ისინი, რის გამოც ყმაწვილი ბიჭები ტირილით დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში“ („დროება“, 1877, № 48, 1 მაისი, გვ. 2).

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ამ ომთან დაკავშირებით საქართველოში შეიქმნა 37 საჯარისო ერთეული 102 ასეულით. აქედან 15 ცხენოსანი ერთეული და 22 ქვეითი. სულ ომის დროს თოფქვეშ იყო 2500-მდე ქართველი მხედარი, რომელთა დიდი უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობდა საომარ ოპერაციებში. ქართველობა მზად იყო თავი დაედო სამშობლოსათვის. ისე როგორც წარსულ ომებში ოსმალების წინააღმდეგ (1828—1829, 1853—1856 წწ.), ამ ომშიც ქართველები რუსების მოკავშირეებად გამოდიოდნენ, მათ მხარდამხარ იბრძოდნენ, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რუსული იარაღის წარმატებას და რუსეთის არმიის რიგ ბრწყინვალე გამარჯვებათა საწინაღობა ხდებოდა.

კავკასიის ჯარები გაყოფილი იყო ორ ნაწილად. პირველი დაჯგუფება განლაგებული იყო ფრონტის ხაზზე, რომელიც იწყებოდა ახალციხიდან და გრძელდებოდა ახარაბამდე. ეს დაჯგუფება ექვემდებარებოდა ე. წ. მოქმედი კორპუსის სარდლობას. კავკასიის არმიის მეორე დაჯგუფებას ეკავა რიონისპირა მხარე და ემორჩილებოდა ამავე სახელწოდების სარდლობას. აქ ფრონტის ხაზი ჯერ მიჰყვებოდა შავი ზღვის სანაპიროს ანაკლიიდან შეკვეთილამდე, ხოლო შემდეგ ჩოლოქისა და აჭარა-ახალციხის მთებზე გავლით მიემართებოდა ახალციხისაკენ. რიონისპირა ჯარებს სარდლობდა გენ. ოკლობოტო.

მაშინ, როდესაც დუნაის არმია ბალკანეთში ივნისამდე მტერთან შესახვედრად მიიწვევდა წინ, კავკასიის არმია ომის გამოცხადების დღიდანვე აქტიურ საომარ მოქმედებას ეწეოდა და ზედიზედ ამარტყებდა თურქეთის ე. წ. ანატოლიის არმიას. ომის დაწყების პირველ თვეშივე კავკასია-მცირე აზიის ფრონტზე რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და ქ. არტანინი. 1877 წლის მაისში თურქებმა დღესათი გადმოსხეს სოხუმსა და ოჩამჩირეში და ამრიგად ახალი ფრონტი გახსნეს. აქ, გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა მდინარე კოდორისა და ოჩამჩირის მიდამოებში. ივლისში თურქეთის ჯარი დამარცხდა და იძულებული გახდა სოხუმისაკენ დაე-

ხია. აფეისტოში რუსეთის ჯარმა სოხუმში და აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად დაიკავა და თურქებისაგან.

კავკასიის ჯარების სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გურთის სტრატეგიულ მდებარეებას. მასზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი რიონისპირა მხარის უმწირობა. თურქეთთან წარსული, 1853—1856 წლების ომის გამოცდილებიდან კავკასიის ჯარების სარდლობა დარწმუნდა, რომ გურია წარმოადგენდა მნიშვნელოვან დასაყრდენს ორივე მეომარი მხარისათვის. გურთის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებდა კარლ მარქსიც. ყირიმის ომის დროს (1853—1856 წწ.), როდესაც თურქეთის არმია სულმ დასუსტდა მეთაურობით გურიაში შემოიჭრა და ოზურგეთის დაეუფლა, კარლ მარქსი წერდა: „სულმ დასუსტდა არმია... ოზურგეთისაკენ წაიწია, საიდანაც რუსები თურქებს ხშირად აწუხებდნენ და ემუქრებოდნენ. მან აძიულა რუსეთი ეს ციხე დაეცალა. ამ გამარჯვებამ უზრუნველყო სულმ-დასუსტ კავშირი თურქეთის მთავარ ძალებთან, რომლებიც ყარსში იმყოფებიან“ (К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 84, Москва, 1933 г.). ამიტომ, ასეთი მნიშვნელოვანი კომუნიკაციის გამო, ომის გამოცხადებისთანავე გურია-აჭარის საზღვარზე ცხარე ბრძოლები გაიმართა.

ამ ბრძოლებში ქართველი თხალისეები გმირულად იბრძოდნენ და სიმამაცის მაგალითებს იძლეოდნენ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივსა და მძიმე ბრძოლაში თავი ისახველს პირველი და მეორე ქვეითი ქართული ლაშქრის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, და აგრეთვე გურთის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა ლაშქარმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა შტაბს-კაპიტანი იასე გურთელი. ოფიცერი კოლიუბაინი, რომელიც მოწმე იყო გურულების ქვეითი ლაშქრის ბრძოლისა, წერდა: „გურულები შესანიშნავად იბრძოდნენ და იმ დღის გმირები იყვნენ“ (Б. Колобакин, Воспоминания офицера Кобулетского отряда, СПб, 1897, 33-65).

1877 წლის 14 აპრილს რუსებმა და ქართველებმა მოხალისე მხედრებმა სავსებით განდევნეს მტერი სოფ. მუხა-ესტატის პოზიციებიდან და იქ დამკვიდრდნენ. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გურთის პირველმა ქვეითმა ლაშქარმა, რომლის შესახებ იგივე კოლოუბაინი წერს: „ყველანი... ჯეროვნად აღასებდნენ გურთის ლაშქრის დაუეწყარ ვპირობას, ეს ლაშქარი ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხარეზე ვადაიტანა ბრძოლის მთელი სიმძიმე“. ასევე აღტაცებით აღნიშნავდა გურთის რაზმის

საბრძოლო დამსახურებას გურიის პირველი ლაშქრის მეორე ასეულის მეთაური ივანე მაყაშვილი. „მტერმა მხოლოდ... გურიის ლაშქრების მეოხებით ვერ მოახერხა შემოჭრილიყო ქობულეთისა და გურიის რაზმების ზურგში“ — წერდა იგი (И. Макаев — Историческая записка I-ой пешей Гурийской дружины в войну 1877 — 1878 гг., Тбилиси, 1913, გვ. 164).

აღსანიშნავია, რომ ფრონტისპირა რაიონებში ხშირად ხდებოდა გლეხების სტიქიურად გასვლა ბრძოლაში, ყოველგვარი მოწოდების, განკარგულების ან თხოვნის გარეშე. ასე მაგალითად, ომის დაწყების დღეს, 1877 წლის 12 აპრილს, როდესაც ქობულეთის რაზმის მარცხენა ფრთამ შდ. ჩოლოქზე გადასვლა დაიწყო, რაზმეულის მეთაურთან გამოცხადდა 16 გლეხი სოფელ ლიხაურიდან. მათ თხოვეს ნება თურქების წინააღმდეგ ებრძოლათ რაზმეულთან ერთად. ეს გლეხები ხუთი თვის მანძილზე მამაცურად ებრძოდნენ მტერს. 23 ოქტომბერს სოფ. ქაქეთთან მომხდარ ბრძოლაში უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულებისას თექვსმეტივე ლიხაურელი ყვაკია გმირული სიკვდილი დაეცა (იმავე მაყაშვილის ცნობა).

ასევე გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის მთელი ქართველი მხედრობა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. აფხაზეთში ვადმოსხმული თურქების დესანტის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი ლაშქარი და რეგულარული ცენოსანი პოლკი. ასევე სამურზაყანოს ცენოსანი რეგულარული პოლკი და ინგურის რაზმში შემაჯავლი ქართული ნაწილები. ქართველები გმირულად იბრძოდნენ საქართველოს ფარგლების გარეთაც, კავკასიის ფრონტის სხვა უბნებზეც. არტანუჯისა და ყარსის აღებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავდადებული მოქმედებით თავი გამოიჩინეს ახალციხის ცენოსანი რეგულარული დივიზიონის მხედრებმა და დუშეთის (თიანეთის) ცენოსანმა ასეულმა.

ქართველი ხალხის ბრძოლამ თურქეთის წინააღმდეგ აღ მტრის ქეშმარიტად სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი მიიღო.

რუსეთის არმია ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდა თურქებთან ბრძოლაში ბალკანეთისა და კავკასია-მცირე აზიის ფრონტებზე. ბრძოლების შედეგად კავკასია-მცირე აზიის ფრონტზე მათ იალეს ყარსი და ალაში მოაქციეს არზრუმი, ხოლო ბალკანეთზე რუსეთის ჯარები 1877 წლის დასასრულს ძლევამოსილად მიიწვედნენ წინ თურქეთის დედაქალაქ კონსტანტინეპოლისაკენ. თურქებმა დამარცხება იგრძნო და ზავი ითხოვა.

თურქეთის დამარცხებას 1877—1878 წლების ომში დიდმნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა საქართველოსათვის. 1878 წლის ბერლინის ტრაქ-

ტატის მიხედვით საქართველოს დაუბრუნდა თავის ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი — აპარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანის და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი (14 სანჯაყი). ამრიგად საქართველოს შემოუერთდა თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი იქ მცხოვრები ქართველებითურთ. ომის შედეგათგან საქართველოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ისიც, რომ ბოლო მოეღო თურქთა მიერ აღამიანთა სყიდვა-მოტაცებასა და ყაჩაღურ საქმიანობას ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე. აღამიანები ეპირობა ოსმალთ ბარბაროსებისათვის ტრადიციული საქმიანობა იყო მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. 1877—1878 წლების ომამდე საქართველოს მოსაზღვრე რაიონებიდან (ახალციხე, გურია, სამეგრელო) თურქ ავაზაკთა ბრბოები აშკარად და ფარულად ეწოდნენ განთავსების მოტაცებას, უმთავრესად ახალგაზრდობისას. ამიერიდან ამასაც ბოლო მოეღო.

1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა თავისი შედეგებით საეხებით გაამართლა ქართველი ხალხის მოლოდინი. ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება აღსრულდა. თურქეთის სამსახურითვის მონობისაგან განთავისუფლდა და თავის მკვიდრ ძმებს შეუერთდა ასიათასობით ქართველი. „ბერლინის ხელშეკრულებამ, — წერდა ი. ჰავუზაძე, — ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვიძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს სასიხარულოა: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლბორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ („ივერია“, 1879 წ. № 1, გვ. 137). მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი ამ ომში ჩვეულებრივი ცარისტული ინტერესებიდან გამოდიოდა, ობიექტურად ქართველი ხალხის სასიცოცხლო, ეროვნული საქმე კეთდებოდა, რადგან ისტორიული ტერიტორიის შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამშობლო ქვეყნისათვის. მან ხელი შეუწყო საუკუნეების მანძილზე შექმნილი ძველი ეკონომიური და კულტურული კავშირ-უბრთერთობის აღდგენასა და განვითარებას, დააჩქარა ქართველი ხალხის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის პროცესი. ომის შედეგად ისტორიული ტერიტორიების შემოერთებას არა მარტო საქართველოსათვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. მას დიდი ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვისაც. საკამარისია აღინიშნოს ამ მხრივ უდიდესი ეკონომიური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ბათუმისა, რომელიც რუსეთს ამ ომის შედეგად გადაეცა.

პეპენი ხარაპე

ბუნების შესწავლის ახალი მძღვერი საშუალება

უხსოვარი დროიდან აკვირდება და შეისწავლის ადამიანი გარემომცველი ბუნების მოვლენებს. არა მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობა — მოაზროვნე ადამიანის ესოდენ დამახასიათებელი თვისება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკული, საწარმოო ინტერესები აღძრავენ ადამიანში შეუწინებელ მისწრაფებას გამოიკვლიოს გარემოს თვისებანი, ფარად ახადოს ბუნების „საიდუმლოებათ“.

მართლაც, ადამიანი მთელი მოღვეწეობა მიმდინარეობს ბუნების გარემოცვაში. კიდეც მეტი: ადამიანის მოღვაწეობა, კაცობრიობის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, წარმოადგენს მის განუწყვეტელ ურთიერთობას გარემოსთან, ბუნების მოვლენათა რაობის თანმიმდევრულ მიკვლევას, ბუნების ძალთა შეუპოვარ დამორჩილებას და მათს წარმართვას საკუთარი პრაქტიკული და სულიერი ინტერესების მომსახურების გზით.

ამიტომ ადამიანთა საზოგადოების პროგრესი ისტორიულად ყოველთვის მკიდრო კავშირში იყო გარემომცველ სამყაროზე ადამიანის ცოდნისა და წარმოდგენათა პროგრესთან, ადამიანის უნართან გამოყენებინა ეს ცოდნა თავის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

იყო დრო, როცა ადამიანმა არ იცოდა ელემენტრობის რაობა. ეს მოვლენა კი ხშირად შედგენდებოდა მის თვალწინ, ბუნებაში, მავალითად, ელეაქუხილის სახით; ხშირად ზიანსაც მიაცენებდა და როგორც სტიქიონის იღუმალი ძალა მას შიშის ზარსაც ჰკვირდა. დროთა მსვლელობაში ადამიანმა ხახუნის მეშვეობით ხელოვნურად შექმნა ელემენტრობის ნაპერწყალი. შემდგომ კი მან საერთოდ მიაკვლია ელემენტრობის მოვლენის „საიდუმლოებას“ და გამოიყენა იგი პრაქტიკული მიზნებისათვის: ელემენტროგანათება, სატრანსპორტო თუ საწარმოო მოტორები, კავშირგაბმულობა და ბევრი რამ სხვა

ელემენტრობის მოვლენების პრაქტიკულ გამოყენებას წარმოადგენს.

ეს ერთი მაგალითიც დამაჯერებელი ილუსტრაციაა იმისა, რაც ზემოთ ითქვა გარემოსთან ადამიანის ურთიერთობაზე.

მდიდარი ცოდნა მოიპოვა ადამიანმა ბუნებაზე საუკუნეების მსვლელობაში; მან ახსნა ატმოსფეროში მიმდინარე მოვლენები, ჩასწვდა დედამიწის წიაღს, ამოიწყო ატომის აგებულება, შეიხედა უსასრულო კოსმოსის შორეულ სიღრმეებში; ისე მოიხმარა მოპოვებული ცოდნა, რომ საოცრად განავითარა ტექნიკა, რომელსაც ახლა საერთო პროგრესის ასაჩქარებლად იყენებს.

მავრამ, რაც უფრო მაღალია კაცობრიობის პროგრესის დონე, მით უფრო დიდი როლი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცნიერებს, რომელიც აერთიანებს მთელ ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენებს ბუნების მოვლენებზე.

განსაკუთრებით დიდი მეცნიერების როლი ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, კომუნისტურ გზადსვლის ეპოქაში.

არც ერთ სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში მეცნიერებას არ ჰქონია ისეთი დიდი, მნიშვნელოვანი და გარდამქმნელი როლი, როგორცა აქვს მას კომუნისტურ მშენებელ ჩვენს საზოგადოებაში. მომავალ წლებში ეს როლი კიდევ უფრო მეტად აქტიური, უფრო მეტად ზემოქმედი და მამოძრავებელი იქნება, რამდენადაც კომუნისტურ გულისხმობს საზოგადოების განვითარების გვერდობრივ ხასიათს, მეცნიერების კავშირს წარმომებასთან, თვით მეცნიერების განვითარებას ისეთი გზებით, რომლებიც ისახება საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებით, მეცნიერების უსაზღვრო პერსპექტივებს.

კომუნისტური საზოგადოების იდეალები, რომელიცაა მატერიალური დოვლათის სიუხვე, კულტურული აღმავლობა, ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის განსხვავების მოსპობა და სხვა, მიუღწეველი იქნება, თუ კიდეც უფ-

რო მეტად არ განვითარდა მეცნიერება და თუ შავსმოდლოდ არ იქნა გამოყენებული პრაქტიკაში ყველა მისი მონაპოვარი.

უკანასკნელი ერთი-ორი ათეული წლის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გზა აღნიშნულია, როგორც ნიშანდებებით, რამდენიმე დღედი აღმოჩენით, რომლებიც საუკეთესოდ ასახავს საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს და მისი შემდგომი აღმავლობის შესაძლებლობებს. ეს ნიშანდებებია, ძირითადად, ატომური ენერჯის ხელოვნურად მიღება და გამოყენება სამშვიდობო მიზნებით, ახალი ქიმიური მასალების შექმნა, სწრაფქმედი გამომთვლელი მანქანების აგება, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების აშენება და სხვ.

აქ ჩამოთვლილი აღმოჩენები და მიღწევები, — ერთად, კომპლექსურად გამოყენების პირობებში, — თვისობრივად სრულიად ახალს, აქამდე არანახული ძლიერების საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ უფრო ღრმად შეისწავლებოდეს მატერიალური სამყარო და ძლიერდებოდეს ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, იზრდებოდეს კაცობრიობის მატერიალური და კულტურული დოკლათი.

მართლაც, ატომური ანუ თერმობირთვული ენერჯის გამოყენების შემდგომი განვითარება, მეტადრე თერმობირთვული რეაქციის მართვის განხორციელება, უზრუნველყოფს მომავალში ელექტროენერჯის მიღებას თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით. მაშინ მოხერხდება მთელი წარმოების, სოფლის მეურნეობისა და ყოფის ელექტროფიკაცია და მექანიზება.

ამასთანავე შემცირდება ნავთობის ხარჯვა საწვავ და ენერგეტიკულ მასალად; ნავთობი უფრო ხელგაშლილად გამოიყენება როგორც ნედლეული სინთეზური ქიმიური მასალების დასამზადებლად. ეს ისეთი ახალი ტიპის მასალებია, რომელთა დამზადება თანამედროვე ქიმიამ დაიწყო ქიმიური რეაქციების მექანიზმის შესწავლის მიღწევების საფუძველზე. ნანგარისებია, რომ ამჟამად ახალი, ე. წ. სინთეზური პოლიმერული მასალებიდან, რასაც მრეწველობა გამოიმუშავებს, მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 10 კილოგრამამდე მოდის. ნავთობის რესურსების მართკომ მიზნით გამოიყენება აიყვანდა ამ ოდენობას 300 კილოგრამამდე, რაც ჭარბად დააკმაყოფილებდა კაცობრიობის მოთხოვნილებას ქსოვილზე, საოჯახო საგნებზე, დღიად მოიგებდა აგრეთვე საბინაო მშენებლობაც და მრეწველობაც.

სრულიად განსაკუთრებულ პერსპექტივებს უსახავს კაცობრიობას ელექტრონული გამოთვლელი მანქანების განვითარება მათემატიკური ლოგიკის საფუძველზე. ეს უბრალო მანქანები

კი არაა, რომლებიც ადამიანს უმეტესად მძიმე ფიზიკური შრომისაგან იხსნის, არამედ ისეთებია, რომლებიც ადამიანს ათავისუფლებს გონებრივი შრომის იმგვარ სახეობათაგან, რომლებიც არ მოითხოვენ შემოქმედებით აზროვნებას. წარმოების ავტომატიზაცია, ტრანსპორტის მოძრაობის მართვა, სტატისტიკური, სადრიცხვო, სახეხალტრო, სამწვინობრო და სხვა სამუშაოინ — ყველა ეს ავტომატიზირებული სამსახურბული ეგება მათემატიკური მანქანების გამოყენების საფუძველზე. ამის შედეგად მიღწეული იქნება ადამიანის სამუშაო დღის შემცირება 3-4 საათამდე და მეტი დრო დარჩება დასვენებისათვის, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და შემოქმედებით მოღვაწეობისათვის.

რაც შეეხება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების აშენებას, ეს საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური დონის განსაკუთრებული სიმაღლის ყველაზე უფრო დამაჯერებელი მოწმობაა. საბჭოთა ადამიანის გონებითა და ხელით შექმნილ ამ კოსმოსურ სხეულებში თავმოყრილია მთელი ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა და მონაპოვარი.

ამასთანავე ეს სხეულები ბუნების გამოკვლევის სრულიად ახალ, მკლავრ საშუალებას წარმოადგენს და, თუმცა ქეშმარიტ განცვიფრებას იწვევს ამ სხეულთა თვით აშენების ფაქტი, როგორც ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა, მინც დღეს უკვე ეს კი არ ფლობს ჩვენს წარმოდგენებს, არამედ უფრო მეტად — სამყაროს მეცნიერული შეცნობის ის ფართო პერსპექტივები, რომლებიც მან ჩვენს წინაშე გადაშალა.

ადამიანისათვის უსახოესი ფიზიკური გარემო, რომლის მოვლენები ამა თუ იმ გავლენას ახდენს მის მოღვაწეობაზე, არის დედამიწის მომცველი ატმოსფერო. ეს ის გარემოა, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ადამიანის სასიცოცხლო ბიოლოგიური ფუნქციების შესრულებას, არამედ აგრეთვე მრავალნაირად გამოიყენება ადამიანის მიერ პრაქტიკულ საქმიანობაში. ასე, სახელობრო, ამ გარემოში ვრცელდება ზგერა, რადიოტალღები, რაც ადამიანთა თუ ბუნქტებს შორის კავშირს განახორციელებს; ეს გარემო და მისი ფიზიკური ქიმიური თვისებები გამოიყენება საპაერო ტრანსპორტისათვის; ამავე გარემოს მოვლენებს უფარდებს ადამიანი იმ ღონისძიებებს, რომელთა დაღნიშნულება მოსაფლის მოყვანაა.

ეს გარემო, თავისი ფიზიკური პროცესებით, ერთი მხრით ხელისშემწყობი, მეორე მხრით ხელისშემშლელია ადამიანის მოღვაწეობაში. ხელისშემწყობია იმდენად, რამდენადაც ადამიანს მიუკვლევა რიგი მისი მოვლუ-



ნების ახსნისათვის (მაგალითად, აეროდინამიკური მოვლენებისა, რომლებიც გამოყენებულია თვითმფრინავების კონსტრუქციაში). ხელისშემშლელია იქ, სადაც ადამიანი ჯერ ვერ ფლობს საკმარისი სისრულით ბუნების ძალებს და ვერ წარბარავს მათ თავისი საქონებისა და ნების მიხედვით (მაგალითად, ამინდის მოვლენები).

ამნიარად, ადამიანს თუმცა მიღწევებიც აქვს ატმოსფერული მოვლენების შესწავლასა და გამოყენებში, მაგრამ მინც კიდევ რჩება ჯერ ამოუცნელი ამოცანები. აღნიშნულის (ამინდის მოვლენების) გარდა მრავალი სხვა ძველი და ახალი ამოცანაა, რომლებიც მთ უფრო რთულია, რაც უფრო თვით მიდის მეცნიერული კვლევა. მაშასადამე, წინ კვლევაც უფრო მეტად გასარამგებელია.

მაგრამ, საკმარისია თუ არა მართო ახლო გარემოს, იმ გარემოს გამოკვლევა, რომელშიაც ვრცელდება ადამიანის მოღვაწეობა? არა, არაა საკმარისი. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ადამიანის სამოღვაწეო სივრცის საზღვრები უფრო და უფრო მეტად ფართოვდება. მართლაც, ადამიანი პირველად მხოლოდ დედამიწის ზედაპირზე მოძრაობდა და მოღვაწეობდა, მერე ატმოსფეროში აიჭრა — პირველ ხანებში მის ერთობ დაბალ ფენებში, მერე კი სულ უფრო და უფრო მაღლა. ახლა იგი თავისუფლად დაფრინავს ათეული კილომეტრის სიმაღლეზე; მაგრამ მისი ხელით შექმნილი სხეულები ათეული კილომეტრების სიმაღლეზე სრბოლავენ და გზას უკმაყოფიან თვით ადამიანს ამ სიმაღლეებზე სამგზავროდ. მეორეც ისაა, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა თუ მოვლენათა კომპლექსი განმხოლოებულად არ მიმდინარეობს და არაა სივრცეში იზოლირებული. მოვლენები უწყვეტ ურთიერთკავშირშია, რაც ამყარებს ურყევ კავშირს ახლო და შორეულ ფიზიკურ სივრცეებს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ გვსურს საკმარისად ღრმად შევისწავლოთ „ახლო“ მოვლენები, უნდა შევისწავლოთ ისინი „შორეულ“ მოვლენებთან კავშირში, მათთან ერთად.

ორი მაგალითი მოგვცემს ნათქვამის დამაჯერებელ ილუსტრაციას.

ცნობილია, რომ მზე დამორბეულია დედამიწას დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრით. ეს იმდენად დიდი მანძილია, რომ თითქმის სამი ათას რვაჯერ აღემატება დედამიწის გარშემოწერილობას. მიუხედავად ასეთი დამორბევისა, მჭიდრო კავშირი მზესა და დედამიწას შორის გამოიხატება არა მარტო იმით, რომ მზის სითბო და სინათლე განაპირობებს დედამიწაზე მთელ სიცოცხლეს და ყოველგვარ ენერგეტიკულ გარდაქმნებს, არამედ ამასთანავე მზეზე განვითარებული ცალკეული პროცესები, რომ-

ლებიც, კერძოდ, მზის წიაღიდან წყლისა და სხვა ნივთიერებათა მასების ამოფრქვევაში გამოვლინდება, უშუალო გავლენას ახდენს, მაგალითად, რადიოკავშირზე და დედამიწის მაგნეტიზმის მოვლენებზე და ხასიათს უცვლელ მათს მიმდინარეობას. ასეთი კავშირი არა ერთხელ შეუნიშნავთ და შეუსწავლიათ. უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენჯერმე ყოფილა მკაფიო დადასტურება ამგვარი კავშირისა. სულ უკანასკნელად, ამა წლის ივლისის პირველ ნახევარში საბჭოთა ასტრონომიულ ობსერვატორიებში აკვირდებოდნენ მზის ზედაპირზე და მის ატმოსფეროში ერთობ აქტიურად მიმდინარე ამოფრქვევებს და ლაქებისა და სხვა წარმონაქმნების განვითარებას. ამავე დროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადგილი ჰქონდა უძლიერეს მაგნიტურ ქარიშხლებს და კონტინენტებს შორის რადიოკავშირის დაზღვევას.

თავისთავად ეს მოვლენა იმასაც გვიჩვენებს, რომ მზე წარმოადგენს ისეთ ფიზიკურ სხეულს, რომლის შემადგენელი მატერია ძლიერ ცვლილებებსა და განვითარებას განიცდის. მზე გავარჯარებულ გაზოვანი ნივთიერებისაგან შედგენილი ისეთი უზარმაზარი კოსმოსური სხეულია, რომელიც მასით დედამიწას 330 ათასჯერ ჰპარბობს, ხოლო მოცულობით მილიონ სამას ათასჯერ. ტემპერატურა მის ზედაპირზე 6 ათასი გრადუსია, ხოლო წიაღში ათეულ მილიონ გრადუსებს აღწევს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მატერია განუწყვეტლივ სახეს იცვლის და დასაბამს აძლევს მრავალნაირ რთულ ფიზიკურ მოვლენას, რომელთა გავლენა შორს ვრცელდება და დედამიწასაც სწვდება.

მეორე მაგალითი დავაარწმუნებს, რომ ჩვენს გარემოცვაში მოვლენათა შორის კავშირი კიდევ უფრო მეტად შორს ვრცელდება. მართლაც, ბევრისათვის ცნობილია, რომ თანამედროვე ფიზიკის ინტენსიური გამოკვლევების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს ე. წ. კოსმოსური სხივები. ეს ატომის ბირთვის ნაწილაკების ნაკადია, რომელიც დიდი ენერგიითა და სიჩქარით შემოიჭრება ჩვენს ატმოსფეროში გარე სამყაროდან. ნაწილაკები დამუხტულია ელექტრობით და დედამიწის ატმოსფეროში მთელ რიგ მოვლენებს იწვევს და თვითონაც სახეს იცვლის იმდენად, რომ ის, რასაც აქ, დედამიწის ზედაპირის მახლობლად შეიძლება დავაკვირდეთ, არ ჰკავს იმას, რაც პირვანდელ სახეს უნდა წარმოადგენდეს. მისი პირვანდელი სახე კი იქაა, სადაც იგი წარმოიშობა. როგორც უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა ცხადყო, კოსმოსური სხივები წარმოიშობა მზისა და ზოგიერთი სხვა გალაქტიკური ობიექტის წიაღიდან. სხვა გალაქტიკურ ობიექტებში იგულისხმება, კერძოდ, ე. წ. ზეახალი ვარსკვლავები — ვეება კოსმო-

სური სხეულები, რომლებიც მოცულობით, ტემპერატურითა და მოვლენების გრანდიოზულობით დიდად აღემატება მზეს. ამავე დროს ეს სხეულები დაშორებულია ჩვენგან ასეულობით მილიონჯერ უფრო მეტად, ვიდრე მზე.

კოსმოსური სხივების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ესენი სამყაროს შორეულ უბნებში მიმდინარე საინტერესო ფიზიკური პროცესების მაუწყებელია. მეორეც, დედამიწის ატმოსფეროს ნეოთერებასთან მათი ურთიერთმოქმედება წარმოშობს ისეთ ატომბირთვულ რეაქციებს, რომელთა ხელოვნურად წარმოქმნა ლაბორატორიულ პირობებში ჯერჯერობით არ ხერხდება. ამ ურთიერთმოქმედების დაკვირვება კი ბუნებაში საშუალებას გვაძლევს უფრო დრამატიკულად შეიხედოთ ნაწილაკთა განვითარების კანონზომიერებებს.

კოსმოსური სხივების ხასიათი და ფიზიკური თვისებები სხვადასხვაა დედამიწის ზედაპირიდან მათს სხვადასხვა სიმაღლეზე. ამასთანავე, მათი ენერჯის მიხედვით სხივების განაწილება დედამიწის ეკვატორისა და პოლუსების მახლობლად სხვადასხვაა.

მასობადაც, კოსმოსური სხივების მავალითხე მარტო იმაში კი არ ვერწმუნდებით, რომ საკმარისი სამყაროს ახლო და შორეული სივრცეების ერთდროული შესწავლა, არამედ იმაშიაც, რომ საკმარისა ერთდროულად ვაკვირდებოდეთ მოვლენებს დედამიწის ატმოსფეროს სხვადასხვა სიმაღლეზე და დედამიწის ზურგის სხვადასხვა პუნქტებში — ეკვატორთან და პოლუსებთან, ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამოსავლეთით და დასავლეთით. ამაში სხვა მოვლენებით გვარწმუნებს, მავალითად, ე. წ. პოლარული ნათება, რომელიც სხვადასხვა სისწიროსა და ინტენსივობის მატარებელია პოლარულ უბნებში და ზომიერ სარტყელში.

ამნიარად, საბოლოოდ ვერწმუნდებით, რომ ზვენი გარემოს შესასწავლად არ კმარა დაკვირვების წარმოება ერთი პუნქტიდან და მხოლოდ დედამიწის ზედაპირიდან. ამას დიდი ხანია მიხედვა განთავსებული კაცობრიობა და ამ მიხედვით არა კარგა ხანია რაც წარმოიჭრა საერთაშორისო თანამშრომლობის იდეა, რამდენადაც ცალკე არც ერთი სახელმწიფოს არ ძალუძს განახორციელოს დაკვირვებანი დედამიწის ზურგის საკმარისად მრავალი პუნქტიდან. ამ იდეის ზეგავლენით ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში პირველად მოეწყო ე. წ. პოლარული წელი, როგორც საერთაშორისო წამოწყება, რომლის შედეგად არქტიკაში დაარსდა რამდენიმე სახელმწიფოს სადგურები, სადაც საფუძველი ჩაეყარა მეტეოროლოგიურ, მაგნიტურ და სხვა დაკვირვებებს.

შემდგომ, მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში, სახელდობრ, 1932-1933 წლებში უფ-

რო ფართოდ ჩატარდა ერთდროული დაკვირვებები, რომელთაც უზრუნველყოფენ სხივების ათეული სახელმწიფო.

მაგრამ ვერც ეს შედეგება სამუშაო პროგრამის მრავალფეროვნებით, მუშაობაში ჩამხულ სახელმწიფოთა სიმრავლით და გამოყენებულ საშუალებათა სიმდიდრით იმას, რაც განხორციელდა 1957-1958 წლებში და გრძელდება ახლაც კარგად ცნობილი საერთაშორისო გეოფიზიკური წლის სახით. ეს ისეთი ფართო საერთაშორისო წამოწყებაა, რომელშიაც ჩამხულია 6-7 ათეული სახელმწიფო და რომლის სამეცნიერო პროგრამის შესწავლაში მინაწილეობს სხვადასხვა პუნქტებში განთავსებული ორი ათასამდე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ასტრონომიული, გეოფიზიკური, მაგნიტური ოსტერატორია, სპეციალურად აღჭურვილი გემები, ექსპედიციები და სხვ.

დაკვირვება-გამოკვლევები მიმდინარეობს დედამიწის ზედაპირზე, ატმოსფეროში, ზღვა-ოკეანეების სივრცეებზე, დედამიწის წიაღში, არქტიკასა და ანტარქტიკაში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ზომიერ სარტყელში და ეკვატორის გასწვრივ... დაკვირვება-გამოკვლევებისათვის გამოყენება მეცნიერების ვანკარულეობაში არსებული ყველა თანამედროვე მეთოდი, იარაღი და საშუალება. ამავე დროს აკვირდებიან წინასწარ გამომუშაებული ერთიანი პროგრამით. აკვირდებიან ცვლილებებს ატმოსფეროში, მის ელექტრო-მაგნიტურ, ოპტიკურ, ქიმიურ, ფიზიკურ და სხვა თვისებებს; აკვირდებიან დინებებს ზღვებსა და ოკეანეებში, ყინულოვანი მასების მოძრაობას, სეისმური ტალღების გავრცელებას დედამიწის წიაღში, მზის გამოსხივებას და მზეზე განვითარებულ პროცესებს და მრავალ სხვას, თანამედროვე საშუალებებით გამოკვლევისათვის მისაწვდომ მოვლენას.

ბუნების შესწავლის ასე ფართო პროგრამით წარმოების აუცილებლობა და შესაძლებლობაც ჩვენს დროში მომწიფდა, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დონე იმდენად ამაღლდა, რომ ახალი, უფრო რთული პრობლემები წამოიჭრა და ტექნიკის უკანასკნელმა მიღწევებმა კი ამ პრობლემების შესწავლა გახადა რეალური. კერძოდ, აღსანიშნავია რადიოტექნიკის წარმატებანი და მათი გამოყენება, რაც ადვილებს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ დარგში, და ავიაციის, აეროსტატებისა და გეოფიზიკური რაკეტების გამოყენება, რამაც შესაძლებელი გახადა დაკვირვებათა წარმოება არა უთუოდ დედამიწის ზედაპირიდან, არამედ უშუალოდ ატმოსფეროში, მის სხვადასხვა სიმაღლეზე.

მაგრამ საკუთრივ 1957-1958 წლების არჩევას ამ თანამშრომლობისათვის თავისი განსაკუთრებული გამართლება ჰქონდა. საქმე ისაა, რომ, როგორც ენახეთ, დედამიწის ატმოსფეროში განვითარებული მოვლენების წარმატებული



შესწავლა შეიძლება მხოლოდ მზის მოვლენების შესწავლასთან ერთად, რამდენადაც ამ ორი გვარის მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირია. მაგრამ მზის მოვლენებს ახასიათებს ერთგვარი პერიოდულობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ყოველ მეთერთმეტე წელს მზის აქტივობა მომეტებულია და მისი მოვლენების განვითარება მაქსიმალურ ინტენსივობას აღწევს. 1957-1958 წლებში მოსალოდნელი იყო მზის აქტივობის მორიგი მაქსიმუმი. თუ დაკვირვებები ამ პერიოდში ჩატარდებოდა, მეტი მასალა მოიპოვებოდა მზისა და დედამიწის მოვლენებს შორის კავშირის თაობაზე. მოლოდინი გამართლდა. აღნიშნულ პერიოდზე მოვიდა მზის აქტივობის მაქსიმუმი და მთელ მსოფლიოში დაგროვდა ერთობ უხვი და მდიდარი ახალი მასალა, რომლის დამუშავებას თუმცა წლები დასჭირდება, მაგრამ უთუოდ მოჰყვება მრავალი ახალი ფაქტის აღმოჩენა და ახალ კანონზომიერებათა დადგენა.

საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, რომ მარტო ერთ ბუნქტში, სახელდობრ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, 1957 წლის 1 ივლისიდან 1958 წლის 31 დეკემბრამდე, 423 მოწმენდილ დღეში, რეგისტრირებულ იქნა 11400 მზიური აწარმონაქმნი (წყალბადისა და კალციუმის ანოფორქეციები, ე. წ. ფლოკულები და სხვ.); სამზეო ოპტიკურ ტელესკოპზე მიღებულ იქნა მზის ზედაპირზე და ატმოსფეროში განვითარებული მოვლენების ფოტოსურათები 885 ფოტოფიფიტიისა და 55520 ფოტოკადრის ოდენობით; სამზეო რადიოტელესკოპზე ავტომატურად მიღებულ ჩანაწერთა საერთო სიგრძემ 490 მეტრს გადააჭარბა.

საერთაშორისო გეოფიზიკური წელი გამოდგა მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო წამოწყება, რომელიც ამასთანავე ხელს უწყობდა სახელმწიფოთა შორის საერთო მშვიდობიან თანამშრომლობის განვითარებას. საბჭოთა სახელმწიფოს ინიციატივით მიღწეულ იქნა შეთანხმება მის განსაგრძობად ე. წ. საერთაშორისო გეოფიზიკური თანამშრომლობის სახით.

1957-1958 წლების საერთაშორისო გეოფიზიკური წელი სრულიად განსაკუთრებული მოვლენა საკაცობრიო მეცნიერების ისტორიაში იმით, რომ მისი განხორციელების მსკლელობაში პირველად იქნა გამოყენებული ბუნების შესწავლის სრულიად ახალი საშუალებები — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტა.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნა თავისთავად ნიშნავს ურთულესი და უძნელესი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტას. ხელოვნური თანამგზავრის წარმოადგენს სხეულს, რომელიც, ერთხელ ნატყორცნი სათანადო მიმართულებითა და სიჩქარით, დიდი

დროის განმავლობაში სრბოლავს დედამიწის ირგვლივ, მისი ზედაპირიდან დიდ სიმაღლეზე, დაახლოებით წრიული გზით და სრბოლავს ისე, რომ არ სჭირდება არც ძრავი და არც საწვავი და სხვა რამ ენერგია.

ეს აქამდე არნახული შემთხვევაა, როცა ადამიანის გონებით შექმნილი და მისი ხელით ნატყორცილ სხეული სმლევს დედამიწის მძლავრ მიზიდულობას და იქცევა სივრცეში მსრბოლავ კოსმოსურ სხეულად. ამ სხეულებში კონცენტრირებულია ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა. ისენი ყველაზე უფრო მეტად დამაჯერებელი მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირში ერთობ მაღალია სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე. ამ სხეულების შექმნა საზოგადო, რომლის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ჩვენს ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და საერთო სიძლიერე.

მაგრამ რავინდ დიდ აღტაცებას იწვევდეს დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა აშეების ფაქტი, დღეს ჩვენს წარმოდგენებს ეს კი არ აღეკვებს უფრო მეტად, არამედ, როგორც ვთქვით, ბუნების მეცნიერული შეცნობის ის უსაზღვრო პერსპექტივები, რომლებიც გადაიშალა ადამიანის წინაშე.

ათასწლობით აკვირდებოდა ადამიანი სამყაროს მოვლენებს. წინათ იგი ავირდებოდა უბრალო, შეუიარაღებელი თვალით. ჩვენს დროში იგი ხმარობს მძლავრ ტელესკოპებს და სხვა ოპტიკურ და რთულ ფიზიკურ იარაღებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში დაკვირვება ეყარება იმ სხივების აღქმასა და ანალიზს, რომლებიც ცის სხეულებს გამოუხსხევბიანთ. მნათობებიდან, მათ შორის, კერძოდ, მზიიდან მოსული სხივები არის ბუნების ის დიდი წიგნი, რომელშიაც ამოიკითხავს მეკლევარი სამყაროში მიმდინარე მოვლენათა ამბავს, მათს საიდუმლოებას. ამნაირად, ადამიანმა მრავალ საიდუმლოებას მიაკვლია, შეისწავლა ატმოსფეროს აგებულება ზედა ფენებში; გამოიკვლია სამყაროს უსასრულო სიღრმეში გაფანტული უმარავი კოსმოსური სხეულის დმოვრება, განლაგება, მოძრაობა; გამოარკვია მზისა და სხვა სხეულების ზედაპირის ტემპერატურა, აგებულება; ჩასწვდა მათი წიაღის ფიზიკურსა და ქიმიურ აგებულებას.

მაგრამ აქამდე ყველა დაკვირვებას კოსმოსურ მოვლენებზე მეკლევარი აწარმოებდა დედამიწის ზედაპირიდან, ანუ ატმოსფეროს ოკეანეს ფსკერიდან. მნათობის სხივი, ვიდრე დამკვირვებლის თვალს ან ტელესკოპს თუ სხვა რამ იარაღს მიაწევს, ატმოსფეროს განეოლავს. ატმოსფეროს კი ისეთი თვისებები აქვს, რომელთა გამო მასში ვავლით სხივები სუსტდება, ფერსა და სხვა ფიზიკურ თვისებებს იცვლის და სხვაგვარ სახეცვლილებას, ანუ, შეიძლება

ითქვას, დამახინჯებას განიცდის. მაშასადამე, ბუნების ის წიგნი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ — მნათობთა სხივები — როდი ყოფილა სრულქმნილი და ადვილად, უშუალოდ საკითხავი. თურმე სხივებს ერთგვარად შენიღბული და დამახინჯებული ამბები მოაქვთ ჩვენამდე. მაშ, სხივით მოტანილის სწორად ამოკითხვა დამატებით სრომასა და სხვა პირობების განხორციელებას მოითხოვს; ზოგი ცნება დაზუსტებას საჭიროებს. დაზუსტება რთული და ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის პროცესია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ხელოვნური თანამგზავის ან კოსმოსური რაკეტის საშუალებით ტელესკოპი ან სხვა რაიმე აპარატი ავიტანეთ დიდ სიმაღლეზე — ატმოსფეროს საზღვარს ზევით ან, ყოველ შემთხვევაში, მისი დაბალი და სხივებზე უმეტესად ზემოქმედი ფენების გარეთ და იქ შევაგებეთ მნათობებიდან მომავალ სხივებს. ასეთი სხივები ატმოსფეროს მიერ თითქმის დაუმახინჯებელი იქნება და მათ მიერ მოტანილი ამბავიც — უფრო შინაარსიანი, უფრო მდიდარი, მეტად სარწმუნო და ქეშპირიტებასთან ახლომდგომი.

სწორედ ეს არის ის დიდი უპირატეობა და სამყაროს მეცნიერული კვლევის უმავალითოდ ფართო პერსპექტივები, რომლებსაც ქმნის ხელოვნური თანამგზავებისა და კოსმოსური რაკეტების გამოყენება ბუნებაზე მეცნიერული დაკვირვების მიზნით.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე გამართული აპარატურის გამოყენება თითქმის სრულად ახორციელებს ატმოსფეროს მოვლენების სხვადასხვა სიმაღლეზე და სხვადასხვა პუნქტებში ერთდროული დაკვირვების იდეას. მართლაც, ხელოვნური თანამგზავრები სრბოლავენ დედამიწის გარშემო არა სავსებით წრიული ორბიტებით, არამედ ერთგვარად გაწეილი, ელიფსური გზებით და ამიტომ ისინი სხვადასხვა მომენტში სხვადასხვაგვარად არიან დაშორებული დედამიწის ზედაპირს. ამავე დროს, თუ მათი ორბიტები დედამიწის გეოცენტრთან საკმარისად დიდ კუთხეებს ქმნის (ეს ასეა საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების შემთხვევაში), რაკე სრბოლის სიჩქარე დიდია და დაახლოებით საათნახევარში თანამგზავრი ერთელ შემოუბრუნებს გარშემო დედამიწას (თექვსმეტჯერ დედამის განმავლობაში) და ამასთანავე თვით დედამიწა ბრუნავს თანამგზავრის ქვეშ დასავლეთიდან აღმოსავლეთით, პრაქტიკულად ერთი დედამის განმავლობაში თანამგზავრზე დადგმულ აპარატურა დაკვირვებებით მოიცავს დედამიწის ზედაპირზე მოქცეულ თითქმის ყველა პუნქტს. სხვადასხვა სიმაღლეზე ამგებული და სხვადასხვა სიჩქარით ერთდროულად მოძრაობი რამდენიმე თანამგზავრი კი უფ-

რო სრულად განახორციელებს ^{მეცნიერული დაკვირვებები} დაკვირვებათა ზემოთ აღწერილ იდეას.

როგორც ვიცით, საბჭოთა ქვეყანაში აშვებული იქნა სამი ხელოვნური თანამგზავრი. ყოველი მათგანი წინამორბედზე უფრო მდიდრად იქნა აღჭურვილი აპარატურით და უფრო მაღლა იქნა აშვებული, რის გამო უფრო ხანგრძლივადაც მოძრაობდა დედამიწის ირგვლივ. აპარატურა თანამგზავრზე მოწყობილია ისე, რომ მას შეუძლია არა მარტო მრავალნაირი დაკვირვების წარმოება იქ, სადაც მოცემულ მომენტში თანამგზავრი იმყოფება, არამედ ამ დაკვირვებათა მონაცემების მოწოდებაც დედამიწის ზედაპირზე რადიოტექნიკისა და ტელემექანიკის მეშვეობით.

ამრიგად დაგროვდა ერთობ მდიდარი, თვისობრივად სრულიად ახალი და მრავალფეროვანი საკვლევ მასალა. მისი დამუშავება მოითხოვს ხანგრძლივ დროს, მაგრამ ზოგიერთი შედეგი და დასკვნა უკვე მიღებულია. გავაშუქოთ რამდენიმე მათგანი.

ერთ-ერთ უახლოეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დედამიწის ატმოსფეროს განვრცობისა და აგებულების შესწავლა, კერძოდ, მისი ტემპერატურული ბალანსისა და სიმკვრივის გამოკვლევა. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების აშვებამდე საკმარისად სარწმუნო ცნობები კაცობრიობას მოუპოვებოდა ატმოსფეროს მხოლოდ დაბალი — 150 კილომეტრამდე — ფენისათვის. იმ დამუშავების მიხედვით, რომელსაც ვანიცლის ატმოსფეროს მაღალ ფენებში მსრბოლავი თანამგზავრი, რომელიც ამის გამო სრბოლის პერიოდსა და სხვა მახასიათებლებს იცვლის, სარწმუნოდ დადგენილია ატმოსფეროს სიმკვრივის ცვლილების ხასიათი 700—800 კილომეტრის სიმაღლემდე. კერძოდ, გამორკვეულია სიმკვრივის ცვალებადობის დამოკიდებულება დედამის მომენტზე და გეოგრაფიულ განედზე. ამასთანავე დადგინდა, რომ დედამიწის გარემოცველი ატმოსფერი ვრცელდება 2—3 ათასი კილომეტრის სიმაღლემდე და არ წყდება ათასი კილომეტრის მანძილზე, როგორც აქამდე გვეჩვენებდა წარმოდგენილი.

მაგრამ ატმოსფეროს გარის საზღვრებს გაერთ მოქცეული ახლო სივრცეც როდია სრულიად ცარიელი. ამ სივრცეში გავრცელებულია დედამიწის მომცველი ერთგვარი შარავანდელი, რომელიც შედგება დიდი სიჩქარით მოძრაობი ამფობტული ნაწილაკებისაგან. შარავანდელი ვრცელდება დედამიწის 7-8 რადიუსის ტოლ მანძილამდე. ამ გარემოს ანგარიში უნდა გაეწიოს მთავალი კოსმოსური ვაფრენების საკითხთა დამუშავებისას, რამდენადაც ნაწილაკთა შეჯახება კოსმოსური ხომალდის კორპუსთან გამოიწვევს მათს სწრაფ დაუხრუტეებას, რაც



წარმოშობის ბიოლოგიურად საშიშ რენტგენი-სეულ გამოსხივებას. მაშასადამე, ერთი მხრით, აუცილებელი იქნება ზომილების სიწიფე დაკვათვნიება გამოსხივებისაგან სავანგებო კონსტრუქციის კვლევის მეშვეობით. მეორე მხრით, ტრაექტორიები ანუ გზები იმ ზომილებებისა, რომლებზედაც მოთავსებული იქნებიან მომავლის ასტრონავტები, ისე უნდა იქნეს შეჩვენებული, რომ ზომილი რაც შეიძლება მტრე ზონა იმყოფებოდეს შარავანდელის მკვე ზონაში.

მთვარის მიმართულებით 2 იანვარს გაშვებულ კოსმოსურ რაკეტაზე დადგმული აპარატურის უშუალოდ იქნა გზომილი პლანეტათა შორისი ვაზის სიმკვრივე დედამიწასა და მთვარეს შორის არსებულ სივრცეში.

ასევე იქნა შეფასებული მაგნიტური ველის დაძაბულობა და აღმოჩენილი ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც ახალ შეუქმნად პოლარულ ნათებათა და მაგნიტურ ქარიშხალთა წარმოშობის საკითხებს.

როგორც ვიცით, პლანეტათა შორის სივრცეში უხვად მოიპოვება მყარი მეტეორული ნაწილაკები, რომლებიც უწყისიგოდ არის ვაკუუმურული. მათგან მრავალი შეიძლება დადამიწის ატმოსფეროში და დიდი სიჩქარით მოძრაობისა და ატმოსფეროს ნაწილაკებთან ხახუნის გამო ხურდება, აინთება, აორთქლდება და ამინადად დასაბამს აძლევს ე. წ. მოწყვეტილი ვარსკვლავების ანუ მეტეორების მოვლენას. მათ შორის გვხვდება მოზრდილი ნაწილაკები, რომლებიც შედარებით დიდი მასის გამო სრულად აორთქლებას ვერ ასწრებს და დედამიწის ზედაპირზე ცვივა.

მომავლის კოსმოსურ ზომილებთან მეტეორული ნაწილაკების შეჯახების საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ნაწილაკების სიხშირე და მათი სიდიდე ისეთი იყოს, რომ ისინი საშიშროებას უქმნიდნენ მომავალში საპლანეტათა შორისი ფრენის საქმეს. საბჭოთა კოსმოსურ რაკეტაზე დადგმულმა მონუმენტებმა უჩვენა, რომ მიკრომეტეორული ნაწილაკები, რომელთა მასა გრამის მეომილიარდებს არ აღემატება, სულ რამდენიმე ხვდება რაკეტის ზედაპირს ერთი დღეამის განმავლობაში. უფრო მეტად მასიურ ნაწილაკებთან შეხვედრის სიხშირე კიდევ უფრო ნაკლებია. მაშასადამე, გამოირკვა, რომ მეტეორული საშიშროება პლანეტათა შორის სივრცეში მოძრავე სხეულებისათვის დიდი არაა.

მეტეორულ ნაწილაკებზე წარმოებული აღწერილი ექსპერიმენტები მოწმობს, რომ ჩვენი შეცნეობა და ტექნიკა უკვე პრაქტიკულად ზრუნავს, რათა კოსმოსურ სივრცეებში გაკვალის აღამიანისთვის საიმედო, უსაფრთხო გზა. ამის კიდევ უფრო მეტად მკაფიო მაჩვენებელია ის ბიოლოგიური გამოკვლევები, რომ-

ლებიც ასევე ინტენსიურად წარმოებს ზედაპირულ და რაკეტებზე და რომლებიც გვიჩვენებს, რომ კოსმოსური მოგზაურობის პირობებს ადევილად ეგუება ცხოველი. ლირს შესანიშნავია ის, რომ არსებითი წარმატება მიღწეული რაკეტით აშვებული ცხოველების დედამიწაზე მშვიდობით დაშვების საქმეში. ეს კიდევ ერთი ახალი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც გვაახლოვებს იმ მომენტთან, როცა აღამიან თვითონ დაადგება კოსმოსურ სივრცეებში სავალ გზებს.

ქვეშაირიტად მომზიბლავი და გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა ელის აღამიანს ამ გზებზე. პირველი კოსმოსური სხეული, რომელიც აქ შეხვდება აღამიანს, არის მთვარე — დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი. მას შემდეგ, რაც გალილეიმ პირველად მიმართა მას ახლად გამოგონილი ტელესკოპი ამ სანახევარი საუკუნის წინ, აღამიანმა ბევრი რამ შეისწავლა და გამოარკვია მთვარის აგებულების თაობაზე. ჩანს, მთვარის ზედაპირი დასერილია ნაბრლებით, ჩაჯარდნილი სივრცეებით, დაფარულია მთებით და მთავრებით. დადგინილია, რომ მთვარე მოკლებულია წყალსა და ჰაერს; ნიადაგი მთვარეზე დაფარულია სითბის ცუდად გამტარი ფხვიერი ნივთიერებით. მთვარე „აწონილია“ ანუ შეფასებულია მისი მასა, სიდიდესთან და სიმკვრივისთან ერთად. მგვრამ ამასთანავე მთვარის აგებულების მრავალი ფიზიკური თავისებურება ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული; მთვარის სფეროს ერთი მხარე სრულიად უჩინარია დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისათვის.

მთვარის გარშემო სპეციალური რაკეტის გაშვება, რომელზედაც მოთავსებული იქნება სითანადო დასაკვირვებელი აპარატურა, თვით მთვარეზე ჯერ ავტომატური რაკეტის დაშვება და შემდგომში კი აღამიანი-მკვლევარის მისვლა მრავალ ახალ ცოდნას მოუპოვებს კაცობრიობას რა მარტო მთვარის საერთო აგებულების შესახებ, არამედ მისი და დედამიწის წარმოშობის თეორიული საკითხების, მის წიაღში არსებული სისარგებლო ნაშარებისა და სხვათა შესახებ. ახლა, იმ წარმატებების შემდგომ, რაც საბჭოთა კავშირში მიღწეულია კოსმოსური სივრცის კვლევის დარგში, კოსმოსური რაკეტის მთვარისაკენ გაშვების საქმეში, აქ ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტა შეგიძლია მივაკეთვინოთ არც თუ ისე შორეულ მომავალს.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მზის სისტემის ცთომილების შესწავლა. მათ შორის პირველი რაგმი საინტერესოა დედამიწის „მეზობელი“ ცთომილები: ვენერა და მარსი. სითანადო ხელსაწყობით აღჭურვილი კოსმოსური რაკეტების ამ ცთომილებისაკენ გაშვება

საშუალებას მისცემს ადამიანს გამოიყვილოს ცთომილების მაგნიტური ველი, მათი ატმოსფერული გარსების სიმკვრივე, შედგენილობა, ფიზიკური თვისებები, გამოარკვიოს მათი ზედაპირების აგებულება თუნდაც დეტალური ფოტოგრაფირების ავტომატური მიღების მეშვეობით.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საკითხი სხვა ცთომილზე სიცოცხლის არსებობისა. ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებს ადამიანის გონებას. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ადამიანს თანამედროვე ფიზიკური მეთოდებით იკვლევს მას. უკანასკნელ დროს გამოკვლევები განვითარდა იმ გზით, რომელზედაც ცთომილთა ზედაპირების ოპტიკურ თვისებებს აღარებენ დედამიწის მცენარეთა ოპტიკურ თვისებებს. არა ერთი დიდი მნიშვნელობის ახალი ფაქტი აღმოაჩინა ამ შედარებებმა და გამოკვლევებმა. მაგრამ მანც სხვა ცთომილზე სიცოცხლის არსებობის საკითხში ჯერ კიდევ არაა მიღწეული საბოლოო პასუხები ან ერთიანი შეხედულება. ერთი მხრივ ის გარემოება, რომ ცთომილების ზედაპირი ზოგ შემთხვევაში (კერძოდ, ვენერაზე) მუდამ დაფარულია სქელი ღრუღების საბურავით, მეორე მხრივ, მათი სიმორთე და თანამედროვე ოპტიკური ხელსაწყოებით ცოცხალი ორგანიზმის ნიშნების ამ მანძილზე უშუალოდ დანახვის შეუძლებლობა — დღემდე ღიად ტოვებს ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს.

კაცობრიობამ ბევრი რამ იცის მისი ან გაცილებით უფრო შორს მდებარე ვარსკვლავების ფიზიკურსა და ქიმიურ თვისებებზე, რადგანაც ამ სხეულების ატმოსფეროში და წიაღში მოქმედებს მექანიკის, ფიზიკისა და ქიმიის უკვე კარგად შესწავლილი კანონები. მაგრამ ჯერ უცნობი რჩება სიცოცხლის არსებობის საკითხი შედარებით ახლო მდებარე ცთომილებზედაც, რადგანაც სიცოცხლის კანონები კიდევ უფრო რთულია და მოითხოვს გარემოს თვისებების ერთბაშად დეტალურ ცოდნას.

ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი თვისებების შესწავლას განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. ამ მხრივ ჩვენი პლანეტური სისტემა იდეალურ შესაძლებლობებს ქმნის მომავლისათვის, რადგანაც ცთომილები თვითონ იმყოფებიან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა ხნოვანებისა არიან. ყველაზე უფრო ახალგაზრდა ცთომილებია იუპიტერი, სატურნი, ყველაზე უფრო ხნიერი — ვენერა, მარსი.

დღემდე საკამათო რჩება საკითხი მარსის ზე-

დაპირზე არსების არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საუკუნეზე განვლია მათი აღმოჩენის დროიდან. არსების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტა მას შემდეგ, რაც ადამიანისათვის შესაძლებელი გახდებოდა მარსის ზედაპირის ფოტოგრაფირება ახლო მანძილიდან. ამ ამოცანის შესრულებას შეძლებს სათანადოდ აღჭურვილი კოსმოსური რაკეტა, რომელიც ახლო გაუვლის მარსს.

აღმოჩენილია, რომ ვენერას ატმოსფეროში უხვდაა ნახშირჟანგა გავი; ამავე დროს კი არაა მიკვლეული ეანგზადისა და წყლის ორთქლის ნიშნები. მაგრამ საესებით შესაძლებელია, რომ ვენერას მომცველი სქელი ღრუბლები წარმოადგენენ ყინულოვანი კრისტალების გარსს, ხოლო ეანგზადი მოქცეულია ამ გარსის შიგნით. შეიძლება ითქვას, რომ ნახშირჟანგა გავის სიუხვე დაკავშირებული იყოს ვენერას ზედაპირზე არსებულ უხე მცენარეულობასთან. ეს იმიტომ, რომ ნახშირჟანგა არის ეანგზადისა და ნახშირბადის პროდუქტი, ხოლო ეს უკანასკნელი მცენარეულობის მთავარი შემადგენელი ნაწილებია. თუ ეს ასეა, საესებით დასაშვებია ვენერაზე მცენარეულობისა და ცოცხალი სამყაროს სხვა წარმომადგენლების არსებობა. მაგრამ თანამედროვე ტექნიკის პირობებში ამ საკითხის საბოლოოდ გაშუქებისათვის აუცილებელი, გადაპრული ცნობების მოპოება ძალუძს მხოლოდ კოსმოსურ რაკეტებზე გამართულ აპარატურას.

როგორც ვხედავთ, კოსმოსური რაკეტების გამოყენება მოიცავს ფართო შესაძლებლობებს არა მარტო არაორგანული, არამედ ცოცხალი ბუნების შესწავლის დარგშიც.

უსასრულო სამყაროს შესწავლის მომავლის წინასწარმეტყველება ძნელი და საზიფათო საქმეა ჩვენი დროში. კოსმოსის შესწავლის ტემპები იმდენად აჩქარებულია, რომ პროგნოზი, რომელიც დღეს გაბედულად გვეჩვენება, შეიძლება ხვალ განვილოდ ეტაბდ იქცეს. თუ აქამდე ადამიანის ოცნება საუკუნეებით წინ უსწრებდა სინადილუსს, ახლა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. დღეს მთვარეზე ადამიანის გამგზავრების შესახებ ისევე გარკვეულად შეიძლება ლაპარაკი, როგორც, მაგალითად, 30 წლის წინათ — დედამიწის ჩრდილოეთ პოლუსზე ექსპედიციის მოწყობის შესახებ.

საბჭოთა ადამიანმა პირველმა შეაღო კარი კოსმოსში და უჩვენა კაცობრიობას ახალი, უარესად ძნელად სავალი, მაგრამ ერთბაშად მომზინბლავი და უექველ გამარჯვებათა მომტანი ფართო გზა.



ა უ შ

საინთ ზიმაწნა
ლიტერატურა

უჩვეულოდ მოდერნისტულ უნივერსიტეტის „ნესფეკ სკულ ოფ კალიფორნიას“ პროფესორმა რობერტ ელიოტ ფიტჩმა ამას წინათ შურნალში „ნიუ რიპაბლიკ“ გამოაქვეყნა მრავალმეტყველი სტატია, რომელშიც აშკარად გამოსკვივს პროფესორმა შემოფოთება ამერიკის „ლიტერატურული სკოლის“ შემდგომი განვითარების გამო. „სიბინძურის კერპად ქცევა, სისაძაგის აპოთეოზი, სიგლახის მისტიციზმი“ — ასე ახსნა იტებს ავტორი თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას, რასაც სავსებით აღსატურებს ე. წ. „ბესტსელერები“ — ამერიკული ლიტერატურის ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ყველაზე მეტად იყიდება. უკვე მეორე წელია, რაც ამერიკის სასოციალისტების „საყვარელ“ წიგნებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ყოფილი რუსი ემიგრანტის, ამჟამად კი კარნელის უნივერსიტეტში ლიტერატურის პროფესორის ვლადიმერ ნაბოკოვის გახმაურებულ რომანს „ლოლიტა“, რომელიც აღსავესება ბინძური ეროტიკით და ამართლებს მცირეწლოვანთა გახრწნას. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ჯეიმს ლეო ხერლოვის მოთხრობების წიგნს — „ბები ფილბერსტონის სიზმარი“, ერთ-ერთი პირველი მოთხრობის გმირი, 18 წლის ქაბუკი, ისეთი მსუქანია, რომ „მისი ფეხის თითები აღამიანს ძეხვს

მოაგონებს“, დედამისი ნევრასტენიით დაავადებული ქალია, და ორივე დედა-შვილი ემონება ნარკოტიკ ფენობარბიტალს. ბების სიზმარი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ჩასუქებული ბოშა ქალი პურის საჭრელი ვერცხლის დანით ათავისუფლებს მას მამაკაცობისაგან. მეორე მოთხრობაში გამოყვანილია ქალი, რომელსაც უარს ეუბნება წელსკვეთის მკვლარი მამაკაცი; ბოლოს ეს ქალი აირჩევს მამაკაცს, რომელიც მხოლოდ წელსწევითაა მკვლარი, რადგან ბრმა და სხალ სიურუსაც ბევრი ალაბრაფერი უკლია. ამ წიგნში ნორმალური ფიგურები სულ იმპოტენტები და გიფები არიან. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პოპულარული წიგნებს შორის ნახავთ ჰუმანისტების—ფოლკნერის, კოლდუელის, საროიანის და სხვათა ნაწარმოებებსაც. მაგრამ მათ ნაწარმოებებს დიდი ბრძოლა უხდებოთ, რათა გაარღვიონ კაცთმოძულე, გამხრწნელი მოდერნისტული ლიტერატურის რკალი და მკითხველამდე მიადწიონ.

პრიზისის მრთ-მართი ბამი-
ვლიწნა

ამერიკული კინემატოგრაფიის კრიზისი ვლიწნება არა მხოლოდ ახალი სიუჟეტის ძიებაში და სხვადასხვა ახლებურის მხატვრული ხერხის გამოყენების ცდაში, არამედ იმაშიც, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნილება უცხოურ კინოფილმებზე. კინოფურნალი „ვერაიტი“ იწყებდა, რომ 1958 წელს ამერი-

კაში ნაწვენები იქნა 296 იაპონური ფილმი, მეორე ადგილზე იყო მექსიკური ფილმები, ამათ მოსდევდა ინგლისური, დასაველეთგერმანული და მხოლოდ ამის მერე — იტალიური და ფრანგული ფილმები. შურნალი აღნიშნავს, რომ საგრძობლად შეწეწდა ინტერესი იტალიური ფილმებისადმი, ხოლო ფრანგული ფილმები სულ უფრო და უფრო მეტ შემოსავალს იძლევა. ეს დამსახურება უმთავრესად მიეკუთვნება ბრიჯიტ ბარდოს — ამჟამად ყველაზე უფრო პოპულარულ ფრანგ მსახიობ ქალს. ფრანგმა კომიკოსმა ფერნანდელმა გონებამხებულად განმარტა ეს ამბავი: „რამდენიმე ასეთი ბარდო რომ მოგვეცა, საფრანგეთი ხელად გადაჭრიდა უცხო ქვეყნების ვალიდან ამოსვლის პრობლემას“.

შავი და თეთრი
კურდღლები

ალბამას შტატში აკრძალეს და საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებში ხმარებიდან ამოიღეს საბავშვო წიგნი—„ურდღლების ქორწილი“. წიგნის ყოველ გვერდზე დაბეჭდილია ნახატი, რომლის ქვეშაც მოთავსებულია მცირე ტექსტი. წიგნში აღწერილია თეთრი და შავი კურდღლის ქორწილის ამბავი, რასისტებმა ეს წიგნი სეგრეგაციის საწინააღმდეგო პროპაგანდად ჩათვალეს, რადგან იქ ნათქვამია: „რაც ცხოველებისთვისაა კარგი, ის არც ადამიანებისთვის იქნება ურიგო“.



ბერმანი

ბერმანიის
დემოკრატიული
რესპუბლიკა

პრეზიდენტის სანუშარი

ამას წინათ გდრ-ის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა გერმანიის ინტორის მუზეუმს გადასცა უნიკალური წიგნები თავისი ბიბლიოთეკიდან; აქა-კარლ შარქის „კაპიტლის“ სამართლებრივ წარწერით: „ა. ბებელს — ფ. ენგელსისაგან“. თარიღად უზის 12.7.85 წ.; შარქისა და ენგელსის მიმოწერის I ტომი, რომელიც ვილჰელმ პიკს 1914 წელს ანუშამერისგან; აქვეა როზა ლუქსემბურგის ნაშრომი „მოსხენება გერმანიის კომპარტიის პროგრამის შესახებ“ ჰანს როდებერგის ხელნაწერთა და სხვ.

პრეზიდენტმა მუზეუმს გადასცა აგრეთვე პარიკი, რომელსაც იგი 1919 წელს არალიგალური მუშაობის დროს იყენებდა, რამდენიმე უზის ფიგურა და ლექსიკონები.

გერმანიის ხელისუფლების აკადემიის ლიტერატურის არქივის პრეზიდენტმა გადასცა თომას მანის, ერნო ვაინერტის, ლუის ფიუნბერგის და რუდოლფ ლეონარდის ნაწარმოებთა 24 ორიგინალი.

„სამგროშინი ოპერა“ ეკრანზე

ბერტოლდ ბრეტისა და კურტ ვეილის „სამგროშინი ოპერა“ ეკრანზე იღებენ. ფილმს იღებს ცნობილი გერმანელი კინორეჟისორი მელმოუტ კეიტერი, ხოლო მთავარ როლებს ასრულებენ კურტ იურგენსი და იტალიელი მსახიობი ქალი ჯულიეტა მანინა. ფილმის გადაღება ოქტომბერში დამთავრდება.

მომავალი სეზონი

მომავალი თეატრალური სეზონი ბერლინის სახელმწიფო

ახელისი ეწოდება. ამჟამად სუახელისზე უკვე 80 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს (როდუზიისა და ბელგიის კონგოს ჩათვლით).

ბულგარეთი

ეროვნული თეატრალური ხელოვნებისათვის

ბულგარული თეატრის ეროვნულმა ფესტივალმა და ახალი ეროვნული დრამატული ნაწარმოებების კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია მსახიობთა, რეჟისორთა, დრამატურგთა და მწერალთა შორის. სტატისტიკური ცნობების მიხედვით ბულგარეთის 41 თეატრში (15 წლის წინათ, ე. ო. რესპუბლიკის გამოცხადებამდე, აქ სულ 13 თეატრი იყო) დაიგა 68 ბულგარული პიესა, აქედან — 41 თანამედროვე ავტორებისა.

ფესტივალისა და კონკურსის შედეგები შეჯამდება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების 15 წლისთავთან დაკავშირებით — 15 სექტემბერს.

ბრიტანებიანი ფილმები

სოფიის კინოსტუდია იღებს სამ ბრიტანებიანი ფილმს, აქედან — ორი ნახატი ფილმი, მესამე კი — თოჯინებისა. ნახატი ფილმი „პრომეთეოსი“, ცნობილი მითისაგან განსხვავებით, იმით მთავრდება, რომ ადამიანები სძლევენ ღმერთებს. მეორე საბავშვო ნახატი ფილმს — „ოქროს ქოშების საიდუმლოს“ — საფუძვლად დაედო ბულგარული ხალხური ზღაპარი. რეჟისორი სლავოვი იღებს თოჯინების ფილმს — „რა ვადაზბა ტოტკას“; ესაა სატირა ცრუ სპორტსმენებზე, რომლებიც სპორტს იმიტომ მისიდევენ, რომ ფულები მობოკონ.

მონოლოგი ეკრანზე

ნოზელის პრემიის ზარმან-დელი ლაურეატის, ფრანგი მწერლის ალბერ კამიუს რომანები ძნელად თუ ჩაითვლება სცენიურად და ფოტოგენიურად. ამიტომაც ყველა განცვიფრდა, როცა ხმა ვაკეცელდა, რომ ჰოლივუდში განზრახული აქვთ გადაიღონ მწერლის უკანასკნელი რომანი „დაცემა“ — მთელი რომანი წარმოადგენს მონოლოგს, რომელსაც წარმოთქვამს ცხოვრების ფსიქერ დაშვებული ვეკილი. ვეკილის როლის შესრულება აისრა განთქმულმა ინგლისელმა მსახიობმა ლორენს ოლივიემ.

ხალხთა სოლიდა- რობისათვის

„ჯაპვი“ — ასე ეწოდება ამერიკელი პროგრესული კინორეჟისორის სტენლი კრემერის ახალ ფილმს, რომელიც ხალხთა სოლიდარობას მიძღვნა. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი ზანგი მსახიობი სიდნეი როატი და ტოკი კურტისი.

პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით ამ ფილმს გადაეცა 1958 წლის საუკეთესო ფილმის პრემია.

„უურძენი მშვიტი“

1958-59 წლების პრემია საუკეთესო პიესისათვის მიენიჭა ზანგ მწერალ ქალს ლორენ ჰანსის პროგრესული ხასიათის ნაწარმოებისათვის „უურძენი მშვიტი“.

აზრიტა

ახალი შერი და მისი მნა

საბჭოთა მეცნიერმა ვ. მისიუგონმა დაადგინა, რომ აღმოჩნდა აფრიკის ხალხებს შორის ამჟამად იქმნება ერთი, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს. ამ ენას, რომელზეც ლაპარაკობენ ტროპიკული აფრიკის ხანაპიროს ხალხები, სუ-



თატარში მებად საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება. აქ გათვალისწინებულია დაიდვას როგორც ეკლასიკური, ისე თანამედროვე საუკუეუხო ნაწარმოებები („ვიწმორელი მხიარული ქალები“, „ღონ კარლოსი“, „საჰუარო მთვარე-ზე“ მაინდისა, „გედების ტბა“ ჩაიკოვსკისა).

სეზონი გაიხსნება ფორესტის ოპერით — „საბრძოლო კონრაიდი“. 1960 წლის დამდეგისთვის განზრახულია დაიდვას დეხაუს „ლუკულის გასამართლება“, თებერვალ-აპრილში დაიდგება ვაგნერ-რეგენის „პრომეთეოსი“, ვაილის ბალეტი „შვიდი სიკვდილის ცოდვა“ და სხვ.

ვერ შუთანხმენი

თომას მანმა სიკვდილის წინ გამოთქვა სურვილი, რომ მისი დიდი ნაწარმოები „ბუდენბროკები“, რომელმაც 1929 წელს ნობელის პრემია მიიღო, ერთობლივად გადაეღოთ გდრ-სა და ფფრ-ს კინომუშაკებს. გფრ-ს კინოხელოვნების წარმომადგენლები და რეჟისორები მზად იყვნენ განხორციელებინათ ეს სურვილი, მაგრამ ბონის ხელისუფლებმა აიძულეს ისინი უარი ეთქვათ ამ გეგმაზე.

თომას მანის მემკვიდრეებმა ცალ-ცალკე მისცეს რომანის გადაღების უფლება გდრ-ს და ფფრ-ს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ვაშისტი რაჰისორის ვაჟის პიესა

ჟურნალმა „ტეატერ დერ ცაიტ“ დაბეჭდა რეცენზია ერთ სპექტაკლზე, რომელიც საინტერესოა როგორც შინაარსით, ისე ენის ავტორის ვინაობისა და მსახიობთა შემადგენლობის მხრივ. პიესა „მარტო მე და არავითარი ანგელოზი“ დაწერა ახალგაზრდა დრამატურგმა ტომას შარლანმა; შარლანი არის ვაჟი გერმანელი ფაშის-

ტი კინორეჟისორისა, რომელმაც გადაიღო ფილმი „ებრაელი ზეუსი“, სადაც ურცხვად დამახინჯა ფოიბტვანგერის ჰუმანისტური ნაწარმოები, რათა გაემართლებინა ფაშისტების მიერ ებრაელების დევნა და გადმღიერებინა რასობრივი სიუჟეტი და ანტისემიტური დარბევები.

მისმა ვაჟმაც, ტომასმა, ახალგაზრდობის მოსკოვის ფესტივალის მონაწილემ, დაწერა პიესა ებრაელების შესახებ, ოღონდ ეს პიესა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მოაგონებს იმ ნეციობას, რასაც ჩადიოდნენ ნაცისტები ებრაელების წინააღმდეგ ვარშავაში, და იმ გმირულ უიმედო აშბოხებას, რომელიც მოაწყო ვარშავის გეტოე ადა-ნაწიური ღირსებას დასაცავად. შარლანმა თვითონ დადგა ეს პიესა გერმანელი, პოლონელი, ებრაელი და არგენტინელი მსახიობების დახმარებით — არავითარი ფინანსიური ხელშეწყობა არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ დეკორაციებიც უხადრუეი იყო და არც სახელგანთქმული მსახიობები მონაწილეობდნენ, ამ ჰუმანულ პიესას უღელბი წარმატება ზედადასავლეთ გერმანიაში, მებტადრე ახალგაზრდობაში.

ინგლისი

„სეზაის მენციკოპედია“

ზოოლოგიის ისტორიაში პირველია, როგ შეიქმნა ჩიტების ხმების ენციკლოპედია გრამფირფიტებზე. ენციკლოპედიის ავტორებმა მიიღეს ნორტ-მა და ერიკ სიმმა შეაგროვეს 200 სხვადასხვა ჩიტის ხმა, — სულ 801 გრამფირფიტა გამოვიდა. ეს ფრიალ საყურადღებოა ორნიტოლოგებისათვის. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სეციკლიბტების გარდა ამ გრამფირფიტებს უხვად ყიდულობდა უბრალო მოყარულდები, იმდენად საინტერესო და სხიამოვნოა მათი მოსმენა.

მოსხრობები ინგლისის ინტელიგენციაზე

ანგუს უილსონი, თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი „გამწყარელი“ უმაწვლილი კაცი“, თავის მოსხრობების უკანასკნელ კრებულში ამტკიცებს, რომ ინგლისის საზოგადოების წამუკანი ფეხები ბევრი რამით მოაგონებენ „დოლოს“, — ვეება, ნაკლებმოდრავი მტრედების სახეობას, რომლებიც მარტოდენ შესაწავვად თუ გამოდგებინან. უილსონის მოთხრობები ზოგადეგლებში გაბედულად ამხილებს ინგლისის ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენლის კარგად შენიღბულ ეგოიზმსა და დაცემულობას.

ჰომეროსი კომედიანტი

„ჰომეროსი კომედიის ტანრს ავითარებდა, მაგრამ უნივერსიტეტში დამახინჯეს და გააყალბესო“, განაცხადა ინგლისელმა მწერალმა რობერტ გრევისმა; მან ახლახან გამოსცა „ილიადას“ „რეკოლუციური თარგმანი, რომელმაც სრულად აღადგინა სურნელება იმისა, რისი თქმაც ეწადა ჰომეროსს“. „ჩემი თარგმანი ძალიან დაშორებულია იმ ვარინტებისაგან, რომლებმაც იყენებენ ახლა სკოლებსა და უნივერსიტეტში, სადაც აუალებენ ჰომეროსს“, თქვა გრევისმა. „ჰომეროსს უნდა გაერთო მისი თანამედროვე საზოგადოება: მის მიერ მეფეებისა და ღმერთების აღწერა კარიკატურაა, ხოლო თვით ნაწარმოები კი — ბეარა კომედია. შემდეგში მტარნებმა პოლიტიკური მოსაზრებებით „ილიადა“ გადაამუშავეს ეპოსად, რომელიც სოფუსტვალად დაედო ათენის სკოლას, და ყველას დაავიწყდა ჰომეროსის კომიკური და თავშემაქცევარი ხასიათი. მე სრულიადაც არ მათქვრებს უნივერსიტეტთა წრეების აღშფოთება. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი, რომ მრავალი

ხაუკუნის მანძილზე ჰომოციდის
ახე მცდარად ესმოდათ.

ინფორმაცია

კინოხელოვნების მოგაზვარი

1927-28 წლებში ბანდუნგ-
ში გადაიღეს პირველი ფილ-
მი — ეს იყო მხატვრული და
დოკუმენტური ფილმების ნა-
რევი ამ ქვეყნისა და მის
მკვიდრთა შესახებ. შემდეგში
აქ იგეგმებოდა ამერიკისა და
ჩინეთის გავლენა. საერთაშო-
როსი ფორმატის პირველი ინ-
ფორმაციური ფილმი იყო
„ბრწყინვალე დამე“, რომელიც
1937 წ. შეიქმნა, და გვიხატავ-
და ამ ქვეყნის ყოველდღიურ
ცხოვრებას. მაგრამ მხოლოდ
მეორე მსოფლიო ომისა და
იაპონიის ოკუპაციისაგან გან-
თავისუფლების შემდეგ გაი-
ზარდა ეროვნული კინოხელოვნ-
ება. იღებენ მხატვრულ და
დოკუმენტურ ფილმებს. ბევრი
ფილმი შექმნილი ეროვნულ
თემებზე. ფილმი „ხეობარი“
1952 წელს კინოფესტივალზე
კარლოვი ვარში პრემია მიიღო.
1958 წელს ინფორმაციაში გა-
დაიღეს მან ფილმი. ახლდარ-
სებულმა „ინფორმაციის რეს-
პუბლიკის კინოხელოვნების
საბჭოში“ შეადგინა პროგრამა
და საშუალო გეგმა, რომელიც
უფლებას გვაძლევს ვივარაუ-
დოთ, რომ მომავალში ინფორ-
მაციის კინოხელოვნება საერ-
თაშორისო მნიშვნელობას მო-
იპოვებს.

იტალია

ალარ დამფორმებელი

იტალიის პროგრესული პრე-
სა აღნიშნავს, რომ იტალიური
კინემატოგრაფიის გამოჩენილი
ოსტატები, რომლებმაც იტა-
ლიურ ფილმს მსოფლიო სახე-
ლი და პრესტიჟი მოუპოვეს,
თვინათ სამშობლოში სავა-
ნელ დენასა და შევოწროებს
განიციდნან. ამიტომაცაა, რომ
უდიდესი კინორეჟისორი რო-
ბერტო როსელინი, ავტორი

ფილმისა — „რომი და ქალა-
კისა“, იძულებული შეიქნა სა-
მუშაოდ წასულიყო ინდოეთ-
ში, და მისი იქ ყოფნის მთელი
დროის განმავლობაში იტალიის
რეაქციული პრესა ლაფში
სვრიდა როსელინის სახელს,
თან ამტკიცებდა: უნიჭოა და
ხიროიანი ფილმის შექმნაც კი
არ შეუძლიაო. ფილმი „ინ-
დოეთი“, რომელიც კანის ფეს-
ტივალზე აჩვენეს, დაამტკიცა,
რომ ამ დიდი შემოქმედის ოს-
ტატობა ძველებურად მაღალ
დონეზე დგას. უცხო ქვეყნებ-
ში გაჩნდა საშუალო სხვა
იტალიელი კინორეჟისორებიც,
რომლებმაც არ ისურვეს და-
ეთმოთ „სალაროს“ მოთხოვნი-
ლებებისთვის. მიქელანჯელო
ანტონინიამ სამშობლოში
ფილმის გადაღების იმედი და-
კარგა და თავის შემდეგ
ფილმს — „თავგადასავალი“
საფრანგეთში გადაიღებდა. ჯუ-
ზეტე დე სანტისი იძულებული
შეიქნა იუგოსლავიაში წასუ-
ლიყო, რათა გადაეღო ფილმი
„ერთი წლის სავალი გზა“, რე-
მელიც წარდგენილია ოსკარის
პრემიაზე და რომელსაც კარ-
გად იცნობს ჩვენი მაყურებე-
ლი. ალბერტო ლატუადა ამე-
რიკელებისთვის იმუშავებს. ვი-
ტორიო დე სიკა კვლავ ამაოდ
უყარუნებს კარებზე იტალიის
დაწესებულებებს, რათა იწოვ-
ნოს საჭირო სახსრები ახალი
ფილმისთვის — „საყვილთაო
აზრი“. იტალიის უდიდესი
სცენარისტი ჩეზარე ძაჯატინი,
რომელსაც ეკუთვნის სცენა-
რები — „ველოსიპედის გამ-
ტაცებლები“, „სასწაული მი-
ნდობა“, „უმბერტო“, იძუ-
ლებულია რედაქტირებას დას-
ჯერდეს.

ასეთ დღეში არიან გამოჩე-
ნილი ოსტატები, ამავე დროს
კი იტალიის კინემატოგრაფია
სამნიელ კრიზისს განიცდის.

„სიკვდილის რამზა“

რომში ჩატარდა ჟიურის
სხდომა, რომელმაც განახილა
აუსვიციის საკონცენტრაციო
ბანაკის ადგილას ასაგები ძვე-

ლის პროექტის საერთაშორისო
კონკურსის შედეგებში. კონკურსის
მიზლი იტალიელ, პოლონელ
და ესპანელ ხელოვანთა ერთი
ჯგუფის პროექტი, რომლის
მიხედვითაც უნდა აიგოს რეი-
ნგის ვაგონის ფორმის 28
ცემენტის ბლოკი — ძველი
მოგავაგონებს 28 ქვეყნის ოთხი
მილიონი ადამიანის ტანჯვისა
და დაღუპვის ისტორიას.
ძველს ეწოდება „სიკვდილის
რამზა“.

კონკურსში მონაწილეობას
იღებდა 35 ქვეყნის 426 მოქან-
დაცე და არქიტექტორი.

პოლონეთი

ძველი ფილმების ერთობის

ვარშავაში დიდი წარმატე-
ბით ჩატარდა ძველი ფილმანუ-
ლი ფილმების ერთობის
რომელიც მოამზადეს გდრ-ის
სახელმწიფო ფილმის არქივმა
და პოლონური ფილმის ცენტრ-
რალურმა სამმართველომ. ნაჩ-
ვენები იქნა 1924-32 წლების
25 მუხჯი და ხმოვანი ფილმი.

ახალი ფანტასტიკური რომანი

გამოვიდა სამეცნიერო-ფან-
ტასტიკური რომანების გა-
თქმული ავტორის სტანისლავ
ლემის ახალი რომანი „ედემი“,
რომელსაც კრიტიკა ქებით
შეხვდა. ვაჟეთი „ტრიბუნა
ლიტერატურა“ წერს: „მხატვრუ-
ლი თვალსაზრისით ლემის რო-
მანი არ ჩამოუვარდება თანა-
მდროვე სამეცნიერო-ფანტას-
ტიკურ თემზე დაწერილ საუ-
კეთესო ნაწარმოებებს. ამის
საუკეთესო დამამტკიცებელია
ის ამბავი, რომ ლემმა შეძლო
ის, რასაც დღემდე ვერავინ
მიიღწა — მან შექნა არსე-
ბანი, რომელთაც ანთროპო-
მორფული ნიშანწყალიც კი
არა აქვთ. მიუხედავად ამი-
სა, ჩვენ გვადიდებებს ამ არსე-
ბათა ბედი. და სწორედ ესაა
ტრიუმფი მწერლისა, მაგალი-



თი კოსმოსის ლიტერატურული გადამიანებისა“.

სენაპიონის ეპოსი მარანე

სტეფან სტავინსკი დაწერა სტენარი პენრიკ სენევიჩის განთქმული რომანის „ჯვაროსნების“ მიხედვით. ფილმს გადაიღებენ ორ სერიალად: „ჯვაროსნები“ და „გრიუნვალდი“. პოლონურ კინემატოგრაფიაში ეს იქნება უდიდესი ღონისძიება — ფერადი, ფართო ეკრანის ფილმი რამდენიმე ათასი სტატისტი. უკვე იღებენ გრიუნვალდთან ბრძოლის მსობრივ სცენებს — XV ს. დასაწყისში პოლონელმა ჯარებმა აქ დაამარცხეს გერმანელი ჯვაროსანი რაინდები. ფილმის გადაღება უნდა დასრულდეს 1960 წელს — ამ ბრძოლის 500 წლისთავისთვის.

რუმინეთი

ძველისა და ახლის ამსახველი

რუმინეთის ყველა ქალაქის ცენტრებზე დიდი წარბაქება გვდა კონსტუდია „ბუქარესტის“ მიერ გამოშვებულ ახალ კინოკომედიის „ალო?... — ეს შედეგია“. ეს მეტად გონებაშემაჯიღებელი, ახალგაზრდული სულიკვეთებით გამსჭვალული მხიარული ფილმი ასახავს კონსერვატორიის სტუდენტთა ცხოვრებას. ფილმი, რომლის რეჟისორია ანდრეა კელერაშუ, რუმინული კინემატოგრაფიის დიდ მიღწევად ითვლება.

იმვე კონსტუდიამ გამოუშვა ახალი ფილმი, რომელსაც საფუძვლად დაედო დიდი რუმინელი მწერლის კარაჯალეს კომედია — „კარნავალის დღეებში“. ეს 1885 წ. დაწერილი კომედია დაცინის XIX ს. დასაწყის რუმინული საზოგადოების ნაკლოვან მხარეებს. შტეფანუ ნადი და აურელ მიხალესი მშვენივრად ჩასწვდენ კარაჯალეს კომედიის სულს და შექმნეს მაღალმხატვრული ღრმა ფილმი.

საბერძნეთი

VII ათასწლეულს უსვოვრიათ

კვიპროსის მუზეუმის მცველი დ-რი პორფირიუს დეკარიოსი კუნძულ კვიპროსის სამხრეთით გათხრებს აწარმოებდა და აღმოაჩინა ადამიანთა დასახლების ერთ-ერთი უძველესი ადგილსამყოფელი. შევედმა პრეფესორმა ოსტუნდმა სტოკ-ჰოლმის ლაბორატორიაში მოახდინა აქ ნაპოვნი უძველესი ნახშირის ანალიზი და დადგინა, რომ საქმე გვაქვს VII ათასწლეულთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ კვიპროსი დასახლებული ყოფილა 2.000 წლის უფრო ადრე, ვიდრე ეგონათ დღემდე.

საზრანბეთი

თეატრის „რეჟორმა“

დე-გოლის მთავრობის მიხედვით, მწერალმა ანდრე მალრომ „რეჟორმა“ მოახდინა საზრანბეთის ეროვნული თეატრების ხელმძღვანელობისა და მიმართულებებში. მან განაცხადა, საზრანბეთის თეატრმა უნდა დაიბრუნოს ყოფილი დიდებო, და ამ მიზნით საჭიროდ თვლის, როგორ თეატრების რეპერტუარი დაუბრუნდეს კორნელის, რასინს, „იპერიის ეპოქის რომანტიზმსა და ოცნებებს, ანტიკურ თეატრს და გრძობათა კეთილშობილებას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე თემებზე დაწერილ პიესებს სახელმწიფო არ მისცემს სუბსიდიას. საზრანბეთის სახალხო თეატრის დირექტორმა ვილარმა, მისი თეატრის მისამართით მალროს მიერ თქმული ქათინაურის პასუხად თქვა, რომ „ეროვნული თეატრი არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ კომფორტს, მუშეუმსა და შედეგებს, კულტურა — მუდმივი

თავდადასავალია. ეს სატირული ნიშნავს... მე მინდა შევქმნა ცოცხალი, მოულოდნელი, გაბედული თეატრი. გაბედული წარსულის მიმართაც კი, რა-რაც დიდებულიც უნდა იყოს ეს წარსული“. ვილარის ეს სიტყვები არ დაუბეჭდია არც ერთ გაზეთს, გარდა „მონდისა“.

მამის სურათის მიხედვით

„ბალახზე საუზმობა“ — ასე ეწოდება ჟან რენუარის ახალ ფილმს, რომლის სიუჟეტიც რეჟისორმა აიღო მამამისის, დიდი იმპრესიონისტი მხატვრის განთქმული ნახტიდან. რენუარი სურათს იღებს კანში, ზღვის სანაპიროზე და ალბებში, სადაც ცხოვრობდა და უკანასკნელი დღეები გაატარა მამამისმა.

ალჟირული პიესა პარიზში

პარიზის თეატრმა „ლიუტეციაში“ დადგა ახალგაზრდა არაბი დრამატურგის კატეა იასინის პიესა „გარსმეორბტყმული გვამი“, რომელიც მან დაწერა ამ 13 წლის უკან, ალჟირში საზინელი სისხლისღვრის მერე. არაბი დრამატურგის პოეტური ღრამა დაიდგა რეჟისორ ჟან-მარია სეროს ინიციატივით, რომელიც ბევრჯერ დახმარებია ახალგაზრდა მწერლებს (პირველად მან დადგა საზრანბეთში ბერტოლდ ბრეტის პიესა). რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული გაზეთები დუმით შეხვდნენ ამ ახალ დადგებას, პროგრესული პრესა კი მიესალმება. თუმცა პიესის შინაარსი ეწინააღმდეგება მის მეთისმეტად „მოდერნისტულ“ ფორმას.

„იმ დღის...“

როზერ ლაფონტის რედაქციით გამოცემის სერია ნაწარმოებებისა, რომლებიც გაერ-

თიანებული სახელწოდებით —
„იმ დღეს...“. ამ სერიაში კი-
ნემატოგრაფიული ფორმითაა
ახასუთი კაცობრიობის ისტო-
რიის ცალკეული დღეები; მაგა-
ლითაღ: ანრი ნოკერის „ბარ-
ლომეს დამე“, ო. გეტისა და
რ. დელიუზის „დღე, როდესაც
მსოფლიომ აღმოაჩინა პასტე-
რი“, ჟ. პიშონის „დღე, როდეს-
აც ნერონი ტაბეროდა აღმო-
დებულა რომით“ და ა. შ.

სორიას პიხის წარმატება

პროგრესული ფრანგი მწერ-
ლის ჟორჟ სორიას პიხის „უც-
ხოელი ქალი კვიპროსზე“,
ფრანგული კრიტიკის აზრით,
ხელოვნის საუკეთესო ნაწარმოე-
ბია. პიხის უკვე 15 ენაზე
თარგმან და ავტორმა იხსენის
სახელობის პრემია მიიღო.

1938 წ. პარიზში გამართული
პრემიერის მერე პიხის თითქ-
მის 200-ჯერ დაიდგა — მათ
შორის ბელგიაში, იტალიაში,
იაპონიაში, საბერძნეთში, შვე-
დეთში, პოლონეთსა და უნგ-
არიში. სორიას სიტყვებით,
პიხის დასაღვმელად აწმადე-
ბენ მსოფლიოში, ლონდონსა და
ნიუ-იორკში. განზრახულია ავ-
რთვე პიხის ეკრანოზაციაც
ინგლის - საფრანგეთ - საბერძ-
ნეთის ერთობლივი ძალეებით.
პიხის წარმოადგენს დრამას
კვიპროსის პრობლემის შესახებ
და ამ ფონზე მოცემულია პა-
რადი დრამა ერთი ოჯახისა,
რომელშიც ქმარი კვიპროსე-
ლია, ცოლი კი ინგლისელი.
პოლიტიკური ამბები ისე ვი-
თარდება, რომ ეს ოჯახი ირღ-
ნება.

უნგრეთი

კიდეზ მართი აღმოჩენა

უნგრეთში, რომლის ტერი-
ტორია ოდესღაც რომის აყ-
ვავებული პროვინცია იყო,
შემორჩენილია რომის ეპოქის
აუარება ისტორიული ძეგლი.
ამას წინათ ბუდაპეშტის გარე-
უბანში, ხევისის ქუჩაზე საკა-
ნალიოზაციო მიღების გაყვანი-
სას, აღმოაჩინეს რამდენიმე
მოზაიკური იატაკი; ამ იატაკე-
ზე გამოხატულია ფრთიანი
ამფორი, რომელიც ყურძნის
მტევანს აწვდის ვეფხვს, პერკუ-
ლესი, ვეფხვი ვაზის ხეივანში,
ფარეკობაში გამარჯვების მო-
მენტი, აღმოჩენილია აგრეთვე
ეპიტაფის წმიდა საკურთხევე-
ლი და ტოკამოსხმული მამა-
კაცის მარმარილოს ქანდაკება.
ამჟამად აკვირების მუზეუმში
ამ ადგილებში გათხრებს გა-
ნაგრძობის. განზრახულია ამ
იატაკეზე აღმართონ დამცვე-
ლი შენობები, რათა, სხვა ნა-
პოვნებთან ერთად, ფართო სა-
ზოგადოებრიობას შეეძლოს
მათი ნახვა-დათვალიერება.

ურუბუკაი

„ალუბლის ბაღი“

„კომედი ნაციონალმა“,
ურუგვაის ყველაზე დიდმა და
ერთადერთმა მულდმივმა სახელ-
მწიფო თეატრმა, ამას წინათ
დადგა ჩეხოვის პიხის „ალუბ-
ლის ბაღი“.

პრემიერასთან დაკავშირებით
გავითმა „ელ პოპულარმა“ და-
ბეჭდა რეცენზია, რომელშიც
ავტორი აღნიშნავს, რომ მსახი-
ობთა ძლიერმა კომლექტივმა
რეჟისორ ატანალპო დელ სი-
როპოს ხელმძღვანელობით მშვე-
ნივრად დაძლია მეტად რთული
ამოცანა და ურუგვაელ მაყუ-

რებელს გააცნო რუსული
მსოფლიო დრამატურგიის ეს
შედეგი.

შემდეგ რეცენზენტი წერს:
იქნებ ყოველთვის სწორად არ
იყო გადმოცემული იმდროინ-
დელი გარემო და განწყობილე-
ბა, იქნებ მსახიობის გარეგნუ-
ლი მონაცემები ყოველთვის არ
ემთხვეოდეს მის მიერ განსა-
ხიერებული სახის შინაგან
სამყაროს, — ეს მხოლოდ იმით
აიხსნება, რომ ჩვენში ჯერ კი-
დევე არსებობს მცდარი შეხე-
დულება ჩეხოვზე, როგორც
„განმარტობისა და მოწყენი-
ლობის მომდერალზე“. მაგრამ
ამ ნაკლს ხელი არ შეუშლია
საუცხოო სპექტაკლის შექმნი-
სათვის. ზოგი სცენა ისეთი
მშვენიერია, რომ შეუძლებე-
ლია მისი დავიწყება, მაგალი-
თად, სცენა, რომელშიაც გაიფ-
ემშვიდობება მამულის სიფ-
ლად, სცენა, რომელშიაც
ტროფიმოვს უარს ეუბნებიან
ცოლად წაყოლაზე და სხვ. მა-
ყურებელმა სპექტაკლი ძალიან
გულთხვალად მიიღო.

ჩეხოსლოვაკია

მაროკაში უნიკალური

წმ. მაროკის ტაძარში დაი-
წყეს ტაძრის ორღანოს შეე-
თება. ეს უზარმაზარი ბაროკოს
სტილის ორღანო 214 წლის
წინათ შეიქმნა და მთელს ევ-
როპაში უნიკალურია. იგი შედ-
გება 3,000 საყვირისაგან, თი-
თოეული საყვირის სიგრძეა
12 მ, წონა კი — 122 კგ. ორ-
ღანოს შეკეთებას 2 წლის ინ-
ტენსიური მუშაობა დასჭირდებ-
და. ხელოვნების ამ ძვირფასი
ძეგლის გადასარჩენად სახელ-
მწიფომ ბიუჯეტებიდან გამოყო
2 მილიონი კრონი.



ბრძელდება ხელმოწერა 1960 წლისათვის შემოღებული
ლიბერალურ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლი-
ტიკურ ჟურნალზე

„ც ი ს კ ა რ ი“

ჟურნალში დაიბეჭდება გამოჩენილი ქართველი მწერლების, ნი-
ჭიერი ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების ახალი საინტე-
რესო ნაწარმოებები, კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიები,
მხატვრული ნარკვევები, ხელოვნებისა და სპორტის ამსახველი წე-
რილები, იუმორისტული ლიტერატურა და სხვა მრავალფეროვანი
მასალა.

არ დაგავიწყდეთ ხელისმოწერა „ცისკარზე“ 1960 წლისათვის!

7578
3360 6 826.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»